

# ქართული

2004

3/4

განმომცემი 1924 წლიდან

# ენათობი

ნაწილი 80-80

№ 3-4

2004 წელი

მწერლობა, პუბლიცისტიკა, ხელოვნება, მაცნეობა

დამფუძნებლები:

საქართველოს მწერალთა კავშირი  
 და ჟურნალ „ენათობის“ რედაქცია

## უინარსი

### **კოეზია, პროზა, დრამატურგია**

თამაზ ჭილაძე - მშვიდობით, ლომებო პიესა .....	3
თამარ დავუშვილი - ლექსები .....	22
მარინა ელბაძიძე - მოთხრობები .....	24
ბივი ბერაია - ლექსები .....	79
რევაზ ნიჭარაძე - მოთხრობები .....	84
ფრანგული მოთხრობა - მაქს ფაკობი - დიდი ადამიანის ბიოგრაფია, შარლ-ლუი ფილიპი - შიხვედრა, ალფონს ალე - მზითვი. თარგმნა მანანა მიქელაძემ .....	93

### **კრიტიკა, პუბლიცისტიკა**

მაია კიგუა - მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტური წერილები .....	102
პაპია ჩიკვა - კრიტიკოსი და დრო .....	108
ბელა მდიკაძე - „გარეუბანი“ .....	129
ჯემალ მჭედლიშვილი - როცა მართალ ხარ! .....	132



## შინაარსი

(გავრძელება)

### მეცნიერება

ინვერ ბარათული – განილ ქასარიელი ქველ ქართულ მწერლობაში ...	147
ანზორ ბრეგვაძე – ფილოსოფოსის მრწამსი .....	156
ნინო ჩიჩუა – კომუნიტური სქემაში ინგლისურენოვან უბლიცისტურ დისკუსიებში .....	166

### ხელოვნება

ქეთევან მენგელია – ცოცხალი ილუსტრაციები .....	173
---	-----

### სარკველი

ფართოდ ბახსნილი მზარბ (მათიე ვალე ესაუბრება მარგერიტ იურსენარს). თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ .....	175
ალექსანდრ მინი – ყოფიარება და რწმენა. თარგმნა მანანა მიქელაძემ ..	182

### ინტერვიუ: გიგლიოვრაფია

ზურაბ კალანდიაძე – ახალი ნიგნები .....	189
--	-----

მთავარი რედაქტორი

თამაზ ქილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ანდრო ბუაჩიძე



გამომცემლობა „სანი“

თბილისი 0105, შავთელის ქ. №26

ტელ: (995 32) 98 65 92 e-mail: zazaberishvili@yahoo.com

თავაზ ჭილაძე

## მხილვით, ლოგო

კომიკური ფანტასმაგორია\*

პერსონაჟები:

1. ლეო
2. ნიკო
3. ფატი
4. ფატის დედა - ინვალდი დედაბერი, იგივე სპორტსმენი გოგონა
5. ელა - უცხოელი სტუმარი, ლაპარაკობს აქცენტით
6. ლომი
7. შეშლილი
8. ბებერი სტიუარდესა მაცნე. ქორო, ჯარისკაცები, ამბოხებული ქალები.

უპატრონო მოხუცთა თავშესაფარი.

შეშლილის ტექსტისთვის გამოყენებულია გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამები

1. უპატრონოთა სახლის ერთ-ერთი, ალბათ, ყველაზე დიდი პალატა. ორი-არუსიანი საწოლები დეკორაციებად უქცევიათ, ზედ ზეწრები და დაგლეჯილ-დაკერებული საბნები ჩამოუფარებიათ, რაც, მიუხედავად საცოდაო-

ბისა, ერთგვარ საზეიმო განწყობილებას ქმნის.

მიმდინარეობს აქაური მდგმურების მიერ დადგმული სპექტაკლის ბოლო, ფინალური სცენა

მეფის სასახლე. ისმის ხალხის ხმაური. ისერიან აეტომატებს.

სცენაზე არიან მეფის როლის შემსრულებელი ნიკო და მინისტრის როლის შემსრულებელი ლეო


მინისტრი - ნუთუ მართლა გეტოვებთ, მბრძანებელო?

მეფე - დიხ და თანაც სამუდამოდ! გტოვებთ "ლირი ყველასგან მიტოვებული". უნდა გავასწრო რევოლუციას. მე ჯერ ადამიანი ვარ და მერე მეფე!

მინისტრი - (ტაშს უკრავს) - ამ დიდებულ სიტყვებს ისტორიის ხელი დავთარში ჩაინერს!

მეფე - ოღონდ, თავს რომ მომჭრის, მერე. ისტორიას თავმოჭრილი მეფეები უყვარს. ამიტომაც დავიხურე გვირგვინი! ჩემო კარგო, ისტორიაში შეიძლება უთავოდ შეხვიდე, მაგრამ უგვირგვინოდ იქ არავინ შეგიშვებს.

\* დაიდგა თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, 2002 წელს. რეჟისორი გოგი ჩაკვეტაძე. 2003 წელს, რუსთავის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, როგორც „საუკეთესო თანამედროვე ქართული პიესა“, დაჯილდოვდა ფესტივალის მთავარი პრიზით - „ოქროს ნიღბით“.



ქორო - (მღერის) „პილიკოკი, პი-  
ლიკოკი, ტიტლი, ტიტლი, ტიტლი“.

**მეფე** - გესმის, ქარიშხალი მოთქ-  
ვამს ჩემს მაგივრად! ეს ღვთაებრივი  
შექსპირის სიტყვებია, უბედურ მეფე-  
თა პოეტის!

შემორბის მაცნე

**მაცნე** - დავმარცხდით, დავმარც-  
ხდით, მატრიარქატმა გაიმარჯვა! მო-  
ნარქია დაემხო! გვარდია კვდება, მაგ-  
რამ მაინც გარბის!

გარბის

შემოიჭრებიან ამბოხებული ქალე-  
ბი

- გაუმარჯოს დემოკრატიას!

- ძირს ტირანია!

- ბასტილია დაინგრა!

- მეფე სანაგვეზე!

**დედაბერი** - (მღერის. ბორბლები-  
ან სავარძელში ზის. სავარძელს მისი  
ქალიშვილი მოავორებს) -

ცაზე მთვარე ამოსულა,

ნიშანია დარისა,

კოლექტივი გაძლიერდა,

ვენაცვალე სტალინსა!

**მეფე** - რა უნდათ ამ ქალებს ჩემ-  
გან, რამ გაამნარათ ასე?

**მინისტრი** - თვად არ ბრძანეთ,  
მეფე ღირი ვარო!

**მეფე** - მერე?

**მინისტრი** - თქვენ მრავალშვილი-  
ანი მეფე ღირი ბრძანდებით, ჩემო ბა-  
ტონო!

**ქალთა წინამძღოლი** - დაიჩოქეთ!  
ყველანი იჩოქებენ

- (მეფეს) აბა, სწრაფად, მოიხადე  
ეგ გვირგვინი და შენი ხელით დადე აი,  
აქ! (აჩვენებს, სადაც უნდა დადოს  
გვირგვინი).

**მეფე** - რას ამბობ, დედაკაცო, გა-  
გიჟდი? ისტორიაში უგვირგვინოდ ვინ  
შემიშვებს?

**მინისტრი** - პირაფრთხი მოწმობა  
აჩვენეთ!

**მეფე** - მონმობაში სურათი მაქვს  
გამოსაცვლელი.

**წინამძღოლი** - რალა თქვენ არ შე-  
გიშვებენ, გაივსო ისტორია ძალლითა  
და მამაძალლით! რა გიდევს მაგ ჩან-  
თაში, გადმოაბრუნე, სწრაფად!

**მეფე** - ა, ბატონო, ინებეთ - ოყნა,  
ნარდი, ბოტასები. ეჰ, გული მრჩება  
თქვენთან, გული.

**მინისტრი** - რა ვქნათ, იცით? მო-  
დი, მეფემ გული წაიღოს და გვირგვი-  
ნი კი ჩვენ დაგვიტოვოს!

**მეფე** - ეჰ, გუშინ სულ სხვანაირად  
ჭიკჭიკებდი.

**მინისტრი** - მართალი ბრძანდე-  
ბით, მაგრამ ახლა გუშინდელი დღე  
ხომ არ არის, მეფეო!

**მეფე** - მართალი ხარ, რა მეთქმის.  
კალენდრის არცოდნა ღუპავს მეფე-  
ებს. კი, მაგრამ მატრიარქატის სახე-  
ლით შენ რატომ მელაპარაკები?


**მინისტრი** - მამატიეთ კადნიერე-  
ბა, მაგრამ არ ცვოდნით, ფარა თავის  
მსგავსს რომ არ მიშყვება. მე თხა ვარ,  
თხა! ვაცი!

**მეფე** - შენ, ჩემო კარგო, განდიდე-  
ბის მანიას შეუპყრიხარ!

**მინისტრი** - აი, რქებიც!

**მეფე** - უი, რამსიგრძე რქები გქო-  
ნია, ადრე არ შემინიშნავს!

**მინისტრი** - ჩემმა ანგელოზმა მე-  
ულლემ ჯერ კიდევ როდის იგრძნო,  
ახალი დრო რომ დგებოდა. სიკედი-  
ლამდე მადლობელი ვიქნები მისი. ნამ-  
დვილი ცოლობა გამიწია, ნამდვილი  
დიახ, ქალი პატივს სცემს იმას, ვისაც  
რქებს ადგამს! და აი, ახლა უკვე, რო-  
გორც გამარჯვებული შეამბოხებებს  
წინამძღოლი, მოგმართავთ, გთხოვთ  
კიდევ, რადგან ზრდილობა არ დაგ-  
ვინყნია - ერთ კითხვაზე გვიპასუხო:





ახალ მეფეს რომ ავირჩევთ, რა დავა-  
ბუროთ, რას იტყვის ევროპა, ქართ-  
ველმა დემოკრატებმა მეფის პატივის-  
ცემა არ იციანო? რას იტყვის ამერი-  
კა, ევროსაბჭო, განსაკუთრებით ევ-  
როპანკი. თქვენი ამბავი რომ ვიცი, იქ  
განითლდებით იქ, ისტორიაში! ბო-  
ლოს და ბოლოს, აი, ეს ტახტი წაიღეთ,  
არ გიშლით - ტელევიზორის წინ და-  
იდგამთ და იქნებით თქვენთვის მყუდ-  
როდ, გემრიელად, ჩვენ კი ახალ მე-  
ფეს, ბოლოს და ბოლოს, პარლამენტ-  
ში დავსვამთ, მაგრამ იმ მეფესაც,  
თქვენსავით, თავი ხომ ექნება, რა და-  
ვაბუროთ, შლიაპა?

**მეფე** - როდის მერე გახდით ასე-  
თი პრინციპული, ასეთი ლოგიკური?

**მინისტრი** - ზუსტად ხუთი წუთია,  
ჩემო ხელმწიფე.

**მეფე** - ესე იგი, არა მარტო კალენ-  
დრის, საათის ცნობაც არ მცოდნია.

**მინისტრი** - მეფეები საათზე არ  
ინებებიან, თქვენო უმაღლესობავ!  
რაც შეეხება ჩემს პრინციპულობას, მე  
ყოველთვის ამ პრინციპების ერთგუ-  
ლი ვიყავი (ხმამალლა, პათეტურად,  
მიტინგური ფესტიკულაციით) - პატი-  
ვი ვცუთ ქალებს! ხელისგულზე შე-  
უნწათ კვერცხი! ხელისგულზე გავუ-  
შალოთ კარავი! ძირს ტირანია!

**ქალები** - (მღერიან)

ცაზე მთვარე ამოსულა,  
ნიშანია დარისა,  
კოლექტივი გაძლიერდა,  
ვენაცვალე სტალინსა.

**ქალთა წინამძღოლი** - გაუმარ-  
ჯოს დემოკრატიას! აბა, ერთად, ვა-  
შაა!

**ყველანი** - ვაშაა!

**წინამძღოლი** - დავანგრიოთ ვერ-  
სალი!

**ყველანი** - ვაშაა!

**წინამძღოლი** - ჩავაქროთ ქალები!

**ყველანი** - ჩავაქროთ ქალები.

**წინამძღოლი** - ავანთოთ სანთლე-  
ბი!

**ყველანი** - ავანთოთ სანთლები!  
სანთლებს ანთებენ, პირჯვარს  
იწერენ.

**მეფე** - რას იზამ. დე, ასრულდეს  
ხალხის ნება. აი, ვდგები კედელთან,  
რადგან არ იშლით, მესროლეთ, მეს-  
როლეთ, თამამად, ერთად, დემოკრა-  
ტიულად!

**მინისტრი** - რას ბრძანებთ, თქვე-  
ნო უმაღლესობავ, მატრიარქატმა არ  
გაიგოს, თორემ ეწყინება. ჩვენ სიკვ-  
დილით დასჯის წინააღმდეგნი ვართ.  
თქვენ მხოლოდ გვირგვინი მოგვეცით,  
მეტი არაფერი.

**მეფე** - ჩემო კარგო, უგვირგვინო  
მეფე ისედაც თავმოჭრილია!

**მინისტრი** - ო, რა დიდებული სიტ-  
ყვებია!

**მეფე** - (იხდის გვირგვინს) - აი,  
ინებეთ, ჩემო კარგებო, აი, ინებეთ.  
(შესძახებს) გაუმარჯოს დემოკრატია-  
ს!

**მინისტრი** გვირგვინს მოწიწებით  
ჩამოართმევს და იქვე მაგიდაზე და-  
ასვენებს.

**მეფე** ქვითინით მიდის.

**დარჩენილები** „მარსელიოზას“  
მღერიან.

**ფარდა** ეშვება.

**2.**

**სუექტაკლს თურმე ერთადერთი  
მაყურებელი ყოლია - უცხოელი სტუ-  
მარი, რომელიც აღფრთოვანებული  
უკრავს ტაშს: „ბრავო! ბრავო!“**

თანდათანობით ყველანი უცხოე-  
ლი სტუმრის გარშემო გროვდებიან.

**ლეო** - ძვირფასო სტუმარო, ჩვენ-  
მა მარად ახალგაზრდა და სიცოცხ-

ლით სავსე კოლექტივმა, ჰა, ჰა, ჰა, ალბათ იმიტომ, რომ მათ შორის მხოლოდ მე ვარ პროფესიონალი მსახიობი, რასაკვირველია, ყოფილი, ჰა, ჰა, ჰა, იმიტომაც შეცინება, რომ ამ სიბერეში დავრწმუნდი, ყოფილი მსახიობი არ არსებობს, როგორც არ შეიძლება არსებობდეს ყოფილი ძალღი, ყოფილი ჩიტი, ყოფილი მილიციელი, თუნდაც ყოფილი მეფე. აღარც კი მეგონა, სცენას ისევ თუ დავუბრუნდებოდი. მაგრამ ნათქვამია, კაცობა ღმერთი იცინოდაო და განა, მართლაც, ღმერთის ხუმრობას არა ჰგავს ჩემი ან ჩემი კოლეგების ეს გვიანი მსახიობობა? ჩვენ ჩვენი საკუთარი თეატრი გვაქვს, სადაც ჩვენივე ფანტაზიით შექმნილი სპექტაკლები თამაშდება. არავინ დაგვხმარებია, არც გვექონია ამის იმედი. ოღონდ ადამიანს ნუ ეტყვი, მომეხმარეო და ისეთ სიბრძნეს გადმოაფრქვევს, შენი მოწონებული. ყველა შემთხვევისთვის თითო ანდაზა მზადა აქვს. რაც მთავარია, ყველაფერს შენ გაბრალებს, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, გეტყვის და მიგატოვებს არხეინად, გვერდზე გადაგება, ხელს გადაიბანს. ასე რომ, მარტოებმა გავაკეთეთ ამოღენა საქმე. სიბერე, ქალბატონო, ერთადგილიანი საკანი ყოფილა, აღარც ზედამხედველი ჭირდება და აღარც კარის ჩაკეტვია აუცილებელი. და მაინც, მიუხედავად ამისა, სრულებითაც არ ყოფილა ძნელი იქ გაძლება, თუკი მოგონებები და ფანტაზიის უნარი შეგრჩენია. თეატრსაც მეტი არაფერი ჭირდება. უცნაური არსება გახლავთ მსახიობი - არ არსებობს პიროვნება, თავის თავში რომ არ აღმოაჩინოს, კეისრიდან დაწყებული, პარლამენტარით დამთავრებული. მოკლედ, უამრავი ადამიანი წიგნებიდან თუ პირდაპირ ქუჩიდან აქ, ჩვენს თავშესაფარში გადმოსახლდა, უფრო

ზუსტად - ჩვენი. აქვს კი რაიმე უნარი აქვს კიდეც, რას ვამბობდი? ხო, იმას მოგახსენებდით, ჩვენმა კოლექტივმა დამაკისრა-მეთქი ასეთი საპატიო და სასიამოვნო მოვალეობა - მოგმართოთ სიტყვით, ანუ გამოეხატო საერთო სიხარული და მადლიერება თქვენი მობრძანების გამო. ჩვენო ძვირფასო უცხოელო სტუმარო, ერთი თვეა, მოუთმენლად გელოდებით და აჰა, როგორც იქნა, გველირსა თქვენი ჩამობრძანება. რაც ახლახან სცენაზე იხილეთ, თქვენს საპატივსაცემოდაა მომზადებული, დიდი მონდომებითა და მღელვარებით. ეს სპექტაკლი და აგრეთვე ჩვენი შეხვედრის დასკვნითი ნაწილი, რომელიც ერთგვარ სიურპრიზადაცა გვაქვს ჩაფიქრებული, ნამით მაინც გაგახსენებთ თქვენს მშობლიურ ქვეყანას, დემოკრატიის ბასტიონს, საიდანაც ჩამობრძანდით. ასე რომ, პატივცემულო მადამ...

ელა - (სიცილი, საერთოდ ახასიათებს მოულოდნელი, ხმაშალალი გადაკისკისება) - არა, არა!

ლეო - ფროილენ!

ელა - არა, არა!

ლეო - სინიორა!

ელა - არა, არა!

ლეო - პანა?

ელა - არა, არა!

ლეო - მის?

ელა - არა, არა!

ლეო - არც გასპაუა?

ელა - არა არა!

ლეო - მაშ, იქნებ თქვენ თვითონ

გვითხრათ, ქალბატონო, ვინ ბრძანებთ უფრო სწორად, საიდან ჩამობრძანდით.

ელა - მე თქვენი დეიდა ელა ვარ, თქვენი სისხლი და ხორცი. დეიდა დამიძახეთ, დეიდა ელა.

ლეო - ასეთ ახალგაზრდა და ლამაზ ქალს დეიდა როგორ დაგიძახოთ?

ელა - (ვადაიკისკისებს) - მად-  
ლობით, დანკე, დანკე.

დედაბერი - ფატი, ფატი, რა ხდე-  
ბა, რა ამბავია?

ფატი - სტუმარი გვყავს, დედა,  
უცხოელი სტუმარი.

დედაბერი - მოიტანა რამე?

ფატი - კი, დედა, კი, დანყნარდი.  
მოიტანდა, აბა, რას იზამდა.

დედაბერი - კაია, კაი.

ელა - მე ჰუმანიტარული მისიით  
ჩამოვედი, ბავშვებთან. უპატრონო  
ბავშვების კეთილი ფერია ვარ. აი, ჩე-  
მი დიპლომი.

ლეო - ეს კი უმეტესად უროდ დარ-  
ჩენილი მოხუცების, ანუ ყოფილი მე-  
ფეების სახლია. გზა ხომ არ აგრევი-  
ათ?

ელა (სიცილით) - არა, არა!

ლეო - თუმცა ჩვენც პატარა ქარ-  
თელები ვართ.

ნიკო - კავკასიის მთების შვილე-  
ბა.

ლეო - და რაც მთავარია, უპატრო-  
ნოები.

ელა - შეიძლება, ბავშვები დაგიძა-  
ხთ? ბავშვებო, ბავშვებო!

ლეო - თქვენ როგორც გენებოთ,  
ქალბატონო, თქვენ როგორც გენე-  
ბოთ. ბავშვები ვართ, აბა რა!

ელა - მადლობით.

ლეო - ბიტე.

ელა - შპრეხენ ზი დოიჩ?

ლეო - რაო? რა მითხრა?

ნიკო - გერმანული იციო?

ლეო - მარტო ბიტე და დანკეთქო.

ელა - გუტ, გუტ, ზერ გუტ. მიყ-  
ვარს ზრდილობიანი ბავშვები.

ლეო - სიმართლე გითხრათ, უც-  
ხოელი მეგონეთ.

ელა - მე ქართველი ვარ, მიუნჰე-  
ნიდან.

ლეო - ოო, მიუნჰენი! (პათეთიკუ-

რად) „ლაპარაკობს რადიო თავისუფ-  
ლება“!

ელა - დიახ, დიახ (პათეთიკურად)  
ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!  
მამა ამბობდა მაგ ფრაზას, დიქტორი  
იყო. იმაზე გიფდებოდა, იმაზე (ბლოკ-  
ნოტში ეძებს) რა პქვია, რა პქვია, ახ-  
ლავე მოვძებნი, ახლავე.

ლეო - ალბათ ტყეშალზე გიფდე-  
ბოდა, ქალბატონო, სხვა რაზე უნდა  
გაგიფებულებოდა ქართველი კაცი უც-  
ხოეთში! სად ბრძანდება ახლა მამათ-  
ქვენი?

ელა - (ვადაიკისკისებს) - მამა ბაი,  
ბაი.

ლეო - ბატონო? რაო, კაცო, რა  
თქვა?

ნიკო - მოკვდაო, ვერ გაიგე?

ელა - დედა ზესტაფონიდან იყო...

ლეო - (წაიშლურებს) - ზესტაფო-  
ნო, ზესტაფონო, გმორდები.

ელა - დიახ, დიახ.

ლეო - ისიც ბაი, ბაი?

ელა - დიახ. მამამ ახალი დედიკო  
მოიყვანა, კონგოელი, სახელად აჩუ.  
სიყვარულით ციალას ეძახდა, დედა-  
ჩემის სახელს.

ლეო - ესე იგი, კონგოური აჩუ  
ქართულად ციალა ყოფილა!

შეშლილი - (წინ გამოიჭრება) -  
„სადაურსა სად წაიყვან, სად გაუთხ-  
რი სამარესა“!

ელა - ეს ვინ არის, ასეთი მღელეა-  
რე მოხუცი?

ლეო - ეს ამ სახლის გიჟია, ქალბა-  
ტონო.

ელა - აა, გასაგებია, გასაგებია.

ლეო - დაგვაცადე ლაპარაკი, ბი-  
ჭო, დამშვიდდი. წადი შენს ადგილას.

შეშლილი თავის ადგილას ბრუნდე-  
ბა

ელა - დედიკო აჩუს პირველი და  
მეორე ქმარი შექმული ყავდა და ერ-  
თიც დედამთილი.

**ფატი** - ნახეთ, იქაც ცოდნიათ ნათესაობა!

**ლევო** - შეჭმული ყავდაო, კაცო?

**ნიკო** - ნეტავე, ტყემლით თუ უტყემლოთ?

**შეშლილი** - (წინ გამოიჭრება, პათეთიკურად) - „სჯობს სიცოცხლე საზრახსა სიკვდილი სახელოვანი“!

**ლევო** - ვის ვუთხარი მე, დაგვაცადეო, რა დაგემართა, არ გესმის ჩემი ლაპარაკი?

**შეშლილი** თავის ადგილას ბრუნდება

**ელა** - მამას ნოსტაღვია, პატრია..

**ლევო** - სამშობლო!

**ელა** - უკაცრავად, ქართული ცოტა მიჭირს.

**ლევო** - ჩვენი ემიგრანტი ქართულად რომ ლაპარაკობთ, ეს არის საკვირველი.

**ელა** - ქართული ჰერ მანფრედ შნაიდერმა მასწავლა, პროფესორმა.

**ლევო** - მამას სამშობლო რომ მოენატრებოდაო, ეს გინდოდათ გეთქვათ არა?

**ელა** - სამი დღე ცერებზე იდგა!

**ლევო** - მამათქვენი?

**ნიკო** - რაო, რაო, სამშობლო რომ მოენატრებოდა, სამი დღე ცერებზე იდგაო?

**ელა** - ია, ია.

**ლევო** - დავიბენი, ია თუ ცილა?

**ელა** - დედიკო აჩუსაც ასწავლა, ერთად იდგნენ სამი დღე ცერებზე.

**ლევო** - ეგ ყოფილა ბალანჩინი!

**ელა** - მე ჯერ სერბერნარობის კოლეჯში შევიტანე განცხადება, მაგრამ ნიხტ, ინტელექტის დონე არ მეყო.

**ლევო** - სერბერნარი გერმანელი ფილოსოფოსი იქნება ალბათ.

**ნიკო** - სერბერნარი ძალღლია, შე კაცო, არ იცოდი?

**ლევო** - მითუმეტეს, ძალღლია როგორ აჯობებდა!

**ელა** - მერე კეთილი ფერიის კურსები დავამთავრე. კენიაში გამაგზავნეს სანტაკალუსად.

**ნიკო** - კენიის ლომებმა ვითომ ახალი წელი იციან?

**ლევო** - სამაგიეროდ, აგერ ქართველ ლომებში გამოადგა.

**ელა** - ახლა გეორგია, პატრია! მკერდზე ხელს მიიდებს, მღერის - სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო...

*მოუბოდიშებთ*

- მეტი არ ვიცი.

**ნიკო** - მეტი არც ჩვენ ვიცი.

**ლევო** - ჰკითხე, ჩვენი სპექტაკლი როგორ მოეწონა?

**ნიკო** - სულ ბრავოს იძახდა, მეტი რა ექნა!

**ელა** - გუტ, გუტ, კაიზერ კაპუტ!

**ლევო** - დიახ, უპატრონოებს უყვართ მეფობანას თამაში.

**ელა** - (სივრცეში გასძახის) - მამი! ხელით ანიშნებთ, ამყევითო ყველანი - მამი!

**ელა** - ეს არის საქართველო?

**ყველანი** - ეს არის საქართველო?

**ელა** - (უფრო ხმამაღლა) - ეს არის საქართველო?

**ყველანი** - (უფრო ხმამაღლა) - ეს არის საქართველო?

**ელა** - მამი!

**დედაბერი** - ფატი, სადა ხარ, ქალო, რატომ მიმატოვე ასე უპატრონოდ?

**ფატი** - უპატრონოს რა გიგავს, ნუ შემშალე, ქალო. ყოველ კვირა დღეს ვნახულობ. სავარძლით გასეირნებ, ცივ ნიავს არ გაკარებ. ამ ბოლო დროს არტისტობაც დამაწყებინე (ყვირის) გაუმარჯოს დემოკრატიას (ჩვეულებ-



რეაქ) სად ვიქნები? აგერ, ადამიანებს ველაპარაკები.

**დედაბერი** - სადაა ადამიანი, მეც დამანახე!

**ფატი** - კარგი, დედიკო, კარგი, ნუ იცი ასეთი უცნაური ლაპარაკი.

**დედაბერი** - ვის ეძახის ჩვენი სტუმარი ასე მონდომებით?

**ოლა** - ტელეფონი არ მუშაობს ჩვენთან და რა ქნას, მამას არ გაუზიაროს შთაბეჭდილება! გაგიჟებულა ჩვენს სპექტაკლზე.

**დედაბერი** - ჩემზე რას ამბობს, ჩემზე?

**ფატი** - კარგი სიმღერა სცოდნიაო, რას იტყვის სხვას!

**დედაბერი** - მამამისი სადაა ნეტა-ვი?

**ფატი** - სადაა და სასაფლაოზე.  
**დედაბერი** - კაია, კაი.

**ფატი** - გერმანულ სასაფლაოზე, აბაა!

**დედაბერი** - იფ, იფ, მთლად უკეთესი! ჰკითხე ერთი ჩვენს სტუმარს, მაგას ეცოდინება ნამდვილად ბელადის ამბავი. ჰკითხე, ნუ გერიდება.

**ლეო** - (ფატის) - რაო, რა მინდაო დედათქვენმა, არ იშლის თავისას?

**ფატი** - გაგიგონია! (ამათ თვალს ჩაუკრავს). (დედას) კიო, გამიგიაო, როგორ არაო, მაგ როგორ გამომრჩებოდაო.

**დედაბერი** - სტუმარმა?

**ფატი** - უპატრონო გენერალისიმუსების სანატორიუმში ისვენებსო.

**დედაბერი** - იფ, იფ.

**ფატი** - ტალახის აბაზანებს იღებს თურმე. აბაა!  
**დედაბერი** - რევმატიზმი ანუხებს ალბათ. კაია-კაი. მოუხდება, იმედია. არც მე მანყენდა ტალახი. ვისაც პატრონი ყავს, ტალახში წევს ახლა.

**ფატი** - ვერ უყურებთ ამას - ტა-

ლახი მომინდომა! ტალახს, დედაბერი ასე კი არ არიგებენ.

**დედაბერი** - ტალახსაც ამერიკა გვიგზავნის ვითომ?

**ფატი** - ტალახი, დედაჩემო, უნდა დაიმსახურო. მაღლიერმა ხალხმა ტალახში უნდა ჩავანეინოს. ჩვენ პატარა ხალხი ვართ, ტალახს ვინ გვაღირსებს. (ამათ) ასეა გადარეული ბელადზე. ახალგაზრდობაში სასიყვარულო ბართი გაუგზავნა კრემლში.

**ელა** - (ტაშს შემოჰკრავს, ალტაცე-ბული) - ოჰ, მიან გოტი რომანტიკა!

**ლეო** - იმან, იმან რაო, რა უპასუხა?

**ფატი** - იმან დაჭერის ორდერი გამოუგზავნა სამაგიეროდ.

**ლეო** - აი, რას ნიშნავს ბრძენი ადამიანი! სიყვარულსა მალვა უნდაო, ნათქვამია.

**დედაბერი** - მარჯვენა თვალი მითამაშებს, რალაც გამიხარდება უთუოდ. აგერ ნახავთ, უცებ თუ არ გამოგვეცხადება, თავზე თუ არ დაგვადგება მოულოდნელად. იმკურნალებს ცოტას და გვესტუმრება ნამდვილად. აგერ ნახავთ, მე მითქვამს. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა. კაია კაი.

**მღერის**  
ცაზე მთვარე ამოსულა,  
ნიშანია დარისა,  
კოლექტივი გაძლიერდა,  
ვენაცვალე სტალინსა.

**ელა** - ბრრრ, როგორ შემაკანკალა, შემცივდა უცებ.

**ლეო** - შეგეშინდათ ალბათ. ნუ უსმენთ მაგის ლაპარაკს, ქალბატონო, მაგის სიტყვას ფასი რომ ჰქონდეს, აქამდე კომუნიზმში უნდა ვიყოთ და ტალახში ვინვეთ ყველანი.

**ელა** - არა, მართლა შემცივდა, თანაც ძალიან. ბრრრ. სვიტრი მომქონდა და რად გინდაო, იქ სულ მზეაო.



**ლეო** - ეგ კენიაში, ქალბატონო. ჩვენთან კაი მაგარი სიცივე იცის. დიახ, არსად არ ცივა ისე ძალიან, როგორც იქ, სადაც წესით არ უნდა ციოდეს.

**ელა** - ბრრრ, ბრრრ. უჰ, უჰ, ვაი, ვაი.

**ფატი** - ნახეთ, როგორ აჭიკჭიკდა ქართულად!

**ლეო** - აი, იავნანამ რა პქნა!

**ელა** - სულ ასე ცივა?

**ლეო** - ჩვენ წიგნებით ვითქვამთ სულს, წიგნმა გაგვატანინა თავი. ამდენ ხანს წიგნმა გაგვაძლებინა.

**ნიკო** - სიცივე წიგნმა დაგვაინყა.

**ელა** - ო, ვიცი, ვიცი, დიდი ლიტერატურა! დიდი მწერლები! დიდი კულტურა! რუსთაველი!

**ნიკო** - დიახ, შეიძლება ევროპაში ზოგ უვიცს უწიგნურიც კი ვეგონოთ.

**ელა** - არა, არა...

**ნიკო** - ჩვენ კი წიგნით გაგვეკონდა საყინულეში თავი. ჩვენთან ყველა ოჯახში წიგნი ინახება, ქალს მზითვში წიგნს ატანდნენ. ამ ჩვენს სახლსაც, ანუ უპატრონო მოხუცთა თავშესაფარსაც ბევრი რამ აკლდა, მაგრამ საკუთარი ბიბლიოთეკა პქონდა.

**ელა** - გუტ, გუტ (აკანკალებს). ბრრრ! ბრრრ!

**ლეო** - ერთი თარო ხელუხლებლად შევინახეთ, საგანგებოდ დღეისთვის, ანუ ჩვენი ძვირფასი სტუმრისთვის. ახლა თქვენ თვითონვე კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რა დიდებული რამ არის წიგნი.

**ნიკო** - წიგნი ძვირფასი და შეუცვლელი მეგობარია.

**ლეო** - აბა, ჰე, მომატანინეთ წიგნები, მომიკიდეთ ხელი!

**მოაქვთ წიგნები**

- აი, აქ დაანყეთ, ლამაზად, კობტად, ოთახის შუაგულში, სადაც ჩვენი

წინაპარი კერიას ანთებდა ანუ ყველაზე საპატიო ადგილას. წიგნი იმსახურებს ამას. დეიდა ელა, კარგო სტუმარო, აი, ინებეთ ასანთი!

**ელა** - ასანთი? ასანთი რად მინდა?

**ლეო** - გადამრჩენელი ცეცხლი საპატიო სტუმარმა უნდა გააჩალოს, ასე არ არის? გამომართვით, გამომართვით ასანთი, ამჟამად თქვენ გზედად წილად ეს პატივი. ყველა თქვენ შემოგცქერით, იმედით, მოუთმენლად. აბა, თამამად, თამამად!

**ელა** - წიგნები? ასანთი? ცეცხლი? აუტოდაფე? არა, არა!

**ლეო** - ბიტე, ბიტე. ხალხს ნუ ალოდინებთ.

**ელა** ანთებს ასანთს

- თამამად, თამამად!

**ელა** ცეცხლს უკიდებს წიგნების გროვას.

**ელა** - უი, აინთო!

**ლეო** - რა ბრძანეთ?

**ელა** - როგორი ლამაზია!

**დედაბერი** - ფატი, გოგო, მიმიყვანე ცეცხლთან, მიმიყვანე დროზე, მერე აღარ მიმიშვებენ ახლოს. გესმის, ქალო?

**ფატი** ბორბლებიან სავარძელს ცეცხლთან ახლოს მიაგორებს.

- კაია კაი.

**ლეო** - მართალი ბრძანდებით, დეიდა ელა, ცეცხლი ძალიან ლამაზია. ლამაზია და იდუმალი. „დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრებო“ - თქვა პოეტმა.

**ელა** - ო, დიკენსი! გუტ, გუტ!

**ნიკო** - გათბით ცოტა?

**ელა** - კარგია, კარგია.

**ლეო** - წიგნი სითბოს წყაროა.

**ნიკო** - არა, წიგნი ცოდნის წყაროაო, ასეა ნათქვამი.

**ლეო** - შენ რომ პირში არ მეცე, არ შეიძლება! სითბო და ცოდნა ერთი და

ივრეა, ნუთუ ამდენ ხანს ვერ ირწმუნე ეს. ამქვეყნად ყველაზე კარგად ნიგნი იწვის, განა ეს შემთხვევითია?

**ნიკო** - რა იცი, ასე კატეგორიულად რომ ლაპარაკობ?

**ლეო** - კაცობრიობის გამოცდილება გვასწავლის ამას!

**ნიკო** - აი, სად გამოგვადგა გამოცდილება!

**ლეო** - დიახაც. კულტურა გამოცდილების არდავინწყებაა, მეტი კი არაფერი. უკულტურობა კი სულიერი სიღარიბე გახლავთ.

**შეშლილი** - (წინ გამოიჭრება, ალგზნებული, პათეტიკურად) - „ადამიანის სიღიადე ისაა, რომ თავის უბადრუკობას გრძნობს“!

**ლეო** - კარგი, დამშვიდდი, შე კაცო, რადენჯერ უნდა გითხრა, დაანებე მაგ სისულელეებს თავი-მეთქი. ამოიჭამა პირდაპირ თავი კაცობრიობაზე დარდით. ამდენი ნერვიულობა გამოივია!

**ნიკო** - აბა, რა ქნას გიფმა, აღარც იწერვიულოს? მე თუ მკითხავთ, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. „დერ არბაიტერ არბაიტეტ“! ხომ ასეა, ქალბატონო სტუმარო?

**ფატი** - მართალი ბრძანდებით, ბატონო ნიკო, მართალი. აი, ჩემი შვილი მამამისს...

**ნიკო** - აპოლონს!

**ფატი** - თავზე ვაშლს ადებდა და ავტომატს ესროდა!

**ნიკო** - რატომ, კაცო, რატომ?

**ლეო** - ვითომ ეგ იყო მისი საქმე?

**ნიკო** - რა დაუშავა ასეთი?

**ფატი** - ვინ?

**ნიკო** - მამამ, ანუ აპოლონმა.

**ფატი** - დაუშავა კი არა, გადაყოლილი იყო შვილზე. ამაყობდა, ბიჭი მიმესწროო!

**ლეო** - კია ნამდვილად საამაყო.

**ელა** - ვიღებლმ ტელი?

**ლეო** - დიახ, დეიდა ელა, ვიღებლმ ტელი, ოღონდ ქართულად, ანუ შებრუნებით. წინ მიდის ცხოვრება, წინ!

**ნიკო** - მართალი ხარ, ძალიან ჩამოვრჩით, ძალიან.

**ლეო** - გავგასწარეს ახალგაზრდებმა, ამიტომაც არ გვესმის მათი.

**ნიკო** - ნახეთ, რა იცის ნიგნამ! როგორც კი ცოტათი გავთბით, მაშინვე ფილოსოფოსობა დაეიწყეთ. დიდებულნი რამ არის ნიგნი, დიდებულნი.

**ლეო** - ამიტომაც არ გვათბობს ჩვენი მთავრობა, მთელი ხალხი რომ გაფილოსოფოსდეს, რა გინდა მაშინ ქნა, შენს მტერს!

**ნიკო** - ახალგაზრდობის იმედილა შემრჩა ამ ბებერ კაცს. ერთმანეთზე უკეთესები არიან, თავაზიანები, მორიდებულები. ამას წინათ ლიფტში შევედი და იქ არ დამხვდნენ? გამობრუნება დავაპირე, მაგრამ ვინ გამოგიშვა, შემობრძანდით და შემობრძანდითო, ლამის კალთები დამაგლიჯეს.

**ლეო** - კი, ზრდილობიანები არიან, მაგას ვერ წაართმევ.

**ნიკო** - მაგრამ რომ მითხრეს, დაბრძანდითო, მაშინ კი, რალა დაგიმალოთ და, ნაცხვი ნამდვილად.

**ლეო** - ხომ ვთქვი, არ გვესმის-მეთქი ახალგაზრდების! რა იყო წასახდენი შე კაცო, დაბრძანდითო, გითხრეს, ხომ არ გკლავდნენ. შენც უნდა დაბრძანდებულყოფავი და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი.

**ნიკო** - დაბრძანებით კი დავბრძანდი, მაგრამ ძალღის დაფსმული იყო, თორემ ისე, შენი თქმისა არ იყოს, ჩემო ლეო, არაფერი უჭირდა.

**ლეო** - კი, წყალივითაა.

**ნიკო** - მაგრამ წყალი არ მოდის ჩვენთან და ამიტომ შევწუხდი ცოტა.

**ლეო** - ჩემო ნიკო, ჩემგან არ გეს-

ნაელეობა, ეგ საერთო უბედურებაა და ამიტომ შეიძლება ბედნიერებადაც კი ჩაითვალოს. აბა დაუკვირდი, ჩემო კარგო, წყალი სხვასთან რომ მოდიოდეს და შენთან არა, აი, ის იქნებოდა თუ იქნებოდა უბედურება! კაცმა რომ გკითხოს, ფილოსოფოსი ვიყავიო, მთელი ცხოვრება ფილოსოფიურ ქვას ვეძებდიო, რად გინდოდა, შე კარგო ადამიანო, ის ქვა, თუკი ვერ გამოიყენებდი.

**ნიკო** - ახლა რომ მქონოდა, ხომ დავირტყამდი თავში!

**ლევ** - შენგან განსხვავებით, ჩემო ნიკო, შენი კოლეგა დიოგენი მთელი ცხოვრება ადამიანს ეძებდა. ის ქვა, ეტყობა, ნაპოვნი ჰქონდა.

**ნიკო** - ადამიანი რალად უნდოდა, ნეტავ?

**ლევ** - ალბათ, ის ქვა რომ ჩაერთყა, სხვა რაში დაჭირდებოდა ადამიანი?

**ნიკო** - ეჰ, სად იპოვიდა ადამიანს!..

**ლევ** - ჩემო ნიკო, ფილოსოფოსები ჰაერში დაფრინავთ, დაფარფატებთ, მინაზე უნდა ჩამობრძანდეთ ცოტა ხნით მაინც, ჩვენთან, უბრალო მოკვდავებთან.

**ნიკო** - მართალი ხარ, მართალი. დღეს დილით გადავწყვიტე, მორჩა, ვათავდა, აქაურობას უნდა დავეუბრუნდე-მეთქი, არავინ არაფერზე არ ფიქრობს, რალა მე დავიტანჯო თავი ამდენი ფიქრით-მეთქი. აუდექი და ზოპარკში წავედი.

**ლევ** - იქ ეძებდი ადამიანს, კაცო?

**ნიკო** - არა, უბრალოდ, ცხოვრებას რომ შეეჩვიო, მხეცებიდან უნდა დაიწყო და სწორედ იქ ჩემი თვალით ვუყურე, როგორ შეუგდეს ლომს გალიაში ბიჭებმა ამხანაგი. ექვსნი იყვნენ.

**ლევ** - ლომი, ლომი ერთი იყო?

**ნიკო** - ერთი იყო.

**ფატი** - გაიხაროს ნიგნის მომგონმა, არ გავთბი ცოტა! არა, ჩვენ შინ ნიგნით არ ვთბებით. გაზის აპარატ გვიდგას, ჩეხური. ნიგნები კი გვაჭებს, როგორ არა, მომარაგებული. რა იცი, როდის დაგვჭირდება. სულ ამას ჩაეჩინებდი ჩემს შვილს, ბიჭო, აილე ნიგნი ხელში, აილე ნიგნი-მეთქი. ვაგო გონია! ეგ კი არა, გვარს რომ ჰკითხავდნენ სადმე, ტელეფონს ეცემოდა, ფედიკო, გვარი გამახსენეო. მეც ვკარნახობდი ასო-ასო, რა მექნა.

**ნიკო** - აბა, შვილს უარს ხომ არ ეტყოდი!

**ფატი** - უჰ, უჰ, როგორ ტკაცუნობს! რა გაცინოთ ახლა...

**ლევ** - ხო?

**ელა** - ნახეთ, ხელეები როგორ გამინითლდა!

**ლევ** - ო, ნიგნის სითბოს სულ სხვა ძალა აქვს!

**ფატი** - მართალი ბრძანდებით, არა, ჩვენი გაზი ასე არ ათბობს. ერთ ოთახს კი ერევა, მაგრამ დანარჩენი ხუთი ოთახი გაყინულია. ხო, რას ვამბობდი?

**ლევ** - რა გავაცინოთ!

**ფატი** - ცოლი რომ შეერთო, დუბაიში გაეუშვით ახალგაზრდები სამოგზაუროდ...

**ლევ** - იყო არაბეთის როსტევან!

**ფატი** - დიახ, დიახ, იქ. ახლა დუბაიდან მირეკავს, გვარი გამახსენეო.

**ლევ** - როსტევანის?

**ფატი** - არა, თავისი. ვუკარნახე ასო-ასო. ჩაინერა. ასე ჩვენი გვარი არ გამოდისო, აქ მარჯვნიდან მარცხნივ წერენო. შენც მასე დაწერე, როგორც მანდ წერენ-მეთქი. არა, არ გამოდისო. პრინციპულია ძალიან, არაა სასაცილო?

**ლევ** - სასაცილოა და მეტი არა!

ეროვნული  
საბჭო

**ფატი** - იქიდან რომ დაბრუნდნენ, აი, მაშინ კი გვასახელა ჩვენმა ვაჟმა ნამდვილად. თქვენი ყურით უნდა მოგესმინათ, რა აქო და ადიდა ვექილმა პროცესზე. მე, სულელს, უნდა ჩამენერა, დიქტოფონი არა გვაქვს თუ მაგნიტოფონი! ნეტავი, გენახათ, როგორ ამაყად იჯდა ჩემი ბიჭი, როგორც ბუზუბუში თოკშემოვლებული ქანდაკება. აკი თქვა ვექილმა, შეხედეთ, შეხედეთ, ეგ მორფს როგორ გაიკეთებდა, აპოლონის ქანდაკებააო.

**ნიკო** - რა მიუსაჯეს, ქალბატონო ფატი, თქვენს ვაჟს, ანუ აპოლონის ქანდაკებას?

**ფატი** - რას ჰქვია მიუსაჯეს, უპატრონო კი არ იყო. მაშინვე გამოგვატანეს შინ, სხვათაშორის, იაფად. ვერ შევლიყვნენ ადვილად, გამოსასაშვებად არ ემტებოდათ, დედა ვარ და მესმის სასამართლოსი, ეტყობა, უფრთხილდებოდნენ ძალიან, ორი სალდათი ადგა თავზე. მაგრამ დედა არ ყავს საკადრისი, დავრჩი გაუნათლებელი, ახლა ამ წიგნებს რომ ვუყურებ, იმას ვფიქრობ, მეც მესწავლა თავის დროზე, რა მეჩქარებოდა, ჩვიდმეტი წლისა რომ ჩამოვეყიდე აპოლონს კისერზე მედალივით. ერთი უცხო ენა მაინც რომ მცოდნოდა, ჩემს მეუღლეს ამოვუდგებოდი მხარში, ჩამოვიტანდი თურქეთიდან საქონელს, ერთ ორ კაპიკს მეც ვიშოვიდი. უცხოურად ერთი სიტყვა ვიცი მხოლოდ: აინ დოლარ!

**ლეო** - ეგ არ არის ცოტა, ქალბატონო.

**ფატი** - ქართულად რას ნიშნავს ნეტაე?

**ლეო** - ორ ლარს და თხუთმეტ ფურსს, ქალბატონო.

**შეშლილი** - (გამოიჭრება წინ. პაუზითკურად) - ღარიბი ის კი არ არის,

ვისაც ცოტა აქვს, არამედ ის ვინაც ბევრი უნდა!

**ლეო** - ჭაბუკი მარატივით ღელავს ეს კაცი!

**ნიკო** - არ თქვა, მაგანაც გავვასწროო!

**ლეო** - რა იცი, რა იცი... (შეშლილს) დანყნარდი, ჭირიმე, რა დაგემართა დღეს, მაინც და მაინც სტუმართან უნდა მოგვჭრა თავი, მარტო შენა ხარ გიჟი? (ამათ) ჩემი შვილიშვილი კი პირიქით, სულ სწავლა და სწავლა, წიგნით თუ უწიგნოთ, სულ სარკის წინ ტრიალებს, თეატრალურ ინსტიტუტში შესასვლელად ემზადება. სახეზე ქალის წინდა აქვს ჩამოცმული და სულ „დეზდემონა, შენი დედა ვატირეო“ გაიძახის.

**ნიკო** - ეგ სიტყვები, მგონი, შექსპირს არ უნდა ეკუთვნოდეს.

**ლეო** - სიტყვა ვერ ვთქვი, შენი მოსანონი. ჩასაფრებულებით მყავხარ. ძმავო, მე წამომცდა ვითომ, ეს სიტყვები შექსპირს ეკუთვნისო? ღმერთო, მომკალი, უშექსპიროდ ვერ უნდა დაახრჩოს ბიჭმა გოგო? არ ვარგა ასეთი უნდობლობა ახალგაზრდებისადმი, არ ვარგა, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს.

**ფატი** - ცოლიც რომ შესაფერი შეხვდა, ოქრო გოგო, ოქრო!

**ლეო** - ვის, ქალბატონო ფატი, ვის შეხვდა ოქროს გოგო?

**ფატი** - ვისზე გიყვებოდით ახლა?

**ლეო** - აა, დუბაიდან ჩამოიყვანა ალბათ. ბევრი ოქროა იქ, ბევრი.

**ფატი** - დუბაიდან კი არა, მეზობლის გოგო შეირთო, ნამდვილად სანატრელი. ხელი რომ მოაწერეს და კართან თეფში დავუდე, არ გატეხა, სერვისს დააკლდებო.

**ელა** - უი, ეს ქალი ვინ არის, რას აკეთებს? მონოსაპექტაკლი?

ბებერი სტიუარდესა გვაჩვენებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მგზავრები თვითმფრინავის კატასტროფის შემთხვევაში. იცვამს ჟილეტს, გაბმულად უსტვენს.

**ლეო** - ეს სტიუარდესაა, ქალბატონო ელა, ახალგაზრდობაში თვითმფრინავზე დააგვიანდა და ის თვითმფრინავი... ხომ გესმით?

**ელა** - კატასტროფა?

**ლეო** - დიახ. მას მერე ასეა. რაც ჩვენთან მოიყვანეს, სულ უსტვენს და უსტვენს, ნაილო ტვინი. ვითომ ღამით ოკეანეში ჩავევარდით, ვითომ ერთმანეთს მოვუხმობთ, ვითომ ზვიგენებს ვაფრთხობთ სასტვენით.

**ნიკო** - ასე გვასწავლის ყოველდღე. არადა, ოკეანეში კი არა, აქ ვერ ვაგებინებთ ერთმანეთს ვერაფერს.

**ლეო** - ისე, ჩამოვარდნილი თვითმფრინავივით რომ ვართ, კი ვატყობთ ამას.

**შეშლილი** - (წინ გამოიჭრება. ალგზნებული, პათეთიკურად) - „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი!“

**ლეო** - კარგი რა, გეყოფა, ხომ გითხარი, დაანებე თავი ამ სისულელეებს მეთქი! რამდენჯერ უნდა გაგიმეორო. დროა უკვე, დაბერდი კაცი. ამ გოგების გადამკიდე, ზოგჯერ იქამდე მივდივარ, თავი მინდა მოვიკლა, მაგრამ არ ვიცი, როგორ, რა საშუალებით, თოკზე ხომ არ ჩამოვკონწიალები ამ ხნის კაცი! ქვეყნის სასაცილო ხომ არ გავხდები. არადა, ყოველდღე ახალი და ახალი უკეთესი ვარიანტი ჩნდება.

**ნიკო** - წინ მიდის ცხოვრება, წინ.

**ფატი** - ბუნებრივია, ბატონო ლეო, უკეთესს რომ ეძებთ. ჩემმა აპოლონმაც არ არ სცადა, ჯერ ჯიხური გახსნა, მერე საუნა, მერე... მოკლედ, სულ ახალსა და ახალს ეძებს.

**ლეო** - მირეკავენ, მირჩევენ, მთა-

ვაზობენ, უამრავი მოკვდე და მოკვადრე მყავს, აბა, ეს სიხვე, აბა, ესო. ვერაფერს გაიგებო. ისეთი სიკვდილირავთქვი, მითუმეტეს თავის მოკვლა, გემოს თუ ვერ ჩავატან. მეორედ მოკვდეები თუ რა!

**ნიკო** - ცოლის შერთვა გიცდია?

**ლეო** - ამ სიბერეში? შენ თუ გყავს ცოლი, ჩემო ნიკო? ჩემი მეორე ნახევარი კარგახანია მიწაში ნეეს.

**ნიკო** - აბა, შენზე ყოფილა ნათქვამი, რაც ზევითაა, იმდენი მიწაშიაო.

**ლეო** - კი ასეა, რა ვქნა, რას იხამ.

**ნიკო** - მეც მყავდა, როგორ არა. მოგიყვებოდით, მაგრამ ჩვენს სტუმარს ხომ არ დავლლით ნამეტანი?

**ელა** - არა, არა, მიყვარს რომანტიკა!

**ნიკო** - ერთხელ ძილის წინ თვალს ვიღებდი, შემატყვევთ, ალბათ, ერთი თვალი შუშისა რომ მაქვს, ცოლმა ლამბაქი მომიბრბინა, ამოვიღე თვალი და დავდე ლამბაქზე. ვხედავ, უჭირავს ის ლამბაქი და ფეხს არ იცვლის. რას უდგებხარ, ქალო, რას უცდი-მეთქი? მეორესო!

**ელა** - (ტაშს შემოჰკრავს) - ზი, რა საინტერესოა!

**ნიკო** - ამის ნიადაგზე გავიყარეთ. ეგვეც თქვენი რომანტიკა!

**ლეო** - ეგ ნამდვილად ნაკითხული უნდა მქონდეს სადღაც, მგონი, ფრანგული ამბავი უნდა იყოს. არ ვიცი, შეიძლება ვცდები.

**ნიკო** - ალბათ არ ცდები. ძალიან გავრცელებული რამ გახლავთ.

**ლეო** - ნახეთ, რა გაუტია ცეცხლმა, ნახეთ, რა დღეშია, როგორ ტკაცუნობს, არ ეცხონდი კაცი!

**ნიკო** - ეს ვისი ტომეულება?

**ლეო** - რა მნიშვნელობა აქვს. ცეცხლმა კითხვა არ იცის.

**დედაბერი** - ფატი, ფატი, სადაა ბიჭი?

**ფატი** - ჯანდაბაში!

**დედაბერი** - კაია, კაი.

**ფატი** - არ მაცლის დედაჩემი ლაპარაკს. იმას გიყვებოდით, ხელი რომ მოაწერეს...

**ლეო** - თეფში რომ არ გატყუებოდა რძალმა.

**ფატი** - დიახ, დიახ...

**ლეო** - სერვისს დააკლდებო.

**ფატი** - იმ დღეს სუფრაზე თქვა სწორედ ჩემმა ახალმა მოყვარემ, ჩემმა მძახალმა, ნეტავი, მშობლების საფლავი თავის დროზე სპილენძისა გამოკეთებინა, ახლა ხომ ავშენდებოდით.

**ლეო** - რა უმსგავსობაა, ეს როგორ იფიქრა, როგორ წამოცდა!

**ნიკო** - ხედავ, სადამდე მივდივით!

**ფატი** - აპოლონიც გაუწყრა: ბოშო, რაღა მშობლების საფლავს დაეტაკე, ვნატრა, მთელი ქვეყანა სპილენძად ან ჯართად გადამიქციე და საზღვრის ბიჭი გადამატანინო. ნატვრის შნოც არ მოუცია ჩვენთვის ღმერთს. მარტო სამშობლოს სადღეგრძელო და გულზე მუშტის ბაგუნი, მეტი არაფერი.

**ელა** - დიახ, დიახ, აქეთ რომ მაგზავნიდნენ, მითხრეს, ქართველების ნატვრის ასრულება ადვილიაო. თორემ სპეციალობით, გითხარით, უკვე, ბავშვების ფერია ვარ. ვერ შეგატყობენო.

**ლეო** - აკი მოგახსენეთ, დეიდა ელა, ჩვენც პატარა ქართველები ვართ-მეთქი!

**ნიკო** - სულ ცერებზე ვდგავართ!

**ლეო** - ასსა! ბალეტ გეორგია!

**ფატი** - ჩემს აპოლონსაც უყვარს ცეკვა, ჩამოუვლის ხოლმე თავისთვის.

**ელა** - ო, აპოლონი! ელადა! მინა-

ხავს აპოლონის ქანდაკება ლეონტიძის რივია!

**ფატი** - ის ჩემი შვილი იყო, ქალბატონო.

**ელა** - შვილი? როგორ თუ შვილი? აინ მომენტ!

**ფატი** - ხომ მოგიყვებით, ძლივს გამოგვატანეს შინ-მეთქი!

**ელა** - შიინ? პოლიცია სად იყო?

**ფატი** - კი, ორი პოლიციელი ადგათავზე.

**ნიკო** - თავისი ვაჟის სასამართლოზე მოგახსენებთ, ქალბატონო.

**ელა** - უკაცრავად, ეტყობა, რაღაც გამომჩნა. ჩემი ქართულის ბრაღია.

**ლეო** - ო, ელადა! მართლაც, რამდენი რამ არის ამ ქვეყნად დიდებული. მინდოდა ჩემს შვილიშვილსაც ყველაფერი სცოდნოდა, ზიარებოდა საკაცობრიო კულტურას, არ ჩამორჩენოდა ვინმეს. ცხრა რეპეტიტორთან დამყავდა...

**ნიკო** - ცხრა რა ამბავია, შე კაცო?

**ლეო** - ხომ ვთქვი, მსახიობობისთვის ემზადება-მეთქი! ცეკვის მასწავლებელიო, სიმღერის მასწავლებელიო, პლასტიკაო, დიქციაო, რა ვიცი, მაგათ თვალის ჩაპაჭუნებისთვისაც მასწავლებელი ჭირდებათ. გაეიყიდე, გამფცქვენეს კაცი. იმიტომაცა ვარ აქ.

**ნიკო** - განა არა, ვიფიქრე, რითი ირჩენდა ეს კაცი თავს-მეთქი.

**ლეო** - მე მეტყობა ვითომ, თავს რომ ვირჩენდი? გაყვიდე ყველაფერი, რაც მებადა: დედის საკერავი მანქანა, ცოლის ბეჭედი, მამის თოფი, მონადირე ძაღლი პეტერი...

**ნიკო** - (უსწორებს) - სეტერი!

**ლეო** - (თითქოს არ გაუგიაო, განავრძობს) - სინდის-ნამუსი, პატიოსნება, რად გინდა, ვის რაში ჭირდება ან ერთი, ან მეორე, ან მესამე. ისე ჩემი ძაღლი პოინტერი იყო, პასპორტით პე-

## ერქენული

ტერი ერქვა, სიყვარულით პეპის ვე-  
ძახდით, გულში ვიხუტებდით.

**ნიკო** - ასე გიყვარდა და გაყიდე?

**ლეო** - გადამრევს ეს კაცი ნამდვი-  
ლად! სინდის-ნამუსის გაყიდვა არ  
გაგკვირვებია და ძალღი რატომ შეიც-  
ხადე ასე?

**ნიკო** - მეგონა, ხუმრობდი.

**ლეო** - ნამეტანმა ბევრმა ხუმრო-  
ბამ გვიყო, ჩემო ნიკო, რაცა გვჭირს.  
იუმორის კუთხე გაზეთშია კარგი, თო-  
რემ ცხოვრებაში, შენს მტერს!

**ელა** - (საათზე იხედება) - უი, უი,  
ჩემი წასვლის დროც მოსულა. კარგი  
იყო თქვენთან. ბავშვებო, ბავშვებო,  
მოგროვდით, მოგროვდით. პუმანიტა-  
რული დახმარება! საჩუქრები! ერთ  
მწკრივად, ერთ მწკრივად, ნუ ჩქა-  
რობთ, ყველას გეყოფათ. ბატონო  
ლეო და ბატონო ნიკო, მანამდე აი ეს  
სიგარეტის კოლოფი გაიყავით, პირა-  
დად ჩემგან.

აწვედის სიგარეტის კოლოფს.

ჩანთიდან ამოაქვს და არიგებს  
პინგ-პონგის ბურთებს და საპლიაჟე  
ქუდეებს.

- რიგი დაიცავით, რიგი!

**ნიკო** - დეიდა ელა, დეიდა ელა, ეს  
ხომ ქუდია?

**ელა** - ყოჩაღ, ბიჭუნავ, როგორ  
იცანი?

**ნიკო** - ეს კი პინგ-პონგის ბურთი.

**ელა** - მიყვარს გონიერი ბავშვები.  
ახლავე ყველაფერს აგიხსნით: ბურთს  
იატაკზე ავდებთ, ბურთი მაღლა ხტე-  
ბა, თქვენ პაერში ქუდს ახვედრებთ და  
იჭერთ. ალე ჰოპ! აბა, ყველამ ერთად:  
ალე ჰოპ! ალე ჰოპ!

**ყველანი** - (თამაშობენ) - ალე  
ჰოპ! ალე ჰოპ!

**დედაბერი** - ფატი, ფატი, რაა ეს,  
კვერცხებს არიგებენ?

**ფატი** - კი, დედა, ჩვენ მკვებარე-  
ბის კვერცხებია.

**დედაბერი** - ლაყე არ იყოს, გოგო!  
**ფატი** - შეხედე, დედა, შეხედე, მეც  
მომინია. ალე ჰოპ! ალე ჰოპ!

**დედაბერი** - მერე მე არ მეკუთე-  
ნის მეგობრების კვერცხები?

**ყველანი** - (თამაშობენ) - ალე  
ჰოპ! ალე ჰოპ!

**დედაბერი** - ჩამოვა და ნახავთ მე-  
რე, გაჩვენებთ ალე ჰოპს!

**ფატი** - დედა, ვინ ჩამოვა, ვინ?  
ამოიგდე თავიდან!

**დედაბერი** - ალე ჰოპ!

**ელა** - უიმე, ეს ვინ არის?

## 3.

ძლივსძლივობით შემოდის დაბინ-  
ტული, ყავარჯნიანი ლომი

**ფატი** - მიშველეთ, მოჩვენებაა,  
მიშველეთ!

**ლეო** - ჰამლეტის მამის აჩრდილია,  
მგონი!

**ელა** - ვას ის დას?

**ნიკო** - ვას ის დას კი არა, ლომია,  
ეს დეიდა, ლომი!

**ელა** - ეს ლომია?

**ნიკო** - მე რომ მოგიყვეით, გახ-  
სოვთ: ამ დილასო, ზოოპარკშიო, ბი-  
ჭიო, ამხანაგებმა გალიაშიო, ეს ის  
არის.

**ფატი** - თითქოს მატარებელი და-  
ეჯახაო.

**ნიკო** - უარესი! ქართველი დამნ-  
ყები ხულიგანი შეუვარდა გალიაში.

**ელა** - ეს არის თქვენი სიურპრიზი?

**ლეო** - არა, ქალბატონო, ეს ჩვენ-  
თვისაც სიურპრიზია.

**ელა** - (ლომს მოეფერება) - მოდი,  
ჩემო პატარავ, მოდი ჩემთან. თამამად,  
თამამად. როგორ კანკალებს საცოდა-  
ვი. აი, შენ ძეხვი.

ჩანთიდან იღებს ძეხვს და ლომს აწვდის

ლომი - ავ, ავ.

ელა - (ძალიან გაკვირებული) - კარგი ერთი, რას მეუბნები?

ლეო - ყუფს, კაცო?

ნიკო - მოგვესმა ნამდვილად, ლომი როგორ დაიყუფებს!

ფატი - მეც გავიგონე, ავ, ავო.

ელა - (ლომს) - ჭამე, ჭამე, საბრალო, გერმანული ძეხვია. მოგიხდება. აბა, გააღე პირი! ვის ვეუბნები!

ლეო - ხომ ვთქვი, კენიაში მიღებულ ცოდნა აქ გამოგადგება-მეთქი!

ლომი - ავ, ავ.

ელა - შევიშლები ნამდვილად!

ლეო - რაო, რა დაიყუფა ამისთანა!

ელა - ხორცს არ გეახლებითო. წარმოგიდგენიათ! ვეგეტარიანელი ლომი!

ნიკო - ვეგეტარიანელი კი არა, ქართველი ლომია და გადაეჩვია ალბათ ჭამას.

ლეო - დეიდა ელა, თქვენ მაგის ყუფა გესმით?

ელა - სერბერნარობას რომ ვაპირებდი, მაშინ ვისწავლე.

ლომი - ავ, ავ.

ლეო - რაო?

ელა - აქეთ რომ მოვდიოდი, ერთმა ბანტიანმა გოშიამ ფეხი ასწია და გამწუნა თავიდან ფეხებამდეო. მას მერე ასე ვყუფო.

ლეო - გაძალღებულა სანყალი.

ნიკო - ეგ არაფერი. უთხარით ჩვენც მაგ დღეში ვართ-თქო.

ლეო - რაღაც საექვოვ დაჩაუმდა.

ელა - ჩაეძინა უცუბ. დაღლილია ეტყობა ძალიან. დავსვათ სადმე.

ლეო - აგერ ტახტზე დავსვათ, რა უჭირს!

ნიკო - ნადირთა მეფეა და მისი დედა.

ელა - (ლომი ტახტისკენ მიჰყავს) - რა მოგივიდა, ვაჟკაცი არა ხარ! ცირკის სპარტაკო, ზოოპარკის შვარცენეგერო, რამ წაგახდინა ასე, წამომყევი, წამომყევი, ტახტზე უნდა დაგაბრძანო. ნუ ჩქარობ, ნელა, ფრთხილად. ნელა-მეთქი!

ლომი ტახტზე ვერ ჯდება, ბოლოს, დიდი წვალებით, ზედ ჩაიკუნცებებს

ფატი - ვერ ჯდება, ხალხო!

ნიკო - აქვს ალბათ მიზეზი.

ლომი - ავ, ავ.

ლეო - რაო, რას ამბობს, რა მინდაო?

ელა - არაფერი, ვაიმეო.

ნიკო - გამოთქმით კი ყუფს.

ლეო - კი, საცაა ადამიანივით დაილაპარაკებს.

ფატი - მთლად ტიტველია ეგ უბედური.

ლეო - ქალბატონო ფატი, ლომის კელობაზე ამას საკმაოდ მოდურად აცვია.

შეშლილი - (წინ გამოიჭრება. ალგზნებული. პათეტიკურად) - „სამართალი ქალის კაბასავით მოდას მისდევეს!“

ლეო - დაგვაცალე-მეთქი, არ გესმის! გამომივარდა ახალი ლომი!

ლომს მიუბრუნდება

- ბატონო ლომო, ავ, ავ, ოპ, უკაცრავად, მეც ყუფა დავინყე, რა უნდა გკითხოთ, იმ ბიჭს, გალიაში რომ შემოგივარდათ, სახეზე ქალის წინდა ხომ არ პქონდა ჩამოცმული?

ლომი - ავ, ავ.

ელა - დეზის მეძახდაო, დეზდემონას.

ლომი - ავ.

ელა - (ცრემლს იწმენდს) - დეზიკუნაო.

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ლომი - ავ, ავ.

ელა - დედას მაგინებდაო.

ლომი - ავ, ავ.

ელა - აჰ, მაგას ვერ ვთარგმნი, მრცხვენია.

ლომი - ავ, ავ.

ელა - დეზდემონა, შენი დედაო და ასე შემდეგ.

ლეო - კი, ჩემი შვილიშვილი ყოფილა. ასე მეცადინეობს დღე და ღამე ბავშვი. ეტყობა, ზოოპარკშიც ვარჯიშობდა. დეზდემონას დახრჩობა ადვილი გგონიათ! აბა, სცადეთ და დაახრჩვეთ თქვენი ცოლი. ამიტომ იყო ოტელო გმირი, თორემ ისე რა ჭირდა საგმირო! ჩემი მამუკა სახეზე ქალის წინდას რომ ჩამოიცვამს და იყვირებს: დეზი, შენი დედა ვატირეო, ღვარღვარით ნამსკდება სიამაყის ცრემლი.

ლომი - ავ, ავ.

ელა - იქნებ მართლა დეზდემონა უნდა მერქვას, მაგრამ ამ ფაფარს რა ვუყო, რაო!

ნიკო - დეიდა ელა, მოახსენეთ თუ შეიძლება ჩვენი ტახტის მფლობელს, თქვენ დეზდემონა კი არა, ოტელო მოგიხდებათ სახელადთქო.

ელა ლომს ნიკოს ნათქვამს უთარგმნის

ლომი - ავ, ავ.

ელა - რას ბრძანებთო...

ნიკო - ასე თქვა?

ელა - მართალია, გაუნათლებელი ვარო, მაგრამ იმდენი კი მესმის, ოტელო საქართველოში მარტო ხორავას რომ ერქვაო.

ლეო - ეს ლომი კი არა, ციცირონი ყოფილა, ბატონო! იმდენს იზამს, ამხნის კაცს აფრიკაში გამიშვებს და დედამისთან ბოდის მომახდევინებს. (მღერის)

პილიკოკი, პილიკოკი,

პილიკოკი, პილიკოკი,

ტინტლი, ტინტლი, ტინტლი...

ნიკო - შეგჭამს, შე უბედურო!

ლეო - ძალე... იზამს, ასე შემჭამს. ესე იგი ცხოვრება ნორმალურად გრძელდება: წიგნი იწვის, ცეცხლი ათბობს, ლომი ადამიანს ჭამს, ანუ ყველა თავის საქმეს აკეთებს. როგორც ამ შემთხვევაში დეიდა ელა იტყოდა: „დერ არბაიტერ არბაიტეტ!“ დამერწმუნეთ, ყველასთვის უკეთესია, ლომმა შემჭამოს, ვიდრე მე შეეჭამო ლომი. ნეკროლოგში დანერგნ, ლომმა შეჭამაო, ცოტაა ეს?! ცოტა კი არა უკვდავებაა. ტელევიზორშიც გამოცხადდებენ, მეტი რა გინდათ, რა!

ნიკო - (ტაშს უკრავს) - დიდებულისა, დიდებული! ასეთ სიტყვებს ნარმოსთქვამდნენ მეფეები ეშაფოტზე, მაგრამ შენ (სიცილით) შენ... ჰა, ჰა, ჰა (თითს უშვერს. იცინის) აღარ შემიძლია, შე კუანა შენა.

ლეო - რა გაცინებს, ადამიანო, რა ნახე სასაცილო?

ნიკო - დილით ჯაყვასავით გხსნიან სანიტრები. ლომმა შემჭამაო! ნახეთ, რა მომინდომა, ვერ უყურებთ ამას! რომელი პარლამენტარი შენ ხარ, ტელევიზორში გამოგიყვანონ. ქვეყანა შეჭამეს და იმათ არ აჩვენებენ, ლომის შეჭმულს გამოგაბრძანებენ ტელევიზორში? არ დაიჯერო, ჩემო კარგო, არ დაიჯერო!

ლეო - ეჰ, რას იზამ, შურიანებით სავსეა ქვეყანა. ეგ ლომი ხომ არ მომკვდარა, დეიდა ელა, რალაც აღარ ყვეს მისებურად.

ელა - არა, არ მომკვდარა, ისევე ჩაქვინა, მგონი.

ნიკო - დეიდა ელა, თქვენ ის მითხარით, ამ სიგარეტის კოლოფზე აქლემი რომ ახატია ნამდვილია თუ არა?

ელა - უი, არ ვიცი, რა გიპასუხოთ.



ვერ გავიგე, რას მეკითხები, ჩემო ბიჭუნა.

**ნიკო** - ბიჭუნაო?!

**ლეო** - დიდი ამბავი, თუ ბიჭუნა არ ხარ, უთხარი, არ გაუკვირდება.

**ნიკო** - თუ ნამდვილი აქლემია, ორკუზიანი რატომ არ დაახატეს, რაშა საქმე!

**ლეო** - შეიძლება ადრე ორკუზიანი იყო, მაგრამ ჩვენს საბაჟოში ჩამოაჭრეს ერთი კუზი, ხომ შეიძლება ასე მომხდარიყო?

**ნიკო** - დაგვაცადე საუბარი, ყმანვოლო, შენ მე მართლა აქლემი ხომ არ გგონივარ?

**ლეო** - რა იცი, აქლემი რომ არა ხარ?

**ნიკო** - როგორ თუ რა ვიცი, რას ჰქვია, რა ვიცი, რა ლაპარაკია ეს?!

**ლეო** - შენ გგონია, კოლოფზე რომ ახატია, იმან იცის, აქლემი რომაა?

**ნიკო** - რასაკვირველია, არა.

**ლეო** - მაგრამ სინამდვილეში აქლემი რომ არ ყოფილიყო, კოლოფზე ხომ არ დაახატავდნენ!

**დედაბერი** - ფატი, ფატი, რა ხდება, რას თამაშობთ უჩემოდ?

**ფატი** - (ამათ თვალს ჩაუკრავს) - აქლემების ქარავანი ჩამოვიდა არაბეთიდან და იმას ვუყურებთ. ერთი ორკუზიანია, მეორე - ერთკუზიანი.

**დედაბერი** - მეც დამანახეთ, მეც დამანახეთ!

**ლეო** - არ თქვას ახლა, ზედ შემსვითო, არ დავიღუპოთ.

**ფატი** - ნაეიდნენ, დედიკო, უკვე ნაეიდნენ.

**დედაბერი** - ჩვენი რძლის ახალმა სპონსორმა ჩამოიყვანა ალბათ. კვაჭია, კვაჭი.

**ფატი** - კვაჭი კი არა, სერიოზული ბიზნესმენია.

**დედაბერი** - ფატი, ფატი რას შვრება ჩვენი რძალი, კიდევ ბოზობს?

**ფატი** - (გაანჩხლებული) - რა ქნას, აბა, არ იბოზოს? მთელი ქვეყანა ბოზობს და მაგ დარჩეს თითოთ საჩვენებელი, მაგან გამოგვაჭენოს ხალხში? გვიბრძანე ერთი, როგორ მოიქცეს.

რანაირი ლაპარაკი იცი, დედაჩემო, რა ამბავი ატეხე, რძალიო, სპონსორიო! შენ კი არა, ჩვენც ვერ ვეჩვენით ახალ ცხოვრებას. ისე კაცმა რომ თქვას, რა გვაქვს დასამალი. მოვიდა და ზრდილობიანად გვითხრა, ჩემს რძალზე მოგახსენებთ, ვთხოვდებო.

ვიკივლე, გოგო, შენ ხომ გათხოვილი ხარ-მეთქი! ვისზე ვარ გათხოვილი? მკითხა ნყნარად, ზრდილობიანად. ოჯახშია გაზრდილი, ქუჩიდან კი არ მოგვიყვანია!

შენი ქმრის სახელი აღარ გახსოვს-მეთქი? მარტო ნინა ასო მახსოვსო. მაგისთვისაც მადლობთ-მეთქი. ცოტა ხნის მერე ვილაც დინჯი, სერიოზული კაცი შემოიყვანა, გაიცანით, თქვენი შვილიშვილების სპონსორიაო.

დაეტრიალდი ჩემებურად, აპოლონმა გარაჟიდან ღვინო ამოიტანა, გავშალეთ სუფრა, ვეცით პატივი, რაც შეგვეძლო. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი.

**ნიკო** - ლეო, ძმაო, მოიხედე აქეთ.

**ლეო** - რა გინდა, ნიკო, ა, ბატონო, მოვიხედე.

**ნიკო** - მართალი ხარ, ძმაო, აქლემი რომ არ ვიყო, ამ ცხოვრებას გაეუძლებდი?

**ლეო** - მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა კი დეიდა ელას მოვუხადოთ ბოდიში, ამდენ ხანს რომ გავაჩერეთ, მეჩქარებაო, ჩვენ კი ველარ ველევით, არ ვუშვებთ.

**ელა** - დიახ, დიახ. თვითფრინავზე მაგვიანდება. ის ფლიგივ მიტ ფლიუკ-ცოიკ.

**ლეო** - ხუთი ნუთიც უნდა გვარუ-

ეროვნული

ქოთ. ჩვენც გვინდა, რაიმეთი გადავიხადოთ ამდენი სიკეთე. ბევრი ვიფიქრეთ, რა მოგვერთმია თქვენთვის, ვერაფერი გავიხსენეთ თქვენი საკადრისი და ბოლოს აი, ამ გვირგვინზე შევჩერდით. გადავწყვიტეთ, რასაკვირველია, თუ გაიბედება, სწორედ ეს გვირგვინი მოგართვით ჩვენი უსაზღვრო მადლიერების ნიშნად. იმედია, ჩვენს საჩუქარს ისეთივე წრფელი სიხარულით მიიღებთ, როგორითაც ჩვენ გიძღვნივით მას.

მაგიდიდან მოწინებით იღებს გვირგვინს

ელა - ოოო!

ლეო - მცირე საჩუქარი კია, მაგრამ...

ნიკო - ნამდვილად კეთილი გულითაა მოძღვნილი.

ელა - ო, ეს ძალიან, ძალიან დიდი... დანკე. მღელვარებისგან ქართული ისევ დამავიწყდა. (ბლოკნოტში იხედება) ასეთი ძვირფასი საჩუქარი დიდი პატივია ჩემთვის. მართლაც კარგი სიურპრიზია.

ლეო - ჩვენ სტუმარი ძალიან გვიყვარს.

ნიკო - სტუმარს განსაკუთრებულ პატივს ვცემთ.

ლეო - ჩვენ ყველაზე სტუმართმოყვარე ხალხი ვართ მსოფლიოში.

ნიკო - ჩვენში ერთ სულ მოსახლეზე ათი სტუმარი მოდის.

ელა - ოჰო, მერე სად ატევთ ამდენ სტუმარს?

ლეო - თავზე ვისვამთ, ქალბატონო.

ელა - (იხურავს გვირგვინს) - მიხდება?

ფატი - ეგ ყველას უხდება.

ელა - დიდი მადლობა. ნამდვილია?

ლეო - რასაკვირველია, ნამდვილია და, ჯერჯერობით, ერთადერთი.

მაგის გადიდებაც შეიძლება დასაჯატარავებაც. სურვილის მიხედვით. ბალიშადაც გამოდგება და სათბურადაც.

ელა - რას ნიშნავს „ჯერჯერობით“?

ლეო - ამ სახლში პატარა ცეხი გავხსენით. თუ ენერგოკრიზისმა ხელი არ შეგვიშალა, გვინდა ისეთი რამ დავაშადოთ, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა არამარტო ჩვენში, ყველგან. თქვენ პირველი ხართ, ვინც ამ გვირგვინის მფლობელი გახდა. ჩვენი დევიზია: „არც ერთი ემიგრანტი უგვირგვინო!“

თაყვანს სცემს

- ჩემო ხელმწიფე!

ელა - (ხელს შემართავს) - გაუმარჯოს დემოკრატია!

ნიკო - ამას სცოდნია მეფობა!

ელა - (გვირგვინს ჩანთაში დებს) - აბა, წავედი. აუფიდერზიენ. დანკე შიონ.

#### 4.

შემოავორებენ თვითმფრინავის ტრაპს

ელა ტრაპზე ადის

ბაქანზე მოტრიალდება და გამცილებლებს ხელს დაუქნევს

ელა - ვერ? ვინ? ვას? რა? ვო? სად? ვან? როდის? ვარუმ? რატომ? ვიხან? საით? ვოხერ? საიდან? ოვ ვოპნენ ვი? სად ცხოვრობთ? ვი ვიუნშენ ბიტტი? რა გინდათ? ვას მახენ ზი? რას აკეთებთ?

ისტერიულად

- ვას მახენ ზი? ვას მახენ ზი? ვას მახენ ზი?..

ტრაპი ნელა აიწევა და გაფრინდება

რჩება გამცილებელელთა გამშვებული ჯგუფი

**პ ა უ ზ ა**

ყრუდ და მრისხანედ მოისმის შორეული ნაბიჯების ხმა, რომელიც თანდათანობით ახლოვდება, იზრდება.

ნაბიჯების ხმას უამრავი სხვა ხმა შეერევა – ეს არის კომუნისტური ეპოქის გრანდიოზული აღლუმების ხმაური: ერთმანეთში არეული მუსიკა, მოწოდებები, ვაჟა...

უცრად დედაბერი ძონძებს მოიმორებს და ინვალიდის სავარძლიდან წამოფრინდება ლამაზი გოგო – ოცდაათიანი წლების აღლუმების მონაწილე სპორტსმენი!

ავანსცენისკენ სპორტული ნაბიჯით წამოვა, თითქოს ვილაცის შესახვედრად. ხელი მისალმების ნიშნად შეუმართავს. მთელი სახით იღიმება. ბედნიერია.

მძიმე ნაბიჯების ხმა სულაბლად და ახლოს ისმის.

გოგოს აქეთ-იქიდან ამოუდგებიან შეშლილი და ბებერი სტიუარდესა, სტიუარდესა სასტვენით მოუხმობს თითქოს ვილაცას.

**შეშლილი** – (თავში ხელს იცემს, ტირილით) – „მაინც ბრუნავს! მაინც ბრუნავს! მაინც ბრუნავს!

ნაბიჯების ხმა ახლოვდება.

აწრიალებული და შეშინებული ლომი, ეტყობა, საშინელ საფრთხეს გრძნობს, ტახტზე წამომართული, ორივე ყავარჯნით თითქოს ვილაც უხილავს იგერიებს. გაქცევა უნდა, ვერ კი მიიღობს.

**ლომი** – ბლავის (თავზარდაცემული) – მიშველეთ!



თამარ დაუშვილი

### საქართველო

და გათვალული  
ხვედრით ციურით –  
ნევეს ანგელოზი  
ჩვენი მძინარი,  
უძირო დარდით  
მარადიულით –  
ცრემლის ორი ზღვით  
გაუმდინარით...

●  
გადაბმული ვარ სულით რითმასთან,  
როგორც არმაზი და ბაგინეთი –  
როგორც ალვები ცასთან, მინასთან...  
ლეთისმსახურებას მავალეებს ღმერთი...

აღბათ ერთია სიტყვაც და ხატიც,  
მზეც, ვარსკვლავებიც – შუქის მთოველი,  
ვითარც ლოცვა და სულის ფარფატი –  
მთანშინდა, ჯვარი, სვეტიცხოველი...

## უმარტივესი ერთფეროვნება

გადაასწორა ზამთრის მოსვლამ  
 ხევი თუ ველი,  
 ხმა აიმაღლეს ფრაკიანმა  
 ლურჯმა ყორნებმა,  
 მომიჭრა მზერა  
 უნმინდესი თოვლის პირველის  
 უმარტივესმა ერთფეროვნებამ...

•

შენს გულისგულზე  
 ზანზარებენ ოკეანენი,  
 ზღვები,  
 მთები,  
 ციმციმებს რინა!

– სიყვარულისთვის,  
 ოცნებებისთვის,  
 იმედებისთვის,  
 ნუგეშინისთვის  
 რა პატარა ხარ  
 დ ე დ ა მ ი ნ ა ვ !



მარინა ელბაძიძე

## მოთხრობები

### ბაცვლა

- ამის დედა... - ნიხლიც მიაყოლა. ლოყაზე დაცურებული ოფლის ნვეთები ხელის ზურგით აინმინდა და კაპოტი ბრაზით დაახეთქა. მზუთით გაზინთული ხელისგულები საჯდომზე ჩამოისვა, - დღეს არაფერი აღარ ეშველება, საერთოდ თუ ეშველა. - გოგის თვალებს მზერა ააწყვიტა და დანგრეულ ვილისს დაადულა.

- იქნებ...

- უკვე ბნელდება, აზრი აღარა აქვს, დღეს მაინც ვერ წავალთ. სიბნელეში ან ესენი გაგვაგორებენ, ან ისინი. - გადაწყვეტილებას იღებს პაატა. გოგის იმედიანი „იქნებ“-ის საპასუხოდ პაატას დასკვნა ერგო - ხვალ!

სულ ის იღებს გადაწყვეტილებას. სერგო მხოლოდ მძლოლია. ის კი... რა ქვია? მოკლედ, მთავარია. და რაც მთავარია, რა ედარდება?! მის ნეინტლიან, ფაფანაჭამ შვილებს ახლა ტკბილად სძინავთ, ქვეშ ჩასველებასაც მოასწრებდნენ. გოგის ბიჭი კი... ოღონდ ახლა იპოვოს, ოღონდ ახლა... და მერე!.. რას იზამს მერე? ბიჭის სიგრძე სანთელს დაუნთებს ღმერთს თუ დარაჯად ივლის მის ფეხდაფეხ... არ იცის, ჯერ არ იცის, ამაზე არ უფიქრია, მაგრამ ოღონდ ახლა აპოვნინა, ოღონდ ცოცხალი... ამ ფიქრს გაექცა, მიემალა სიტყვა სიკვდილს.

ზღვაზე ჩავიდეთ, ვიბანაოთ, მერე ექიმებთან ავიდეთ, რამეს გვაჭმევენ

და ცოტა ადამიანურად დავიძინებთო. ისევ ის წყვეტს, ისევ ის უგეგმავს ცხოვრებას. მისი შვილის ბედიც ამნაბიჭვრის ხელშია. მაგის დედაც! მაინც მიყვება სანაპიროზე, მხარდამხარ არა, რამდენიმე ნაბიჯით უკან. ესმის, წინ მიმავალი პაატა ხვალ ექვს საათზე ადგომას გეგმავს; მანქანას დღესვე იშოვის, უარს არ ეტყვიან. ნამდვილად იშოვის, მაგრამ ამ ღამეს რა გაათენებს. ორი ღამეა არ უძინია. რა დააძინებს, ცოტას ჩათვლემს და მერე ელოდება განთიადს, ფიქრებს მინდობილი. მზეს გახედა, ჩადის, ნამდვილად ჩადის, ეს ნაბიჭვარი!.. ჰორიზონტს შეეხო. და ახლა ზღვა, ჩამავალი ნითელი მზით, მაძლარი ნითელით, და მკვეთრი კონტურებით, იაფფასიან ნახატს ჰგავს.

უკან მიჰყვება, მათ მხარდამხარ სიარული არ უნდა, მაგრამ სამ ნაბიჯზე მეტად არ შორდება, თითქოს უზილავ მოკლე ჯაჭვზე დაბმული ძაღლია. ის და მისი ბიჭი ახლა პაატაზე არიან მიბმული, იმ ადამიანზე, სამი დღის წინ რომ ნახა პირველად და მისი ცხოვრების ნაწილად იქცა, მისი ბედის განმსაზღვრელად. სამი დღეა არ მოშორები, სამი უსასრულო დღე და როცა ყველაფერი თითქოს გასრულდა, ახლა ისევ! კიდევ! კიდევ ერთი ღამე! რა გაათენებს...

ქვიშაში ჩაჯდა, თბილია, ჯერ არ

განვლებია მზის სითბო. შიშველი ფეხები სილაში ჩაფლა. პაატა იხდის, წყალში ჩადიო, მხარზე ხელი დააკრა. მისი თანაგრძნობა და მზრუნველობა ფეხებზე ჰკიდია... და მინც გული უწყდება. რა მოუვიდა ამ სამ დღეში, ხან ქვაფეხება, ხან უბრალო შემოხედებაზე, შეხებაზე შეიძლება ატირდეს. „მაგდანას ლურჯა“ ან „ბემბი“ რომ აჩვენონ, ცხარე ცრემლებით იქვითინებს. ახლაც სისველე იგრძნო ცხვირში.

- თქვენ იბანავეთ, მე ექიმებთან წაყალ. - ამბობს და არ დგება. ექიმებთან წაყა, იქ არჩილია მთავარი, მამამისის მეგობარი. არჩილს დაელაპარაკება, მარტო პაატას კი არ შეუძლია მანქანის შოვნა. მაგრამ იქ წასვლაც აღარ უნდა. არჩილი, ვიკინგივით აღმართული, ნვერებიანი გოლიათი, დღეს ზღარბივით მობუზული იჯდა. მისი ახალგაზრდა ქირურგებიდან ერთს ჭურვის ნატეხი მოხედა თავში და იქვე გააფრთხობინა სული. დილით საოპერაციოში ესვენათ. და რა ვუთხრა ამის მშობლებსო, ზღარბივით მობუზული, გოგის ეკითხებოდა. გოგის? მაშინ პირველად შეეშინდა თავის თავთან დაუფარავად, ღიად - ცოცხალია? პაატამ თქვა, ცოცხალიაო და სჯერა, არ მოიტყუება, ყალბი გამხნელება არ იცის, სასტიკი და დაუნდობელია.

სასტიკი? ეს მშვიდობის მტრედი? რა უნდა, რას აკეთებს აქ? ფულს არ იღებს, ისე, უანგაროდ შეყო თავი ამ ჯოჯოხეთში. უანგაროდ? ფულს არ იღებს - კარიერას იკეთებს! რა კარიერას, ვინ იცის - რა იქნება ზვალ, ან ღლეს, როდის მიაფურთხებენ მაგის მშვიდობის თეთრ ჩვარს და პირველ გასროლას, საკონტროლოსაც მიაყოლებენ. რა ჯანდაბა უნდა, წავიდეს სახლში, მოუყვეს სამ წვინტილიან შეილს ზღაპარი, ჩაუგორდეს ცოლს

ლოგინში და კიდევ ერთი ბავშვობა კეთოს, ჯანმრთელი და ჯიშინი. რას აგდია ამ ტყე-ღრეში? გახედა - საშუალო სიმაღლის, დაკუნთული, ქონი ჯერ არ დასდებია. დაედება, თბილისში რომ დაბრუნდება, ტყე-ღრეში არა, სადმე კაბინეტში. ესეც მოჯდება კეთილდღეობის თბილისურ საზომში, თბილისურ სტანდარტში - ლიპი, მანქანა, ცოლი და საყვარელი. ეს მერე იქნება, ან არ იქნება, თუ მართლა იდეინი მასტია.

პაატაზე ათიოდე წლით უფროსია და ლამის ბავშვივით არის მის სიმშვიდეს შეფარებული. რა მნიშვნელობა აქვს ათ წელს ან ოცს... აქ, ამ საგიჟეთში, თორემ... თბილისში რომ შეხვედროდა!..

ქვიშაზე დანვა, ესია მოვნა თბილ-აგრილებულ სილაზე ბეჭების გაშლა. თავისთვის აგდია. მზის დარღვეულ დისკოს გახედა, უკვე ფერებად დაღვრილს, ზღვაში ნახევრად ჩაყვინთულს. ტირილი მოუნდა და არც ეტირება, ყვირილი მოუნდა, ღრიალი და ვერც ეყვირება. რა გაათენებს ამ ღამეს, როდის ამოვა მზე, დღეებად, საათებად, წუთებად, წლებად რომ ანანილებს მის სიცოცხლეს? ცოტა ხანს ეგდება, მერე ავა, მანქანას იშოვის და თვითონ წაყა. ვინ არის ეს ნაბიჭვარი პაატა, მაგის დედაც... შაისე! ერთი საათის გზაც არ არის, ფეხით წაყა. ამათ რა ედარდებათ. რატომ გადადო პაატამ ხვალისთვის, რატომ დღეს არ მიდიან, ზომ იცის, რომ ვილაც ბიჭი გადმოვიდა?.. აბა, მისი შვილი იყოს! მაგრამ, მისი შვილები პამპერსებით დარბიან და ჯერ ომობანას თამაშიც კი არ იციან.

აცოფებს პაატას მშვიდი - დილით გავალთ და გავიგებთ! ლამის გაუქანოს. არადა, ზომ უნდა იყოს ვილაცა ამ საგიჟეთში მშვიდად, გარეგნულად მა-



ინც განონანსორებული, თუნდაც ცინიკურად.

ზღვას გახედა, უფრო პაატას, სად ჯანდაბაში გაცურა, ახლა რომ დაბომბონ... პაატაზე ზრუნავს თუ თავის თავზე? პაატას სიცოცხლეზეა ახლა მისი შვილის სიცოცხლეც მიბმული.

პაატა ღონივრად უსვამს ხელებს, მიცურავს, მიცურავს... ასევე ღონივრად, რალაცნაირად ძლიერი ნაბიჯებით მიუყვებოდა გუშინ, რომელიღაც სოფლის შარაგზას, მხარზე ბოსტნიდან ამოძრობილი სარი ჰქონდა გადაებული, ზედ თეთრი ნაჭრის ნაკუნის, აბრეშუმის თეთრი პერანგის ნაგლეჯი, თუ რაღაც ამდაგვარი... მშვიდობის თეთრი დროშა! ცარიელ შარაგზას მიუყვებოდნენ, უცხოვ ცარიელს...

- შეიძლება, გვესროლონ? - იკითხა გოგამ, ვითომ მშვიდად, ვითომ სხვათაშორის.

- ნესით არ უნდა გვესროლონ, გაფრთხილებული არიან. ისე ყველაფერი შეიძლება. გაიხედე მარჯვნივ, ზევით, მაღალ ხეებში სნაიპერი ზის.

გოგის კისერი გაუშეშდა, თავის მიტრიალებს კი არა, თვალების დახამხამების უნარიც დაკარგა. ფეხებიც თავისით მიდიოდნენ, თითქოს მისი არ იყო, ერთი-ორი, ერთი-ორ... ჯობია ბალებით ნავიდეოთ, გაიფიქრა. უნდოდა პაატას მეორე მხრიდან ამოსდგომოდა, სნაიპერის მზერას პაატას დაკუნთულ მხრებს უკან მიმალვოდა. იმ წუთას იმდენი ჭკუა მაინც ეყო, მიმხვდარიყო - ეს არ უშველიდა, თანაც პაატაზე ერთი თავით მაღალია. ახლა უხარია, მთლად რომ არ ნახდა, არ ჩანსვარა და პაატას მხარდამხარ გააგრძელა ნაბიჯის თვლა - ერთი, ორი, ერთი...

ის კი მაინც დასცდა, ბალებით ნავიდეოთ. მაშინ კი გარანტირებულია კოლოფის გახვრეტა. რა კოლოფის,

ვერ ხვდება კისერს? შეუძლებელია კოლოფის კოლოფის, გაეცინა პაატას. გაცინებაც რომ შეუძლია? იარაღსაც არ ატარებს, მშვიდობის მტრედი, ამ თეთრი ჩურის იმედი აქვს? მე საომრად არა ვარ აქ, დაუზუსტა პაატამ, შენ მითუმეტეს და იარაღი არ გიშველისო. იარაღი არ სჭირდება, ჰო, პაატა არ ომობს, გაცვლაზე მუშაობს. ცვლის ცოცხლებს და მიცვალებულებს ცოცხლებზე და მიცვალებულებზე. ბარტერული გაცვლა! ხან ვაჭრობენ, ანგარიშობენ, ატოლებენ, რამდენი მიცვალებული რამდენ მიცვალებულს ან ცოცხალს უდრის, ხან არა. დღეს ორი აფხაზი (ცოცხალი) უნდა გადაეცვალათ მის ბიჭში, კიდევ ორ ცოცხალში და კიდევ გადმოესვენებინათ თერთმეტი დალუპებული. მიცვალებულები გადმოასვენებს, მისი შვილი კი, და კიდევ ის ორი, სადღაც გაქრნენ. როგორ თხრიდა დღეს საფლავს? პანაშვიდებზე მიცვალებულს ამხელა კაცი დღესაც თვალს არიდებს და საფლავი გათხარა. როგორ თხრიდა? თავდავიწყებით! ჰო თავდავიწყებით, ლამის ბედნიერი, რომ მისი შვილის სამშო სამარხი არ იყო ეს აბორცვილი მინა. სულ სამინი იყვნენ, პაატა და გოგი თხრიდნენ, დამარხულებიდან ერთერთის მამა იქვე იჯდა, უფრო იდო მინაზე და გოგის ეშინოდა ისიც იქვე არ შემატებოდა ცხედრებს. არ უნდა ნამოყვანათ, თვითონ ნამოვიდა. საკუთარი შვილის გახრწნილი, აქოთებული გვამის ამოღებას ვერ გაუძლებს. რატომღაც მგონია, დანარჩენები, მამები, მშობლები, თეთრ ელვაშესაკრავიან ტომარაში შეფუთულ ნეშტს უფრო მოინელებენ, ვიდრე ეს - საფლავის გათხრას. პაატას ასეთი უკვე რამდენიმე აქვს გათხრილი. რა ათხრევენებს, რა აძინებს ღამე? თან როგორ ღრმად სძინავს, როგორ მშვიდად

ფშინავს, სიზმრებსაც კი არ ხედავს, კომარებზე არც არის ლაპარაკი.

ჰო, თავდავინყებით თხრიდა, შესვენებლად, პირველად მაშინ შეჩერდა ბუზების ზუზუნმა მკვეთრად რომ იმატა და სუნმა, უცნაურმა სუნმა... ისევ სიტყვის შეეშინდა – ლეში, გვაში. შეჩერდა, იცოდა, ახლა ბარი რალაცას ნამოედებოდა... მიწა რბილი იყო, რბილი და ფხვიერი. მუცელში ჩასწყდა რალაც, შერცხვა იქვე მიგდებული მამის, იმათი, მიწაში რომ იყვნენ ერთმანეთზე მიწყობილი და ბარით უნდა ამოეღო.

ახლა აქ, სანაპიროზე, აღარც პაატასი ერიდება და აღარც საკუთარი თავის. ლაჩრობაა, ამ საგოგეთში დაფრთხე, ატირდე და საკუთარი თავი და აღამიანები გძულდეს? მოიკუნტა, ტირილი უნდა და არც ეტირება. სხეული დაუმძიმდა, შიგნით რალაც ჩაელვარა, ჩაკვირა მძიმედ სულში, თავში...

სამი დღის წინ რა პქონდა ამ თავში? ერთი კვირის წინ, სცენაზე რომ იდგა და ტკბებოდა ტაშით, საკუთარი ღიღებით და იმ ორი ცარიელი სკამით? რატომ ჰგონია, რომ ის იჯდა იმ სკამზე? გულით გრძნობს, სხეულით. ისევ იმას, იმ ქალს მიაწყდა ფიქრი.

ცხადად ხედავს, ელი ზის მის გვერდით ქვიშაზე. თავი კალთაში ჩაუდო და გაირინდა. ეს დღეები გამუდმებით მასზე ფიქრობს. მთელი ცხოვრება ფიქრობს, მაგრამ რალაც სხვადასხვაგვარად, წვევტილად, ახლა კი აღარ სცილდება ეს სურვილი – შეეხოს, მისი ხელების სითბო იგრძნოს.

ეს ბოლო ხანები სულ ელიზე ფიქრობს, ნამდვილად ჰალუცინაციები აქვს, ხან ხმა ესმის, ხან ეჩვენება, რომ თვალი მოჰკრა. აქ, ამ საგოგეთშიც, წარსულის ქექვას თავს არ ანებებს. თუ არ ფიქრობს, როგორღაც გრძნობს, თითქოს სადღაც იქვეა. რა მოუნელე-

ბელი დანაკარგია ასეთი ელენე, რატომ არ ანებებს თავს ეს ფიქრები?

ელიზე ფიქრში სხვა ფიქრს ემალება – ბიჭზე. კარგი, ბიჭზე იფიქრებს, ოღონდ მის ბავშვობაზე. წკაპ! და დროის მანქანის – მეხსიერების – პულტი თექვსმეტოდე წლით უკან გადართო. აქ კადრები ყველაზე მკაფიოა, აქ ბედნიერიც კი იყო.

თითქოს დიდ ეკრანზე უყურებს საკუთარ თავს. სძინავს, რალაც თბილი, ნებოვანი შეხება აღვიძებს. მკერდზე რვა თვის ტიტლიკანა შვილი აწევს. ბავშვი ხელებით ეყრდნობა მის მკერდს, მერე ხელებს სახეზე უტყაპუნებს, თავს ვერ იკავებს და დადობილი ტუჩებით მამის კისერში ემხოება. რბილ ადგილს ეძებს, ტუჩებში იქცევს, როგორც ძუძუს, რომ გამოწოვოს. ჯერ არ უჭამია, ხვდება გოგი და ამ უცნაურ ლიტინს ითმენს. ეს ყველაზე გულისამაჩუყებელი კადრია მისი მოგონებების კინოთეკაში. ქეთი საწოლზე მუხლებითაა წამომჯდარი და იცინის. ჰო, მაშინ ბედნიერი იყო, ქეთიც კი უყვარდა, ისე ბუნებრივად და გულწრფელად იყო განაზებული. კარგი დედაა, ვერაფერს დააყვედრის. სხვას ათას რამეს, მაგრამ ამას ვერა. ცდილობდა ბავშვის თვალისთვის მოერიდებინა კინკლაობა და ჩხუბი. მერე, სულ რომ აურიეს, ბიჭის დასანახად მაინც ჭირიმე-გენაცვალებით ელაპარაკებოდა გოგის. მაგრამ ბიჭი ჭკვიანი და ფიქრიანი გაიზარდა, თვითონაც დაილაღნენ გაღიმებული ნიღბების მიღმა მოთუბთუხე ბოღმის მალევით. ნეტავ, რას ფიქრობდა ბიჭი? ვითომ მეგობრობდნენ, მაგრამ ამაზე არასოდეს ულაპარაკიათ. ისევ თავის ეკრანს მიუბრუნდა, ფილმი იგივე კადრიდან გააგრძელა. ბავშვმა თავი ასწია, თვალეში ჩახედა და გაირინდა. გოგის ჰგონია, შვილის ყურადღება

## ეროვნული

მისმა სახემ მიიპყრო და უცებ იგრძნო თბილი სითხე როგორ გადანანილდა მის მკერდზე. დამაფსი? ლამის ისევ გაიმეოროს მაშინდელივით, სუნსაც კი გრძნობს ახლა, ჩვილის ფისების სურნელს. ეს სხვა რამესაც იზამს, იცინის ქეთი და ხელში აჰყავს ბავშვი.

ისევ – ნაკაპი და ერთი კვირის წინანდელ დროში დაბრუნდა. კარგი რამეა მხსნიერება, შენია, რაც იყო გუშინ, შარშან, დიდი ხნის წინათ. რა არის ამაში კარგი, რომ შენია, რომ ვერ იშორებ, ვერ ივიწყებ, ვერ შლი წარსულს მხსნიერების ფირიდან? ერთი კვირის წინ სცენაზე იდგა, ალიარებით და დიდებით მთერალი. მთლად არ გადარეულა, მაგრამ ტამის ქუხილში გული აჩქარებით უცემდა, სიამოვნებდა რიტმული შრიალა-მქუხარე ხმა და იმ წუთს სჯეროდა, რომ დიდი მსახიობია, მსოფლიოში საუკეთესო ჰამლეტი. აჰა, მოვიდა დიდება! მანამდეც კი იყო პოპულარული, ასე, თბილისურ ფარგლებში, მაგრამ უფრო სიფათის გამო. რა გააკეთა მნიშვნელოვანი, შემჩნევის ღირსი? მთელი ცხოვრება დადებით გმირებს თამაშობდა, წითლებს ან სოციალისტებს, იდეისტების შენირულ კეთილშობილ ინტელიგენტებს. სახეც ეგეთი აქვს – დადებითი. ისე, საკუთარი სიფათით და სხვა დანარჩენი ნაწილებითაც კმაყოფილია, სარკეში საკუთარი თავის თვალაღებაც უყვარს. ასაკთან ერთად სარკესთან ურთიერთობა ცოტა გაურთულდა. ხან ამაყად უყურებს სარკეში თავის ანარეკლს, მხრებს, მუცლის პრესს, გრძელ ფეხებს და უხარია, ჯერ კიდევ ბიჭურ-ახალგაზრდულ კატეგორიაში გადის. ხანდახან (იშვიათად!) შიში შეეპარება ხოლმე, რომ ის მცირედი ცვლილებები, ასაკზე მიმანიშნებელი ნიშნები აწი უფრო სწრაფად და სწრაფად გაჩნდება, დახვეწილი ფორმებიც შეიცვლება.

და ერთ დღეს დაინახა *ქართული* რას იმაზე, რითაც ადრე ასე იწონებდა თავს. მაშინ სარკეს სცილდება და ქალებზე იწყებს ფიქრს. ქალებს თვალელებში უყურებს ხოლმე, მზერას არ არიდებს, პირდაპირ თვალელებში უმზერს გახავერდებული, მომწუსხველი მზერით და ჯანმრთელ კბილებსაც ფართოდ რომ გამოაჩენს, გულლია ღიმილის ნიშნად, რომელიღაც შეგრძნების ორგანოთი ხედება – ქალი დაბმულია, შეიძლება ყველაფერზე წამსვლელი არაა, მაგრამ მისი ოცნებების ნაწილი გოგის მიერ არის პრივატიზირებული.

ჰოდა, საკმაოდაც ჰყავდა ქალები, მაგრამ, ისე, შემთხვევით გადაყრილები არაა მის კაცურ ღირსებას, შემთხვევითი, იაფფასიანი ქალები არ ახარებენ. ისე, ერთი-ორი ეგეთიც შეიძლება გაიხსენოს, მაგრამ... მოკლედ, უბრალოდ ვნება და სექსი არ ჰყოფნის, კიდევ რაღაც უნდა მიიღოს ქალისაგან. კიდევ რაღაც. ბოლოს ვინ იყო, ვინ ჩარჩა თავში ბოლო დროიდან? დოიჩე! გერმანული ლიტერატურის სპეციალისტი. ლამაზი არაა, მაგრამ შეეგვრემანი და ეშხიანი. დაუდევრად კი ექცეოდა, დოიჩეს რომ არ ეკუთვნოდა ისე. როცა რამე სწყინდა, დოიჩეს თვალელები უწყლიანდებოდა და გოგისთვის გაუგებარ აჩქარებულ გერმანულზე დაურტყამდა ხოლმე რაღაც ტირიდას. მომითარგმნე, იცინოდა გოგი. ისწავლე გერმანული და შენ თვითონ მოითარგმნე. ხან არაფერს იტყოდა და უბრალოდ ბრაზიან „შაისე!“-ს დაახეთქებდა. ეს კი იცოდა გოგიმ – ნეხვი! რითი დააბა დოიჩემ? კარგად ნავარჯიშევი მკვრივი უკანალი კი ჰქონდა, მაგრამ კიდევ რაღაც იყო მასში – სუედიანი ცინიზმი, ჭკვიანიც იყო. და კიდევ რაღაც გაახსენდა, ლამის ამაყად ნათქვამი – „მაგათ ტანსაცმელში

გავიზარდე". ისევ რაღაც გულისამა-  
ჩუყებელი. იმ დღეს დიდხანს ალოდი-  
ნა და უგეგმა პაემანი და როგორც იქ-  
ნა მიაღწია დოიჩეს სახლამდე. თვი-  
თონ დოიჩე ყველაფერს გადადებდა  
ხოლმე, როგორც კი გოგი დარეკავდა.  
გიჟდება ჩემზე, დარწმუნებული იყო  
გოგი. ჰოდა, მივიდა, დოიჩეს გათელი-  
ლი გერმანული დახვეწილობით გან-  
ყოფილი მაგიდა აითვისა და სატრფოს  
ათვისებაც რომ დააპირა, მაშინ დარე-  
კა დოიჩეს ბიძაშვილმა, ბავშვისთვის  
ნამლის ფული უნდოდა. დოიჩე, მასზე  
გაგიჟებული და მასთან ლოგინში ჩა-  
ნოლაზე ლამის სულის გამყიდველი  
(დარწმუნებული იყო გოგი!), ნამობტა,  
ჩაიცვა და გავარდა, ხუთ წუთში დაე-  
ბრუნდებო. ხუთ წუთში დაბრუნდა,  
მაპატიეო, რატომღაც კისერში აკოცა  
და მაშინ თქვა, ლამის ამყაად, მაგათ  
ტანსაცმელში გავიზარდეო. და მიაყო-  
ლა ბავშვობის მოგონება – უჭირდა  
მის მარტოხელა დედას, უფროსი ბი-  
ძაშვილები აჭმევდნენ და აცმევდნენ  
პატარა ნაბუშარ ბიძაშვილს. გამო-  
ნაცვალს ჩუქნიდნენ, მაგრამ გემოვნე-  
ბით შერჩეულს. არც იმჩნევდნენ, რომ  
ნაბიჭვარია და სხვა უფრო ახლო ნა-  
თესაუბისაგან (მამისაგან) უარყოფი-  
ლი. ახლა იმათ უჭირთ, დოიჩეს კი ფუ-  
ლიც აქვს და მათი მზრუნველობაც ახ-  
სოვს, ჰოდა, მზად არის ლოგინიდან  
ნამობტეს და გოგის დამადლებულ-  
გამოზომილი ყურადღებიდან კიდეც  
მოიკლოს იმათი ხათრით. თავის საყ-  
ვარულ გერმანიაში სათარჯიმნოდ და  
რაღაც საქმიან-ლიტერატურულ შეხ-  
ვედრებზე რომ დაიარებოდა, ბიძაშვი-  
ლებისთვის საჩუქრების ჩამოტანაც  
არ ავიწყებოდა. არც გოგისთვის!  
არა, როგორ უბრალოდ და გულლიად  
თქვა, ლამის ამყაად, „მაგათ ტანსაც-  
მელში გავიზარდე“. ლამაზი არა, მაგ-  
რამ შავკვრემანი და ეშხიანი! ჰოდა,

ვილაც გერმანელმა დაითრეფი და გვი-  
უთხოვდა ბერლინში, ბოჰემურ ნა-  
ნილში, პოსტმოდერნისტ თუ რაღაც  
ამგვარ მჯღაბნელს გაჰყვა. გული  
დასწყდა გოგის. ხანდახან ახსენდება  
და ისე, გულსგარეთ რომ ბრაზდება,  
ნაღვლიან გუნებაზე რომ დგება, თვი-  
თონაც ბოლმიან „შაისეს“ დაახეთქებს  
ხოლმე. მაინც დოიჩე ფრაუ, რა დამრ-  
ჩა შენგან? რამდენიმე გერმანული  
სიტყვა, კიდეც რაღაც სევდის კვალი,  
სხვა სევდას რომ გამოჰკრავს ნაპერ-  
ნკალს და გააღვივებს. სხვა?

ქალიდან ქალზე ისე ინაცვლებს,  
თითქოს სახლისკენ მიმავალი გზის  
ძებნაში ერთი ბილიკიდან მეორეზე  
გადაეხეტა. დახეტილობს და ეძებს  
იმათში რაღაცას. გადანაწილებული  
აქვს ის რაღაც რამდენიმე ქალში. დო-  
იჩეს ფუნქცია სექსის გარდა ინტე-  
ლექტუალობანას თამაში და ცინიკუ-  
რი საუბრები იყო, ცოლთან ლოგინის  
იქით აღარაფერი რჩებოდა სათქმელ-  
საფიქრალი, ოცნებების და ფანტაზიე-  
ბის სამყარო ულის ეუთვნოდა. ველარ  
მოაქუჩა ერთ ქალში ყველაფერი, ნა-  
ნილ-ნანილ უნდა ერგოს. აი, ულისთან  
რომ იყო, ადრე, დიდი ხნის წინათ, მაშინ  
იყო ყველაფერი, ჰარმონია, ჰარმონია!

ქეთის გადასწვდა ფიქრი, ცოლს,  
თანამეცხედრეს. მასთან საჩხუბრად  
უფრო იცლიდა, ვიდრე მასზე საფიქ-  
რელად. რატომ?

უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა,  
თითქმის, თითქოს. არაფერი სადარ-  
დელი, საზრუნავი – ფულიანი მამა,  
მოსიყვარულე დედა. მერე გარანტი-  
რებული სტუდენტობა თეატრალურ  
ინსტიტუტში, და არა სამედიცინოში,  
მამის დაფინანსებული მცდელობის მიუ-  
ხედავად. როგორ მოახერხა თავისი  
გაეტანა? იცოდა, ექიმი არასოდეს გა-  
მოვიდოდა მისგან, სისხლის დანახვა-  
ზე ლამის გული მისდის. დიდი მსახი-

ეროვნული

ობი ხომ გამოვიდა?! რატომაც არა, პქონდა, მთავარი არა, მაგრამ შესამჩნევი და დადებითი როლები თეატრში, ერთი-ორჯერ ფილმშიც მოხვდა ლამაზი ბიჭის როლში. კიდევ რა პქონდა? კაი თბილისელი ბიჭის ტიტული, მეგობრების დიდი კომპლექტი, ქეიფები და ლამაზი ქალების ყურადღება. ზომიერად, იმიჯის შესაღამაზებლად ძველბიჭობა, ოღონდ უსაფრთხოების ნორმების დაცვით. დღესაც კიდევ ბიჭის როლშია, ორმოცს კი მოუკაკუნა.

არაფერი უშუალოდ არ ეხებოდა, თითქოს რაღაც ორანჟერეა იყო მის გარშემო შემოვლებული. თუ რამე არ იყო ნესრიგში, რაღაც გულგარეთ რჩებოდა, მისი ტკივილი არ იყო. ეგონისტის თავდაცვის მექანიზმი! ასე უთხრა დოიჩემ. ერთადერთი, რაც სტკიოდა, მართლა, ბევრი წლები, ის გოგო იყო, მერე ქალი – ელიდან ელენში გადაზრდილი. ოდესღაც მისი, ახლა სადღაც სხვა კაცთან, სხვა სახლში, სხვა ლოგინში და მაინც მისი! ეს ისე, გულის სიღრმეში, სხვებისთვის დაფარულ-დამალული, მაინც დოიჩე ფრანს მიერ ოდნავ გამოქექილ-გამომზეურებული. დოიჩე მაშინ მის სულში ქექვის გასაგრძელებლად იაფფასიან ინფანტილურ-იდეალისტურ პლატფორმაზე ჩამოსკუპდა და თქვა, ნორმალურ კაცს (და ქალსაცო!) თუ უნდა რომ ჭეშმარიტი ცხოვრებით იცხოვროსო, ერთი მუდამ სანატრელ-საოცნებო ადამიანი უნდა ჰყავდესო გულის სიღრმეში, მუდამ ვიღაც მისთვის მნიშვნელოვანის ყურადღების მისაქცევად და მოსანადირებლად უნდა იყოს მომართული და მაშინ შექმნისო რაღაც ლირებულს. ის ერთი სანატრელი უნდა არსებობდეს, მაგრამ, ცხადია, სხვა პარალელური ქალის და კაცის გვერდითო, ცინიკოსი და თანაც იაფფასიანი. მერე სულ მოიბავევა თა-

ვი და გააგრძელა – სიცოცხლეშიც ვეღვად თუ იმას აკოცე, ვინც გიყვარდა, მაგრა გაგიმართლაო. პირველად, თუ იმ ქალთან იწექი, ვინც გიყვარდა, ბოზთან კი არა, ან ვინმე ქალთან იმის შესამონშებლად პორმონები ნესრიგში მაქვს თუ არაო, საყვარელ ქალთან, კიდევ უფრო მაგრა გაგიმართლაო, კაცად ჩამოყალიბების ამბავში. გიჟი! შო-და, თავისნაირი დარტყმულიც ერგო – გერმანელი დენდი! ეგეთი, ალბათ, ერთი არსებობს ბუნებაში და ისიც დოიჩეს გადაეყარა.

დოიჩეს ფილოსოფიით მაგარი ბედნიერი კაცია. პირველი ქალი მის ცხოვრებაში ელი იყო და უყვარდა, მაგრა უყვარდა, ისე, ისე... როგორც ჩვიდმეტი წლის ოცნებებით გადარეულ ბიჭს შეეძლო ჰყვარებოდა. სხვას ვერავის ხედავდა, ვერავის გრძნობდა. ახსოვს, ყველაფერი ახსოვს, თვალებს რომ ხუჭავს, იმ დღეებს, იმ წუთებს ხედავს, გრძნობს თითოეულ შეხებას, სუნს... ელის სხეულზე ყველა ხაზს, ფორმას... ამ შეგრძნებებით ცხოვრობს დიდი ხანია და ეშინია კიდევ არ დამთავრდეს. ამ თითქოს ტკივილით, თითქოს ტკება. ეშინია ამ შეგრძნებებს სიმძაფრე არ დააკლდეს. თუ დაკარგა რომელიმე დეტალი, ფერი, სუნი, მაშინ რაღაც დამთავრდება და რაღაც სხვა მოვა. რა სიბერე? ამის ეშინია? სიბერემდე ჯერ შორია, რაღაც სხვა, სხვა დააკლდება.

ისე, ბოლო წლებში უფრო წყვეტილად ახსენებოდა ელი – როცა თვალს მოჰკრავდა სადმე, როცა ნაცნობი სუნი ან ხმა, რაღაც ან ვიღაც შეახსენებდა. ეს ბოლო დღეები კი სულ ელიზე ფიქრობს, სადღაც ტვინის თუ სხეულის სიღრმეში კოდირებული წარსული გაფხიზლდა, გარეაღურდა, შეგრძნებადი გახდა ის დღევ.

ელის ოთახში იატაკზე, ხალიჩაზე

ერეკენულნი  
მეცხეობა

გოგოები სხედან. ელის გრძელი შემოტმასნილი ქვედატანი აცვია, ფოლოსფერი მაისური მინიმალურად უფარავს სხეულს. ოცი წლის წინ მისი შემოტყევილ-მჭახეფერებიანი სამოსი თამამ ჩაცმად ითვლებოდა და ელი სახლში, მეგობრებში ტკბებოდა საკუთარი სხეულის დემონსტრირებით. გოგოები ჟიჟინებდნენ, ცეკვავდნენ, მაიმუნობდნენ და ამას გამოცდის ერთად მომზადება ერქვა. მერე ზემოდან ზაზამ დააბრაზუნა, ჩემთან ამოდიოთ და წაჩერჩეტდნენ. ელიმ ოთახის მილაგება მოინდომა და ელი და გოგი მარტო დარჩნენ ელის ოთახში. და მაშინ ერგო ბედნიერი კაცის ტიტული – პირველად აკოცა ქალს და თანაც საყვარელს. მაშინ ამ ტიტულის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ბედნიერი რომ იყო, ამას კი ბოლომდე და საფუძვლიანად გრძნობდა. მერე ზაზასთან რომ ავიდნენ, ხან თვალს არიდებდნენ, ხან ველარ აწყვეტდნენ ერთმანეთს მზერას. გრძნობდა გოგი, როგორ ივსებოდა სხეული სითბოთი, გრძნობდა, იგივე ემართებოდა ელის და ყველაზე შთამბეჭდავი ეს იყო – გრძნობდე, რას გრძნობს საყვარელი ქალი.

მერე იყო სხვა დანარჩენი ყველაფერი – ღია, დაუფარავი ვნებით ავსებული სხეულები, ნდობა, სამარადჟამო ერთგულების და საყვარულის ფიცი და ა. შ. როგორც ხდება ხოლმე სიყვარულის საყმანვილო ასაკში. მთელი სიერცე იყო გარშემო დამუხტული – მზერა, შეხება, სუნთქვა, ღიმილი, ტრფი, თმა, თითები, სული... ყველაფერი შეგრძნებადი და შეხებადი, უხილავი და ხილული. იყო ერთი მთლიანი ნეტარება წარმოსახვით დაწყებული, მზერა-შეხებით გაგრძელებული და უკონტროლოდ, ღიად ამოხეთქილი სააღერსო სიტყვებით დამთავრებული.

ჰო, რალაც მსგავსი თითქოს მელცი იყო, მაგრამ მაინც როგორღაც გააზრებულ-გამოზომილ-გათვლილი. მერე გაიზარდა, დაკაცდა და წვინტლების ჩამოშვებასაც შეეშვა. მაგრამ სურვილი და ფიქრი მაინც დარჩა. სადღაც, რომელიღაც ბნელ ყუთში მეხსიერების მანქანამ ჩაინიკნიკა: ელი – შენი ცხოვრების მთავარი ქალი! ჩანანერი ნაშლას არ ექვემდებარება!

არა, მაინც სად ჰქონდა იმ პატარა ელის იმდენი რისხვა და ძალა, რომ ერთი ხელის მოსმით, არა, ერთი ხელუკულმა გარტყმით, დაენგრია ყველაფერი, დაესრულებინა?!

მაგრამ ამბავი არ სრულდება, მაშინაც, როცა გგონია, რომ წერტილი დაუსვი და მოიშორე წარსული. გოგისთვის არ სრულდება, ვერ შეელია ამ დანაკარგს. რატომ? იმიტომ, რომ არაფერი მიუნდომელი და მოუხელთებელი არ იყო მისთვის, იმიტომ, რომ შეჩვეული არ იყო უარს და უარყოფას, იმიტომ, რომ სულ თვრამეტი წლის იყო და სჯეროდა მარადიული გრძნობების და ასეთი სისულელების. იმიტომ, რომ დაკარგული და მიუნდომელი უფრო ძვირფასია. რა იქნებოდა, ელისთან ერთად რომ გაგრძელებულიყო მისი ცხოვრება, მაშინაც ასე მძაფრი იქნებოდა მისი სურვილები?

რატომ ფიქრობს ამ დღეებში, აქ, ყველაზე მეტს იმ შორეულ ამბებზე, თითქმის ოცი წლის წინანდელზე, იქნებ იმ მოუწლებელ დანაკარგზე ფიქრით ამ ახლის შიშს გაურბის.

მის შვილს თუ გაუმართლა, თუ იყო საყვარელ ქალთან? ან ქალთან საერთოდ? არ იცის. რა იცის თავის შვილზე? ბიჭი იმ ასაკშია, რამხელაც თვითონ იყო მაშინ. რა იცის თავის შვილზე? ახლა სულ მისი ბავშვობა ახსენდება, შემდგომი წლებიდანაც ახსენდება რალაც, მაგრამ როგორღაც ფერ-

მკრთალი, გაცრეცილი მოგონებებია. ფიქრიანი, ლამაზი ბიჭი, ხანდახან თავგატეხილ-დაჩეჩქვილიც მოსულა სახლში, უფრო ხშირად, ვიდრე თვითონ იგივე ასაკში. არ ნუნუნებდა, ბევრს არაფერს ყვებოდა. კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, კი, მეგობრული. რა არის მეგობრული ურთიერთობა შვილთან? აზრად არ მოსვლია, რომ მის ბიჭს შეეძლო თოფი თუ ავტომობილი აეღო და საომრად წასულიყო. თვითონ რატომ არ მოუვიდა აზრად? არ მოუვიდა, არ მოუვიდოდა, თვლიდა, რომ ამისთვის არც აგრესია ყოფნიდა, არც სიძულვილი და არც სიბრძნე. ომზე და პოლიტიკაზე რომ იწყებდნენ მსჯელობას, არ უნდოდა სულელი გამოჩენილიყო, რომელსაც აზრი არ გააჩნია, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ის რაღაც მსჯელობები უფრო სულელური იყო და ყალბი პათეტიკის ნაცვლად ცოტა დაძაბული ამბობდა, არ ვიცი, არ მესმისო. და ერჩივნა არც სცოდნოდა. პო, ერჩივნა ქეთისთან ეჩხუბა, მერე სახლიდან გაბრაზებული გავარდნილიყო, მეგობრებში ექეიფა, ვინმე ქალთან რომანი გაება, და ენუნუნა, რომ თავისი მთავარი როლი ჯერ არ უთამაშია, რომ საბჭოთა რეჟიმმა მასში დიდი მსახიობის გაფურჩქვნას შანსი არ მისცა. და, აჰა, მისი დროც დადგა – პამლეტი! ორიოდე კვირის წინ პრემიერა შედგა. გოგი – დანიის პრინცი! როგორი სიღრმით ამბობდა, დაგემოვნებით – ყოფნა? არ ყოფნა?... ეგონა პამლეტის დაფარულ სიბრძნეს ყველაზე უკეთ ჩავენედი და ვახმოვანებო. რომელი სიბრძნე?! პამლეტი პატარა დაბნეულ ბიჭს ჰგავს უფრო, უპასუხო კითხვებით, ეჭვებით, ნაწყენი და შეურაცხყოფილი, ენაკვიმატობის, ცინიზმისა და ნათამაშევი სიგიჟის მიღმა, უმწეობასა და შიშს რომ მალავს.

ყოფნა – არ ყოფნა?! ვიდრე გოგი

ამ კითხვაში მთელ თავის ლამინს ორმოცწლიან ცხოვრებისეულ სიბრძნეს აქსოვდა, მისი შვილი ამ კითხვაზე პასუხის საძებრად გაეშურა. გოგის კი პამლეტობა უნდოდა პამლეტობა არა, პამლეტის როლი, სცენა, დარბაზი, ყვავილები, ტაში. ბრძნული პათეტიკით არა, აგდებული ირონიით გაარკვევს შემდეგ სპექტაკლზე, ყოფნა-არყოფნის საკითხს.

იმ საღამოს სცენის კუთხეში ბრძნულად ჩამომგდარს, დარბაზისაკენ მალულშერამიმართულს, მოეჩვენა, რომ ელი იჯდა მესამე თუ მეოთხე რიგში. ნამდვილად დაინახა, სცენაზე ათამაშებულმა სინათლემ მაყურებელთა რიგებს რომ გადაურბინა. მერე დაშვებულ ხავერდის ფარდას კიდევ ერთხელ რომ მოსწყდა თავის დასაკრავად, ის სკამი, სადაც სავარაუდოდ ელი იჯდა, ცარიელი დალანდა. უკვე გავიდაო, იფიქრა, მე რომ არ დამენახაო. „მე შენ ერთხელ მიყვარდი. მე შენ ერთხელ...“ აი, ამით კი ჰგავს პამლეტს – პალუცინაციებით – თხზავს თავისთვის რაც უნდა და თვითონვე იჯერებს. „მოიხსენიე შენს ლოცვებში, პოი, ფერიაე, ჩემი ცოდვები...“

სახლში დაბრუნებულს დედა და ქეთი თვალმდანი თვლებული დახედნენ. სავარძლის კიდეზე დამფრთხალი გოგო იჯდა, მისი შვილის მეგობრებიდან რომელიღაცა. გოგომ გოგისაც ჩამოუთვალა ბიჭების – აფხაზეთში, სამშობლოს დასაცავად გაპარული რაზმის წევრების სია. გოგო დაბნეული იყო, არ იცოდა, ეს ამბავი ამაყად და იდუმალებით აღსავსე ხმით და სახით უნდა ეთქვა, თუ უბედურების გამოშხატველით.

გოგის გაეცინა, ლამის გადაიხარხარა, მერე გაჩუმდა და ასე იყო დიდხანს. ქეთიც დუმდა, ხმას არ იღებდა,



სკამზე იჯდა და წინ და უკან ირნეოდა. ბიჭს რომ რამე დაემართოს, გაგიჟდება.

სამი დღის შემდეგ ამბავი ჩამოვიდა, ბიჭი ტყვედ ჩავარდა და ჯერ-ჯერობით ცოცხალია და უვნებელი. სახლში ხალხი წინ და უკან დარბოდა, ტელეფონი გამუდმებით რეკდა და მიაგნეს პაატას, რომელიც რალაც კომისიას, ანუ ტყვეთა გაცვლას ხელმძღვანელობს.

ორი დღით აფხაზეთიდან ჩამოსული პაატა ისევ სოხუმში მიდიოდა. ფული, კიდევ ფული და კიდევ ყველა ამქვეყნიური სიკეთე შესთავაზეს ბიჭის დაბრუნების სანაცვლოდ. პაატამ, არავითარი ფული, ეს ჩემი საქმეაო. მოკლედ, თქვენი ფული ერთ ადგილას... და გოგამ ასევე მოკლედ - მეც ნამოვალ. პაატა დაეთანხმა, შემეშველეთო. გოგის შეუვალმა სახემ დაითანხმა, თუ მართლა რამეში გამოადგებოდა, არ იცის გოგამ.

მეორე დილას აყიყინებულ აეროპორტში აღმოჩნდა, უფრო სწორად, სხვა სამყაროში - თითქოს ფილმის გადაღებაზე. ზურგზე შვილის მომცრო ზურგჩანთა ეკიდა, უფრო დიდი ნამდვილ-ალპინისტური თან ნაილო საომრად მიმავალმა. პირველად აეროპორტში გაუჩნდა განცდა, რომ კინოში მოხვდა. და მერე პერიოდულად ისევ ეჩვენებოდა, რომ გადასაღებ მოედანზე გაჰყავთ. პირველად აეროპორტში დაინახა, რომ ამ ყიყინის იმ ნახევარში ცხოვრობს, თბილისი რომ ჰქვია, მეორე ნახევარი - ომი - სადღაც სხვებისთვის იყო, შენით თუ არ შერგავდი თავს, კინოს ბილეთს ომზე თუ არ აღებდი, არც არაფერი - არაფერიც არ ვებოდა! აქ აეროპორტში კი მოეჩვენა, რომ შეცდომით ორი, ერთი და იგივე ინტერიერში გადაღებული, ფი-

რი დაადეს ერთმანეთს და ამიტომ აღმოჩნდნენ უხეშბათინკებიან-ჭრელსამხედროფორმიანი და შორტებ-ბრიჯებიანი გოგო-ბიჭები ერთ კადრში. პო, ეს ორი ჯგუფი ჩარჩა მხესიერებაში - აშუფებული შამპანური, გოგო-ბიჭები რომელიღაც მათგანს აცილებენ უცხოეთში და გამეხებული სამხედროები, აქოთებული, ასე მოეჩვენა მაშინ.

- ამათი დედა!.. თითქოს ომი კი არა, ქორწილია მთელ ქვეყანაში, - თქვა რომელიღაც ფორმიანმა.

- ამათთვის ომი მარტო ტელევიზორშია.

აქედან მოყოლებული ეს სამი დღე კადრებად და სცენებად ნაწილდება. თვითმფრინვაში ფორმიანი და უფორმო მომრები და მოხალისეები, სოხუმელები და ვიღაც გორელები და კიდევ თელაველები, გინება, ნაცნობი, უცნობი და ტელევიზორში მოსმენილი გვარები, სამხედრო ნაწილები, კიდევ პაატა და ნვერმოშვებული, მხრებში მოხრილი ცისფერთვალა კაცი, რომელიღაც დალუპული ჯარისკაცის მამა. პაატა და იქითა მტრულ მხარეს ვიღაცა შეთანხმდნენ და ცელიან რამდენიმე აფხაზ ტყვეს ერთ საქმო საფლაგზე და სამ ცოცხალზე. ეს მამა მოყვება, რომ საფლავი გათხაროს და ჩამოუსვენოს შვილები დანარჩენ მამებს და დედეებს. და თავისიც.

სოხუმში გულისფანცქალით ჩამოდგა ფეხი აეროდრომზე, ავტომატების კაკანისა და ყუმბარების ბათქა-ბუთქის მოლოდინში.

- ყველაფერი იქნება, - შეჰპირდა პაატა. - ახლა ტაიმ-აუტია. ისე, ყოველ ნუთას შეიძლება დაინყოს.

სოხუმში კი ალაგ-ალაგ დანგრეული, დანგრეულიც რომ არ ყოფილიყო, მაინც ნაკლებად ჰგავდა იმ ქალაქს, ზაფხულობით რომ დადიოდა, მის



ეროვნული

ახალგაზრდობის მხიარულ დღეებს რომ ასიმბოლოურება.

სერგომ რაშივით შემოაგელვა თავისი დანჯღრეული ვილისი აეროდრომზე. პაატას სწორედ ვილისი აწყობს ტყე-ღრეში და ნაწილებში სასიარულოდ, მაგრამ არა ასეთი დაფეხვილი. და დაიწყო „ექსკურსია“ – შტაბები, გენერლები და ჯარისკაცები, ზოგი განრისხებული, ზოგი გაბრაზებული, მთვრალი, ჭკვიანი, ნარკომანი, დარდიანი, დასაბმელი გიჟი ან თავდადებული ნეტარი. პაატას ტელეფონით და რაციით რუსულ-ქართული ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბრები, პაატას იშვიათი ყვირილი და კიდეე უფრო იშვიათი გინება. საყოველთაო ქაოსის ფონზე მანიაკალურ პედანტობად მოჩანდა პაატას სხვადასხვა ფერის კალმები, მელნის! და სამ ფერში აჭრელებული დავთარი. აბნეული ასოებით, მაგრამ აკურატულად შევსებული დავთარი, ძირითადად ლურჯი მელნით, ალაგ-ალაგ ნითელი ჩართვებით და არეებზე გამოტანილი მწვანე მინანურებით, ხან ტელეფონით ლაპარაკისას, ხან კაბინეტებში, ხან ნაწილში ყოფნისას ამოანათებს შავი ჩანთიდან, ხან ისე უჩინარდება. გოგამ არ იცის, რა სისტემით იყენებს პაატა ფერად კალმებს, მაგრამ ის კი გაიგო, რომ ამ დავთარში იყრის თავს ყველა დაკარგულის, დატყვევებულის, გაუპატიურებულის და დასახიჩრებულის სახელი. მისი შვილის სახელიც წერია იქ. იქით, მეორე მხარეზე მეორე პაატა – ბატალ ტბარი – ავსებს ასეთივე დავთარს. მერე რაციით თანხმდებიან შეხვედრაზე და გასაცვლელ გვამებსა და ტყვეებზე. აქეთ-იქიდან კი უამრავი დედა და მამა, ცოლი თუ ქმარი იხვენება ვილაცის პოვნას, ცოცხალის ან მკვდრის დაბრუნებას.

ის მეორე „პაატა“ და ეს პაატა ათი-

ოდე წლის წინ მოსკოვში „სპირსნეტა“ რაში ერთად სწავლობდნენ, საერთო საცხოვრებელში ერთ ოთახში ბინადრობდნენ და მეგობრებიც იყვნენ, ოდესღაც. ახლა სხვადასხვა მტრულ ბანაკში განაწილებულები პერიოდულად ხვდებიან ერთმანეთს, დავთრებს ადარებენ და შეთანხმებულ მკვდარ-ცოცხალს თვლით იბარებენ.

ნაწილიდან ნაწილში მიჯაჯაყებდნენ, რომელიღაც სოფლის რომელიღაც შარავხას ერიდებოდნენ, დანაღმული იქნებო. გზები, ოფიციალური და არაფორმალური სამხედრო ნაწილები და რაზმები სწრაფი კადრებით იცვლებოდა. ხანდახან სროლა იწყებოდა და უკან ბრუნდებოდნენ, ან შედარებით უსაფრთხო ადგილას შეტყვის დამთავრებას ელოდნენ. მოძენის ბიჭს და წავა, ეს ბოვეიკი და ხიჩკოკი მისი საქმე არ არის! მაგრამ კინოსეანსი ხანგრძლივი აღმოჩნდა, ჯერ არ მთავრდება, არ ჩანს ეკრანი დიდი წარწერით „ჰეფი ენდ“.

პაატა კი გამუდმებით იწერდა, ითვლიდა, ადარებდა, რეკავდა და ადგენდა, რამდენს რამდენში, სად და როდის და როგორ გადაცვლიდნენ. ცოცხალი აფხაზი თუ ყავთ, უკეთესია, მეტი შანსი იქნება ცოცხალი ტყვე გამოითხოვოს. ხანდახან პაატა ბრაზობს, პარტიზანულ და არაფორმალურ ნაწილებში ტყვეებს უმაღავენ, რომ მერე თვითონვე მოილაპარაკონ აფხაზებთან და თავიანთ ხალხში გადაცვალონ. იგივეს აკეთებენ იქით აფხაზები.

დღის ბოლოს აფხაზურ ზონასთან მდგარ ნაწილში გავიდნენ. დავთარში დღის განმავლობაში ჩანერძილი ინფორმაციის მიხედვით, იქ ვილაც ჩრდილოკავკასიელი, თუ სლავურსისხლნარევი ტყვე ჰყავდათ. მისმა მფლობელებმა, ანუ დამტყვევებლებ-



მა, ვერ დაადგინეს, ვინ იყო. საბუთიც ვერ უნახეს. შვილის გვამმა ძიებელი მამა სოხუმში დატოვეს, ამას მერე საფლავის გათხრისას ნამოვიყვანთო, თქვა პაატამ, ცოცხალი მიცვალებულიაო ახლა ეს და მისი ტარება ტვირთიაო.

ნაწილის შტაბი თუ ხელმძღვანელობა სოფლის საბჭოს შენობაში იყო დაბანაკებული. წელს ზევით შიშველი, ქრელსამხედროშარველიანი და ავტომატისანი კაცები ისხდნენ შენობის წინ. ეა, მშვიდობის მტრედი მოფრინდა! ასე შეხვდა მეზღვაურისმაისურიანი ავტომატ-წვერებიანი ბიჭი პაატას. გოგის ჯერ კიდევ დაუღეჭავ და სუფთა შარვალ-პერანგს, ცალ მხარზე გადაკიდებულ მომცრო ზომის ზურგჩანთას დაცინვით შეავლო თვალი. მის თვალში მშვიდობის მტრედი და შვილის მაძიებელი კაცები არ იყვნენ. მამუკა ერქვა.

შენობაში შეუძღვა, გოგი მოსაცდელისმაგვარ ოთახში შეაჩერა. ოთახში ცალ მხარეს ნაფერდებული, ფეხმონგრეული მაგიდა დგას, იქვე სკამი აგდია. გოგიმ ყურადღებით შეისწავლა და დაასკვნა – სკამი მთლიანია! მამუკამ მეორე ოთახში გამაფალი გადარაზული კარი ფეხის კერით შეაღო და ღია დატოვა. გოგი შეღებული კარის გასწვრივ კედელს მიეყრდნო. კარის ჩარჩო კადრივითაა, თითქოს გაჩერებული კამერით გადაღებულ სცენას უყურებს. ეს არის, ამბობს მამუკა, ავტომატი შეისწორა მხარზე. ხის მაღალ ზურგიან მასიურ სკამზე (ჩუქურთმებიანი ფეხებითა და საზურგით) ზორბა კაცი ზის, უფრო სწორად, დევს ზორბა სხეული. გრძელსახელოიანი მაისურის ცალი სახელო ჩამოგლეჯილი აქვს, ერთ ფეხზე შარვლის ტოტი ახეული და მუხლს ზევით ქუჭყიანი სახვევი ადევს, ალბათ, მაისურის სა-

ხელო. მეორე ფეხი გვერდულად მოწყვეტით ჰკივია. ორივე ფეხში დაჭრილია. ხელები, უზარმაზარი ტორები, მუხლებზე კი არ უდევს – უყრია. ხელი რომ გაჰკრას ვინმემ, გადაუცვივდება, უცხო სხეულივით. სიცოცხლის არანაირი ნიშანი, თავი მკერდზე დაკიდებული, ქუთუთოები ოდნავ შეღებული, მაგრამ ვერ ხედავს ვერაფერს. მოკლედ, მკვდარია კაცი, გული კი ისევ ფეთქავს და ატრიალებს სისხლის გულის პარკუჭებიდან კაპილარის ბოლო წერტილამდე და უკან. გული სცემს, მაგრამ ვინ იცის, რა არის სიცოცხლის და სიკვდილის ზღვარი?! უზარმაზარი სხეული, კუნთები უმიზნოდ ინარჩუნებს ფორმას. სხვა დროს ამ სამივე მაყურებელს და მათ მსგავსს რამდენიმეს, ალბათ, ერთი ხელის მოძრაობით დაატებდა ხერხემალს და კისრებს, მაგრამ ახლა დევს ზორცის მასა ნითური წვერით და თავზე ნითური უსწორმასწორო ბუჩქით.

– აი, მოვიდა შენი მხსნელი, – დამცინავად, აქცენტითანი რუსულით ეუბნება მამუკა მკვდარ-ცოცხალს. იცი, ეს ვინ არის? მშვიდობის მტრედი, ტყვეებს არ ურტყამს, არ ხვრეტს. შენისთანა დამპლებს ადამიანთა სიაში წერს და მერე ჩვენ ბიჭებში ცვლის, შენისთანა დამპლებს, შენი დედა... მე თავს მოვიკლავდი, შენისთანა ნებში გასაცვლელი რომ ვიყო. აი, ყველაზე დიდი გადამცვლელი. შენ უნდა გადაგარჩინოს, ცოცხალს გაგიშვებს, გაგცვლის... ეს დიდი გადამცვლელი. – სიტყვა გადამცვლელს ისეთი ბოლმით წელავს, დედის გინებას გავს.

დაჭრილი არ იძვრის, არ ირხევა. მართლა მკვდარია, შფოთავს გოგი. ამასაც უნდა უშველონ, ამ ზორცის გროვას. აფხაზი არ არის, მაგრამ მათთვის იბრძოდა. ჰოდა, ისინიც გაიმეტებენ ერთ ჩვენთანს ცოცხალს ან გარ-

დაცვლილს. ისე, აფხაზებისათვის იბრძოდა თუ ფულისათვის? იდეა მაინც ჰქონოდა, ფანატიკოსი გიჟი მაინც ყოფილიყო და გმირულად მომკვდარიყო. ფულისთვის კლავდა ხალხს და ახლა მძორივით დევს, ფაქტიურად მკვდარი.

მამუკა არ ცხრება, — ერთხელაც იქნება, ამ მშვიდობის მტრედსაც გააფრთხობინებენ სულს აფხაზები, რომ აღარ დასჭირდებათ მერე, და მის თავს გამოგვიგზავნიან. მე მაგათი!..

პაატას გახედა და მაინც შესამე პირში ვააგრძელა, — ამას ჰგონია, ჩვენ მხეცები ვართ და თვითონ — ანგელოზი. მაგასაც ვნახავ, მაგის თავს რომ გამოგზავნიან. შვილო, პაატა!..

მამუკა ცნობიერების ნაკადს ასოციაციებით მიყვება, ტყვეს დაუბრუნდა — იცი, ვინ იყო გიორგი სააკაძე? შენ რა გეცოდინება?! კინოც არ გაქვს ნანახი, შენი დედა!..

გოგი იძაბება, ეშინია. პაატას ზურგს ხედავს, გაჩერებული კამერა ზურგიდან იღებს პაატას, დაჭრილს ანფაზით, ავტომატიანი ხან გადის კადრიდან, ხან შემოდის, ვერ ისვენებს.

გოგის აღარც აოცებს პაატას მოთმინება, როგორ აცდის ავტომატიანს ბოლმისაგან დაიცალოს. როგორც იქნა, მამუკა დალაქავებულ მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა და დადუმდა. ამ მაგიდას არც ისე დიდი ხნის წინ, ალბათ, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე უჯდა ამაყი და ღირსეული სახით. დამლაგებელი მწვანე მაუდის გადასაფარებელს, ალბათ, ყოველდღე პატივისცემით ფერთხავდა. მამუკამ ფეხი შემოდო ზედ. პაატამ მშვიდად დაიწყო — ვინ არის, რატომ მოვიდა. პაატას ზურგს უყურებს, კეფას და მის დაღლილ სახეს ხედავს, თითქოს მეორე კამერა ჩართეს.

თვითონ გაუძლებდა ვნებებს? არ იცის, ამაზე მერე იფიქრებს, ახლა შეიძლება უნდა იპოვოს. ამასაც უნდა უშველონ, ამ ხორცის გროვას, სადღაც რომ გაპარვია აზრი, გონი და გრძნობა. ჭრილობას და ტკივილს აღარც კი გრძნობს. რატომ უნდა უშველონ, მის ბიჭში ან ჩვენებში რომ გადაცვალონ? თუ ისედაც? ეს ხომ პროფესიონალი კაცისმკვლელია?!

— რა ჯანდაბად გინდა, გზაში მოკვდება და აყროლდება! — ისევ ჩაერთო მამუკა.

პაატამ თავისი დავთარი ამოიღო და ფერადი კალმები. მამუკას არ პასუხობს და ისევ ტყვეს მიმართავს, აფხაზებთან შესათანხმებლად სჭირდება მისი სახელი, გვარი, სად იბრძოდა, ვისთან, მხარზე დაადო ხელი.

დაბალი, თბილი ბარბიტონი აქვს პაატას, ასეთი ხმით სუფრაზე უნდა ლილინებდეს და ქალებს აბამდეს, ან შეილებს უყვებოდეს ზღაპარს გამოთქმით, თავდადებულ გმირზე. რბილი ხელები აქვს, მაგრამ კაცური. სუფთად დაჭრილი ფრჩხილები, ესეც არ ჯდება საერთო ფონში და კადრში, დიდი კონტრასტია. იქნებ, ამ ფერადკალმებიანი პედანტობის, პაატას ხმის და მისთანების დამსახურებაა, რომ მუხლებზე დაყრილი ტორები შეირხა. პაატა კადრიდან გავიდა და სკამიანად დაბრუნდა. წინ ჩამოუჯდა ტყვეს, დავთარი ჩამოიდო მუხლებზე.

ტყვემ ქუთუთოები ასწია და გოგომ მისი თაფლისფერი, დანითლებული თვალები დაინახა. იმედი აცოცხლებს ადამიანს.

— რაღა ქრისტე, მიცვალებულს რომ აცოცხლებს და რაღა შენ, — ჩაიცინა მამუკამ.

პაატამ ერთი გახედა და ისევ ტყვეს მიუბრუნდა. პაატას სახეს ვერ ხედავს, მაგრამ ხედება, ზურგით და კისრით



ხდება, არ სწყინს, არც აწუხებს მამუ-  
კას სიტყვები - არ აინტერესებს! მას  
ახლა მხოლოდ ამ ნახევრად-ცოცხალი  
სხეულის დახსნა სჭირდება.

- არ დამხვრეტენ? - ძლივს გასა-  
გონად იკითხა გაცოცხლებულმა მიც-  
ვალბულმა.

პაატა მოთმინებით უხსნის, რომ  
ქართველები და აფხაზები ტყვეებს და  
მიცვალბულებს ცვლიან.

- რა ჩემ ფეხებზე უნდათ აფხაზებს  
ეს ნაბიჭვარი, გინდა ცოცხალი, გინდა  
მკვდარი. უცხო თესლი და დაქირავე-  
ბული მკვლეელი, ფული მიეცი და ხვალ  
იმით დახოცავს.

- არ დამხვრეტენ? - ისევ იკითხა  
მიცვალბულყოფილმა, თითქოს ამის-  
თვის მობრუნდა ამ ქვეყანას, რომ ეს  
ერთი კითხვა დაესვა, მხრებშიც კი  
შესწორდა ოდნავ.

- რა ჯანდაბად გინდა ეს მძორი,  
აფხაზები ამაში არავის მოგცემენ, -  
არტომლაც შეშფოთდა ნითური გო-  
ლიათის მეტამორფოზით მამუკა.

- მაგაზე პასუხს მე ვაგებ. - ამბობს  
პაატა.

- შენ აგებ პასუხს ამ დამპალზე? მე  
ვიცი, რომ არავის არ სჭირდება. - კად-  
რში მთლიანად შემოვიდა მამუკა, ქა-  
მარში ჩაჩრილი პისტოლეტი ამოიღო  
და საფეთქელზე დაადო ტყვეს. ეს რა  
თამაშია? პირი გაუშრა გოგის. მეტის  
გაფიქრება ვერ მოასწრო - გასროლა  
გაისმა. არ აპაატია გაცოცხლება, დაი-  
მეფება.

კედელზე მიყუდებული გოგი მონ-  
ყვეტით ჩასრილდა, ჩაჯდა იატაკზე.  
შვილის ზურგჩანთა გულში ჩაიხუტა.  
შენელებულ კადრში დაინახა, როგორ  
ავარდა რალაც შადრევანი, როგორ გა-  
დაბრუნდა სკამიანად ზორბა სხეული,  
დაცემის ხმა ყრუდ და შორიდან მოეს-  
მა. პაატა ზურგითაა, მაგრამ ისევ ხე-  
დავს, თითქოს კამერამ მოინაცვლა,

მის შეძრწუნებულ სახეს, ტუჩებზე  
უკანკალებს.

მერე პაატა მოტრიალდა და მართ-  
ლა დაინახა აცახცახებული ხელები-  
დან ჟურნალი და ფერადი კალმები  
როგორ დაუცვივდა. სახეზე რალაც  
პქონდა შეშხეფებული, ალბათ, ტვინი.  
შეშინებული პაატა დაინახა.

მერე ბიჭები შემოცვივდნენ. მერე  
გოგი ისევ გაოცდა, როცა ცოტა გონს  
მოვიდნენ და პაატამ საქმიანად თქვა,  
უსახელო, უპატრონო და სხვა ქვეყნი-  
დან მოსული მეომარი არავის ადარ-  
დებსო. ბიჭებს სთხოვა, დაემარხათ,  
ადგილი მიუთითა, რალაცები ჩაინერა  
და ნამოვიდნენ. გზაში ხმა არ ამოული-  
ათ, მარტო ის უთხრა, მამუკას მთელი  
ოჯახი ამოუხოცესო.



იმ საღამოს სოხუმში ველარ ჩავიდ-  
ნენ, დანგრეულ ვილისს საბურავი გა-  
უსკდა, სათადარიგოც აღარ პქონდათ  
და რომელიღაც ნაწილში დარჩნენ ლა-  
მის ვასათევად.

ნაწილი სკოლის შენობაში იყო შე-  
ხიზნული. პაატა ისევ თავის დავთარს  
ჩაპკირკიტებდა და გოგი გაოცების  
უნარს თანდათან კარგავდა. ისევ ეჩ-  
ვენებოდა, რომ კინოშია, ან უნდოდა  
ასე პგონებოდა. ატრიალებდა დღის  
განმავლობაში ნანახ კადრებს, ამონ-  
ტაყებდა და ერთ მთლიან ჯაჭვში ვე-  
ლარ აქცევდა. სულ პატარა ბიჭები გი-  
ტარით და ბიტლზების არც თუ ური-  
გო ფლარუნით, ასაკიანი, ქალარა სო-  
ლიდური კაცები, გინების უკვე შემოქ-  
მედებით რანგში აყვანილი ნაირ-ნაი-  
რი ვარიანტები, ფორმის და იარაღის  
უსისტემო და არასტანდარტული აღ-  
კაზმულობა. ვილაც ბიჭის ხელში გუ-  
მილევის ლექსების კრებულსაც კი გა-

დაანყდა, პატარა ჯიბის გამოცემას (რომელიც მიტოვებული სახლიდან წამოღებული ერთადერთი ნადავლი).

– ყურებს მართლა აჭრიან? – იკითხა.

– სხვა რამეებსაც. – თითქმის დამცინავად ამბობს პაატა. ისევ დაუნდობელია. – ეს ომია, ჩვეულებრივი ომი, თავისი სიდამპლით და ხანდახან, შიგადაშიგ კეთილშობილების გამოვლენით.

გადასარევეად გასაგები და მარტივი განმარტებაა, გაბრაზდა გოგი. ამას ჭკუასუსტი ხომ არ ჰგონია?

– ომის ყველა განმარტება ბითურობაა, – უთხრა პაატამ. – ომში წასასვლელად ყველას თავისი მიზეზი და მიზანი აქვს, ზოგი საშოვნელადაა, ზოგი სამშობლოს დასაცავად. ზოგი პატრიოტული გრძნობებით ანთებული, ზოგი სისულელით და ზოგი უსაქმურობით მოხვდა აქ. პო, ზოგისათვის სამუშაოა და მოვალეობა აქ ყოფნა. ყველასთვის საერთო კი ის არის, რომ ნებისმიერი მათგანი ნებისმიერ დროს შეიძლება გააგორონ.

ისე, პაატა ბერდიაევს ეთანხმება. კაცობრიობა ომის გარეშე ვერ არსებობს. ფაქტია! ომი საზოგადოებას და ცნობიერებას განვითარებისაკენ უბიძგებს. ომი, სუპერსტრესული სიტუაცია, ადამიანებს სჭირდებათ, რომ დაინახონ, რა შესაძლებლობები აქვთ, რომ შეუძლიათ გმირები იყვნენ; ან პირიქით, როგორი ნეხვები არიან – კაი ტიპი რომ გგონია თავი და მერე საკუთარი ტყავის გადასარჩენად მეგობარს თხასავით გაყიდო, ან საკუთარი ხელით მიახვრეტ. დაინახო, სიცოცხლის ფასი კაპიკია და ამაზე ძვირფასი არაფერი გაგაჩნია. და საერთოდ, ომი ინსტინქტია, კაცური ინსტინქტი, ვაჟკაცობის, ღირსების დამტკიცების საშუალება. ყველა თაობის კაცი უნდა

მოხვდეს ომის ველში, სულდრეულ მართება რომ არ დაკარგოს კაცურმა საწყისმა.

გოგი ვერ ხვდება სად მთავრდება ბერდიაევის ფილოსოფია და სად იწყება პაატას ირონია. მაგრამ უნდა ახლა აქ კაცური თვალთ შეხედოს ამ ყველაფერს და ის გაიგოს, რაც შორიდან არ ჩანდა. რა შორიდან? რალაც ორიოდვე ასეული კილომეტრია თბილისიდან ომამდე და მას თითქოს არ ეხებოდა. ისე, ტელევიზორში შევლებდა ხოლმე თვალს ომის ამბებს, როგორც გადადიოდა სოფელი ტამიში ტენისის ბურთივით ქართველებიდან აფხაზებთან, მერე აფხაზებიდან ქართველებთან, მერე ისევ უკან და პირიქით... ხანდახან მიაგინებდა აფხაზებს, წინაპრების მინას რომ ართმევენ და მორჩა! ახლა მისი შვილი რომ აღმოჩნდა ომში, უცებ გახდა ყველაფერი მნიშვნელოვანი. მისი შვილი სახლში რომ მჯდარიყო, თვითონაც ხომ არ მოხვდებოდა აქ? პაატას რალა უნდა, რას დაეძებს ამ საგიფეთში, რა კითხვაზე – რა პასუხს? რას ამონებს, თავის გამძლეობას თუ ღირსებას? როგორ შეუძლია ახლა ძილი, როცა დღეს ვილაცის ტვინ-სისხლი შადრევანივით აეშხეფა სახეზე. პერანგზე ლაქა ისევ ეტყობა. მაგრამ ვილაც, რომელიც პაატა ხომ უნდა იყოს აქ! რატომ უნდა იყოს? მისი შვილი რომ მოძებნოს და დააბრუნოს, ცოცხალი და უვნებელი.

იატაკზე ნევანან, რალაც ლეიბის ნაგლეჯზე, ტანსაცმლიანი. თავქვეშ შვილის ზურგჩანთა უდევს. ცოტახნის წინ არაფი დალიეს. პაატა მშვიდად ფშვინავს. გოგი ვერ ისვენებს. გვერდები ასე ძალიან რომ არ სტკიოდას ხმელ იატაკზე, ისევ იფიქრებდა, კინოს იღებენო.

იქვე მოშორებით მეომრებს არ სძინავთ, ქალებზე ლაპარაკობენ, მარტივი და ერთი და იგივე წინადადებები, ემოციებიც კი ერთი და იგივე აქვთ. ერთმანეთს უმტიციცებენ, რომ უფრო მეტი და უფრო მაგარი ქალი ჰყავდათ. „აუ, რა ტრაკი ჰქონდა, აუ, რა ძუძუები...“

გოგი გვერდზე გადაბრუნდა და ზემოთ დარჩენილ ყურზე ზურგჩანთის კუთხე ჩამოიმხო. ჩვენ ბოდიში, ვერ გაუძლო თქვენმა დახვეწილმა სმენამ ასეთ ჯარისკაცულ უხამსობას? ისევე გულალმა ამოტრიალდა. ახლა, თითქოს აღარც ესმის ჯარისკაცების სიცილი და ვნებიანად ნათქვამი – აუ, რა ტრაკი... რალაც უფორმო დუღლუნად იქცა ეს ხმები და ისევე იმ ქალს მიანყდა ფიქრი. ნეტა, ამათგან რომელიმეს ისე თუ ჰყვარებია, როგორც მას...

ისე, რა არის სიყვარული? ახლა რალაც გაებნა აზრი, გრძნობა... ის, რომ ოცი წლის შემდეგ ახსოვს ელის კისერი, ტუჩები, მკლავები... არ ავიწყდება ელის ლამაზი სხეული, მკერდი, მარცხენა ძუძუსთავი ოდნავ უფრო გვერდზე ამრეხილი. ის რომ, მერე, ქალიდან ქალზე რომ ინაცვლებდა, მოზომილი სიზანტით რომ აფცქენიდა სამოსს და სულმოუთქმელად ელოდა რალაც ნაცნობის დანახვას, რალაც ელისეულს და გულისფანცქალით ამიშვლებდა, ამიშვლებდა... ხანდახან საკუთარი დაუოკებელი, დაუკმაყოფილებელი ვნებით გაბეზრებული ფიქრობდა, ელი აღარაა ის პატარა გოგო, ალბათ მკერდიც მოემწვარა და უკანალიც. ჰაჰაჰა, როგორღაც ხომ უნდა გააუფასუროს მოუხელთებელი, ნდობა რომ მოთოკოს...

ისევე ჯარისკაცებს მიუგდო ყური. ფეთონაც უყვარს ქალებზე ლაპარაკი

და ცოტა ტრაბახიც, არცაა დასაწყისი თავის რომანებს, მითუმეტეს, თუ ქალიც არ იყო წინააღმდეგი. ქეთის ისტერიაში გადასულ ბრახს კი უმანკო, უცოდველ სახეს ახვედრებდა, რას ამბობ, არაფერი სერიოზული სხვა ქალთან არ მაქვსო. თავის არტისტულ უნარებს ავლენდა, დასცინოდა. რას ერჩოდა? აი, ელიზე კი სიტყვაც არ დასცდებოდა, მხოლოდ ზაზასთან მოიკითხავდა. ზაზა ის რგოლი იყო ელისთან რომ აერთებდა, ელის მეზობელი და გოგის მეგობარი, უფრო ელის მეზობლობის გამო. სხვებთან კი სიტყვა არ დასცდებოდა, ტყუავდა იმის აღიარება, რომ უარყოფილია? არა, უფრო არ ემეტებოდა თავისი ვნებები გასამზეურებელ-გამოსაფენად. ზაზამ რომ ამცნო, ელი გათხოვდა და ქმართან გადაბარგდაო საცხოვრებლად, ისეთივე დიდ აყრიამულეზულ ოჯახში, როგორც თვითონ ჰქონდა, მთელი ღამე სვამდა, სხვებს ეგონათ ქეიფობდა, ერთი სიტყვა არ დასცდენია ელიზე, ქეთი მთელი ღამე დაეძებდა. გოგი ზაზასაც ისე, სხვათაშორის ჰკითხავდა ხოლმე ამბებს, ზაზაც ინდობდა და ასევე სხვათაშორის უყვებოდა სიახლეებს ან იგივეს. გოგი დამშუღლივით ისრუტავდა ამ წერილმანებს.

ამ გაზაფხულზე ქუჩაში მოჰქრა თვალი, გაჩერებაზე, შვილთან ერთად ახლადშეკვირტული ცაცხვის ხის ქვეშ იდგა და იცინოდა. შვილი რალაცას უყვებოდა და იცინოდა. გოგიმ შორიდანვე მოკრა თვალი, მანქანა მოშორებით შეაჩერა და უყურებდა. მზიანი დღე იყო, ელის ცალ მხარზე პიჯაკი ჰქონდა დაუდევრად გადაკიდებული, მეორეზე ჩანთა. ბიჭი აწელილი, დედის სიმალლეს მიტანებული, რალაცას ყვებოდა და ელი იცინოდა. მერე საყელო შეუსწორა შვილს და ლოყაზე აკოცა.

გოგის გამალებით უცემდა გული, ხელები თითქოს უხილავ საცეცებად დაუგრძელდა და მისწვდა, მოეხვია. ელიმ რალაც იგრძნო, აშკარად იგრძნო, კისერზე მოისვა ხელი და გაღიმებულმა უმისამართოდ გამოხედა ქუჩას. გოგის გული აუჩუყდა, გაეხარდა, ისევ ისეთია შორიდან შვილზე ოდნავ უფროს გოგოს ჰგავს. გაეხარდა, გული აუჩუყდა, რომ მისი სანატრული ქალი ისევ ისეთი იყო, ისევ შეეძლო ვნებიან ოცნებებში ჩაეყვინთა და ისევ სდომებოდა აი, ეს! და არა სხვა ქალი.

ისევ ისეთი ლამაზია და ისევ მისია ეს ქალი, როგორღაც, რატომღაც, მასზე გაბრაზებული და სწორედ ამიტომ მისი, რომ სწორედ მასზეა ასე გაბრაზებული.

ის ზაფხულიც ახსოვს, სიყვარულით და ვნებით სავსე. არა, თვითონ ელის ბრალია ყველაფერი – რა ჯანდაბად ნავიდა იმ ზაფხულს თბილისიდან, თანაც მთელი ერთი კვირით?! არ შეიძლებოდა ერთხელ გამოეტოვებინა ეს რალაც ოჯახური ზეიმი? ახსოვს ძველი თბილისური ეზო, ელის დიდი სახლი, მუდამ ხალხით სავსე. ყველას თავისი სტუმარი ჰყავდა ოჯახში ბებია-ბაბუას, დედ-მამას, და-ძმებს, მუდამ ყრიაშული იდგა. ზაფხულობით მთელი სანათესაო თუშეთის რომელიღაც სოფელში იკრიბებოდა რალაც საგვარეულო წარმართული ზეიმის აღსანიშნავად. არა, რას ნავიდა, რას დატოვა გოგი თბილისში უპატრონოდ? ისე, მაშინ გოგიც დაპატიჟეს, უფრო სწორად, დაპატიჟებაც კი არ უნდოდა, ყველა მოხალისე მეგობარს შეეძლო შეერთებოდა. მაგრამ გოგი დასიცხულ თბილისში დარჩა და წყნეთშიც აღმოჩნდა თავიანთი აგარაკის მეზობელ აგარაკზე და ვილაც ნითელსარაფნიან გოგოსთან ლოგინში. თანაც როგორ?! გვერდით ოთახში გა-

ვიდნენ და... და იმღვინდებოდნენ ცელის ყველა თხუთმეტამდე მონაწილემ იცოდა, რისთვის გავიდნენ.

ის ლამე გოგის ცუდად და უსიამოვნოდ ჩარჩა. ბიჭების შურნარევი შეძახილიც კი – „ეა, რა მაგარი ხარ“ – ვერ შეირგო და ვერც ის ნითელკაბიანი ნაშა. ელი კი ძალიან მოენატრა. ერთ კვირაში დაბრუნდა ელი, როგორც შეპირდა. სკვერში, ხის ძირას იდგნენ. ელი დუშმა და არაფერს ამბობდა. არაფერს ამბობდა, მაგრამ თვალელებში კითხვა ისე გამჭვირვალედ ედგა, არშემჩნევა არაფრით არ გამოდოდა და გოგის როგორღაც თავისით დასცდა, ეს უბრალოდ სექსი იყო.

გოგი ახლაც ხედავს თავის თავს იმ შუშის თვალელებში. ელის სახეს კი – ვერა. მერე შემოქნეული ხელი, მოუქნეული, მწარე გარტყმა. ის გოგო – ელი, ხელს იქნევს, გოგი არ გრძნობს გარტყმას, მხოლოდ ხედავს როგორ იბზარება მისი სახე ელის გაფართოებულ გუგებში და ნაწილ-ნაწილ ჩამოიშლება, როგორც კინოში შენელებულ კადრში ჩამომსხვრეული მინა.

მერე ელი გატრიალდა და ნავიდა, თითქმის გაიქცა. გოგი იდგა და უყურებდა, ვერ გაბედა გადევნებოდა. იქნებ, მაშინ უნდა გადევნებოდა, მუხლებში ჩავარდნოდა ან გულში ჩაეკრა და ეთქვა, რომ ძალიან, ძალიან უყვარს, რომ მართლა ნანობს წყნეთის იმ წყეულ ლამეს. არა, ასეთი რა რისხვა და ბოღმა აღმოაჩნდა მზიარულ, გულლია ელის, რით ვერ აპატია?

ერთ ხანს გრძელ ტექსტებს თხზავდა, რა ეთქვა ელისთვის, როგორ მოეპრუნებინა, მაგრამ როცა ურეკავდა, ხმას ველარ იღებდა. ელი გულთმისანივით უნდა მიმხვდარიყო მის ნაფქრალს. ელი კი დუშმა. მერე გაბრაზდა, რა გახდა ასეთი ეს ელი, მაგას რა ჰგონია, სხვას ვერ იპოვის თუ? და იპოვა



ქეთი, კარგად აღზრდილი, კარგი ოჯახის შვილი, ლამაზი და მუდამ საბანკეტოდ გამოწყობილი, მუდამ ფორმაში მყოფი. ლამის ლოგინშიც. აი, სიყვარული კი... ჯანდაბას სიყვარული, მაგრამ სიახლოვეც კი არ გამოვიდა. გოგის ძალიანაც არ შეუნუხებია ამისთვის თავი. ეგონა, ქეთისათვის რაღაც თავისმოსანონებელი სამკაული უფრო იყო, გამოპრანჭულ-გამოწყობილი თამამად და ამყვად გაივლიდა - მისი ქმარი ცნობილი ქირურგის შვილი, ცნობილი მსახიობი. ქეთის რას ერჩის, თვითონაც ეგეთი არ იყო? მანქანაში ქეთი გვერდით რომ ეჯდა, თავდაჯერებულად გრძნობდა თავს, კაცად, ლამაზი ქალი, მისი საკუთრება რომ ახლავს. თუ ქეთი არ იყო, უნდოდა ვიღაც მჯდარიყო მის გვერდით მანქანაში, თუნდაც შემთხვევით გამვლელი ქალი. ასე უფრო ლალად გრძნობდა თავს. მერე ბიჭი რომ დაიბადა, ისიც კი ლამის თავიანთი აღკაზმულობის ნაწილად აქციეს და მიმტყვებელი ღიმილით იღებდნენ ბიჭის მიმართ გამოჩენილ ყურადღებას - დედაა, რა ბავშვია, რა ლამაზია, ტაკუნები, კუტუნები, პუნნი, პუნნი... „აბა, რა იქნება ასეთი დედ-მამის პატრონი?“ სახეზე ამყვი თავდაჯერებულობით ეწერათ გოგის და ქეთის. ელი კი მაინც არ ავინყდებოდა და გაჯიუტებული იმასაც ცდილობდა, იმ საერთო სუფრებზე თუ ზეიმებზე აღმოჩენილიყო თავის ლამაზ ცოლთან ერთად, სადაც ელი იქნებოდა, ეჩვენებინა, რომ მის გარეშეც მშვენივრად ცხოვრობს.

მერე დაიღალა ელის ძებნით, მისი დასჯის სურვილით, დანებდა - რაკი ასე მოხდა, ასე უნდა მომხდარიყო. მოკლედ, ბედი და მისთანები. ერთი-ორჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს რაღაც საერთო მეგობარულ ზეიმზე ზახასთან, ელიმ, გამარჯობაო. გოგის

გული აუჩქროლდა და მისკენ დასწრის ძალამ თავისით მიიზიდა, მაგრამ ელის შეუვალ მზერას დაეჯახა - ეს მხოლოდ ზრდილობის თამაშია, მაყურებლისათვის. ფარისეველი! ამ ნიღბის მიღმა რა იყო - სიძულვილი, რისხვა? არა, ახლა იცის, ელის თვალელებში იმდენივე სურვილი და მონატრება იდგა, რაც თვითონ მასში და შიში - ამას ვერ მოერევა. არა, ელი ძალამ და რისხვამ კი არა, უმნეობამ გააქცია, მზად არ იყო ლალატისათვის, როდის არის ადამიანი მზად ლალატისათვის? არა, ეგეთი ელი არც უნდა, ლალატს და შეურაცხყოფას რომ ჩაყლაპავს. მაშინ, ელის რომ გაეკეთებინა და ეთქვა იგივე, თვითონ აპატიებდა? არა, არც ეგეთი ელი უნდა.

უნდა გაკიდებოდა მაშინ, გულში ჩაეკრა და ეთქვა რასაც გრძნობდა. კარგია სინდისის დასამშვიდებლად, რაკი ასე მოხდა, ასე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ახლა მისი შვილი რომ დაიკარგა, მის შვილს რომ რამე მოუვიდეს და ვინმემ უთხრას, ასე უნდა მომხდარიყო - მოკლავს!

იმ ღამეს გოგის ელი ესიზმრა, ხის ქვეშ იდგა და ტიროდა. ვარშემო უამრავი ხე იდგა და გოგიმ იფიქრა, ტყეში რა გვინდაო. დილით გული დანყდა, ბიჭი რომ არ დაესიზმრა. პაატას ჰკითხა, სიზმარი თუ ნახეო? პასუხად - არა, სიზმრებს არ ვხედავ. - სიზმრებს ყველა ხედავს, არ გახსოვს.

- ალბათ, - უშფოთველად დაეთანხმა პაატა.



მეორე დღე ისევ პაატას ყურნალის შევესება-გაფერადებას შეენირა. პოსპიტალიდან დაიწყეს. ქირურგები, სულ ახალგაზრდა ბიჭები მთავარმა



ექიმმა და მათმა ავტორიტეტმა – ბატონმა არჩილმა წამოასხა. ამით რაღა უნდათ აქ? საჭირონი კი არიან, ჭრიან და კერავენ დაჭრილებს, ვინც მოხედებათ ხელში. სცადა, გაერკვია, ევალებათ ბიჭებს ომში ყოფნა თუ მოხალისეები არიან. მოვალეობა? ვინ ასრულებს ამ ქვეყანაში მოვალეობას, თუ არ გინდა – არ ნახვალ. ვახ, ესენიც იდენინად არიან აქ?! ომობანანათამაშევ ბიჭებს და ომზე კინონაყურებთ საკუთარი თავის გამოცდა უნდათ – ომის რომანტიკა უხმობთ! არა, რაში აინტერესებს, ვინ რაზე ფიქრობს, ფეხებზე არ ჰკიდია?! მთავარია თავის ბიჭი იპოვოს.

გოგისთვის აქ ახლა ყველაზე საინტერესო დაჭრილი აფხაზი – ტყვე რომა ინალ-იფაა. დაველაპარაკებო, პაატას სთხოვა. ბიჭი ფერდში და მარცხენა ხელშია დაჭრილი და ამიტომ თითქმის სანახევროდ შებინტული. ბევრი არაფერი იცის აფხაზებზე, აკაკი წერეთელი ახსენდება – „ინალ-იფას ლურჯი ლაფშა...“ დაჭრილი ინალ-იფა ძირითადი კოზირია – მისი შვილი, კიდეც ორი ბიჭი და კიდეც თერთმეტკაციანი სამარხი რომ დაუთმონ აფხაზებმა. ინალ-იფას ქართული მხრიდან კიდეც ერთი აფხაზი ტყვე და სამიცი მიცვალებული ემატება.

ინალ-იფა ოციოდელს ნეერებიანი ბიჭია, საკმაოდ დაკუნთული, მაგრამ ნეერებზეც ეტყობა – ჯერ უმნიფარი კაცია. მკვებედ, უხიაგად გამოხედა, მაგრამ აქაც ეტყობა უმნიფრობა. სიგარეტი ხომ არ გინდაო, ყველაზე კაცური და ნეიტრალური იკითხა თავის ჭკუაში გოგამ. ნადი შენი, შემოულრინა იმან. რა დიდ გულზეა დაჭრილი და თანაც ტყვე?! გმირს თამაშობს, ბოლომდე თუ ითამაშებს? აბა, მამუკა დაადგეს ავტომატით, თუ შერჩება კიდეც ღირსება? აქ არჩილთან და პა-

ატასთან გასდის გმირობა, მაგრამ პატარა ბიჭია და, ალბათ, კარგიცაა, გმირად ყოფნა რომ უნდა. ისეთივე ბიჭია, როგორც მისი, რაღაცით თითქოს გავს. რითი? ორივე ომობანას, გმირობას თამაშობს, სამშობლოს იცავენ და ორივეს სჯერა, რომ მართალია. მისი შვილი როგორ არის ახლა, ვინმე ხომ არ ჩაგრავს, მაგათი.. მაგრამ ინალიფას შემოღრენა არაფრად ჩაუთვალა და უთხრა ჩემი შვილიც ტყვეა და უნდა გაგცვალოთო. ასაკი ჰკითხა. ყალყზე შემდგარი ინალ-იფა ჩაცხრა, ოცის ვხდებიო, რატომღაც უპასუხა. ომი რომ არ ყოფილიყო, შენ და ჩემი შვილი შეიძლება ერთმანეთს შეხვედროდით და მეგობრები ყოფილიყავითო.

– ომი თქვენ დაინწყეთ, მე ჩემს სახლს ვიცავ! მე არავის მივევარდნივარ, თქვენ მოხვედით აფხაზეთში, ჩვენ ხომ არ მოგივარდით საქარველოში. – თითქოს თავი იმართლა ბიჭმა.

– რამ გაცო აფხაზეთი და საქართველო? – გულწრფელად გაიკვირა გოგამ.

– ჩემთვის გაცოფილია. – ისევ გაუმკვავდა ხმა აფხაზს.

– კარგი, შვილო, ღმერთმა გიშველოთ შენც და ჩემ შვილსაც. – ისევ რაღაც მისთვის უჩვეულო წამოსცდა – შვილო. უმცროსებთან მამაშვილური არა, უფრო მეგობრულ-ბიჭური უჭირა. ახლა რა ეტაკა, მისი შვილი რომ არ იყოს ტყვედ, თუ იქნებოდა ასეთი შემნდობი და მამური?

ბიჭი კი მოლბა, ერთი ღერი მომეცითო, ისე, დიდი მწვეელი არა ვარო.

– არც მე, მაშინ ვენვევი, როცა ვხვამ და ომში. – ჩაიცინა. მერე მთლად მშობლად იქცა. – რამე ხომ არ გჭირდება?

– გეშინია, არ მოგკვდე და უსარგებლო ნივთად არ ვიქცე? – ისევ და-

იღრინა ბიჭმა, მაგრამ უფრო რბილად, მოვალეობის მოხდასავეთ. — ისე, მე მკვდარიც ძვირი ვღირვარ, ინალ-იფა ვარ. — თითქოს ირონია შეერია ხმაში.

— ცოცხალ ადამიანთან ლაპარაკი მირჩევნია და თუ ძვირად ფასობ, მით უკეთესი, ჩემი შვილიც ცოცხალი მინდა დამიბრუნდეს.

— არც მე მინდა ომი, — თქვა ბიჭმა, — სტუდენტი ვარ, მოსკოვში სამსახიობოზე ვსწავლობ.

ეჰ, კოლეგა!

მერე გოგამ არჩილს უკითხა, ინალ-იფას რაც საჭიროა, თუ გაუკეთეთო. არჩილმა იწყინა კიდეც, — მე ექიმი ვარ, ეს ჩემთვის დაჭრილია, პატარა ბიჭი. ორ კვირაში კაჟივით იქნება. დამთავრდება ეს საგიჟეთი, სიკეთე გაახსენდება და კაცი დადგება.

ვინ იცის?!

ერთი საათის შემდეგ პაატასთან ერთად სოფლის შარაგზას მიუყვება. პაატას მხარზე ბოსტინიდან ამოდრობილი სარი აქვს გადებული, ზედ თეთრი ნაჭრის ნაგლეჯით. მშვიდობის, ზავის თუ რაღაც ამდაგვარის ნიშანი. ოდნავ ირხევა დროშა ნიავის შემოქროლვაზე, კარგია რომ აბრეშუმისაა, უფრო კარგად ერევა ნიავი. ჯერ ეგრეთნოდებულ ქართულ ზონას, ქართულ ნაწილებს გასცდნენ, მერე ქართველი ძაღლების ყეფამ და ადამიანების ხმამ თანდათან იკლო და ბოლოს ნიავის შემოტანილ შორეულ ძაბილად იქცა. მერე შარაგზა სულ დაცარიელდა, ჭრიჭინების ჭრიალი აუტანელი გახდა და მაშინ იკითხა — შეიძლება გვესროლონ? და მაშინ წამოსცდა ბოსტნებით ნავიდეო. მერე ძაღლების ყეფა გაძლიერდა, აფხაზი ძაღლე-

ბის, ძროხის ზმუილიც მოესმა, ხანდახან ლიანი.

ეს გზა არაერთხელ გაუვლია პაატას, ან ამდაგვარი. როგორ მიდიოდა მარტო? რაღაცნაირი მარტოკაცია. შეიძლება ბევრი მეგობარიც ჰყავს, მაგრამ მარტოკაცია მაინც. ბავშვობაში ალბათ რბილი იყო, მეოცნებე და მფრთხალიც. მარტოობაში გასქედა თავისი სიძლიერე. მაგრამ ამასაც უნდა თბილი და საიმედო, ერთგული ადგილი, სადაც ღიად და დაუფარავად, თამაშის გარეშე იტყვის ყველაფერს. ადგილი, სადაც შეგიძლია ჩუმად იყო და უხეზულად არ იგრძნო თავი. ამასაც უნდა ხანდახან ჩარგოს თავი საიმედო კალთაში და ატირდეს! ფუ! რა ლაჩრული სიტყვაა ატირდეს. ჰო?!

— იარაღს რატომ არ ატარებ?

— რა აზრი აქვს, რას მიშველის?!

— ერთ მტერს მაინც გაიყოლიებ.

— გაიყოლიებ რა, ქეიფში მივდივარ, მირჩვენია ამ ქვეყანას ვიყო და გაყოლიებაზე უარს ვიტყვი.

გოგის თუ შუძლია აქ დარჩენა და ბრძოლა? შეიძლება ესროლოს კიდეც ვინმეს, მაგრამ ჯერ ბიჭს გაიყვანს. მერე შეიძლება დაბრუნდეს, ომი ამ პატარა ბიჭების საქმე არ არის. იქნებ, პაატას მიეხმაროს დაკარგულების, დატყვევებულების მოქმენაში ან სულაც საფლავების გათხრაში. ბოლო ყველაზე დამორგუნველია, მაგრამ ვილაცამ ხომ უნდა გათხაროს, რომელიმე ნეკროფილმა. კარგი, არ იქნება ლაჩარი, მაგრამ ვის ებრძოლოს, აფხაზებს? ვინ იცის, ვინ არის მართალი, ან საერთოდ თუ არის ვინმე მართალი? ვინ იცის, რატომ ითელება და ვინ როგორდება ხანდახან მინა ადამიანებისათვის, რატომ ველარ ეტევიან ხოლმე? არჩილის და მისი ბიჭების ესმის, ექიმები არიან, დაჭრილებს შველიან. თვითონ იმ აფხაზ ბიჭზე რატომ იზ-

რუნა, იმ იმედით, რომ სადღაც იქით მის შვილსაც ვილაც დაინდობს და უპატრონებს?!

- რაში გვჭირდებოდა ეს ომი?

- რომ დავამტკიცოთ, ჩვენები კარგები ვართ და ისინი ცუდები, ჩვენ მართლები და ისინი დამნაშავენი.

- იმათ?

პაატამ ცერად გადმოხედა, ოდნავ ჩაიღიმა, - რომ დავამტკიცონ, რომ ისინი არიან კარგები და ჩვენ ცუდები, რომ ისინი არიან მართალი და ჩვენ მტყუანი.

ეკაიფება? პაატა მშვიდად მიაბიჯებს, „ფუვაჩკას“ ლეჭავს.

- რა გალექინებს ამ სიცხეში? - შეულრინასავით.

კიდევ კარგი, შემახსენო, გაეციონა და ლონივრად გადააფურთხა. ბერდიავიო, „ფუვაჩკა“ კი ისე ლონივრად გადააფურთხა. ისე, რას უშლიან ფუვაჩკა და ბერდიავიო ერთმანეთს? არც არაფერს.

მერე შეთანხმებულ ადგილზე, ქლიავის ხესთან, შეხვდნენ ბატალტბარს. მოშორებით ავტომობილიანი კაცები დგანან. ოდესღაც მეგობრები ერთმანეთს ხელის ხანმოკლე ჩამორთმევით მიესალმნენ. სხვა დროსაც, შეიძლება ერთმანეთს არ ჩახუტებოდნენ, მაგრამ მხარზე ხელს მაინც შემოჰკრავდნენ ერთურთს. ახლა დავთრები დააძრეს და ცოცხლებისა და მკვდრების ოდენობა გადაამოწმეს. პაატამ ქლიავის ტოტი მოიზიდა, ჭამენ მნიფე ქლიავს, კურკებს აფურთხებენ და მეორე დღისთვის შეხვედრის ადგილს აზუსტებენ. გოგი დამუნჯდა, ვერ იკითხა ჩემი შვილიო. თვითონ უთხრა ბატალმა, ხვალ დილიდან ცეცხლის შეწყვეტაზე შევთანხმდებით და დღის ორი საათისათვის შენ შვილს ცოცხალს და უვნებელს ჩაგაბარებთო. ერთი ქლიავი ჩრდილიანი მხრი-

დან თვითონაც მოწყობდა, ჭამდა იქო. სალი ნაწილი ნააკბიჩა. ასეთი გემრიელი ქლიავი, გრილი და გრილად მომყავო არასოდეს უჭამია.

დაღამებულზე ზღვაში ეყარნენ, გოგი წყლის ზედაპირზე ტივტივებდა და ახლა აბსურდის თეატრში ეგონათაი - მისი შვილი სად არის, როგორ არის - არ იცის და წყალში ჭყუშპალაობს. უცებ ცა განათდა. დიდი, მრგვალი გირლიანდები დაეკიდა ქალაქის თავზე.

- ამას ლუსტრას ეძახიან, - გაანათლა პაატამ, - გაგვანათეს, დაგვათვალეიერეს, ახლა დაგვბომბავენ.

გოგიმ ხელები სწრაფად მოუსვა.

- არა, აქეთ არა, იქით ბომბავენ. - ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა ხელი.

დაბომბვასაც უყურა, შორიდან. კარგია, რომ შორიდან. ერთ საათში აბსურდი გაგრძელდა. პაატას სოხუმელი მეგობრის სახლში ისხდნენ. პაატა ბარაქიანად უსვამდა პურზე კარაქს და ყველის ნაჭერს ადებდა. ლონივრად ლეჭავდა, ჯანმრთელად. ტუჩების რბილი ხაზი აქვს, უფრო ქალური. მსუნავი იქნება, ტკბილეულიც ვეზარება და ქალებიც. ვენებიანი საყვარელი იქნება, მაგრამ იმ ქალთან, ვინც მოსწონს - მორცხვი და გაუბედავი. მიუნჯდომელ ქალებს, ალბათ, არ მისდევეს და არც გოგისავით ნევროზს დამართებს - მთელ ცხოვრებას ერთ ქალზე ოცნებას არ გადააყოლებს.

მერე ტელევიზორს უყურებდნენ და პაატა და მისი მეგობარი იცინოდნენ, ლამის სიცლით კვდებოდნენ „მისტერ ბენიზე“, თუ რალაც ვეგთ სი-

სულელზე. „ტომი და ჯერიზეც“ იცინებენ ეს კრეტილები. თვითონ რომ დარჩეს აქ ერთი-ორი კვირა, სროლას და გვამებს ნატურაში რომ უყუროს?!

ის ღამეც, როგორც იქნა, გათენდა. დილაადრიან მიკროავტობუსის საჭეს მიუჯდა პაატა, გვერდით შავოსანი მამა მოისვა, უკან გოგი, რომა და კიდევ ერთი აფხაზი ტყვე და სამიცი მიცვალებული მოთავსდნენ. მშვიდობიანად გადავიდნენ, ქართველებმაც და აფხაზებმაც სიტყვა შეასრულეს – აცალეს გადასვლა. ჯერ თავიანთი წილი ტყვეები გადასცეს. გოგი შეშინდა, ჩვენები რომ არ მოგვცენო?! პაატას გაელიმა კიდევ – ეგეთები არ მოსულა! მერე საფლავთან მივიდნენ და მამა დატოვეს მის გასათხრელად, ვიდრე თვითონ მეზობელ სოფელში თავიანთ ხალხს ჩაიბარებდნენ.

სოფლის ცენტრში, სოფლის კლუბთან თუ რალაც ეგეთთან შეჩერდა მანქანა. რამდენიმე ქალი იდგა შენობის წინ. ტბარი შიგნით შევიდა და მალევე გამობრუნდა, ქალებს ჰკითხა, საით წავიდა სამხედროების ჯგუფიო. ტყვეები უნდა გადაგვეცვალო, ისიც კი უთხრა, ერთი ამის შვილიაო. ქალებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ სოფლიდან უკვე გავიდნენ. დაღლილი და სევდიანი თვალები ჰქონდათ. გოგის პირი აარიდეს, თითქოს. ბატალმა, მე გავარკვევ, თქვენ საფლავთან დამგლოდეთო.

უკან მიბრუნებულებს საფლავის ბორცვი ხელუხლებელი დახვდათ. მამა იქვე იჯდა, უფრო იდო, მუხლებში თავჩარგული. ბორცვზე ალაგ-ალაგ ბალახი იყო უკვე ამოღებული. რალაც ცისფერი ყვავილებიც დალანდა. და

კიდევ ერთი გერმანული სიტყვა გახსენდა, ამ ცისფერი ყვავილის სახელი (დოიჩეს ნაკვალევი!) – „ფერგისმინიხთ“, რუსულად „ნეზაბუდკა“ ჰქვია, ქართულად? კესანე, დაღლილად თქვა პაატამ. გოგი მზად იყო ყველა სისულელეზე ელაპარაკა, ოღონდ არ... მაგრამ საფლავი გასათხრელი იყო. შავტანსაცმლიანი მამა მკვედარივით დევს მინაზე. პაატამ და გოგომ თხრა დაიწყეს. და უცებ მიხვდა, რომ თავდავინყებით თხრის, იმიტომ, რომ მისი შვილის საფლავი არ არის, ან იმიტომ რომ დარწმუნდეს, იქ არ დევს მისი შვილის გვამი. ვერც იქნება ორი კვირის წინანდელ საფლავში, ერთი კვირის წინ წამოვიდა საომრად. მაგრამ მაინც ბედნიერი ჩახედავდა სამარხს, სადაც მისი შვილი არ იქნებოდა და ვერც იქნებოდა.

მინა რბილი იყო და ფხვიერი. მერე ბუზების ზუზუნმა იმატა და ბარიანად გაუშეშდა ხელი. და მერე უფრო ფრთხილად აცლიდნენ მინას, მერე ფრთხილად იღებდნენ გვამებს და გერმანულწარწერიან თეთრ ელვაშესაკრავიან ტომრებში აწყობდნენ. და ელვაშესაკრავს, ზუზუმში ერთი ხელის მოსმით კრავდა პაატა. მეთერთმეტეც ამოიღეს. ახლა მანქანაში უნდა ჩაალაგონ. ავტომატიანი კაცები დგანან მოშორებით, მაყურებლები. შებინტული ინალ-იფაც მათ შორის დგას, თავისიანებში. ბარიც ამოიღეთ, თქვა პაატამ. საფლავში ჩარჩენილ ბარს ჩახედა, რალაც დაუფიქრებლად ჩახტა, ზევით ამოაგდო, თვითონ წელზევით სანახევროდ ამოიზიდა ორმოდან, იქ მყოფებს გადახედა – შავოსანი მამა ისევ ისე გვერდზე გადავარდნილ-გადანოლილი, თეთრი ტომრები და პაატა, ავტომატიანი მკვავხესახიანი კაცები.

ამოიტანა ტანი ზევით, ამოიზიდა

და შეჩერდა საფლავის კიდეზე. უცებ გაბრაზდა, გაეცინა, გაცოფდა. ხა-ხა! ახლა იწყება ჩემი არტისტიზმის გამოცდა. პუბლიკაც აქაა!

- რას მიყურებთ? - მიუბრუნდა ავტომატიან კაცებს. - ხედავთ ამ ტომრებს, აი, აქ ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება აღმოჩნდეს, იმიტომ, რომ კრეტინები ვართ და ნაბიჭვრები. ჭიები კი ისე დაგვხრავენ, ვერ გაარჩევენ რომელია აფხაზი, ქართველი ან გერმანელი. რას მომჩერებიხართ, კრეტინები ვართ, აბა, რა მინდა ახლა მე აქ, ან თქვენ რა ფეხებზე გინდათ ავტომატები, საქმე გამოილია ამ ქვეყანაზე? გასაკეთებელი არაფერი აღარ დარჩა?

რომელიღაცამ ავტომატი მხრიდან ჩამოასვენა, გვერდზე გადააფურთხა და შეაყენა.

- აჰა, მესროლე! - ხელის ერთი მოძრაობით მკერდზე შემოიხია პერანგი, ლილები დაგორდა მის წინ ნაფერდებულზე, თვალი მიაყოლა, ერთი ცისფერ ყვავილთან შეჩერდა. - მესროლეთ, ძაღლისშვილებო! ასე ვამბობდი ერთ სპექტაკლში. მე, ბატონებო, არტისტი ვარ, არ-ტის-ტი! ძლივს ნატურაში არ გამომადგა ჩემი გამოცდილება. ავერ, ბატონო, პაატას ცარიელი ტომარა აქვს გამზადებული, თუ გნებავთ, საფლავიც მზად არის, მერე რომელიმე აქოთებულ მიცვალებულში გადამცვლით.

- მესროლეთ, თქვენი... რათ მინდა ეგეთი სიცოცხლე, აყროლებული მიცვალებულიც სახეენი რომ გექნება. ეგ არის კაცობა, თქვენი... არ მეშინია სიკვდილის, აჰა, მესროლეთ, მაგრამ ეგ თქვენი ომი სირობაა. ვინ ვარ? ერთი უნიჭო მსახიობი, პამლეტი მინდოდა მეთამაშა და რევოლუციონერებს ვთამაშობდი. ახლა ვითამაშებ შექსპირს, ნახავთ ნამდვილ ტრაგედიას.

ხომ არ გგონიათ, თქვენი შეჩერება სიკვდილის?! ყოფნა?! არ ყოფნა?! აბა, რას მომისჯით, რომელი ხართ მიქელ-გაბრიელი? თქვენ გგონიათ გიყი ვარ? მე ვიცი, რომ მსახიობობანას ვთამაშობ, თქვენ კი, ვითომ ვაუჟაკები, ხალხს ხოცავთ, მარხავთ და მერე ისევ თხრით. გიყები თქვენ ხართ! ნეკროფილებო!!!

ავტომატიმომარჯვებულმა აფხაზმა კონდახი მხარზე მიიბჯინა. პაატა ნამოემართა, ავტომატიანებსა და გოგის შორის ხელგაშლილ-აღმართული ხმას ველარ იღებდა. მერე რომა აეფარა პაატას, რაღაც აფხაზურად თქვა, ხელი აუქნია ავტომატიანმა, ისევ თქვა რაღაც ბავშვურად ხმააკანკალე-ბულმა ინალ-იფამ. დაუშვა ავტომატი აფხაზმა, ისევ გადააფურთხა, გატრიალდა და წავიდა. გოგი ჩაჯდა და ატირდა. პაატამ ახლა მაგის დრო არ არის, ანუ ტირილის. ჰო, ტირილის და გატრაკების, ახარხარდა გოგი. მის ხარხარზე დავარდნილი მამა გამოფხიზლდა, ნამოდგა და პაატას შეეშველა ტომრების ჩატვირთვაში. ჰო, თავის გაგიყების დრო არ არის, მონოლოგიც დამთავრებულია! ტაში! აპლოდისმენტები!

ჩატვირთეს! გაამგზავრებენ თბილისში და ახლა იქ ჩაფლავენ მინამი მინიდან ახალამოთხრილებს, ისევ ერთად, არ ეცოდინებათ რომელი მიცვალებული რომლისაა. უმრავლესობა არ დაიჯერებს, რომ მისი შვილი ამ გახრწნილ გვამებს შორისაა და ჯიუტად მოსთხოვს პაატას მოძებნოს და დაუბრუნოს ცოცხალი შვილი! ისევ მოტრიალდა ჯგუფად მდგარი აფხაზებისაკენ, როგორ შეარჩინოს ეს სასაფლაო, შეაგინოს? თუ თავი შეაკლას? ინალიფა მოუახლოვდა, გადაირევი ადამიანი, ხელი გამოუნოდა დასამშვილებლად. ეს კი არის გმირობა, გამჭებ-

ბული ავტომატიანი კაცების გვერდით მტერს, ორი წუთის წინ რომ გაგინებდა, ხელი გაუნოდო ჩამოსართმევად. ამის კეთილშობილება და გმირობალა აკლია! ხელი კი შეაგება, მინით დასერილი, - ჩემ შვილზე თუ რამეს გაიგებ, მახედე. - მხარზე ხელი დაჰკრა, მსუბუქად, თბილად.

- ვიპოვი და ბატალს შევატყობინებ. სიტყვა სიტყვაა.

ეროპორტში მამა და მიცვალებულები მანქანიანად და რალაც ქალაქდებიანად ვილაცას გადააბარეს. პოს-პიტალში მიბრუნებულებს ამბავი დახვდათ, „ავლანელთა კავშირის“ ბიჭები თვითონ გავიდნენო აფხაზებზე და ვილაცები გადაცვალესო. ვილაც ბატარა ბიჭიც არისო მათ შორის. ამის მომტანებმა ტყვეობიდან გამოხსნილთა გვარები და სახელები არ იცოდნენ.

- ტყუილი იქნება, - თქვა პაატამ, - დღეში ცხრა ეგეთი ჭორი ვრცელდება. შენი ბიჭი რომ იყოს, ბატალი შემატყობინებდა.

იქნებ ვერ გაიგო, არ ნებდება გოგი, გავიდეთ ნაწილში და შევამონმოთ. ნავიდეთ, მაგრამ ნაკლები ალბათობაა. ამის ალბათობები უნდა ახლა? ღამის გაუქნოს. შაისე! პაატა რაციის აწვალებს. კავშირი არ არის. სერგო მანქანას უჩხიკინებს. გოგი გამეხებული ზის მინაზე.

- ამის დედა... - სერგომ წიხლიც მაყოლა საბურავს. ლოყაზე დაცურებული ოფლის წვეთები ხელის ზურგით აწმინდა და მაზუთით გაზინთული ხელისგულები საჯდომზე ჩამოისვა, - დღეს არაფერი აღარ ეშველება, საერთოდ თუ ეშველა. - გოგის თვალებს

მზერა აანყვიტა და დანგრეულ-ცხელი ლის დაადულა.

- იქნებ...

- უკვე ბნელდება, აზრი აღარ აქვს, დღეს მაინც ვერ ნავალთ. სიბნელეში ან ჩვენები გაგვაგორებენ, ან ისინი. - გადაწყვეტილებას იღებს პაატა. გოგის იმედიანი „იქნებ“-ის საპასუხოდ პაატას დასკვნა ერგო, - ხვალ.

ზღვაზე ჩავიდეთ, ვიბანაოთ, მერე ექიმებთან ავიდეთ, რამეს გვაჭმევინ და ცოტა ადამიანურად დავიძინებთო. ისევ ის ნყვეტს, ისევ ის უგეგმავს ცხოვრებას. მისი შვილის ბედიც ამ ნაბიჭვრის ხელშია. მაგის დედაც!.. მაინც მიყვება სანაპიროზე, მხარდამხარ არა, რამდენიმე ნაბიჯით უკან. ესმის, წინ მიმავალი პაატა გეგმავს ხვალ ექვს საათზე ადგომას, მანქანას დღესვე იშოვის, უარს არ ეტყვიან. ნამდვილად იშოვის. მაგრამ ამ ღამეს რა გაათენებს?!

უკან მიყვება, მათ მხარდამხარ სიარული არ უნდა, მაგრამ სამ ნაბიჯზე მეტად არ შორდება, თითქოს უხილავ მოკლე ჯაჭვზე დაბმული ძაღლია. ის და მისი ბიჭი ახლა პაატაზე არიან მიბმული, იმ ადამიანზე, სამი დღის წინ რომ ნახა პირველად და მისი ცხოვრების ნაწილად იქცა, მისი ბედის განმსაზღვრელად. სამი დღეა არ მოშორებია, სამი უსასრულო დღე და როცა ყველაფერი თითქოს დასასრულს მიუახლოვდა ახლა ისევ! კიდევ! კიდევ ერთი ღამე! რა გაათენებს...

ქვიშაში ჩაჯდა, თბილია, ჯერ არ განელებია მზის სითბო, შიშველი ფეხები სილაში ჩაფლა. პაატა იხდის, წყალში ჩადიო, მხარზე ხელი დაჰკრა. ამის თანაგრძნობა და მზრუნველობა ფეხებზე ჰკიდია... და მაინც გული უჩუყდება. რა მოუვიდა ამ სამ დღეში, ხან ქვავდება, ხან უბრალო შემოხედვაზე, შეხებაზე შეიძლება ატირდეს.

ქვიშაზე დანვა, ესიამოვნა თბილ-  
აგრილებულ სილაზე ბეჭების გაშლა.  
თავისთვის აგდია. მზის დარღვეულ  
დისკოს გახედა უკვე ფერებად დაღე-  
რილს ზღვაში ნახევრად ჩაყვინთულს.  
ტირილი მოუნდა და არც ეტირება,  
ყვირილი მოუნდა, ღრიალი და ვერც  
ეყვირება. რა გაათენებს ამ ღამეს, რო-  
დის ამოვა მზე, დღეებად, საათებად,  
ნუთებად, წლებად, რომ ანანილებს  
მის სიცოცხლეს? ცოტა ხანს ეგდება,  
მერე ავა, მანქანას იშოვის და თვითონ  
ნავა, თვითონ ნახავს. ზღვას გახედა,  
უფრო პაატას, სად ჯანდაბაში გაცუ-  
რა, ახლა რომ დაბომბონ... პაატაზე  
ზრუნავს, თუ თავის თავზე? პაატას  
სიცოცხლეზეა ახლა მისი შვილის სი-  
ცოცხლეც მიბმული. ახლა აქ სანაპი-  
როზე აღარც პაატასი ერიდება და  
აღარც საკუთარი თავის. ლაჩრობაა,  
ამ საგიჟეთში რომ ატირდე, დაფრთხე  
და საკუთარი თავი და ადამიანები  
გძულდეს? მოიკუნტა, ტირილი უნდა  
და არც ეტირება, სხული დაუმძიმდა,  
შიგნით რალაც ჩაელვარა, ჩაეკირა  
მძიმედ, სულში, თავში...

ეყოფა წინტლების ჩამოშვება, ახ-  
ლა ადგება, ავა არჩილთან და მანქა-  
ნასაც იშოვის. ხვალამდე ვერ დაიც-  
დის, ამალამდე უნდა გაარკვიოს, ვინ  
გადმოვიდა. ფეხსაცმლიდან ქვიშა  
გადმოფერთხა, შიშველ ფეხებზე ამო-  
იცვა, პაატას და სერგოს ხელი დაუქ-  
ნია, ნავედით.

პაატას და სერგოს აფეთქების ხმა  
მაშინ შემოესმათ, ტანსაცმელს რომ  
იცვამდნენ. ყრუდ, მაგრამ მიმართუ-  
ლების შემცველი ინფორმაციით. ორ-  
სამ კილომეტრში იქნება, ტყეში დაას-

კვნა პაატამ. მერე ეტირებისგან გავი-  
რომ გოგი ავლანელთან რაზმიდან გა-  
დახვევაზე ამოსულ ბიჭებს გაყვა,  
თუმცა ბიჭებმა არ იცოდნენ დაუს-  
ტებით, ვინ გადაცვალეს ავლანელე-  
ბმა" ან თუ მართლა გადაცვალეს.

სამ კილომეტრში აფეთქდა მანქა-  
ნა, ვინ იცის ვის დადებულ ნალმზე.  
მანქანაში მსხდომნი უკლებლივ დაი-  
ლუპნენ. გოგის ფერდში მოხედა ნალ-  
მის ნამსხვრევი და შეიძლება რამის  
გაფიქრება კიდევ მოასწრო, ვიდრე  
სულს მიაბარებდა უფალს.

ნახევარ საათში ბატალი შემოეხმი-  
ანა პაატას, გადმოვალ და რაც გინდა  
მიქენიო! რა მოხდა, ცუდის მოლოდინ-  
ში პირდაპირ გადავიდა სათქმელზე  
პაატა. გოგის ბიჭი, ვიდრე სოფელში  
ავიდოდნენ, თხუთმეტიოდე ნუთით  
ადრე დახვრიტეს. იქვე მეორე ქუჩაზე  
ესვენა. ქალებმა რომ გაიგეს, გოგი მა-  
მამისია, ველარ თქვეს, შეეცოდათ.  
ვერ უთხრეს, რომ რამდენიმე წუთის  
წინ აფხაზმა ბიჭებმა ნაუთაქეს გოგის  
შვილს, ახლა გადაგვცილით და თუ კა-  
ცი ხარ და თბილისში არ გაიქცევი დე-  
დიკოსთან, დედას გიტირებთო. გინე-  
ბით აიკლო, გაექარა კიდევ და აეტო-  
მატის ჯერი მიაყოლა რომელიღაცამ.  
არ მინდოდა, მაგრამ თავი ვერ შევი-  
კავეო, უხსნიდა გაცხარებული აფხა-  
ზი ბატალს.

სიტყვა ვერ შევასრულე, მე თვი-  
თონ გადმოვალ და ვისშიც გინდა გა-  
დამცვალე, რაც გინდა მიქენიო, ისე  
გაიმეორა ბატალმა. რა შენი ბრალია,  
ჩაქრა პაატა. მამამისს რას ეტყვი,  
ნუხდა ტბარი. არაფერს, ვერაფერს.



იატაკზე ერთმანეთზე მიწყობილ არჩილის ბიჭებს სძინავთ, ან არც სძინავთ, პირველ დანაკარგს ეგუებიან მძინარენიც და მღვიძარნიც. არ იციან, ხვალ უფრო მძიმე დღე ელით.

ბატონი არჩილი სიგარეტს სიგარეტზე ეწევა. რა უთხრას თავის მეგობარს, როგორ უთხრას, ერთად მიცვალეულ შვილს და შვილიშვილს რომ ჩაუსვენებს? უთხრას, ხელეები გულზე დაიკრიფე და ამით გაყვიო, ამაზე ჭკვიანური, რა უნდა თქვას? ქალებს? ახალგაზომცხვარი ანგარდაცვლილი ქირურგის მშობლებს როგორ დაენახოს? სიკვდილიც კი ურჩევნია ახლა.

პაატა გულალმა წევს, თავქვემ უნესრიგოდ გადაკეცილი სვიტრი აქვს ამოდებული. თმები ისევ სველი აქვს. სველი თმებიდან ზღვის წყალი ჩამოინრიტა, ერთ წვეთად დაგროვდა და საფეთქლის, ქუთუთოს გავლით ტუჩებთან დაედინა. მოილოკა ნაცნობი სიმლამე. ზღვის წყალია თუ ცრემლი? სძინავს. სიზმარს ხედავს - ფოტოებს ათვალიერებს. ფოტოებზე ნაცნობი და უცნობი ადამიანები ცოცხლდებიან, მოძრაობას იწყებენ, ფილმის კადრებივით იცვლება სურათები. ცდი-

ლობს, დაინახოს ვინ არიან, რა აკეთებენ. ხვალ არ გაახსენდება თავისი სიზმარი, ვერ მოიცლის დასაფიქრებლად, შეიძლება გაახსენდეს კიდეც დიდი ხნის მერე, ან - არა.

დალუპული ექიმი და მამა-შვილი იატაკზე გვერდიგვერდ არიან დასვენებული, მამა და შვილი უფრო ახლოს ერთმანეთთან, ექიმი ოდნავ მოშორებით. ისე წვანან, გაპატიოსნებული, მთლიანები, ამ ბინდში უცხოში რომ დახედოს მნოლიარეთ, ვერ მიხვდება, რომელია იმ ქვეყანას მიმავალი.

შვილს ნაიარევი ატყვია წარბზე, ნატყვიარი არა, გატეხილი აქვს. ნატყვიარი ორი მკერდზე და ერთიც ფერდზე, არ ჩანს. მამასაც არაფერი ეტყობა თვალსაჩინოდ. კიდეც კარგი, ძალიან არ დასახიჩრდნენ, თავს იმხნევენს არჩილი. რა არის ამაში კარგი? ალბათ, იმ ქვეყანას დაჩქქელი რომ არ მიხვალ ან ახლობლებს ბოლოჯერ „კარგ ფორმაში“ დაენახები.

ბიჭის გარუჯული, ლამაზი სახე ჭერს აჰყურებს. თვალის გახელა რომ შეეძლოს, დაინახავდა ოქრო-ვარაყიან ჩუქურთმიან ჭერს. ხმის ამოლება რომ შეეძლოს... იხუმრებდა, ანგელოზილა აკლიაო.

მამას შვილისაკენ აქვს თავი ოდნავ მიბრუნებული, იქნებ...

## სოკო

ქუჩაში გამოსულ ანას და ნიკას დეკემბრის მშვიდი საღამო შეეგებათ, ბელურების შემცივნული ჟიფივით და მანქანების ხმაურით. სახლში წასვლა ორივეს დაეზარა და ისე, უმიზნოდ გაუყვნენ ქუჩას. ორივეს ერთდროულად...

არა, თითქმის ერთდროულად შეეხსნა ფეხსაცმლის ზონარი; ნიკა დაიხარა და გულდაგულ შეიკრა; ანამ ბათინკის საყელოში ჩამალა ზონარის ბოლოები, მიდის და რიტმულად მიათხლაშუნებს ფეხსაცმელს. ტრამ - პამ!



ტრამ - პამ! ტაქტის ბოლოს ზონარმოშვებული ბათინკით გამოცდას უწყობს

ტრამ-პამ, ტრამ-პამ-პამ, თრახ!

ნიკა ჯიხურთან შეჩერდა, იყიდოს? თუ არა... დაარღვიოს უკვე მერამდენედ დადებული პირობა - ალარ მოენეც! თუ არა. დღეს ვარჯიშზე არ წავიდა, ახლა თუ მონია?.. საღამოს დალევს და მერე გაუბერავს, ჩაეშვება. იყიდოს თუ არა? მიზეზი უნდა მოძებნოს... გუშინ გამოცდა ვერ ჩააბარა, დღეს ჩათვლა ვერ მიიღო... კიდევ... კიდევ, თეა ზედაც არ უყურებს! დღეს უნივერსიტეტის ბაღში იდგა მოშორებით, შემოხედავს თუ არა, შემოხედავს თუ... არ გამოხედა. იცის, იქვე რომ დგას ნიკა და ჯიუტად არ აბრუნებს თავს, არ იმჩნევს. არ იმჩნევს, რომ ნიკა უყურებს. არ იმჩნევს, რომ სტკიოვს... თუ ნიკას უნდა, რომ სტკიოვდეს და ახსოვდეს თეას, რატომ?

კიდევ ლიკა.

- ლი-კა! ლი-კა! ლი! კა! კა! თითი ჩამოაყოლა მესერზე რიკულებს.

ლიკა ლამის თვითონ ჩამოეკიდა კისერზე. ლამის კი არა, იმან აირჩია, ხელი დაავლო, და გაბრუნებული, ბედნიერი ნიკა არც დაფიქრებულა, რომ აზრი არც ჰქოთხეს, ისე მიითვისეს. ახლა ლიკა ისე იქცევა, თითქოს ნიკას მისი ვალი ადევს. ნიკას ლამის მართლა შეუყვარდა ლიკა... ლიკამ ყველას მოსდო, მე და ნიკა! ნიკა და მე! ზუსტი ანგარიშია ჩაბარებული ნაცნობ-მეგობრებში, ნიკამ სად - როგორ, რომელ გეოგრაფიულ-ანატომიურ კოორდინატში რა ჩაიდინა... უუხ! ისე, ლამის მართლა შეუყვარდა! სიგარეტი იყიდა, მოუკიდა და გააბოლა... და ამოაყოლა ერთი-ორი სადარდელ-საფიქრალი... ამოაყოლა? რა სადარდელი, რის სადარდელი... რომელი?

ვიდრე ნიკა გაბოლების მიზეზს

ეძებდა, ანა იდგა და ზურგზე უხერხულად მოკიდებულ ზურგჩანთას ისწორებდა. სახლში? თუ ცოტა გაისურნოს? სულ ცოტა ხანს, რა მოხდება? მუსიკა გაუცდა, სახლში მისვლა არ უნდა. ცოტას ისეირნებს, მაინც ხომ მუსიკაზე უნდა ყოფილიყო.

ანამ და ნიკამ ერთდროულად მიიღეს გადაწყვეტილება და ერთდროულად გაემართნენ ერთმანეთის შესახვედრად.

სადარბაზოსთან გამოფენილ ბიჭებს ჯერ ანა მიუახლოვდა. კედელზე მისვენებულ გრძელ ბიჭს ფეხი ფეხზე აქვს გადადებული; კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი პატარა დიდცხვირა გასაღების ასხმას ათამაშებს; მსუქანი რალაცას ყვება, მუშტს უმიზნებს ვილაცას. იცინიან. ენევიან. იფურთხებიან. ალბათ, რალაცას ელიან ან არც ელიან. ენევიან. იფურთხებიან. ანა დიდცხვირამ შეამჩნია, - ვაა, პაგანინი მოდის!

- სკრიპკა?! - მხიარულად ეხმანება ჩაფსკენილი.

- სკრიპკას ქართულად ვიოლინო ჰქვია, - ამბობს გრძელი.

- ვახ, ჩემი, - გაეხარდა ჩაფსკენილს - მოდი, ვაჟკაცურად, შალაბო დაგვიკარი!

- ხა-ხა-ხა! - თვითონვე მხიარულობს თავის ზუმრობაზე.

გრძელი კედელს მოსწყდა, დაიხარა, - ნუ გეშინია გოგონა, ცოტა შეთვრნენ, ისე კარგი ძიები არიან.

- ეგეთი უფასო ვარ, ბავშვებს ვამბობებდე?! - იწყინა ჩაფსკენილმა, ანას გაულიმა, - იქნებ კლასიკა მომენტარა! შტრაუსი!..

ანამაც გაულიმა და შეჩერდა უცებ. ვიოლინო ბუდიდან ამოიღო, ბუდე

დიდცხვირას მიაწოდა, ინსტრუმენტი მხარზე ჩამოიდო და ხეში მოიმარჯვა.

გრძელს ეცინება, - დღეს ხომ დილიდან ვიოლინოს მოსმენაზე ვოცნებობდი.

დეკემბრის ბინდი, დიდცხვირას ოდნავ დაღებული პირი, გულში ჩახუტებული ვიოლინოს ბუდე... ვალსი!

ანა რომ ბიჭებს გაუსწორდა, ნიკა მოშორებით მეორე სიგარეტს უკიდებდა. ბოლო ტაქტზე მიუახლოვდა შტრაუსში ჩაყვინთულებს. დაკვრა რომ დაამთავრა ანამ, დიდცხვირას ბუდე გამოართვა და გოგოს გაუნოდა, შეინახე. მერე, ანამ ზურგჩანთა რომ მოიკიდა, ხელი ჩაკიდა და ქუჩას გაუყვნენ.

- ეს მასტი ვინაა? - იბღვირება ჩაფსკენილი.

- მაიცა, ძმია ალბათ.

ანა და ნიკა ცოტა ხანს ჩუმად მიდიან, მერე ნიკამ ხელი გაუშვა და უკითხა:

- შენ სად ცხოვრობ?

- აი, იმ შესახვევში, სვეტიციან სახლში, - ვიოლინოს იშვერს.

- 21 ნომერში, მართლა? მეც იქვე ვცხოვრობ, ორი სახლის იქით, თითქმის მეზობლები ვართ - ლამის უხარია ნიკას. არ იცის, რატომ გადაწყვიტა ამ პატარა გოგოს პატრონობა, და გაიხარა, გულით გაიხარა თითქმის მეზობლები რომ აღმოჩნდნენ. ეცნო კიდევ.

- აი, იმ კუთხემდე მიგიყვან, კარგი?

ანა შედგა, ახედა და ხმადაბლა - მე სახლში არ მივდივარ.

- აბა?! - ვერ გაიგო ნიკამ.

- ჯერ არ მივდივარ. ცოტას ვისეირნებ და მერე.

- აჰა, - ზემოდან დაჰყურებს პატარა არსებას, და უცებ, - არც მე მინდა სახლში წასვლა. მოდი, ერთად ვისეირნოთ. - და ილიმება. და უკვირს, - ისევ

პატრონისა და მზრუნველის წყალობაა კიდა. რა რჯიდა? ჯანდაბას!

ხელი ჩაჰკიდა ისევ, ქუჩას გაუყვნენ.

- შენ რა გქვია?

- ანა, თქვენ?

- მე ნიკა.

- ესე იგი ნიკოლოზი. - ამბობს ანა.

- ესე იგი ნიკოლოზი, - ილიმება ნიკა.

- მე ბებიაჩემის სახელი მქვია, ოღონდ შემოკლებით. ბებიას ანასტასიას ეძახიან, მე - ანას. ნიკოლოზი ბაბუათქვენს ჰქვია?

- ჰო, ნიკოლოზი ბაბუაჩემს ერქვა. ერთი ეს მითხარით, ქალბატონო ანასტასია, ხშირად დასეირნობთ ღამლამობით მარტო?

- ღამლამობით არა, - იუარა სერიოზულად, - ახლა სულაც არ ბნელა და ხშირადაც არ დავსეირნობ. - წყენაც დაეტყო.

- არ გაბრაზდე, გეხუმრე. - უკან დაიხია ნიკამ.

ანამ ყურადღებით ახედა, მართლა მოუბოდიშა თუ ესეც ხუმრობაა.

ნიკამ გაუღიმა. უნდოდა, როგორღაც შემოერიგებინა.

- რომელ კლასში ხარ?

- მეოთხეში და ხუთოსანი სულაც არა ვარ, - ნიშნისმოგებით უპასუხა ანამ.

- ეგ არ მიკითხავს, - ახლა ნიკამ იწყინა.

ანამ მხრები აიჩეჩა, - დიდები სულ მაგას მეკითხებიან, რომელ კლასში ხარ და რა ნიშნები გაქვსო. შენ რომელ კლასში ხარ? - ანას დააფიწყდა, რომ უფროსებს თქვენობით ელაპარაკება.

- მე? - ელიმება ნიკას, სულ ელიმება, ჰმ! - არც ერთ კლასში.

- მუშაობთ? - ისევ გაახსენდა ზრდილობა.

- არა, უნივერსიტეტი ვსწავლობ

## ეპიკურული

და არც მე ვარ ხუთოსანი, – ნიშნისმოგებით პასუხობს ნიკაც. ანას ეცინება, შემოურიგდა.

– რამდენი წლის ხარ? – აგრძელებს დაკითხვას ნიკა.

– მალე თერთმეტის გავხდები.

– როდის მალე?

– სულ მალე – მარტში.

– მეც სულ მალე – აპრილში გავხდები ოცდაორის, და შენზე ზუსტად ორჯერ დიდი ვიქნები. ნახე, რა კარგად ვიცი მათემატიკა და ჩათვლა კი ვერ მივიღე. მუსიკა გიყვარს?

– მიყვარს, – რატომღაც ამოიოხრა ანამ. – ძალიან.

მდუმარედ მიაბიჯებენ.

– იცი, სახლში რატომ არ წავედი?

– ფრთხილად დაიწყო ანამ და ისევ სახეში შეხედა, პირდაპირ თვალებში, თვალის გუგებში.

რალაცას ეძებს მის მზერაში, ნიკას უნდა, რატომღაც უნდა, სანდო და საიმედო იყოს. სერიოზულად უყურებს, თავი აიქნია ოდნავ, რატომ?

– დღეს ჩვენთან სტუმრები იქნებიან, დედაჩემის ამხანაგები... იცი როგორები არიან?! ჯერ იმღერეო, მერე დაუკარეო... მერე მაქებენ, მკოცნიან, ფუჰ!.. – ამოიხვნეშა, – სინამდვილეში, სულ არ აინტერესებთ. არ მიყვარს რომ მეფერებიან, კიდევ – ძალით რომ მაკვრევენებენ. შენ? – ისევ ახედა ნიკას, ისევ გადმოვიდა შენობით ფორმაზე. უზრდელობისაგან არ მოუვიდა, თავისიანად მიიღო. ოჰ, დიდი მადლობა! მაგრამ მაინც სერიოზულად, – არც მე. არც მე მიყვარს, ძალიად რომ მაკეთებინებენ რამეს. და ძებნას არ დაგინყებენ?

– არა, ახლა მუსიკაზე უნდა ვიყო, მერე სოლფეჯიო მაქვს. მუსიკა გამიცდა, სოლფეჯიოზე არ წავალ.

კიდევ იმიტომ არ უნდა სახლში წასვლა, რომ დღეს საკონტროლო არ

დანერა, თავისუფალი დღეა და მამა და მე. მოიგონებს ხოლმე რა, ნინო მასწავლებელი. ალბათ ორიანს დაუნერს. სხეებმა რომ წერა დაიწყეს, მერხში თავჩარგული იჯდა; რატომ არ წერ, ნინომასწავლებელი ეკითხება. ვფიქრობ, თავაუწვევლად პასუხობს. ცოტა ხანში ისევ დაადგა ნინომასწავლებელს, – ძალიან დიდხანს ხომ არ ფიქრობ. იქნებ დავგენყო წერა?!

– მუცელი მტკივა, – თავი მერხზე დადო ანამ. და ამ დროს უკანა მერხზე რეზიკო წამოხტა, ეგეც მეგობარია რა, – ნინო მასწავლებელი, ანა იმიტომ არ წერს, რომ მამა არ ჰყავს. – ანამ ჯიუტად, მუცელი მტკივა. და ძლიერ შეიკავა თავი, არ აღრიალებულიყო. გავეთილის ბოლოს რეზიკოს მიუბრუნდა, – შენ ცუდი მეგობარი ხარ, აღარ მინდა შენი დანახვა. – ეგ არის მეგობრობა, საიდუმლო არ შეუნახა.

– იქნებ, შენი დახმარება უნდოდა. – სცადა დახმარება ნიკამ.

ანამ არაფერი უპასუხა, მოიბუზა, ტუჩები დაბუშტა. არ ატირდეს, შემინდა ნიკა.

კიდევ იმიტომ არ უნდა სახლში წასვლა, რომ თემურის დანახვა არ უნდა, დედას რომ ემეგობრება. სტუმრები რომ წავლენ, ის დარჩება და როგორც ამ ბოლო დროს ხდება, ანა და ბებია დასაძინებლად გავლენ, ის და დედა – სამზარეულოში. ანა თავს ამძინარებს და მამაზე ფიქრობს. მამა სურათიდან იყურება და ილიმება, სინელეშიც ხედავს. როცა ხანდახან სამზარეულოდან დედის და თემურის სიცილი ისმის, სურათზე მამა აღარ ილიმება. ნამდვილად ასეა. ანას მამა ახსოვს. როგორ შეიძლება გახსოვდეს, შენ სულ პატარა იყავი, უკვირს დედას. ახსოვს, ნამდვილად ახსოვს. რატომ არ უჯერებენ? დედა, უყვებოდა ხოლმე მამაზე, კიდევ ბევრ სხვა რამეზე

ლაპარაკობდნენ. დედა – კარგი დედა! იცის ანამ, ამქვეყნად ყველას უნდა პყავდეს მეგობარი, დედასაც. მაგრამ თემური არ უნდა. საჩუქრები მოაქვს ანასთვის, მაგრამ არ უნდა.

ნიკა რას დაბორიალობს ქუჩაში, რატომ არ მიდის სახლში, ან მეგობრებთან? ალბათ, უკვე ზაზასთან არიან. სახლში მისვლა ეზარება. სახლში რა ელის? უმცროსი ტყუპი ძმის ძიძგილაობა, შეწუხებული დედა - ტყუპებს ფეხსაცმელი აქვს საყიდელი, ნიკას თბილი ქურთუკი, ტყუპების ინგლისურის ფულია გადასახდელი, ბებიასთან სახლში ონკანია გაფუჭებული... ბიუჯეტში გარღვევა გვაქვს, ხუმრობას ცდილობს დედა. ამ ბოლო დროს სულ გარღვევა აქვთ ოჯახურ ბიუჯეტში, ვერაფრით ვერ ამოკვამსეს რაღაცა ნარღვევი. დედა ეცოდება, თორემ მამა, ბიუჯეტის შემსუბუქებელი, ნავა და ნაიქიფებს მეგობრებში, არ შეიძინებს ძველებურად რომ ალარა აქვს ფული და ძველებურად დახარჯავს... ნიკა დედის მაგიერ ბრაზობს ნაქიფარ მამაზე, სახლში მოვა და – მღერის! უყურებს დაბლვერილ ნიკას, – მგნებელა მქნა და ათჯერ შენი პრობლემები მომცა, სულ სიმღერ-სიმღერით მოვუვლიდი, – ხმა ეზარება სევდით, სულ ოდნავ, სულ ცოტა ხნით. ნიკა ვერ მოუვლის მამასავით სიმღერ-სიმღერით, არც მისი ხვეწვით ბარტონი ერგო და არც მისი უნაკლო სმენა: ისე რა, დაამღერებს, მთლად არ დააფრთხობს ყვაევებს. და არც მამის უდარდებლობა ერგო! გუშინ ბათქი პქონდათ, მეცხრეკლასელი ტყუპების დამრიგებელი მოვიდა, პლანი მოუნეციათ. მამას არ უთხრეს, ჯერ. თვითონ ნაუთაქა უმცროს ძმებს. ახლა ნანყენები უბლვერენ, ლამის ნიკას სიმალისანი არიან და ამან კიდევ ნაუთა-

ქა. ცოტა ნანობს, მაგრამ როგორ უნდა დაესაჯა. მერე დაელაპარაკება. იცის, დიდხანს არ გაგრძელდება ტყუპების ბლვერა, უყვართ უფროსი ძმა, თვითონ მოძებნიან შესარიგებლად მიზეზს. დედა ეცოდება, პატარა, თბილი, მზრებამდე ძლივს სწვდება თავის ქმარ-შვილს. პატარა გოგოს ჰვავს ხანდახან, როცა რამე უხარია; ისე ილიმება, ბრწყინავს თითქოს. როგორ დაუნანებლად ახარჯავს თავის ცხოვრებას ქმარ-შვილს, არაფერს არ თხოულობს... იქნებ, ელოდება თვითონ როდის მიხვდება, როდის შეეშველებიან? როგორი ნაზი ხელები აქვს, გული ეკუმშება, ამ ოთხი მუტრუკის ტანსაცმელს რომ წამოკრფეს გასარეცხად. გული შეეკუმშება და მორჩა. აბა, სარეცხს ზომ არ დარეცხავს?! ისე, რა მოხდება? მამაზე ბრაზობს და თვითონ რას აკეთებს?! ბებიასთვის გაფუჭებული ონკანის გამოსაცვლელად ფული მისცეს და ბიჭებთან ერთად შემოეხარჯა. წელს დაამთავრებს როგორმე, დიპლომს აიღებს და მუშაობას დაიწყებს. თუ იშოვა სამსახური! დედას სარეცხის მანქანას უყიდის. მამა ქეიფობს და მღერის, დედა ბუზღუნებს მეზობლები ნუ შეანუხეო და ილიმება. ბუზღუნებს და ილიმება. უყვარს! ალბათ, ასეთი შეუყვარდა ახალგაზრდობაში – მხიარული, ხუმარა, კარგად მღერის. მამასაც უყვარს, რაღაცნაირად უყვარს; დედა სახლში რომ არ არის, გალიაში მომწყვდეული ცხოველივით წრიალებს, რომ დაინახავს, ხელებს შლის და რაღაც არიას დაურტყამს, საფუძელიანად, როლში შეჭრილი. დედა ილიმება, ანათებს. რა ალიმებს?! ქალები ნიკასათვის ნისლიანი ბილიკია სახიფათოდ დაბინდული, იდუმალი. სულ აინტერესებს ნყვილები როგორ ურთიერთობენ, როგორ ექ-

ცვეიან ერთმანეთს. ეჩვენება, რომ რალაც მთავარი არ იცის, რალაც ამოუცნობი რჩება.

აი, თეა. ბავშვობიდან ნაცნობი და მშობლიური თეა. თითქოს გალავანი ერთგული გუშაგით დაარჯობდა. და ლამე ლოგინს მითბობილი იხსენებდა, როგორ გაიღიმა თეამ, როგორ გაიცინა, როგორ შემოხედა დღეს. და თავის ნაშენ გალავანს სულ აგურ-აგურ, კენჭ-კენჭ შლიდა, ათავისუფლებდა თეას, უახლოვდებოდა. გალავნის კენჭებით არღვევდა მის ტანსაცმელზე შესწავლილ ღილებს, შესაკრავებს, ქამარს... და ვიდრე ციხეკოშქონგურებს მთლიანად შემოარღვევდა და თეას სხეულს გაათავისუფლებდა, ოცნებითა და ვნებით გათანგული ძილში იძირებოდა... და სიზმარი ფილმივით ატრიალებდა თეას ღიმილს, გამოხედვას...

მერე, უცებ, ამ ნახევარი წლის წინ, გამოჩნდა ლიკა! რომელი გალავანი... ოცნებასა და გაფიქრებას სად ასწრებდა, მაგისი დრო სად იყო... ლიკა ფაფარაშლილი ცხენით, არა, ცეცხლივით შემოასკდა, რა გალავანი, რის გალავანი... უცებ შეიტრუსა ტანსაცმელი, ააღდა, დაიფერფლა, შიშვლები შერჩნენ ერთმანეთს. რომელი გალავანი, ლიკას ხელები თვითონ დაეძებდნენ, თვითონ კარნახობდნენ, მბრძანებლობდნენ... და სადღაც მიეკარგა თეაც და საკუთარი მარჯვენით ნაგები ციხე-კოშკებიც...

ბიჭები ჯერ უყურებდნენ, ზაზა ეკაიფებოდა ლიკა-ნიკა, ნიკა-ლიკა... მაგრა ერთმებით ერთმანეთს... მერე ძაან რომ შეტოპა, აზრზე მოდიო, შემოუძახეს. რა აზრზე უნდა მოსულიყო, ნიკა ვერ იგებდა... მაგასო სკოლაში, მაგასო შარშან ქობულეთში... შორიახ-

ლო უვლიდნენ, პირდაპირ არ ამბობდნენ სათქმელს. რალა პირდაპირ თქმა უნდოდა. სად მოასწრო ამდენი? თუცა, რა მოსწრება უნდა.

- ეგ ადრე იყო, მაშინ შენ არ გიცნობდი. - გულწრფელად აღიარებდა ლიკა, არ მინდოდა გული გტკენოდა, და არ ვითხარიო. - და ლიკას უშუალოდ და ვნებით დამთვრალი ნიკა, ცდილობდა გაეგო.

- ლიკა უშუალოა და ნალდი, თავის განცდებსა და გრძნობებს არ მალავს არ თამაშობს.

მერე ხან ბიჭები გადაანყდნენ, ხან თვითონ, ხან ვილაცის მანქანაში, ხან ბარის ბნელ კუთხეში. უშუალო მღოუხა!

- რატომ მე არ მითხარი, უჩემოდ რატომ ნახედი? - ნიკა ცდილობს გაიგოს, დაიჯეროს, რომ ის ვილაც ლიკას მრავალრიცხოვანი ამხანაგიდან რომელიღაც იყო.

რა უნდათ ამ ქალებს, სად ტყუიან, სად არიან მართლები, ვერ იგებს.

მერე თვითონ აინყვიტა. ხან ვის გადაეყარა, ხან ვის. ოღონდ ქალი რქმეოდა, ლიკას ჯინაზე.

- ყველა გამველეს უნდა უმტიცო, რომ კაცი ხარ? - დათომ უკითხა.

- კაცი არა, მამრი! - დააზუსტა ნატამ. - არა, ხვადი. - კიდევ უფრო დააზუსტა.

ვახ, რა ჯანსაღები არიან?!

ლიკა? ლიკა ეკალივით ედება ყველა შარვალს. უშუალოა!

თვითონ? თვითონ როგორია? რას ნიშნავს იყო - რაც ხარ?! ის აწყვეტილი, სექსუალური ფანტაზიებით გაბრუებულ-გადარეული ნიკაც - ნიკაა და ისიც, ბავშვობის ოცნებებით გათანგული „მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი...“ ბაბუამ გამომზარდა ასეთი - ნესიერი და ღირსებით სავსე პატარა



ბიჭი. მერე, ადგა ნიკოლოზ ბაბუა და - მოკვდა! ის აღარ ასწავლა, დიდი ბიჭი რომ გახდებოდა, როგორ ეცხოვრა. არა, ის ოცნებებით გატიკნილი ჩვილი, ის ბრყვი არ გამოდგება ამ ცხოვრებაში... ის უნდა ჩაეკლა, რომ რეალობას მიახლოებოდა... არა, ისეც არ დაქლიავდა, რომ ქალები ბოზებად და პატიოსნებად დაახარისხოს... ისე, ეს პატიოსნები უფრო აცოფებენ, ქმრებს მიყიდული „ნესიერი“ ქალები... ერთგულები მხოლოდ იმიტომ, ხალხი რას იტყვის... ან ქალწულობას ჩაბლაუჭებული გოგონები, გათხოვების კარგი ვარიანტი არ დაკარგონ... ეგეთი ერთგულება არ აწყობს ნიკას, არც ეგეთი ნესიერება. მასთან თუ იქნება ქალი, იმიტომ უნდა იყოს ერთგული, რომ ნიკა ეყვარება და სხვასთან არავისთან არ მოუწდება წასვლა. ნიკას თუ შეუძლია იყოს ერთგული? იყოს კაცი და არა მამრი როგორც ნატა ამბობს. შეუძლია. ოღონდ, იმ ქალმა უნდა აავსოს სითბოთი და სიყვარულით, არ დატოვოს ადგილი უნდობლობისთვის. არ ეშინოდეს ნიკას - იყოს როგორც არის. არ ეშინოდეს, რომ უღალატებენ, მიატოვებენ, გაცვლიან... ენდობოდეს და მასაც ენდობოდნენ... ლიკასი არ სჯერა. თეა?

თეა მის თამაშებზე აღარ დადის, კალათბურთზე შეეყვარებული თეა. თუ მოახერხა, თვალს აარიდებს. თუ შეეფთა, დაბნეული და ზრდილობიანი უღიმის. არაფერს ამბობს, არაფერს იმჩნევს. მოკვდება და არ შეიმჩნევს, არაფერს იტყვის არაფერს გააკეთებს ნიკას შესაჩერებლად. ამაყია. ლიკა? არაფერს არ დამალავს, ინსტიქტის არცერთ გაფაჩუნებას არ დაჩაგრავს. ნიკასაც ხელბორკილს დაადებს, ადვილად ვერ დაუსხლტება მის... მის... თუ საკუთარ სექსუალურ სურვილებს? თეამ ისე დათმო, უსიტყვოდ... აბა,

ხელჩართულ ბრძოლას ხომ არ გამოვითავდნენ გოგონები... ბრძოლა წესების გარეშე! მგონი, სულ გამოშტერდა, თითქოს გოგონების გადასაწყვეტია - რომელი დაითრევს. თეა არაფერს ეგეთს არ აპირებს. ამაყია! ამაყი კი არა, ბრყვი! აი, თეასაგან და ლიკასაგან რამე საშუალო არითმეტიკული რომ გააკეთოს... ვახ, რა გარეკა! უცებ დაენანა თეა გადასაკეთებლად, ლიკაზე შესაჯვარებლად. რალაცას დაკარგავს თვითონ ნიკა... რას?.. იქნებ, უკვე დაკარგა, თუ მიაგინყდა და უნდა გაიხსენოს.

ანა გაახსენდა უცებ, მისი პატარა ხელი ამოძრავდა მის ხელში - მხარი დაეღალა და ვიოლინო უნდა გადაიტანოს მეორე მხარეს.

- რატომ ხარ ჩუმად, რატომ არ მითხარი?

- შენ ხომ რალაცაზე ფიქრობდი. უყურე ერთი, ამ სოკოს! ნეტა, ამას რა აქვს ამ პატარა ლამაზ თავში?

- შენ რაზე ფიქრობდი, ანა?

ანამ მეორე ხელში გადაიტანა ვიოლინო, ისევე ახედა, პირდაპირ თვალებში. მერე შემოუარა და მეორე ხელში ჩაჰკიდა ხელი. და ნიკას ისევე მოუნდა მისი ნდობა გაემართლებინა. როგორ? რა უნდა გააკეთოს ამისათვის?

- ნიკა, ჯადოსნური ჯოხი რომ გქონდეს, რას ინატრებდი?

- მე? რა თქმა უნდა, ბევრ ფულს. - და უცებ, ეს რა დასცდა? - მამაჩემივით შემეძლოს სიმღერა.

- მე მინდა, მამაჩემი ცოცხალი იყოს. - ძალიან ჩუმად თქვა ანამ.

რა უთხრას, რომ სამწუხაროდ, ჯადოსნური ჯოხები არ არსებობს, ასეთი სისულელე უთხრას?

შეჯერდა და სწორედ ეს სისულელე უთხრა.

- იქნებ, კარგია, რომ არ არსებობს.

ხომ შეიძლება, ვინმემ რამე ცუდი ინატროს, - თქვა ანამ.

- ჰო, შეიძლება.

- მე, იცი, რა მინდა?! მე მინდა, რომ ძალლი მყავდეს, პატარა არა, დიდი! სენბერნარი ან კავკასიური ნაგაზი. ერთად ვივლით და არავისი შეგვეშინდება.

- თუ რამე ძალიან გინდა, ავისრულდება. - თქვა ბავშვობაში ხშირად მოსმენილი ფრაზა ნიკამ.

- ძალიან, ძალიან თუ მინდა? - ცხადია, ანამაც იცის ეს ფრაზა.

- ჰო, ძალიან თუ გინდა. თუ არ ავისრულდა, ალბათ, ძალიან არ გინდოდა.

- მე რომ ძალიან მომიხდეს, თოვლი მოვა დღეს?

- აბა, რა! მგონი, მაგას ძალიან სურვილი არც უნდა. რაც არ უნდა იყოს, დეკემბერია.

რუსთაველზე ჩამოუხვიეს, ლალიძის წყლებთან.

- მოდი, დავლიოთ სიროფიანი წყალი. - მზიარულად თქვა ნიკამ.

- დავლიოთ! - მზიარულად დაეთანხმა ანა.

- ნიკა! - ბიჭებმა დაუძახეს, იქვე ქუჩაში იდგნენ.

ნიკა და ანა მივიდნენ.

- ზაზასთან არ მოდიხარ? - ეკითხება ერთი.

- არ ვიცი. - ქუჩას გახედა ნიკამ.

- ეს ვინაა? - მეორე ბიჭმა თავზე ხელი გადაუსვა ანას. ანამ უკან დაიხია და ნიკას მიადო მკლავზე თავი. მთლად შინაურულად მიეთბო. ნიკას ესამოვნა, ბიჭების შერცხვა.

- ეს ანაა. - იხტიბარი არ გაიტეხა, - ჩემი მეზობელია, სახლში მიმყავს.

- დათო! - ხელი გაუნოდა ისევ იმ ბიჭმა. ანას ცალი ხელი ვიოლინოთი აქვს დაკავებული, მეორე ნიკასთვის ჩავლებული. ნიკამ ხელი გაუშვა. და-

თომ ფეხი ფეხს შემოკრა და ფეხი ფეხით დაუკრა და ხელზე ეამბორა. ანას გაეცინა. დათომ თავი გვერდზე გადახარა და გაიპრანჭა, - ფრიად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

მეორე ბიჭი ნიკას მიუბრუნდა, -

პა, ბებიისითურად დაიწყე მუშაობა?

- ჰო, კარგად მიხდიან. - არ ჩამორჩა ნიკა.

- ამოხვალ ზაზასთან? ლიკა იქნება.

- ვნახოთ. - ანას ხელი ჩაჰკიდა და წყლის დასალევადა შევიდნენ.

ანას ვიოლინო აქვს ჩახუტებული, ჭიქა ორივე ხელით უჭირავს და ნელ-ნელა სვამს. დროდადრო ნიკას უფურებს. ნიკას ეღიმიება, ვიოლინო გამოართვა. ანაც იღიმიება. ჭიქა ბოლომდე დაცალა.

- დიდი მადლობა!

- გაიზარდე!

ეცინებათ.

- ნიკა, შენ წადი სტუმრად, ნუ გეშინია, მე სახლში წავალ და არაფერი არ მომივა. სახლი ხომ აქვეა. მე მუსიკაზეც მარტო მიშვებენ. დედა ამბობს, რომ დამოუკიდებლობა უნდა ვისწავლო.

ნიკა ზემოდან დაჰყურებს, და უცბა:

- ჩვენ ორივე წავალთ სტუმრად ზაზასთან. გინდა, ჩემი ამხანაგები გაცნო? შენი მუსიკის გაკეთილი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

ჭიქა გამოართვა და ვიოლინო დაუბრუნდა.

ანა-ვიოლინოან ნიკას ფრიაშულით შეხედნენ. უკვე გაფორმებულები იყვნენ. ადრინად დაუნყიათ.

- კეთილი იყოს შენი პატარა ფეხი ჩვენს ბოქემურ-ინტელიგენტურ ბუნაგში! - მზიარულად შეეგება ანას ზაზა, მასპინძელი. მარიაჟი! მაგრამ ნიჭიერი. ანა ცოტა ხან ნიკაზე მაგრად

ხელაკიდებული იდგა, მერე იქვე მომ-  
 ლიმარ დაითოს თავადაც გაულიმა და  
 ნიკას ხელი გაუშვა.

- დაალევინეთ ბავშვს ცხელი ჩაი,  
 ამ ბრიყვმა ცივი წყალი ასვა შუა ზამ-  
 თარში. - ბრიყვი, ასე ლიტერატურ-  
 რულ-დახვენილ-ზრდილობიანად ანას  
 ხათრით იქნა მოხსენიებული.

ანა და ნიკა ტახტზე მოთავსდნენ.  
 იქვე მოუტანეს გოგოებმა ჩაი და ნამ-  
 ცხვარი, ნიკას კონიაკი. ანა ოთახს ათ-  
 ვალიერებს, ნიკაც, ანასთან ერთად.  
 ზაზას სახელოსნო! კუთხეში პატარა  
 მაგიდა, დაბალი სავარძლები - ზაზას  
 ნახელავი, ძველი საბურავებისაგან;  
 შავი როიალი... რა შუაშია?! დაბალი  
 ტახტი, ძველებური ფარდაგი. ოო... ამ  
 ტახტზე! მმმ... ყველა კუთხეში ნახა-  
 ტია აყუდებული, კედლებზეც ნახატე-  
 ბი, ნახატები... როდის ხატავს ეს ნიჭი-  
 ერი ბიჭუნა მხოლოდ ღმერთმა უწყის!  
 განუწყვეტელი ფრიამულია ამ ოთახ-  
 ზე; აქ წყდება ნახევარი თბილისის სა-  
 სიფარულო-სექსუალური შეჭირვე-  
 ბანი.. არა, ეს როიალი მაინც რა შუა-  
 შია? თანაც აშლილი. ტახტის ბოლო-  
 ში სათვალისანი გოგო ზის, ყავის ფინ-  
 ჯანს ათვალაიერებს. მის ფერხთით  
 გრძელთმიანი ბიჭია ფეხმორთხმული  
 იატაკზე.

- ეს ნინკაა, ყავაზე მაგრა მკითხა-  
 ობს. შენ გვერა მკითხაობის?

- ანამ მხრები აიჩეჩა, - დედა ამ-  
 ბობს სისულელეაო. მე - არ ვიცი.

სათვალისანი ნინკა ყავის ფინჯანს  
 ატრიალებს.

- რალაც ამბავს გაიგებ ამ დღეებ-  
 ში, ცუდ ამბავს, მაგრამ ტყუილი იქნე-  
 ბა. მისკენ დახრილ ბიჭს სახე უსერიო-  
 იზულდება.

- უი, დროშა გაქვს.

- რა, მიტინგია? - უფრო სერიო-  
 ზული ხდება გრძელთმიანი.

- დროშა გამარჯვებას ნიშნავს, #10101010  
 უხსნის ნინკა.

გრძელთმიანი ნამოიჭრა: სა-ქარ-  
 თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო!  
 ნინკა იცინის.

- მაიმუნობენ! - უხსნის ნიკა ანას.

ანა კუთხეში ჩამომჯდარ წვეროსან  
 გიტარიან ბიჭს უყურებს. დიდხანს.  
 თვალს არ აშორებს.

- ეს ზურაა, ახლა რომ დაელაპარა-  
 კო, ვერაფერს ვერ გაიგებს. ტრანსშია,  
 გათიშულია... მოგნონს?

ანამ თავი დაიქნია. ზურა როცა ხა-  
 სიათზეა ლალად ამღერებს ყველა ჯუ-  
 რისა და ენის სიმღერას, მაგრამ რა-  
 ლაც მომენტში მხოლოდ თავისთვის  
 უკრავს. და მაშინ მის გარშემო რა ხდე-  
 ბა, არ ესმის. ნიკას მისი შურს კიდევ,  
 რომ შეუძლია რამე ასე აკეთოს,  
 მთლიანად ჩართულმა.

როიალთან კუთხეში ორი ქერა გო-  
 გო ზის, ერთი ნატურალური, მეორე  
 შეღებილი.

- გუშინ კონსერვატორიაში ვნახე  
 კონცერტზე, იმ ტიპსასთან ერთად  
 იყო. ვითომ ვერ დამინახა, არც კი მო-  
 მესალმა. - ყველა ერთი.

- არ მოგესალმა?! მიაფურთხე,  
 ერთი მაგისიც... - იქვე ბოლომდე მია-  
 ხუჭუჭა მეორემ.

შუა ოთახში შარელიანი გოგო დგას  
 ქიქით ხელში. ხელებგაშლილი, პათე-  
 ტიკური ხმით ამბობს:

ამალამ, ალბათ, იქნება ქარი... (პა-  
 უზა, ხანგრძლივი)

დუნდულა კუნთებს მიმშვენებს ხა-  
 ლი.

- ეს ნატაა, როგორ მოგნონს? -  
 ანას ეკითხება.

- ლამაზი თმები აქვს.

ნატას ხვეული შავი თმები მხრე-  
 ბამდე აყრია.

- ამალამ არ იქნება ქარი, თოვლი



კი ნაღდია. — დააზუსტა ამინდის პროგნოზი დათომ.

ზაზა ამოუდგა ნატას გვერდში, იგივე პოზაში, ხელუბრაშლილი.

ამალამ, ალბათ, იქნება თოვლი,

შენ მკერდს დილამდე ეკოცნი და ეკოცნი!

ვინ მიასუნინებს?! ნიკას უყურებენ.

უნიჭოები! ეს ნიკას დამხეცებული თამაშია, ცნობილ ლექსებზე ლადავი. მაგრამ ახლა არ უნდა. ანა რას იფიქრებს. უყურე ამ სოკოს! რას აიკვიატა ეს სოკო? ნატა ამბობს, რომ განუხორციელებელი ბოლმა პოეტია და სხვის ლექსებზე შაყირით ილხენს.

— ჯოჯოხეთში მოხვედებით ნიკას თამაძობით რომანტიზმის მარგალიტების წარყვინისათვის! — დათო აღმოცენდა.

გამომიჩნდა წმინდანი!

— აბა, რა ვაკეთოთ?

— მოდი, ანამ დაუკრას, — მიბრუნდა ზაზა.

— დაუკრას, დაუკრას!

— არა! — თავი გაიქნია ანამ.

— დავაი რა, სხვა გასართობი ნახეთ! ხელი აუქნია ნიკამ.

— ვიცეკვოთ, ვიცეკვოთ!

რომელიღაც მაგნიტოფონს ანვალებს, წინ და უკან ახვევს. მერე ამოასუნთქეს და ამღერდა — მადონა.

— ამ გოიმ დედაკაცს როგორ უსმენთ? — იმანჭება ნატა და ტრიალებს.

— იმ ბიჭებისათვის რატომ დაუკარი ქუჩაში? — აინტერესებს ნიკას.

— იმათ ეგონათ, რომ შემეშინდა, მე კი — არ შემეშინდა. იცი, მე ძაღლებისაც არ მეშინია. გაეჭრდები და ვუყურებ. ისიც მიყურებს. და ხედება, რომ არ მეშინია და ძაღლები მიყვარს. მერე მოდის და ხელს მილოკავს. როგორც მაუგლიშია, ხომ გაქვს ნაკითხული? ჩვენ ერთი სისხლისა ვართ — მე და შენ! მე ძაღლები არასოდეს მიყე-

### ეპიკურული

ფენ. ეგრე შეიძლება სტატიკურ ბიჭ მოათინიერო, თუ ეტყვი, რომ გიყვარს.

ძაღლების მომთინიერებელი! ამ ბიჭებსაც ასე შეხედა თვალებში, პირდაპირ. და იმათ იმ ძაღლივით აულოკეს ხელი, რომელიც უყვართ. და ნიკამაც. ამ პატარა სოკოს უყურე! ნატა მოვიდა სიგარეტით და ჭიქით ხელში. — შენ ანა გქვია ხომ? მე — ნატა. — ხელი გაუნოდა.

— ნუ აბოლებ ბავშვს ცხვირში.

— ანა, მოგნონს გოგოები სიგარეტს რომ ენევიან?

ანამ თავი გაიქნია.

— რატომ, დედამ გითხრა სიგარეტს ცუდი გოგოები ენევიანო?

ანამ ისევე გაიქნია თავი.

— აბა? — ნატამაც გაიქნია თავი და შუბლზე ჩამოშლილი ლამაზი თმები ლამაზად გადაიყარა.

ანამ არ დაუმალა, — არ მომწონს, ახლოდან რომ მელაპარაკებიან, ცუდი სუნი ასდით.

პა-პა! — მეფისტოფელივით დასძახა ზაზამ.

— Устами младенца глаголит истина, შენ იცი, რას გავხარ? პატარა ანგელოზს. შენხელები ჩვენც ანგელოზები ვიყავით. — გაიცინა. ზოგიერთი! — გაიცინა ნატამ. შენ გაგიმარჯოს! ამ ბუნაგში შემოხეტებულ პატარა ანგელოზს — და დალია. და ისევე ლამაზად გადაიქნია ლამაზი თმები.

ლიკა მოვიდა. ზედაც არ შეხედავს! ლიკამ მხარზე ხელი დაადო, ვიცეკვოთ?

ნიკა მოჯადოებულებით წამოდგა ჩაბნელებულ ოთახში ტრიალებუნ, ნელა. ნიკამ ლიკას თმებში ჩარგო სახე.

— მეგონა არ მოხვიდოდი.

— რატომ?

თავი არ აუნევიან ნიკას.

— იმიტომ, რომ... ჩემი გეშინია. —

გაცივინა ლიკამ. ნიკამ უფრო მაგრად მოხვია ხელები, თვალები დახუჭა. იქნებ, ეს არის, აი, ეს სიტბოს განცდა, რაც უნდა ცხოვრებაში და მეტი არაფერზე არ უნდა იფიქროს. არ უნდა იფიქროს რომელი ქალი აძლევს ამ განცდას, ან სხვას თუ უნანილებს კიდევ. სულერთია, მხოლოდ იყოს ეს სიტბო, ქალის სუნი, არ დარჩეს მარტო... იყოს ვინმე, ვინც ამ განცდას მისცემს – რომ კაცია! სულერთია რომელი ქალი იქნება... რომ კაცია! თუ მამრი... აბა, რატომაა თეა სულ თავში განჩხერილი? თითქოს დავინწყებულ იც სულ თან დაყვება. აი, ახლა ლიკასთან ცეკვავს და თეაზე ფიქრობს. მამ, რატომ გადაეფსკენა ლიკას? იქნებ, თვითონაც რომ არ იცოდა, ისე ამონმებდა, თეა თუ შეაჩერებდა, თუ დაუძახებდა... ეთქვა თეას, არ ნახვიდე, ნიკა! და არ ნავიდოდა, არსად არ ნავიდოდა... იქნებ, ასე ცდილობდა გადაეცვლა ხანგრძლივი მეგობრობიდან თავისი სურვილების, ოცნებების სამყაროში... მაგრამ სადღაც სხვაგან მოხვდა! რა იქნება, ერთხელ დარეკოს თეამ? არ დარეკავს! ნიკას ხანდახან ისე უნდა დაელაპარაკოს... ადრე საათობით შეეძლო ელაპარაკა თეასთან. ბერს ხუმრობდნენ. არაფერი უთქვამთ, უსიტყვოდ გადაწყდა, რომ ნიკას ეკრძალება დარეკვა... ხანდახან მაინც რეკავს და თეა რომ გაეპასუხება, წერმილს ჰკიდებს. რა მოხდება, თვითონ დარეკოს თეამ?! სადაა ჯადოსნური ჯოხი?

- ნიკა, ეს ვინ არის? - იკითხა ლიკამ.  
 - ეს - ანაა!  
 - სად იპოვე?  
 - ქუჩაში.  
 ლიკას ისევ გაეცინა. - რას არ იპოვის ქუჩაში კაცი.  
 ნიკა რატომღაც გაცოფდა.

თვალი გაახილა. ანა მარტო უნდა კოვზით ნამცხვარს აწვალებდა, უხერხულად თავდახრილი, არ ჭამდა. ატირებდა?

- ნიკა, მოდი, მე და შენ ნავიდეო. - კეფაზე მოეფერა ლიკა, ზურგზე ჩამოაყოლა ხელი და კიდევ უფრო ქვემოთ. უშუალოა!

- ანა უნდა ნავიყვანო სახლში.  
 - ხომ არ იშვილე? დათოს უთხარი და ნავიყვანს. - კისერში შეასუნთქა. კისრიდან ქუსლებამდე გადაუარა ტალღამ ნიკას.

- არა, მე უნდა ნავიყვანო.  
 - ნიკა, გენაცვალე, ბავშვებზე გადაინაცვლე? პედოფილია ხომ არ გჭირს? - ცხვირი ამოსწია მის კისრიდან.

ნიკას თავისით შეუხტა ხელი. ლამის სულ მთლად ნახდა! „ბაბუ, ქალს პატივი უნდა სცე, გოგოს გარტყმა როგორ შეიძლება“. სადღაც ლიკას მხართან შეჩერდა აღრენილი ხელი, კეფა მოიქექა, ლიკას მოფრებული კეფა. გაულღმა კიდევ. უცებ ჩამოერეცხა უცებ შემონთებული ვნება.

- შენ თვითონ არ იცი, რა გინდა. - ტუჩებთან დასწურჩულა ლიკამ, მაგრამ მხოლოდ შემოსუნთქული ჰაერი იგრძნო ნიკამ, ვნება სადღაც გაინრიტა. ცხელ ტაფაზე დაცემული წყლის წვეთივით, თშშშ!... და ფაფუ!

ოთახს გახედა. იქვე მუხლებზე დაჩოქილი დათო იდგა, ანას ხელი ეჭირა, ანა გარშემო უვლიდა და იცინოდა. რა ცოტა ყოფნის ატირდეს, უფრო ცოტა - გამზიარულდეს. დათომ იცის ბავშვების გართობა. აი, ვინ არის ქვემარინტი, მსოფლიოში საუკეთესო ბებიისითერი! დათო მოიყვანს ერთგულ, მოსიყვარულე ცოლს, ეყოლება ხუთი შვილი, ექნებათ ფივილ-ხივილი და იქნება ბედნიერი! ხომ არ შემურდეს?!

კარებში ნატა გამოჩნდა სავესე ქიქით ხელში:

Я пришла сюда бездельница,  
все равно мне где скучать!

- იცოცხლე! - გასძახა ზაზამ.

ნატამ ზედაც არ შეხედა, ნიკას მიუბრუნდა.

- მოდი, მე და შენ დავლიოთ ერთი კარგი, გულის დამკანრავი სადღეგრძელო. ეს იმ ჰორმონებს გაუმარჯოს, შენ რომ არ გასვენებს, ღამე რომ არ გაძინებს და ლექსებს რომ განერივნებს! ვაშა, სექსუალურ რევოლუციას! იკბინება. ეკაიფება. შვე როიალთან დგას. შვე სვიტრში, შვე ჯინსებში, შავი თვალებით, ფერმკრთალი - შავი ანგელოზი, ღამაში! გზააბნეული - დაუმატა, თვითონაც დაკბინა. მაგრამ არაფერი უთხრა, თვალბში შეხედა, მთლად ანასავით.

- მგონი შენში ადამიანი იღვიძებს, - დაყურადდა ნატა, - მაგრამ მაინც ყველა კაცი ნაგავია!

ნიშნისმოგებით იღიმება, - და ყველა ქალიც.

- რატომ ასეთი პესიმიზმი? - გადმოხედა ზაზამ, ლიკასთან ცეკვავს. ლიკას ერთი ნამითაც არ შეუძლია მარტო დარჩენა, მამრობითი არსების გარეშე დარჩენა, თავის თავთან დარჩენა. ზაზას არ შეუძლია შემჩნეველი დატოვოს ნატას რაიმე მოძრაობა, ნატას ამის შემჩნევა.

- ახლა მეხუთე ჭიქაზეა, ოპტიმიზმისათვის ორი ჭიქა აკლია და იქიკჭიკებს მარადიულ სიკეთეზე და სიყვარულზე. - ჩაიცინა ლიკამ. - სხვა როლში შევა.

- ხომ გაიგე, ორი ჭიქა მაკლია და ყველაფერი რიგზე იქნება. რა აზრია-ნი სახე გაქვს, მგონი, მართლა ადამიანდები. გაუძელ, არ მოიწყინო!

ნიკამ მოიწყინა, მაინც მოიწყინა. ფანჯარასთან მივიდა. თოვს?! გარეთ, მინის მიღმა თოვს. მის ზურგს უკან ზუზუნებს ზურას გიტარა, გოიმი მა-

დონა. ზაზა და ნატა მარტო მარტო ზიის მარგალიტებს... და ნიკამ არ იცის, რა უნდა. ნიკას თუ შეუძლია მარტო დარჩენა? არ შეუძლია, ვერ იტანს სიმარტოვეს. ამიტომ აღმოჩნდა ხან ერთ, ხან მეორე ლოგინში. მაგრამ მაინც რალაც აკლია... დამცხრალი ვნების შემდეგ თვითკმაყოფილება, თავდაჯერება ემატება... მერე ისეთი სიცარიელე დგება... და მერე კიდევ სხვა... და ისევ სიცარიელე... გოგობს მაც როგორ აინყვიტეს თბილისში...

ლიკასაც არ შეუძლია მარტო დარჩენა... უბრალოდ, არ შეუძლია მარტო ყოფნა...

თეა? თეა არ აღმოჩნდება შემთხვევით ვიღაცის ლოგინში... ამის გაფიქრებაც კი არ უნდა ნიკას... თეა მარტო იმასთან იქნება, ვინც უყვარს. თეა არც ყალბი ნესიერების რიგებში ჩაუნერება... ეგრეა, ნიკა და ლიკა ჰორმონების დონეზე არიან უშუალო, თეა თავის სიყვარულთან იქნება მართალი... ჰა, რომანტიზმის შემოტევა და ემართა ისევე?! შორით დაგვა-აღვა... სალუტი! ნიკოლოზ ბაბუა!

- ნიკა!

ნიკა მინის ანარეკლში ხედავს თავის მკლავთან ანას სახეს, უკან აფუთფუთებულ, ჩაბნელებულ ოთახს.

- ნიკა თოვლი მოდის, ნახე, თოვლი მოდის!

- ჰო, თოვს.

- ნიკა, გინდა შენთვის დავუკრავ? - ანას ალერსიანი ხმა აქვს, ბავშვურად ალერსიანი.

- მინდა!

სადარბაზოს დიდი უმინო ფანჯარა. ნიკას ანას ქურთუკი, ჩანთა, ვიოლინოს ბუდე აქვს ჩაბუტებული და ემინია, რომელიმე მისი ამხანაგი არ გამოვიდეს და არ დაინახოს. მერე ანამ დაკერა დაიწყო.

ფანჯრის ჩარჩოში თოვს და თოვს.

ანას მოფარფატე ხელი, შინდისფერი სვიტრი, კეფაზე აკეცილი თმა... როგორი ნაზი სახე აქვს!

და ნიკა სადღაც მიფრინავს - გარედან ხედავს განათებულ მართკუთხედს, მაღალი ბიჭის სილუეტს და პატარა გოგოს ვილინოთი. ჯადოსნური ჯოხი დასრიალებს, წკრიალით ქედავს გამჭვირვალე, მსუბუქ ბგერებს.

უყურე ამ პატარა სოკოს! რას ჩააცვიდა ამ სოკოს, შეიძლება ამ ღირსებით აღსავეს არსებას სოკო უწოდო?! ძაღლების მომთვინიერებელი! არა, ყვავილი, პანანუნა მინდერის ყვავილი. ჯერ ვერ დაინახავ, მერე სადღაც გაკრთება, დაიხრები და აღმოაჩენ მთელ სამყაროს სინაზით, სილამაზით სავსეს. პანანუნა მინდერის ყვავილი!

ვა, ვინა სთქვა ჩამღვრვალე პოეტიაო, ბოლმა! ვინ დააბრალა? იქნებ, თვითონ უნდა კიდეც - ჩაალრჩოს, არავინ დაინახოს როგორი გულჩვილია. ამ პატარა სოკომ რომ თვალეებში შეხედა და ხელი ჩაჰკიდა, შეიძლება შიგნით, გულში აღრიალდა ნიკა. რატომ მოეთბო, მამა რომ აკლია და ენატრება? არა, რაღაც დაინახა ნიკაში და მიენდო ეს ჭკვიანი ბარტყი. და, იქნებ, სწორედ ეს უნდა - მის ხელში პატარა ხელი, რომელიც ენდობა. თეა ისე ერიდება, როგორც ბავშვი ლუმელს, ერთხელ რომ ხელი დასწვა. თვითონ ლიკას არ ენდობა. ანას უნდა, რომ დიდი ძაღლი ჰყავდეს - ერთგული და სანდო. იქნებ, ეს განცდაა ყველაზე მართალი. თეაზე რომ ფიქრობს უფრო მეტი ვნებაა, ვიდრე რომელიმე ქალთან ლოგინში... იქნებ ყველაზე ნაღდი ნარმოდგენილი და მონატრებული თეაა... და არ უნდა შორით დაგვა, შორით ალვა, არც თავისი მამრობის მტკიცება... უნდა მიუახლოვდეს, შეეხოს ამ გრძნობას, სადღაც რომ მიკარგა და ვერ ივინყებს... ეს სხვა სამ-

ყაროა... და სწორედ ეს უნდა... და სწორედ დან სიამოვნება თეას შეფარული ტკივილი, მერე თითქოს მიივინყა... მერე დააკლდა... მოენატრა... ენატრება! როგორ მოიგონეს ადამიანებმა ეს სიტყვა - მონატრება... ათას ქალთან რომ დანვეს, მაინც ენატრება.. ამ მონატრებით ცხოვრობს...

ანამ დაკერა დაამთავრა.

- რა ყოჩალი ხარ! - გულწრფელად დაცდა.

- მე ორკესტრთან ერთადაც ვუკრავდი და ტელევიზორშიც ვიყავი. კიდეც მაისში ფესტივალზე მიმიწვიეს. კიდეც დიდებთან ჯახკვარტეტში ვუკრავ ხანდახან, - სწრაფად მიაყარა და განითლდა. - ოღონდ არ გეგონოს, რომ ვმეტყრობ.

- ნამდვილად ყოჩალი ხარ! ახლა ტელევიზორში ყველა კონცერტს შევხედავ, მეგობრის წარმატება არ გამომჩეს.

- მეგობრის?

- აბა რა, მეზობლები თუ ვართ, მეგობრებიც ვიყოთ.

- ნამდვილი მეგობარი ერთგული უნდა იყოს და საიდუმლო უნდა შეინახოს.

- ვფიცავ, რომ შევინახავ ყველა საიდუმლოს, რომელსაც გამანდობ, თუნდაც მანამონი ვინმემ თუ განყენინა, მითხარი და მე ვაჩვენებ სეირს! ისევ პირდაპირი მზერა. გამჭოლი სხივი! ნეტავ, რას ხედავს?

- მეც არავის ვეტყვი შენს საიდუმლოს. - რაღაც დაინახა, რა დაინახა? ნიკასაც უნდა, რომ იცოდეს.

- სულ არავის?

- არავის! დედას გეფიცები, მამას და ბებიას! - მღელვარებისაგან ხმა უთრთის ანას.

- ანა, მე ერთ ჩემ კარგ მეგობარს ვანყენინე, თეა ჰქვია. ძალიან ვანყენინე.

– ვინმეს თუ აწყენინებ, გამბედაობა უნდა გეყოს და ბოდიში მოუხადო, ბებია მითხრა.

– სწორია შენი ანასტასია ბებია. მე ალბათ, ბოდიშს მოვუხდები. ნამდვილად ასე ვიზამ. დღესვე! მერე ანამ აისხა ქურთუკი, ზურგჩანთა, ვიოლინო. ნიკა დაიხარა და ფეხსაცმლის შეხსნილი ზონარი შეუკრა. დათოსაც გადაუჯოკრა!

ლამპიონებით განათებული შიშველი ხეები ფიფქებში ბრწყინავს.

მალალი ბიჭი გრძელი, მხნე ნაბიჯით მიუყვება თეთრად მოფთვებულ ქუჩას, ვიოლინოიანი გოგო თითქმის სირბილით, ხტუნვა-ხტუნვით მისდევს, მისრიალებს ახლადდადებულ თოვლზე. უცებ ნაიბორძიკა, ნიკამ ღონივრად ასწია.

– შენ რომ გაგისრიალდეს ფეხი?

– შენ დამიჭერ. <sup>ეროვნული</sup> <sup>ნიგელი</sup> <sup>მოქმედება</sup> ანამ გაიღიმა, დაგვიჭერ. მერე შეჩერდა.

– დიდხანს რომ უყურო ფიფქებს, ოღონდ თვალეები არ უნდა დაახამბამო, ფიფქები ქვევით კი არა, ზევით მიდიან და თითქოს მიფრინავ.

– დღეს უკვე ვიფრინე, მერე ვეცდები. ახლა გავექცეთ, შენი მუსიკის გაკვეთილიც დამთავრდა და სოლფეჯიოც. დაგვიანდება და კუთხეში დაგაყენებს ანასტასია ბებია.

– მე კუთხეში არ მაცენებენ.

– რატომ, მრგვალი სახლი გაქვთ?

– მრგვალი სახლი გვაქვს! – იცინის. თვალეები უბრწყინავს.

ქალაქი გემივით მიცურავს თეთრ ნისლში...

თოვს...

მშვიდად. უბრალოდ. ჩვეულებრივ ჯადოსნურად.

## ლიზი

რას იწერება დედა?! არაფერს ისეთს. თავს მოუფრთხილდი, კარგად ქამეო. დაბადების დღეს ულოცავს, ფულიც გამოუგზავნა. ჩვენ კარგად ვართო. და სხვათაშორის, ბებია მესიზმრავო.

– ლიზი – კენჭი ესროლა ნანამ, – ხელები ჩამოიღღ. პანაშვიდზე მგონია თავი.

ლიზი გულაღმა გულხელდაკრეფილი ნევეს კენჭებზე.

– ფეხი რომ ფეხზე გადავიდო? – და გადავიდო ფეხი ფეხზე, და გახედა. ნანა შიშველი დედოფალია, გასაბურღებიზე განრთხმული. მის ფერხით მისავათებული ბიჭები ყრიან. გოგოები ფარდაგზე თვლემენ, ნუხანდელ ნამხიარულეებ-პრეფერანსნათამაშევ-გათენებაზე ჩაძინებულნი. ლი-

ზის თითქმის არ უძინია. დილით ადრე ჩამოვიდა ზღვაზე. ცარიელი სანაპირო, ზღვა – გამჭვირვალე, ფერადი კენტებით მოჭიქული – მარტო მისი იყო. მესაკუთრე! ლიფსიტების გუნდმაც გადაურბინა, ნყალში თვალგახელილი რომ ჩაიძირა და ზღვას გამარჯობა უთხრა. გა-მარ-ჯო-ბა! ამობუშტა ლიზიმ და თევზებმაც გადაისრიალეს მის ტანზე. მოფერადებული ფსკერი, ლიფსიტების ვერცხლისფერი გასრიალება და, აქ ხომ არ დაფრჩეო, იფიქრა ლიზიმ. ახლა ზღვა ბუზღუნებს, ამღვრული, ამრეზილი. დიდი ტაშტი! უკვე ჩაიბანეს შიგოფლი, ჩაიხოცეს ცხვირები, ჩაფისეს და ერთმანეთის ნაოფლარ-ნაბანავებში ისევ ნეტარებით ქყუშალებენ, ქყლოპინებენ.



ლიზი ტალღების ხმას ბაძავს, თფშშ... ფშუხჰ...

- პა, შემოგანვა მსოფლიო სევდა? - ნანა არ ეშვება.

ლიზი წამოჯდა.

- აუ, წარმოიდგინე! ჩემი პანაშვიდია, თქვენ ლოყების ხოკვით მივლით გარშემო და მე... მე კუპალნიკით ვწევარ კუბოში! ანდერძში უნდა დავიბარო, კუბოში კუპალნიკით ჩამდეთ-თქო. - ტრუსებს დახედა - ეს ძალიან გაქუცულია, საკუბოე საცურაო კოსტუმი უნდა შევიძინო.

- ეგრე იცის დილიდან მზეზე გდებამ, - თვალი გაახილა დათომ - ისე საბანაო კოსტუმიც გამოდგება, კოსტუმი კოსტუმი. და კუბოს მაგივრად აკვანში ხომ არ ჩაგდოთ?!

- შეიძლება შუადღეზე პლაჟზე ჩამოსვლა?! - რომელიღაც გამოფხიზლდა ფარდაგზე.

- რას ვიხრუკები ამ სოფელში, წაეყოლოდი საყვარელ დედას და მამას ანტალიაში, ცივ წიავს არ მომაკარებდნენ. აქ თქვენ უნდა გიპატრონოთ, თორემ შიმშილით დაიხოცაეთ თავებს, ან მზის დაკვრას მიიღებთ. - ნანა ქოთქოთებს.

- აქ სასტავია, - გაამხნევა დათომ.

სასტავია - ლიზი, ნანა, დათო, ეკა - კლასელები არიან, დანარჩენები მერე აქეთ-იქიდან შემოერთებული თანაკურსელები. კიდევ ქობულეთში დახვდათ უამრავი ნაცნობ-მეგობარი. სანაპიროზე დამსვენებლები დახარისხებული ჰყავთ - ოჯახები, სტარიდევები, ეკას დაქალუშკები, უნივერსიტეტი, აკადემია, გოიმები, კარველები და ბოზისშვილები, როგორც ნანამ მონათლა. „ბოზისშვილები“ თბილისელი ბიჭების გუნდია, სალამოდან დილაამდე სვამენ, ნაპახმელიები შუადღეზე ჩამოდიან ნაპირზე და განუწყვეტელი იქაძნებიან - ბოზის შვილი ვიყო!

„კარველები“, ლამაზი, მაღალეჭილე ტები, ფიჭვნარში კარავში ბინადრობენ. სასტავის მახლობლად ჩამობანაკდებიან ხოლმე ზღვის პირას, კეთილგანწყობილად უთვალთვალევენ, მაგრამ ჯერ იზოლირებულად უჭირავთ თავი.

- გომიკები ხომ არ არიან? - შფოთავს ეკა.

- ნამდვილად არა! - ნანა გადამწყვეტი ექსპერტია. გოგოები უჯერებენ, შიშვლები, მზის გულზე მიყრილები, ინსტინქტებგამძაფრებულნი ვერ იმეტებენ სექსუალური უმცირესობისათვის ფანტაზიის ამ მომხიბლავ ობიექტებს.

- კაცი, რომელზეც ყველა ქალი ოცნებობს, - დათო კროსგორდს ავსებს რალაც რუსულ გაზეთში.

- ჯეიმს ბონდი... ტომ კრუზი... ონასისი... - ზარმაცად შაყრობენ.

- Рыцарь! - პათეტიკურად აცხადებს კროსგორდის ქეშმარიტებას დათო. - აღარ ოცნებობთ ქალები რაინდებზე.

- Перевелись рыцари, - იკბინება ნანა.

- კაცის ყველაზე სექსუალური ნაწილი რა არის, თუ იცით?! - გაზეთს ამრიალებს ეკა, პაუზას აკეთებს, - ტრაკი!

- შენთვის? - აზუსტებს ნანა.

- არა, ამერიკელი ქალები გამოკითხეს.

იხრუკებიან, ანგლობენ, ბილნსიტყვაობენ, მსუბუქად.

- გეყოფათ ვერბალური ონანიზმი, - იზმორება ნანა, - ნავიდეო, სადილის დროა. ეთანხმებიან, უკვე სულს ღაფავენ.

აიკრიფნენ.

- ელისაბედ! - ფეხი წაშკრა ნანამ ლიზის, - აღსდექ!

ო, რაოდენი სიყვარულია ამ ფეხის ნაკერაში! არ უნდა, არ შია, საერთოდ არ უნდა ა-რა-ფე-რი! ეძინება. ისევ შეტევა? უყურებს ნანა. ისევ! ასევე მზერიტ პასუხობს ლიზი. დათო მოტ-რიალდა, - ლიზიკ, არ გაუბერო ზღვა-ში! - ლიზი იღიმება.

წალაგდნენ.

რაო, რა ესიზმრა დედას? ბებია. ლიზის, სანაპიროზე რომ წათვლიმა რამდენიმე წუთით? თითქოს ახსოვს, და არც ახსოვს. ლამის, გაახსენდა ახ-ლა და ისევ გაუსხლტა სიზმრის ხატი, აჩრდილი, აზრი, ფერი, სუნი და დარ-ჩა რალაც შეგრძნება - თბილი, ფაფუ-კი, მტკივნეულად ნაცნობი, მსუბუქი და მიიმე... ეგ როგორ? აი ასე! და ლი-ზიმ სახე მიაჭყლიტა, მიასრისა გახუ-რებულ კენჭებს.

რატომ აქვს შეტევა?! ჰო, გუშინ სასტავს ერთი ჩამოემატა თბილისი-დან, დედის წერილი ჩამოუტანა ლი-ზის და ფული დაბადების დღისთვის. მამინაცვლის მიერ გულუხვად გამე-ტებული. ლიზი ოცდაერთი წლის გახ-და გუშინ! და ამბავი სხვათაშორის - ნიკა გერმანიაში წავიდაო. ლიზი მიაშ-რა, მიაქვავდა, მიეზარდა ტუმბოს, ოღონდ უდრტვინველი გამომეტყვე-ლებით. კიდევ კარგი, იჯდა ტუმბოზე. ამბავი სხვათაშორის - ნიკა გერმანი-აში წავიდა სასწავლებლად და დედამ სხვათაშორის - ბებია მესიზმრაო, და ლიზის შეტევა აქვს სიცარიელის, უაზ-რობის, დასასრულის, არარსებობის. სიცარიელე, სადღაც ყელში გაჭედი-ლი, დამზრჩობი, მკერდში ანუილებუ-ლი. სიცარიელე, როცა არაფერი არ გინდა - ადგომა, დაწოლა, ჭამა, სიცი-ლი, ტირილი... ა-რა-ფე-რი. არაფერს ფასი არა აქვს, არაფერს აზრი არა აქვს და ვერ იშორებ ამ მაჯლაჯუნა არაფერს. ლიზის სულ შეტევებით აქვს სიხარული, ტკივილი, სიყვარუ-

ლი, მონატრება, მარტოობა, საშუა-ლოდ არა! ცოტათი არა! შეტევა თუა, უნდა იყოს წამლეკავი, დამანგრევე-ლი, გამანადგურებელი. შეტევებს შო-რის რა არის? შეტევებს შორის შუა-ლედი არ არსებობს, ერთიმეორეს ცვლიან, ენაცვლებიან.

რაო, რას სწერს დედა? უყურად-ღებოდ ნაიკითხა, ერთი თვალი შეაუ-ლო ქალაღდს, შფოთიან სტრიქონებს, რომელიც პირდაპირ არ ამბობს სათ-ქმელს, შეფარვით, შემოვლით. ვინაა ართვა პირდაპირ თქმის უფლება დე-დას, საშველად საიქიოდან სიზმარში ბებია რომ გამოიხმო და იმას გადა-ბარა სათქმელი?

ბებია! ბებია იძლეოდა კოდირე-ბულ ინფორმაციას, ახმოვანებდა საფრთხეს, ბავშვობის სიბნელესავით შემადრწუნებელს და გაურკვეველს, განუსაზღვრელს, უფორმოს. უბედუ-რიოო თქვენი გვარი, განწირული - არავინ თავისი სიკვდილით არ კვდე-ბოდაო, არავინ აღწევდაო ბედნიერ სიბერეს. ფეხდაფეხ დაჰყვებოდა სი-კვდილი ლიზის წინაპრებს, ლიზის გვარს. ბებიაშ უამრავჯერ უამბო, ვინ როგორ გამოესალმა წუთისოფელს. ეს ამბები დიდი ხნის წინათ მოხდა. ლიზი არ შესწრებია, მაგრამ ლიზიმაც უნდა დაიჯეროს ოჯახური მითი - არავინ არ კვდება სიბერის სიკვდილით. ლიზი-მაც უნდა ნახოს, უნდა ირწმუნოს. და გიო. და მამა. ისევ აწრიალდა უსახუ-რი, უსახელო სიცარიელე - შინაარსს ითხოვს, გიო, მამა, ლექსო. ლექსო მათი ოჯახი არაა, ლექსო სხვა სისხლია, სხვა გვარი. მაგრამ ერთი წელია გა-სამდა ლიზისათვის ეს უსახური სიცა-რიელე: გიო-მამა-ლექსო. მამა-გიო-ლექსო. ლექსო-გიო-მამა... სამის ფაქ-ტორიალი! ბებია ქსოვდა ბედისწერის ბადეს, რომელშიც იხლართებოდნენ ლიზის ძვირფასი ნაწილები. და ლიზი

თვითონ? არცერთს არ ეღირსა სიბერე! – ბავშვობიდან ესმოდა, ეშინოდა მაშინ შორეული ამბების? ახლა? ლიზიკ გეშინია?

– ლიზიკ! – ასე ეძახდა მამა, როცა ეფერებოდა.

– ლიზიკოო! – ამოსძახებდა ხოლმე სამსახურიდან დაბრუნებული ეზოდან. ასე იძახდა ლექსოც.

– ლიზიკო! ლიზი! ლიზ! ე-ლი-სა-ბედ! – ერთობა ლექსო.

ელიზაბეტი! რატომ გაქვს ასეთი ლურჯი თვალები? ხუმრობს, ეფერება მამა. და ლექსოც – ელიზაბეტი, რატომ... თითქოს მოილაპარაკეს მამამ და ლექსომ.

ლიზიმ მუშტში მომწყვდეული გაოფლილი კენჭები მშობლიურ კალთას დაუბრუნა. კენჭებით მოხატულ ხელისგულს დახედა. ცოტა ხანში გაქრება ეს ნითელი ანაბეჭდები, ტკივილი მიავიწყდება. რატომ არ ქრება სხვა ადამიანის ნაკვალევი ჩვენს სულზე? ანუხებთ ხოლმე მოჭრილი ხელი ან ფეხი?! რატომაა ასე მტკივნეული ვიღაც ადამიანის არყოფნა ჩვენს გვერდით? ცოტა მინაელებული ტკივილი, თითქოს საბაბს ეძებს, ელოდება, რომ ისევ ამოყვინთოს, ამოიზარდოს, ეკლიანი ყვავილები გამოისხას. რამ ამოფურჩქნა, რამ გაალევიდა ახლა, დედის სიზმარმა თუ სხვათაშორის ნათქვამმა, ნიკა ნაეიდაო? როგორ მოუაროს ამ ყვავილების შემოტევას ლიზიმ? ნანას ინსტრუქცია – უნდა გადაერთო გარემოზე, იფიქრო იმაზე, რა გაქვს და არა იმაზე, რაც არა გაქვს. როცა მწყურვალს ნახევარ ჭიქა წყალს განვდიან, რას ხედავ, რომ ჭიქა ნახევრად ცარიელია, ანუ რა არ გაქვს? იქნებ დაინა-

ხო, რომ ჭიქა ნახევრად საფლანგო გაქვს ნახევარი ჭიქა წყალი. რა სიბერიყვეა?! ეპასუხება ლიზი, მაგრამ მაინც უჯერებს. თვალები გაახილა, სანაპიროს გახედა. ნაცნობი დამსვენებლები დალანდა. სხვებიც იხრუკებიან. ლიზი ველარ გრძნობს მზის სიმზურვალეს, ისეა გარუჯული. ადვილად ეკიდება მზე. ბავშვობიდან მთელ ზაფხულს ზღვაზე ატარებდა გაგრაში, მამის დედასთან. ზაფხულიდან ზაფხულამდე არ გადასდიოდა ტანზე მზის კვალი.

სანაპიროს შესწავლა გააგრძელა. ის ქალი დაინახა, სასტავი რომ მხიარულობს მის ფორმებსა ზედა – დიიდი ცომის გუნდა, ნითლად ეამკაშა საბანაო კოსტუმში. დგას ფეხებგაჯგიმული და ცდილობს ნაიდროს უზარმაზარ მკერდსა და ილღიებს შემოჯარული გასაბერი რგოლი. შვილების სცენა, რომელზეც ამას წინათ იმხიარულა სასტავმა, ისევ ის სცენა. იქვე ქეიშაში მისი ოჯახობა გორაობს – ჯანიანი, ბლანმდიდარი ქმარი და ორი პუტკუნა პირმშო. არცერთს არ მოსდიოდა აზრად, რომ შეეშველოს. არც ქალს, ნვალობს. ლიზის არ ესმის, რატომ არ მოსდის აზრად ქალს ან ქმარს, ან ბავშვებს, ხელი წააელონ რგოლს და თავს ზევით გადაადრონ. წელსქვემოთ ნაღდად ვერ ჩაიდრობს. ნეტავ, როგორ ჩამოიცვა? ხომ არ მიეხმაროს? ქალი სულაც არ გრძნობს უხერხულობას, არც თავისი ფორმების, არც უმწეო ფართხალის გამო. ალბათ, არა, თორემ აღარ ჩაეკვტებოდა ამ მტარვალ რგოლში. წყალშიც ასევე უშუალოდ ტყლოპინებს და დგაფუნობს ხოლმე ნაპირთან და ქმართან ძალიან ახლოს, რგოლზე ზრდილი.

– დაბადების ტრავმას იმეორებს, – ამზეურებს თავის ფსიქონალიზურ ცოდნას ნანა, – დედამისს მძიმე მშო-



ბიარობა ჰქონდა, ამას, შესაბამისად, მძიმე დაბადება.

– ნუ შეგვანუხე შენი ფსიქოლოგობით, – ილრინება ეკა. – ჯერ ადამიანი არ მინახავს, თავისი პროფესია ასე ყურებიდანაც რომ გადმოსდიოდეს.

შორიახლო ადგილობრივი შვიდითოთხმეტი წლის ბიჭები არიან მიყრილები, კარტს თამაშობენ. ყველა ერთნაირად ენევა, იფურთხება და იგინება ხმამაღლა, საფუძვლიანად. ასე ყოჩაღად ამბობდნენ, ალბათ, ბალში ლექსებს დედაზე, ან იქნებ მორცხვობდნენ?!

– მე ჩემი დედა... – ბოლომდე ახუჭუჭებენ ბიჭები, პატარებიც და დიდებიც, კაცურად, ასე ჰგონიათ.

– ქართველი კაცების ინცესტური სურვილები აქტიურად იფურჩქნება ზეპირსიტყვაობაში. – ავსიტყვაობს ნანა, ცხადია, ფსიქოანალიზურად.

– მიდი გაუცნობიერე! – აგულიანებს ლიზი. ნანა თავს იკავებს.

– ჯერ რეგრესის მაქსიმუმისათვის არ მიულწევიათ.

მაქსიმუმი რა უნდა იყოს?!

ბიჭების გუნდი მოქანდა, ახლოს ჩამობანაკდნენ. ახლა ამათ ინცესტური სურვილებს უსმინე, იბოლმება ლიზი. ახალჩამოსულები არიან, თეთრები. დაინვებიან ამ პაპანაქებაში ეს ბრიყვები. მზრუნველი დედა! ასეთი მზრუნველი დედა ხდება ხშირად, მას შემდეგ, რაც გიო აღარ არის. რაც მამა აღარ არის. თითქოს გიოს და მამის ნილ სიტბოს და აღერსს ანანილებს. კიდევ ნამეტანი მიმტევებელი გახდა, ვინმე რომ აწყენინებს, ერთს გაიცოფებს თავს თავისთვის და მერე ფიქრობს, ეს ადამიანი რომ მოკვდეს უცებ, ხომ ინანებს თავის ბრაზს... და პატიება უფრო ადვილი ხდება, უფერულდება ბრაზი და წყენა, სიცოცხლის ბრიყვულ ნაკუნებს ფასი ედება.

– შეიძლება ლეიტენანტი ტეტო ხება ახალჩამოსულებიდან რომელი-ღაცა.

– შეიძლება, პასუხობს სახეზე ნითელკეპნაფარებული ლიზი. ალბათ, სასაცილოა – ვახურებულ კენჭებზე აგდია თითქმის შიშველი გოგო და მის გვერდით ლეიბი – უსაქმოდ. მაზოხისტი გრძნობს ბიჭების შეფარულ-ამჟარა მზერა-თვალისშეველებას თითქოს გრძელი საცეცებით ეხებიან გარუჯულ სხეულზე. არ შეინუხებს თავს; არც იგრძნობს. არხეინად ეგდება ასე სახეზეკეპნაფარებული. ბიჭები ღლაბუცობენ, წყალში დგაფუნით ჩაცვივდნენ. დედას არ ახსენებენ. არ მონატრებიან, ჯერ, ფიქრობს ლიზი. ცდილობს წყალში ჩადგაფუნება-ჩახტომის ხმა გაიმეოროს ტყელუმპ! არა, თხლუმპმპ! არა, ტყელუმპ...

– ტყაპუ-ტყაპუ! ამბობს პატარა გიო და ტიტლიკანა მუცელზე ხელებს იტყაპუნებს. – ტყაპუ-ტყაპუ! – ეფერება ლიზი პატარა ძმას და თვითონაც უტყაპუნებს. გიო იცინის. ლიზი ისევ მიუერთდა ფერად ვახურებულ სანაპიროს. ისევ სულერთი ვახდა, გარშემო რა ხდება; გადნა, გაქრა, ხმები, ფერები, სიცხე, სივრცე, დრო...

გიო! პატარა ბატის ჭუჭული! ახსოვს სულ პირველად რომ ნახა, ერთი ციციქნა, ვარდისფერი, ტურებაბუფული, ტოლმასავით გამოხევეული. დედის მუცელში რომ იყო, ისიც ახსოვს, ლიზი დიდი გოგო იყო მაშინ

– მათხოვეტ ცოტა ხანს? ხელში დამაჭერიან, რა?! – ეხევენება დედას.

დედა იცინის, – გათხოვეტ.

მამას სამივე ერთად აჰყავს ხელში, ახალგაზრდაა, ლამაზი, ლონიერი. და ლიზის ახლა ეჯავრება ეს დატკილული, ბედნიერებით განეპილი მოგონება, სურათი, ხატი. აღარ არიან, აღარ არიან. და არ ესმის რატომ. არც მაშინ

ესმოდა, გიო რომ დაიხრჩო. არც დედას ესმოდა, არც მამას, როგორ უნდა გაეგოთ, როგორ უნდა დაეჯერებინათ? გიო, პატარა თევზი, არა – მზეზე გამოხუნებულ-გაქერავებული ბატის ქუჭული, დაბადებიდან ზღვის პირზე გამოფენილი, წყალში ჩასახლებული. დედა ამბობდა პატარა თევზი გაეაჩინეო. ორსულად რომ იყო, თვითონაც სულ წყალში იყო და სჯეროდა, პატარა თევზი გააჩინა. ჯერ დაბადებული არ იყო და ზღვაში ცურავდა გიო. სიარული არ იცოდა და ცურვა იცოდა. ლიზის ცურვით მიჰყვებოდა ნაპირზე, მინაზე რომ ამოსვამდა ლიზი, ფორთხავდა. ყველაფერი შეიძლება დამართნოდა გიოს, მაგრამ დახრჩობა? და არ ესმოდათ! შეიძლება თევზი უცებ წყალში დაიხრჩოს?!

დედას ახლა ერთი წლის შვილი ჰყავს, გიორგი დაარქვა იმასაც, სხვა კაცისაგან გაჩენილს, მაგრამ ვერ ბედებს, გიო დაუძახოს. ერთხელ წამოსცდა და შეშინდა, დამფრთხალი ბავშვივით გადმოხვდა დედამ ლიზის – უფროს შვილს, პირველ შვილს. ლიზის შეეცოდა. სულ ეცოდება დედა, უმწეო, დამნაშავე. რაშია დამნაშავე? რომ შვილს ხიფათი ვერ აარიდა, ვერ დაიცვა. რომ შვილქმარმკედარი ისევ ლამაზია, და სიცოცხლე უნდა, ბედნიერება. და ამ სურვილების გამოა დამნაშავე. დამნაშავეა, რომ გათხოვდა, სხვა კაცს გაჰყვა და ლიზი – შვილი მიატოვა. თუმცა, ლიზიმ, თვითონ ლიზიმ, ლამის ძალით გააყოლა იმ კაცს, ადრე მამამისის მეგობარი რომ იყო და ახლა დედამისის ქმარია. და დედა სულ დამნაშავე იქნება, ვერ შეირგებს ბედნიერებას. ვილაცამ ჩამოართვა ბედნიერების უფლება. ამიტომ ვერ უთხრა ლიზის, არ გაგიშვებ ზღვაზე მარტო, არ გაგიშვებ, არა! ვერ გაბედა, უფლებადარ პქონდა სხვა კაცზე გათხოვილს,

იმ სხვა კაცისაგან შეილგაჩენილს ვერც ვიცი რილშიც ვერ გაბედა, ვერც შიში გამოხატა, ვერც აკრძალვა, შორს არ გაცუროო. და სამეფლად ბებია მოიხმო, შეახსენა ლიზის ოჯახური მითი, საფრთხე.

ყველა განწირულია ჩვენს გვარში, არავენ მიდის. ამ ქვეყნიდან სიბერის სიკვდილით! ზღართავს ბედისწერის ბადეს ბებია, დედის დედა. ახმოვანებს სადღაც ზეცაში ჩამომსხდარ უსაქმურ ღმერთებს.

– ბაბუაშენის მამა კომუნისტებმა დახვრიტეს... ბაბუას ძმა ომში დაიღუპა... ბაბუა ვილაც ქალს გამოექომაგა და ვილაც ხულიგნებმა დანა გაუყარეს... – სამი-ოთხი თაობის სიას ზეპირად კითხულობს ბებია. – ყველა ახალგაზრდაა.

– გაწმინდიი! – ეხვეწება ლიზი საიქიოდან გამოხმოვანებულ ბებიას.

ცხადია, ბებია არაფერს არ იგონებდა, წინა ისტორიას არაფერს არ უმატებდა, შემდეგს ქმნიდა – საგვარეულო მითის განმტკიცებას ახდენდა უნებურად.

წინაპრებს, ალბათ, თავიანთი ბედისწერის მეზღაპრე ჰყავდათ, ბებიას აქეთა თაობა ებარა, თავისი ერთადერთი ქალიშვილის ოჯახი. თავის შვილს ვერ აარიდა გასაწყვეტად გადადებულ საგვარეულოსთან დაკავშირება და ცდილობდა საფრთხის შეხსენებით დაეცვა ოჯახის წევრები. და დადიოდნენ სიკვდილის მოლოდინში და ამართლებდნენ ამ მოლოდინს. ადრე ერთობოდნენ, მზიარულობდნენ ბებიას შთამაგონებელ სიფრთხილზე, გიოს შემდეგ დაფეთდნენ. სამივე შეშინდა გიოს შემდეგ – დედა, მამა, ლიზი. არ ამხელდნენ, არ ამბობდნენ და სულისფთებით ელოდნენ ერთმანეთს სახლიდან გასულები, შეშინებულები, დამნაშავეები – ვერ მოუფრთ-

ხილდნენ გიოს, ვერ აარიდეს საფრთხე. ბედისწერის ზღაპარი არ ამსუბუქებს მათ დანაშაულს, ენდნენ ზღვას და პატარა ბიჭს. ისე დაუტოვეს ზღვას, როგორც მოსიყვარულე ძიძას. და პირველად აღმოაჩინეს, რომ შესაძლოა უეცრად გაქრეს შერეული ბედნიერება – ადამიანი, რომელიც გიყვარს, გჭირდება, შენი ნაწილია... და ლიზის ტვირთი დაედო, დიდი, მძიმე – ლიზი სულ კარგად უნდა იყოს, არაფერი არ უნდა ეტკინოს, თმის ბენეციკი არ უნდა მოსძვრეს, ლიზიმ არ უნდა მოიწყინოს... ათმაგი, ასმაგი, უსაშველო სიყვარული და ზრუნვა დაასკდა თავს... არაფერი არ იყო აკრძალული, ლიზის ყველა სურვილი სრულდებოდა, ოღონდ კარგად იყოს, ოღონდ ამქვეყნად იყოს... და ლიზი მზად იყო ეზიდა დედ-მამის გასახარად ეს ტვირთი – სიყვარული. ადრეც ხომ ერთმანეთით ცხოვრობდნენ და მერე, გიოს მერე, დედამ ლიზის გადამდნარ-გადამკვდარი სიყვარული უსაზღვრო, უნაპირო, უსაშველო... სხვისი სიხარულით, სხვისი ცხოვრებით ცხოვრება... ყოველი დღე თითქოს ერთად ყოფნის ბოლო დღეა... იქნებ ეს იყო მომაკვდინებელი? იმდენ სითბოზრუნვასიყვარულს აფრქვევდნენ. უფლება არ ჰქონდათ, რომელიმე არ განწირულიყო! და მამა! მამამ აიღო ეს ტვირთი. ან იქნებ, მამა მათზე სუსტი იყო და დედა ლიზის რომ დამართნოდა რამე, ველარ მოერეოდა, დაინგრეოდა, განადგურდებოდა და დაასწრო მათ – ნანვიმარ გზაზე მოსრილდა მანქანით და ნანვიმარ კლდეს მიასკდა. ან იქნებ იმიტომ წავიდა მამა, რომ თავისი ცოლი თავისი მეგობრისათვის დაეტოვებინა; ის კაცი ხომ ორმოც წლამდე მარტოხელა დაეხეტებოდა და ელოდა, ელოდა თავის დროს, ელოდა, როდის მოკვდებოდა მისი საყვარელი

ქალის ქმარი – მისი მეგობარი, რომელმაც ქალის ნაღვლიანი აჩრდილი რგებოდა წილად, ოდესღაც რომ უყვარდა. მის სიყვარულსაც უნდა გამოეღო ნაყოფი, მისი ლოდინი უნდა დაფასებულყო. იქნებ, ეს იგრძნო ლიზიმ და ამიტომაც დაუთმო დედა. მაშინ ფიქრობდა, რომ დედა ეცოდებოდა. იქნებ, იმიტომ გაიმეტა დედა, მარადიული სიცოცხლის პასუხისმგებლობა მოეხსნა, ახლა დედას სხვა შეილი ჰყავს და ლიზის შეუძლია კარგად ყოფნის ვალდებულება მოიხსნას. იქნებ, მოხეზრდა კიდევ დედის მწუხარების მოზიარედ ყოფნა და სხვას გადააბარა ეს საფიქრალი. იქნებ, ამოწმებდა დედას, ლიზის აირჩევდა, თუ იმ კაცს.

არაეინ და არაფერი არ უნდა გიყვარდეს ამქვეყნად ძალიან, არაეინს და არაფერს არ უნდა მიეჯაჭვო, არაეინ არ უნდა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი და შეუცვლელი. არაეინ არ უნდა გახდეს შენი ნაწილი, თორემ ის ნაწილი რომ ქრება, შენც იკარგები, კვდები. ფეხდაფეხ დასდევს სიკვდილი ადამიანს, სხვებს თუ არა, ლიზის ოჯახს, ახლა, ალბათ, ლიზის. და ლიზი მით უფრო ხალისით ცხოვრობს, არ ემალება ხიფათს. თითქოს ბედისწერას ეთამამება, ეთამაშება – ვინ მოიგებს. და ყოველი დღის ბოლოს ცოცხალი – გამარჯვებული გამოდის ამჭიდილში. ყოველი დილა ეუბნება, რომ მთელი არსებით უნდა იცხოვროს ეს დღე, დაუნანებლად. ბოლომდე უნდა ჩაყვინთოს სიცოცხლეში, იქნებ ეს ბოლოჯერაა. ამიტომ აქვს ლიზის სიყვარულის, ხალისის, ხატვის, კეთების, ტკივილის შეტევები. ამიტომ არ გამოსდის არსიყვარული და ისევ ეჯაჭვება ადამიანებს, განცდებს, ადგილებს და ყოველ საღამოს გამარჯვებული ემშვიდობება დღეს – დღევანდელი დღეც მისი იყო, ესეც გამოგლო-

ჯა ბედისწერას. და დაქანცული საკუთარი თავით, სამყაროთი ისევ საბრძოლველად ემზადება - ღამეც უნდა ნაგლიჯოს, ღამეც უნდა დაისაკუთროს. და თუ გაუმართლა, ყველაზე ძვირფასი სიზმრები ენვევა - გიოსთან ერთად ხელჩაკიდებული მირბის ზღვისაკენ... მამასთან ერთად ხელჩაკიდებული მიდის... ან ის და ლექსო მიბიჯებენ ერთად მშვიდად, ოღონდ ხელიხელჩაკიდებული. ეს, თუ აჯობა რომელიღაც უხილავ ძალებს. თუ არადა, მთელი ღამე უთავბოლოდ დაბორილობს სიზმარში, დაეძებს თავის სახლს და ვერ აგნებს; ხედავს გიოს, მამას, ლექსოს და ხმას ვერ აწვდენს, მიდიან, ეკარგებიან...

- დანაშაულის განცდა არ გასვენებს, - უხსნის ნანა.

რა დანაშაული?! რომ დაიჯერა, გიო თევზიაო, რომ ის და გიო ზღვის შვილები არიან და სულერთია, მის კალთაზე სად მოკალათდებიან, ნაპირთან ახლოს, თუ შორიზონტთან.

ზღვაში შორს, შორს გადის, საათობით იკარგება. სასტავი ბრაზობს. დათომ პირველ დღესვე ნითელი კეპი უყიდა და თავზე ჩამოაფხატა, შორს გასულს რომ ხედავდნენ. ლიზის სჯერა კიდეც - ამ კეპში არაფერი მოუვა. რას ამტკიცებ, ეკითხება ნანა. არაფერსაც არ ამტკიცებს, უბრალოდ, შეუძლია მთელი დღე იყოს ნყალში, არ დაიღალოს, არ მობეზრდეს, ეს მემკვიდრეობით მიიღო მშობლებისაგან; აქ ნაპირზე სხვის ფისებში ცურვა ეზარება, ფეხებში ედებიან. იქ დიდ სივრცეებში, ნაპირი რომ შორეულ შორიზონტად იქცევა, ზღვას სხვანაირი ფერი, გემო და ხმა აქვს. მაშინ ის ზღვის შვილია და ზღვა მისი მოსიყვარულე ღედა. ლიზი ცოტა უთამამდებდა, მაგრამ იცის, ზღვა ამ თავხედობა-სითამამისათვის არ დასჯის. ზღვა თვითონ

აძლევს სიცოცხლის ძალას, შენგან ლიდან ზაფხულამდე ამ ძალით ცხოვრობს ლიზი, ზამთარი ზაფხულის ლოდინია. გავა, დაიკარგება ზღვაში, აღარც მისი ნითელი კეპი სჩანს, აღარც დაბრუნების იმედი, მაგრამ ბოლოს მაინც ბრუნდება ხოლმე. და ყოველი გამოსვლა ნაპირზე არის დასტური - ლიზი ცოცხალია. დაღლილი, დაქანცული, გათანგული და ცოცხალი. არა, ლიზის არ ეშინია სიკვდილის. ლიზი უკვე მოკვდა რამდენჯერმე - ჯერ გიოსთან ერთად დაიხრჩო, მერე მამასთან ერთად შეასკდა ნანვიმარ კლდე, მერე ლექსოსთან ერთად დახვრიტეს და ზღვაში გადააგდეს. სიკვდილი რაღაც მშობლიური და ახლობელია. იმიტომ მოკვდება ასე მზრუნველად ფეხდაფეხ, რომ შეახსენოს, სიცოცხლე ისე მყიფეა და სათუთი, ისეთი მოკლე და ერთადერთი, და რომ დააფასოს თავისი და სხვისი. სხვისი სიცოცხლე! ლექსომაც იცოდა სიცოცხლის ფასი და მაინც! ნავიდა ომში. იქ, სადაც დასწრებაზეა, ვინ ვის ნართმევს სიცოცხლეს. რატომ ნავიდა ლექსო ომში? რომ მომკვდარიყო. მერე ზღვას გამოერიყა დასახიჩრებული. ამქვეყნად თუ ყველაფერს აქვს აზრი, სიკვდილსაც თუ აქვს აზრი, რატომ მოკვდა ლექსო, რა აზრი აქვს ლექსოს სიკვდილს?

ლიზის სხვანაირად ეშინია სიკვდილის, ისე, როგორც მამას. ლიზი ველარ გაუძლებს კიდეც ერთ დანაკარგს, ურჩევნია თვითონ! და ლიზის კიდეც უფრო მეტად უყვარს სიცოცხლე. მისი ყველა ნაკუნია უყვარს. ლიზის არ შეუძლია ტკივილის არიდება, ვერ ისწავლა. ლიზის შეუძლია სხვებს დაუმალოს, მაგრამ თვითონ ვერ ემალება. ტკივილი შემოდის ლიზიში, ჩაბღუჯავს მის სულს, სხეულს, არც ერთ მისხალს არ გამოტოვებს, გონდაკარ-

## ეროვნული

გული სიყვარულივით წამოკრეფს მთლიანად, უდანაკარგოდ და ნელ-ნელა ვნებით ახრჩობს. და ერთმანეთს ცვლიან ხატები, მოგონებები, არდაჯერება – როგორ უნდა დამხრჩვალყო გიო, მსოფლიოში საუკეთესო თევზი. დაძინებაც შეეძლო წყალში, ელიმება. შეიძლება ცაში აფრენილმა ჩიტმა უცებ ფრთა დაკეცოს და მიწას დაეხეთქოს? ლექსო ზღვამ გამორიყა, ნატყვიარი, დასახიჩრებული. ძლივს ამოიციწეს. ნახევარი მსოფლიო ჩაერია და ძლივს დაუბრუნეს თბილისს ლითონის ყუთში ჩადებული ლექსო. როგორ დაიჯეროს ლიზიმ, რომ ლითონის ყუთში ლექსოა ჩატენილი, ლექსოს ღიმილი... ლიზი ამდენს ვერ იგებს, ამდენს ვერ უძლებს... ლიზი ერთი პატარა გოგოა, უმწეო, საბრალო, რომელსაც გამუდმებით სთხოვენ, ძლიერი იყოს, სხვებს უთანაგრძნოს, გაამხნევოს – გიოს შემდეგ დედა და მამა, მამას შემდეგ დედა და ბებია; ლექსოს მშობლებმაც ლიზის შემობლავლეს, ლექსოს ბავშვობის მეგობარს, გვიშველე, ლიზიკო! ლიზის უნდა, რომ ჩამოჯდეს, ატირდეს და ვინმემ, როგორც შორეულ ბავშვობაში, დაანყნაროს, კალთაში ჩაისვას და დააძინოს – ლიზიკო-ლიზა-ლიზი-ლიზ-ლიზიკო-ლიზა... და რომ გაიღვიძებს, რომ გაიღვიძებს... ღმერთო, მოახდინე ერთი სასწაული ლიზისათვის... დაატრიალე დრო უკან და დაუბრუნე ლიზის მისი ნაწილები...

ლიზი მეტ სადარდელს და სატკივარს ვეღარ აიტანს, თითქოს ყველა ახალი იმ ერთ დიდ ჭრილობას ედება და უსაშველოდ მძიმე ხდება მისი გაძლება – აგდინარ ბნელ წყალში ყელზე ლოდუმბული და იხრჩობი. ახლა რომ გადახსნა ეს ჭრილობა, გუშინდელმა საღამომ? სხვათაშორის ნათქვამი, ნიკა გერმანიაში წავიდაო, და ლიზი, კი-

დეე კარგი, ვზივარეულო ქრისტიანო ტუმბოს, რომელზეც იჯდა, მშვიდად; წარბსაც არ შევიხრიო. არ გამოგვივა, გადმოხედა ნანამ. ლიზიმ აისხლიტა. დაგანგრევს, ისევ უყურებს ნანა. აბა, რა ქნას, აღრიალდეს, ისტერიკა მოაწყოს? და ლიზი ყლაპავს ყელში გაჩხერილ ქვის ნატყებს.

როგორ უხიფათოდ დაიწყო არდადეგები! ლიზი ყოველდღე უკან ბრუნდებოდა ზღვაში შორს გასული, ოჯახის ერთგულ მეთევზესავით, იცოდა, რომ ნაპირზე ვილაცას სჭირდებოდა. ბრუნდებოდა ზღვიდან იმედით, შეიძლება ნიკა უკვე ჩამოვიდა, უკვე ნაპირზე ელოდება. მერე დაქანცული კენჭებზე თვლემდა ვნებაშერეული ოცნებებითა და ხატებით.

ლიზი და ნიკა მთელი გაზაფხული თავიანთ ნახატებს ყიდდნენ რუსთაველზე, ზაფხულის ფული დააგროვეს. ფულს ლიზისაც მისცემდნენ და ნიკასაც, მაგრამ ლიზის არ უნდოდა მამონაცვლისაგან აეღო არდადეგების ფული. ნიკას აზრი არ გააჩნდა ამის თაობაზე. მას სრულებითაც არ ანუხებდა, მამა რომ აძლევს ფულს, არც მამამისს. ნიკა ერთადერთი შვილია დედა-მამა-ბებია-ბაბუა-მამიდაზე. ნიკას ფულის შოვნა არ სჭირდებოდა, მას ლიზის გვერდით ყოფნა მოსწონდა. მოსწონდა ლიზის ნახატები, ლიზის სიცილი, ლიზის სილაღე... ლიზი არ იხარჯებოდა, ნიკას აზრით, ბრძვეულ სისულელეებზე; არ შფოთავდა წვრილმანებზე, ჭორებზე, სხვების შეფასებებზე; ბეჯითად და ხალისით აკეთებდა თავის საქმეს, სინათლეს და სიბნელეს ლამის საჩუქარივით იღებდა. ნიკამ არ იცოდა, რომ ლიზი სი-

ცოცხლის უსასრულობის განცდით კი არა, სიკვდილის საზომით ცხოვრობდა. სიცხეშიც და სიცივეშიც შეეძლო საათობით ეხატა. მუდამ რალაც ჰქონდა დასახატი, დასამთავრებელი. ნიკა რატომ აღმოჩნდა სამხატვრო აკადემიაში, თვითონაც არ იცის, ოჯახურმა ბაჭომ დაადგინა, რომ ნიჭიერია, ბიძაც მხატვარია, ალბათ, ეს საკმარისია. პირველ კურსზე პირველ დღესვე აღმოაჩინა ნიკამ ლიზი და მიენება. ლიზის მეგობრებიც მოსწონდა, მხოლოდ ლექსოს არსებობას თითქოს ვერ ამჩნევდა, ლექსო უბრალოდ ლიზის მეზობელია და კლასელი, მეტი არაფერი. ბრაზობდა, რომ ლექსოს ერგო ნილად ბაეშვობაში ლიზის გვერდით ყოფნა და თვითონ სულ არ იცნობდა მამინ. ლიზის ეცინებოდა, ისე ეჭვიაზობ, თითქოს მე დედაშენი ვარ და ლექსო – შენი უფროსი ძმა.

ნიკას არ შეეძლო ლიზის ყურადღების, სითბოს, მეგობრობის განანილება ვინმესთან. დედამამა-ბებიანობას ნაფერები ვერ იტანდა მოზიარეს. ლიზიც მათსავით მისი საკუთრება უნდა ყოფილიყო მთლიანად, გაუნანილებლად. ლიზი თუ მოინდომებდა, ნიკა ერთი ნაბიჯითაც არ მოშორდებოდა, ნიკა ვალდებულებას აძებდა და თვითონაც აიღებდა ვალდებულებას. მაგრამ არა პასუხისმგებლობას. რა განსხვავებაა, არ ესმის ნიკას. ნიკა – კარგად გაზრდილი ბიჭი არა, კარგად განვრთნილი. ლექსო? ძლიერი, სამართლიანი, ერთგული. ნიკა! ნიკა ისე გამოზარდეს, როგორც ჩიტი გალიაში. უელიდნენ, სიყვარულსა და ზრუნვას არ აკლებდნენ. ადრე ამ ჩიტისათვის გალიის კარი რომ გაეღოთ, ცაში გაიჭრებოდა. ნლების შემდეგ კი, სიყვარულ-სითბოთი გაბრუებული რომც გაუშვან, არსად აღარ გაფრინდება, აღარ მოუნდება, აღარ ეცოდინ-

ნება თავისუფლად ფრენა, დედამამა-ბებიანობის ურთიერთობა ვალდებულება არ უნდა იყოს, ფიქრობს ლიზი, სიყვარული – გალიის ჩიტის მადლიერება, რომ უვლიან, აჭმევენ და ეფერებიან. ლიზი არაფერს არ ითხოვს ადამიანებისაგან, იღებს იმდენს, რამდენსაც იმეტებენ, რისი გაცემაც თვითონ უნდათ. ნიკა გადაეჩვია სივრცეებში ფრენას, ნიკა მოითხოვდა ლიზის თავის გალიაში გამოემწყვდია, ეპატრონა. თუ ლიზი არ გახდებოდა მისი პატრონი, ნიკას სხვა მყუდრო ადგილი უნდა ეძებნა. ნიკას ბიძა უკვე გადასახლდა გერმანიაში, თავის გერმანელ ცოლთან. ახლა ნიკას ცხოვრება უნდა მოაწყონ სადმე, მყუდრო ქვეყანაში. ლიზისაც უნდა უცხო ქვეყნებში წასვლა სასწავლებლად, სამოგზაუროდ, მაგრამ სამუდამოდ დასატოვებლად არ ემეტება თავისი სახლი, აკაციებით დაჩრდილული ქუჩა, მეგობრები... არ გავცვლი სალსა კლდეებსა!.. ბრიყვული პირობითი რეფლექსების რასს პიირდება უცხო ქვეყანა ნიკას? ფულს... კომფორტს... თუ ნიკას ასე უნდა, არჩევანი მისია. ამიტომაც არ უთხრა ნიკამ, მივდივარო. რას უპასუხებდა ლიზი? თუ შენ ასე გინდა, ნადი ხელ-ფეხს არ შეუკრავდა, ყელზე არ ჩამოეკიდებოდა; ნიკას კი სწორედ ეს სჭირდება – ხელ-ფეხიც შეუკრან და მის ნაცვლადაც გადაწყვიტონ. ნიკა ხომ გალიის ჩიტი. მას ის უნდა, რაც გალიის პატრონს, ოღონდ სითბო და ზრუნვა არ მოაკლონ. ნიკა ვერ მოისმენდა ლიზის ნებართვას – ნადი, როგორც შენ გინდა! ნიკამ იცოდა, რომ ლიზი გაუშვებდა და გაიპარა. თავისუფლების მიცემა ნიკასათვის უარყოფას ნიშნავდა. ნიკას ხომ უნდოდა, ლიზის ეტირა, ყელზე ჩამოეკიდებოდა, მამინ ნიკას გადაწყვეტილება – ვრჩე-

ერქენსული

ბი! - ლიზის დაბრალდებოდა, ნიკა მსხვერპლს გაიღებდა ლიზისათვის, და ლიზი მთელი ცხოვრება მადლობელი უნდა ყოფილიყო ამ მსხვერპლისათვის. ახლა ნიკას გადანყვეტილება დედამისის დაბრალდება. ლიზიმ იცის, ნიკა დაბრუნდება და მოიბოდიშებს, დედაჩემს უნდოდაო ასე. და გული სწყდება, რომ ნიკამ ერთი პატარა ძაფიც კი არ დატოვა უკან მოსაბრუნებლად - ერთი სიტყვა, ნერილის ნაკუნის, ერთი ტელეფონის ზარი... ლიზი მაშველი რგოლივით ჩაებლაუჭებოდა იმ ერთ სიტყვას და გაცურავდა უნიკაოდ დარჩენილ დროსა და სივრცეს.

ქობულეთში წამოსვლის წინ შემოიარა ნიკამ გასაცვილებლად, თვითონ რამდენიმე დღეში უნდა ჩამოსულიყო. გამოსვლისას ჩამოსხდნენ. ნიკამ ჩაიმუხლა, ლიზის კალთაში თავჩარგული ხელებს უკოცნიდა და მუხლებს. ხელებს და მუხლებს. ლიზი შეძრწუნდა, იმდენი ვნება და სინაზე იგრძნო. ნიკაში? და შეეშინდა, თვითონ იყო მზად ამისათვის? შეშფოთდა, იქნებ ისე გაერთო თავისი ქრილობების ლოკვით, ვერ მოიცალა გალიის ჩიტის გარდა, კიდევ სხვა ნიკა დაენახა. იქნებ, ნიკა იმიტომ ნავიდა, რომ ლექსოს აჩრდილი ვერ აიტანა.

- ლამის სიკვდილი ვინატრო, - უთხრა ერთხელ, - ვინმე თუ ჩემზე ასე იდარდება.

- რა სულელი ხარ. - გული ამოუჯდა ლიზის. ნიკამ ისიც კი არ იცის, როგორ გახდა ლიზისათვის მართლა მნიშვნელოვანი. საღამოს ერთად მოდიოდნენ ქუჩაში, უბრალოდ ლაყბობდნენ. ლიზიმ ნაიბორძიკა და ნიკამ... ნიკამ ხელი ხელში ჩაკიდა, ლაპარაკი არ შეუნყვეტია და ვერც გაიგო, რომ უცებ გახდა ახლობელი, მშობლიური, ძვირფასი. ამ ერთი ხელის ჩაკიდებით გადანყდა უცებ მისი ადგილი ლიზის

სულში - ნიკა ჩაერთო ლიზის მუხებზე მნიშვნელოვან მოგონებებში, ყველაზე ძვირფას სიზმრებში. და ახლა ნიკა სტიკვა ლიზის. ახლა ლიზი მოკვდა, უნიკაოდ, მარტოდ დარჩენილი. ლიზის ძალიან სჭირდება ვიღაცასთან ერთად ხელჩაკიდებული მიდიოდეს.

რა მოხდება, ლიზი რომ გაქრეს, ვის დააკლდება? ვისაც დააკლდებოდა, იმათ შეუერთდება. დედას სხვა შეილი პყავს. ნიკას? ნიკა ნავიდა. სასტავი? - სასტავი დიდია, მისი ადგილი შეივსება, როგორც ლექსო, სადღეგრძელოებში დარჩება. რა მნიშვნელობა აქვს ოცდაერთ წელს იცხოვრებს ამქვეყნად, თუ სამოცდაერთს, ამ სამყაროს რა დაეტყობა? რას გააკეთებს იმისთანას იმ ორმოცი წლის შუაღელში? რა იქნებოდა, მამა რომ ცოცხალი იყოს ახლა? ნანა კვირაობით მიდის სახლიდან და ლიზისთან ცხოვრობს - სჯის მშობლებს. ახლაც დასასვენებლად არ წაპყვა და ხანდახან ამბობს, რომ სძულს ისინი. იქნებ, ლიზიც ასე ყოფილიყო, მამა რომ ცოცხალი იყოს. ხომ კარგია, რომ ახსოვს მამა ახალგაზრდა, ლამაზი, მზიარული. იქნებოდა ახლა აჯამი, ბუზღუნა... უსინდისოდ იტყუებს თავს.

მამას და გიოს რა დააკლდათ, რა დაკარგეს, რა გამოტოვეს? არასოდეს არ დაბერდებიან, არ დასცვივდებიან კბილები, არ გამელოტდებიან, არ გახდებიან ღიპიანი და მხრებჩამოყრილი ბუზღუნა ბებრები, არ იბანავებენ ამ ჩაფისულ ზღვაში, არ აიღებენ ხელში ამ მწვანე, თეთრწინკლებიან ქვას, არ აუბრჭყვიანდებიან თვალები მზის ყურებაში, ვერ უთანაგრძნობენ ამ, რგოლში გაკვეტილებულ, ნითელკუპალ ნიკიან ქალს, ვერ გაუბრაზდებიან, ვერ მოეფერებიან ლიზის, ვერ მოსმენენ ნანას სიბრძნეებს, ვერ დასტებებიან ცისა და ზღვის ორგაზმით, რო-



გორც ნანა მოიხსენიებს მზის ჩასვლას.

– შა, ლიზიკ, გარეკე? – თვითონ შეუძახა თავის თავს.

რაო, რას ამბობს ნანა, როგორ დამოდვრა, რალაც ჭიქა და წყალიო, ნახევარი ჭიქა წყალიო... იმ ნახევარ ჭიქაში უნდა დაბრუნდეს ლიზი, იმ ნახევარში, რომელიც აქვს. თავი უნდა დაანებოს იმ ნახევარს, რომელიც აღარ არსებობს, რომელიც სადღაც წარსულში დარჩა. აბა, ჩავიხედოთ ჭიქაში, აბა, რა გვაქვს? თვალი ოდნავ გაახილა, კეპის ქვემოდან უყურებს სამყაროს ნაკუნს. რას ხედავ, ლიზ? ხედავს თავის მკერდს, მუცელს, მუცელზე გაქერავებულ-გამოხუნებულ ბუსუსებს, მუხლისთავეებს, ფეხის თითებს, რა სიმდიდრეა?! და ყველაფერი მისია. იქით ბანანის ქერქი აგდია, კიდეე კოკა-კოლას ჩაჭყლელი ქილა. შეუძლია ესეც მიითვისოს. კიდეე მეგობრები ჰყავს – სასტავი. ისევ თავის თავს ათვალეირებს. გაქექილ ტრუსებს.

– ჩვენნაირი ქალები შიშვლები უნდა დადიოდნენ, – ამბობს ეკა, – ნახევრად შიშვლები მაინც.

– ნუდისტი ხარ?

– ნუდისტი არა, ესთეტი ვარ.

– ესთეტი კი არა, ექსგიბიციონისტი. – არ ინდობს ნანა.

– არ შეიძლება დიაგნოზების გარეშე იცხოვრო ხანდახან მაინც?! – თავს იბრაზებს ეკა.

– მე ვცდილობ გაგიცნობიეროთ თქვენი ქვენა სურვილები.

– შენი უკვე გააცნობიერე და ახლა ჩვენსაზე ზრუნავ?

– ყოველ შემთხვევაში, თქვენგან

განსხვავებით, ვიცი, რომ მაქვს მშობლებზე და თავს არ ვიტყუებ. აი, არ ნაყყევი დასასვენებლად ანტალიაში. – სიმშვიდეს ინარჩუნებს ნანა.

– და აქ ჩვენ გვახარჯავ იმათ წილ ცოფებს.

ნანას ნახევარ ჭიქაში რა არის, ნეტავ? ნანას თავისი წილი სადარდელი დააქვს – თავისი მშობლების შერიგება-გაშეველების საქმე ჩააბარეს. თითქოს, იმისათვის გააჩინეს, რომ მათი არეულ-დარეული ურთიერთობები დააღაგოს, პერიოდულად ნაგავი გადაყაროს და ერთმანეთთან მიბრუნების მიზეზი მისცეს – ბავშვის გამო, თორემ... ხოდა, როცა ნანას ბეზრდება მათი თამაშების გარჩევა, ლიზისთან მირბის და მეგობრების დაცინვა-ხუმრობით შეზავებულ თანაგრძობას მაღლიერი იფერებს, სრუტუნით სეაშს ლიმონიან ჩაის და ცოტა ხნით ივიწყებს, რომ ადამიანის სულის სიღრმეების საუკეთესო ექსპერტია. სასტავი კმაყოფილი უსმენს მუსიკას, თავი დიდ მცოდნეებად მოაქვთ. ამ ბოლო დროს ჯაზის შეტევა აქვთ, ეკას წყალობით. ეკას ჯაზკვარტეტის შექმნის იდეა არ ასვენებს და საქსაფონს საათობით აწვალებს, დედამისის ბოლო ქმრის ნაჩუქარს. უფრო სწორად, ბოლო ნაქმარევა ველარ შემოჰბედა განრისხებულ ქალებს, ინსტრუმენტი მომეცითო. ხერხი რომ დარჩენოდა, უკაცრავად, ეჩუქებიანა, ეკა, ალბათ შესაბამისი იდეებით აენთებოდა. ლიზი მეთხედ ხატავს რომელიღაც მათგანს და მეთხედერ უკვირს რალაც ახალი ამ ბავშვობიდან ნაცნობ, მშობლიურ სახეებში.

– არ მოგბეზრდა ჩვენი სიფათების ხატვა, – ეკითხება ეკა და აშკარად კმაყოფილი ათვალეირებს თავის გა-



მოსახულებას. — ლიზ, მე მგონი აქ ნამეტანი ნალვლიანი თვალეები მაქვს.

და ეკა, ეკას რა ადევს ვალად ამ ცხოვრებაში? წინა სიცოცხლეში, ნალვდად, ამორძალი იყო. ერთი დუფინი კაცი მაინც ეყოლება ისრით გაფუჭული. ახლა მისი მოდიფიცირებული ვერსიაა — მაქსიმალურად ამზეურებს გრძელ, ლამაზ ფეხებს, იზიდავს, იტყუებს კაცებს და მერე დამცინავი ღიმილით უარყოფს. დედამისის მაგივრად სჯის კაცებს, პერიოდულად ქმრები და შუალედში საყვარლები რომ სტოვებენ. ნანას დიაგნოზი — უარყოფის ემინია და თვითონ უარყოფს. ისე, ეს გოგო ხანდახან სიმართლესაც კი ამბობს. როდის მორჩება დედის ნაცვლად სამაგიეროს გადახდას, თავის დაცვას და დაინყებს უბრალოდ ცხოვრებას? გამოჩნდება კაცი, რომელიც გმირულად გაუძლებს ეკას უნდობლობას და დაუმტკიცებს ერთგულებას. გამოჩნდება ასეთი?

ან დათოს ვალი რა არის? სდიოს თავის სამ მეგობარ გოგოს ერთგული რაინდით და ვერ გადანყეიტოს, რომელშია შეყვარებული — ერთში თუ სამივეში ერთად. დათოს შეუძლია სამივე უყვარდეს ერთად და ცალ-ცალკე ასე ერთად და ცალ-ცალკე უყვარს დედა, მამა, ბებია, უამრავი ნახევარდაძმა და ნახევარდაძმის და-ძმა. დათოს დედამ და მამამ სულ ცოტა ხნით მიატოვეს თავიანთი ოჯახები, იმდენი ხნით, დათოს ამქვეყნად მოვლინებას რომ სჭირდებოდა. მერე გაახსენდათ რალაც საქმეები და აქეთ-იქით გაქუსლეს, თავ-თავიანთ ახალ ოჯახს შეაფარეს თავი და დათო ამ სირბილში, უბრალოდ, მიავიწყდათ. დათო დილით სახლიდან რომ გადის, სალამოს სად მივა, არ იცის — დედასთან, მამასთან, ბებიასთან, თუ დაახლოებით ოციდან რომელიმე და-ძმასთან. დედა და მამა

შატალოზე წასულენა და შეხვედრით ილიმებიან, როცა მისთვის ცოტა ხნით იცლიან და დათოც დიდსულოვნად პატიობს, ბებიას რომ შეატოვებს. უნდა რომ დაიჯეროს, ყველას სჭირდება, ყველას უყვარს კეთილშობილი, ლამაზი. აი, სამაიას, ეკა-ნანა-ლიზის, ნამდვილად უყვარს, ერთი დღეც რომ არ გამოჩნდეს, გოგოები ოც ტელეფონზე დაეძებენ. მერე ჩახსდებიან ლიზისთან და ერთმანეთს განვლილი დღის პატაკს აბარებენ. ლექსოს ხსენებას ერიდებიან, ეს მტკივნეული ადგილია. ლექსოს დასაფლავების შემდეგ ერთი თვე არ უნახავთ ერთმანეთი, შემთხვევით თუ გადაეყრებოდნენ ხანდახან, მოკითხვის შემდეგ საქმიანად გარბოდნენ. ერთ წვიმიან დღეს შეთქმულებით ერთდროულად მოლაგდნენ ლიზისთან. და თითქმის წელიწადია, ყველ დღე სჭირდებათ ერთმანეთის ნახვა. ლამე დათო სამაიას სახლებში არიგებს და ფიქრობს, თვითონ სად წავიდეს, ვინ გააბაროს თავისი სტუმრობით.

ლიზი რატომღა გაჩნდა? რომ რიგრიგობით დაკარგოს ვინც უყვარს, რომ წელიწადში ერთხელ მაინც პანამვიდზე იჯდეს ქირისუფლად — ჯერ გიო, მერე მამა, მერე ბებია, მერე მეორე ბებია, მერე ლექსო. არა, ლექსოს პანამვიდზე არ მივიდა ლიზი, სძულს ეს რიტუალური თამაშები. ლიზი ლექსოსთან ერთად მოკვდა, წევს დასახიზრებული ლიზი კუბოში და გარშემო უვლიან ნაცნობ-მეგობრები დამწუხრებულნი, საჭოროოდ მომართულნი, თავიანთ საქმე-სადარდელზე დაფიქრებულნი — ვალს იხდიან, წრეს ურტყამენ რალაცას, რაც აღარაა ის ადამიანი, ვინც უყვარდათ, ან სძულდათ. ლიზი სიმწრისაგან ერთი წუთით გაცოცხლდებოდა და იყვირებდა — მოუსვით აქედან, თქვე ნაბიჭვრებო! ანდერძში უნდა დაიბაროს, არ მოუწყონ



ქელებ-პანაშვიდები და მეორე დღეს-ვედამარხონ. ვის დაუბაროს? ლექსოს ფოტო ტელევიზორში რომ აჩვენეს... დაინგრა, დაიმსხვრა... კიდევ ერთი იამაში- მაღლიერი თბილისი, სამარადისო ხსოვნა სამშობლოსათვის დაღუპულ გმირებს... ეგდო ლიზი ლოკინზე, არ ინძრეოდა, არ სუნთქავდა, არ ეძინა, არ ელვიდა... ფრთებდაჭრილი ჩიტოვით ეგდო... ლიზის მკვდარი ლექსოც სძულს, ნავიდა, წაიღო ლიზის ნაწილი და მიატოვა, მოლაღატე! ლექსოა მოლაღატე, ერთგული, სანდო ლექსო?! სკოლიდან სადმე რომ მიდიოდნენ, დედა პირველად, ლექსო თუ მოდისო იკითხავდა, და მერე მშვიდად იყო, ლექსო მოკვდებოდა და გაამართლებდა ამ ნდობას.

ერთმა მეტად იზრუნოს საკუთარ თავზე და ის მეორე განწირულია. ლიზიმ და ლექსომ უზიფათოდ გადაიარეს ეს ბილიკი ათი წლის ასაკშიც და ყველაზე ძნელი მონაკვეთი ცამეტი-თხუთმეტი წლისებმა, და ცოტა შუებით ამოისუნთქეს თვრამეტს რომ მიაღწიეს. როგორ გაიარეს ასე მშვიდობიანად ბავშვობა, შემდეგ გამძაფრებული ინსტიტუტების შფოთვა, ახლა უკვირს ლიზის. დიდი შორეული მოგზაურობისათვის ემზადებოდნენ და ერთმანეთს ამონმებდნენ ერთგულებაზე, გამძლეობაზე, სიყვარულზე... და ლექსომ ეს მოგზაურობა ჩაშალა, საომრად წავიდა. სა-ომ-რად.

- რატომ წახვედი, ლექსო?
- ვის ეომები, ლექსო?
- რატომ?

ლექსოს წასვლამდე ცოტა ხნით ადრე, ეკასთან იყვნენ სტუმრად, აფხაზეთში ნაომარი ბიჭი იყო ერთი, ეკას კურსელებს ამოჰყვა. ისევე აპირებდა ომში გაბრუნებას. ბიჭებზე უფროსი იყო ცოტა, თან ნაომარი, ყველაზე მეტს სვამდა, ლაპარაკობდა, იგინებოდა, იბოდიშებდა, ცოტა რომ შეთვრა, უბოდიშოდ იგინებოდა - აგინებდა აფხაზებს, აგინებდა ქართველებს, „ბუტკებში“ რომ დგანან.

- ჩვენ იქ სისხლს ვღვრით, ესენი კი აქ სიგარეტით ვაჭრობენ.

- ყველა თავისებურად ებრძვის მოწყენილობას, - თავისებურად იანგლა ნანამ.

- რა მოწყენილობას, - ვერ გაიგო ჯარისკაცმა. და აგზნებული ყველა ომის კომმარებს.

ლიზიმ არ იცის, რომელი უფრო სწორია: ბუტკის გახსნა თუ აფხაზეთთან ომი, იქნებ, არცერთი. ლექსო უხსნის, მაგრამ ხედება ლიზი, ლექსომაც არ იცის რისთვისაა ეს ომი, ლექსოც არაა დარწმუნებული, რომ ღირს ამ-

- რა ლამაზი ხარ, ლიზი - დასცდა ლექსოს მეთავე კლასში არდადეგების შემდეგ გაგრიდან რომ დაბრუნდა ლიზი, გარუჯული, გაზრდილი. თვალებში სითბო ჩაუგუბდათ, ფრუანტელმა დაცეცხლა ორივე. წამით დაფრთხნენ და მერე ორივეს ერთდროულად გაეცინა.

- ელისაბედ, რატომ გაქვს ასეთი ლურჯი თვალები? - უამრავჯერ ნათქვამი გაიმეორა ლექსომ. ლექსო და ლიზი ნაბიჯ-ნაბიჯ მიინევენ ერთმანეთისაკენ, თითო ნაბიჯით უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ერთმანეთს უფრთხილდებოდნენ, ერთმანეთის თვალებში არეკლილ საკუთარ ხატს, სხვა რომ ვერ ხედავს, ისეთს რომ ხედავენ ერთმანეთს. ნელ-ნელა გადიოდნენ, ფრთხილად, მეგობრობის გზას, ერთგულების გზას, ნდობის გზას - მთის სახიფათო ვინრო ბილიკს, ორი ადამიანი გვერდი-გვერდ რომ მიჰყვება ერთმანეთს, საკმარისია

ეპიკურული

დენი ბიჭის განირვა. დილით ზღვას რომ გასცქეროდა, ამომავალი მზის სითბოს გრძნობდა ზურგზე, გრილ კენჭებს შიშველი ფეხისგულებით... ისე ცოტაა ერთი სიცოცხლე ეს შეიგრძნო, დატკბე... გაერთიანდე მთელ სამყაროსთან... იმ წუთში უნდოდა სხვებსაც ეგრძნოთ ეს ყოველდღიური ჩვეული სასწაული, სამყაროსთან ერთიანობა... ეგრძნოთ წუხანდელ ღამენათევ მეგობრებს... ყველა ცოცხალს... იმით, ვინც აღარაა... როგორ შეიძლება ვინმემ წაართვას ღიზის ეს წუთები... ან ღიზიმ სხვას... ლექსო ველარ იგრძნობს ამას... ვერც სხვები... ეცოდება ღიზის ლექსო, ეცოდება დაღუპულები, დასახიჩრებულები... ქართველები, აფხაზები... სენტიმენტები, ო, ეს სენტილიანი სენტიმენტები!.. იქნება ვეფხის დედაი!.. უღრენს თავის თავს და კენჭებს ჩაჰყვირის - რატომ? რატომ? რატომ?

ლექსო თავის მეგობრებს გაჰყვავა აფხაზეთში, იმიტომ რომ კაცია და მათ გვერდით უნდა იდგეს, იმიტომ რომ სამშობლოს იცავს, იმიტომ, რომ პირველივე დღეს ნამოკრიფოს უაზროდ ნასროლი ტყვიები და ზღვაში გადაეშვას... და მერე დასახიჩრებული დაბრუნდეს რკინის ყუთში ჩატენილი...

რატომ?

ლექსოც გაიპარა, არ უთხრა ღიზის. იცოდა, ღიზი იყვირებდა არა, არა, არა! არ გაგიშვებ! გაბედავდა ღიზი, ეთქვა, არ გაგიშვებ?

გაბედავდა! და ამიტომაც არ უთხრა ლექსომ, ამიტომაც გაიპარა და აეროპორტიდან დარეკა.

- ღიზიკო, მივდივარ.

- რაა? ალო... ალო... სად მიდიხარ?

- ყვირის ღიზი, ტელეფონში ზუზუნია, არ ესმის ლექსო რას ამბობს. არ ისმის, მაგრამ მაშინვე მიხვდა, სად მიდის ლექსო.

- მალე ჩამოვალ... ალო...

გაფუჭებული სატელეფონო ხაზე ბიკ ეხმარებიან ლექსოს, ვერ გაიგოს ღიზის კივილი, არ ნახვიდე, არ ნახვიდე!.. ლექსო!

- ღიზიკო, ღიზიკო! - ყვირის ლექსო, ამ წუთას ლექსოსაც უნდა, ალბათ, გააგონოს ღიზიმ. იქნებ, უნდა, რომ ახლა, ამ ბოლო წუთში შეაჩეროს ღიზიმ...

იქნებ, ესაა დანაშაული, ვერ შეაჩერა ლექსო. ვერ შეაჩერა.

ხანდახან საათობით დაბორიანობს ქუჩაში, მამინაცვლის სახლში მისვლა არ უნდა, ისე შეჰყურებენ დედა და მისი ქმარი, ისე ცდილობენ ასიამოვნონ, ღიზი წუხს. თავის სახლში მისვლაც ეშინია, ეშინია ლექსოს მშობლებს არ გადაეყაროს, ეშინია ელაპარაკოს ლექსოს დედას და მამას... როგორ ელაპარაკოს ღიზი, როცა ლექსო აღარაა... მაინც იქით მიდიან ფეხები, მაინც იქ მიდის ბოლოს, თავის სახლში... და ლექსოს მამასაც გადაეყრება.

- ღიზას გაუმარჯოს! - ცდილობს მზიარული იყოს. ნასვამია, თითქმის არ ეტყობა. - რაზე თუ დაგჭირდა, არ მოგერიდოს. - თავზე კოცნის. ხელები უკანკალებს. როგორა ჰგავს ლექსოს! ღიზის მთავარი მიზანი - არ აღრიადეს; შიში - ლექსოს მამა არ აღრიადეს. ყოჩაღ, გადარჩნენ, ამჯერადაც.

მოიკითხეს ერთმანეთი, ეშვიდობებიან. - დრო რომ გექნება, შემოგვიარე, გავგეხარდება, - მაინც დაცდა ლექსოს მამას. ახლა ხმაც უკანკალებს. არ შეუძლია მათთან ასვლა, არ შეუძლია იმ სახლში ასვლა, ლექსო კედლებიდან რომ იყურება მხოლოდ, სურათებიდან... არ შეუძლია ამ ადამიანების ყურება, ასე რომ ცდილობენ თავიანთი ტკივილით არ შეანუხონ...

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის ეროვნული  
სამსახური

მაგრამ ხანდახან ისე შემოანება რაღაც სურვილი, ნატვრა, კისრისტეხით, აქოშინებული არბის კიბეებზე ლექსოს კარებთან ჩერდება, სულს ითქვამს, ბავშვობის რომელიღაც ნუთი მეორდება... რაღაც წიგნს ითხოვს, რაღაც კასეტა უნდა... ლექსოს დედა იღიშება, - ლექსოს ოთახში ნახე, - თვითონ სამზარეულოში გადის... არ იმჩნევს არც ლიზისას, არც თავისას, ლიზი მადლიერია.

ლექსოს ოთახში თითქოს იძირება, თითქოს სხვა სამყაროში ჩაყვინთა... ბევრი ფოტოები. კლასელები, სასაცილო მინანქრები, ეცინება... გიოც არის ამ ფოტოებზე... ლიზის ნახატები, სკოლისდროინდელი, ეკა, ნანა... ლექსოს დაუმთავრებელი პორტრეტი... ლექსო ყველაზე ცოტაჯერ ჰყავს დახატული, რატომ... ველარ დახატავს, ველარ დაამთავრებს დაუმთავრებელს... რატომ ნახვედი ლექსო, რატომ?

ნიკას უნდა ლიზის ეს ყველაფერი მიავიწყდეს, არ სტიკიოდეს, მაგრამ როგორ... ლიზიმ სადღაც გულის სიღრმეში უნდა ატაროს გიო, მამა, ლექსო... ვინც უყვარდა, ვისაც უყვარდა... უნდა ისწავლოს თავის ტკივილთან და სიხარულთან ცხოვრება... ბევრი რამე უნდა ისწავლოს! უნდა ისწავლოს როგორ უყვარდეს თავისი პატარა ძმა - გიორგი! ამას წინათ, სახლში რომ შევიდა, გიორგი გახარებული ბანცალით გამოქანდა მის დანახვაზე, ზი-ზი-ზი იძახდა, სახელსაც ვერ ამბობს და უცებ ნაიქცა... ვაიმე, ლიზის გული გადაუქანდა. ისტერიკა! ლიზის არ შეუძლია გიორგის ტირილის მოსმენა, არ შეუძლია მისი ტკივილის დანახვა... ახლა თვითონ სჭირს იგივე, რაც დედას და მამას ჰქონდათ - ოღონდ გიორგის არ ეტკინოს, ოღონდ გიორგის არაფერი არ მოუვიდეს... ყველას მაგივრად უყვარს - გიოს, მამას, ლექსოს მაგივ-

რად... ლამის აღრიალდეს, გიორგი თავის ვარდისფერ, განუპილ ხელებს რომ შემოხვევს და დორბლიანი კოცნით ასაჩუქრებს... უნდა ისწავლოს, როგორ უყვარდეს გიორგი... ვიღაცის მაგივრად არა, თვითონ პატარა გიორგი... ისწავლის, როგორ ატაროს მამა, გიო, ლექსო გულში... ისწავლის უიმართოდ ცხოვრებას... მაგრამ ხანდახან სჭირდება დაბრუნება იქ, უკან, სადაც ბედნიერი იყო, ძალიან სჭირდება ხანდახან შეიხედოს ლექსოს ოთახში... ხანდახან ისე უნდა სასწაულების არსებობა, ხანდახან ისე დიდია ცდუნება, დაკარგოს რეალობა, შეიხედოს ლექსოს ოთახში და...



- ლიზიკო! ლი-ზი-კო!
- ა! - დაფეთებული ნამოჯდა ლიზი.
- ლიზიკო, ბაქლაფა არ გინდა?
- ლიზა გაოგნებული შეპყურებს თეძოზე ლანგარშემოდებულ, წითურ გოგონას. აზრზე მოდის.
- ჩაგძინა? - ეკითხება გოგო. მუქი ტანსაცმელი აცვია, არც ისე საზაფხულო. როგორ ძლებს, ეცოდება ლიზის. მკლავები იდაყვებს ქვემოთ აქვს გარუჯული, ფეხები წვივებს ქვემოთ. ზღვაში, ალბათ, ბავშვობის შემდეგ არ ჩასულა. სახეზე ჭორფლი აყრია, უხვად. მზე ანათებს სახეში და თვალებს ქუტავს. ამ სანაპიროზე, ალბათ, არცერთი ბიჭი არ შეამჩნევს, როგორ უცნაურად ლამაზი თვალის ჭრილი და სიციხეში გამომშრალი მიმზიდველი ტურები აქვს. ლიზის მისი დახატვა მოუნდა, მაგრამ ნამცხვრის გამყიდველ გოგოს არ სცალია, ნამცხვრებს დაატარებს სანაპიროზე ზევით-ქვევით.
- არ გინდა?
- ფული არა მაქვს თან, ცოტა ხან-

ში ჩამოვლენ და მერე ვიყიდით, ეკას უყვარს შენი ფახლავა. – ეკას მაინც-დამაინც არ უყვარს, მაგრამ ეს გოგო ეცოდება და ხანდახან ყიდულობენ მის ბაქლავას.

– ეს ჩემი რძლის გაკეთებულია, მე უკეთესს ვაცხობ, მაგრამ არ მაცხობინებს. ერთ ცალს დაგიტოვებ.

– რძალი გაგიბრაზდება. – ილიმება ლიზი. გოგონამ ხელი ჩაიქნია, ბაქლავას ძახილით გაუყვია სანაპიროს.

ლიზი წყალში ჩაჯდა ნაპირზე, სიცხისგან გაბრუნებული. მართლა მეტისმეტი მოუვიდა მზეზე გდება... ტალღები მოიწვევენ, ამოირბენენ ფეხებს მუხლებამდე, მერე წელამდე, რომელიც, ალბათ, მეცხრე, გათამამდა და მკერდამდე მისწვდა, სახეზეც შეეშხეფა. ახალჩამოსულები ისევ წყალში ღლაბუცობენ.

– ამბრედუზო-მედუზო! – ყვირიან და ერთმანეთის მხრებზე შემჯდარი თავით ხტებიან წყალში. მუსიკის ხმა მოესმა ზურგსუკან. ჯაზი, ცხადია, ჯაზი. გაიხედა – დათოს მაგნიტოფონი უჭირავს, ეკა ცეკვა-ცეკვით მოჰყვება, ცხადია, ნახევრად შიშველი. ბიჭებიდან ერთი მოცურდა, თავის სახელს ეუბნება, თქვენ რა გქვიათო, ეკითხება.

– ჩვენ? – ილიმება, – ელისაბედი, ლიზა, ლიზიკო.

– ცურვა არ იცით? გასწავლით. – თავი გამოიდო ბიჭმა. ლიზი ილიმება, ბიჭი ყვინთავს. ხელებს იქნევს, ცდილობს შეეზოს, ისე, ზომიერად – ცურვას ასწავლის!

– უკვე ვისწავლე, – ეცინება ლიზის და წყალში უჩინარდება. მიცურავს და ცდილობს დიდხანს გაძლოს წყალქ-

ვეშ, ვიდრე სული არ შეუტყდება. მერე ამოყვინთავს, ღონიერად ჩაისუნთქავს ჰაერს და შეივსება მისი სხეული, არსება აზრით – კარგია სიცოცხლე! რომ არ ამოვიდეს, დარჩეს ამ დაბინდულ სამყაროში?! და, უუჰ!! დგაფუნით ამოვარდა წყლისქვეშეთიდან, შეეგება ჰაერს, სიცოცხლეს...

– ლიზიკოო! – დაუძახა ახალგაზრდობილმა. ლიზიმ ხელი დაუქნია და უცებ სიზმარი გაახსენდა.

– ლიზიკოო! – ეძახდა გიო, სადღაც ზღვიდან. და ლიზიმ გასწია გიოსკენ, არ შეიძლება უმცროსი ძმის დატოვება დიდი ხნით მარტო.

მიცურავს. მიცურავს. ასე მიცურავს მთელი ცხოვრება დიდ ოკეანეში. ახლა მარტო დარჩა, სულ მარტო. სულ მარტო? ნაპირს გახედა, დათო ხელს უქნევს, რალაცა უჭირავს. საჭმელი ჩამოუტანეს, მიხვდა ლიზი. ეკა ისევ ცეკვავს. დიდ გულზეა დათოს გვერდით. რა ლამაზები არიან!

ლიზი დაიღალა და უნდა შეისვენოს. ცოტა, სულ ცოტა ხნით შეისვენებს და მერე ისევ წინ! წინ ბევრი გასაკეთებელი საქმეები ელის, მხოლოდ ლიზის გასაკეთებელი საქმეები.

ზურგზე დანვა, ზეცას ახედა, ტიფტიფებს ზღვის ტალღებზე, ირწევია, ქარის მოტანილი პატარა ფოთოლი. არაფერი არ ანუხებს, არაფერი არ სტკივია, ზღვა მშვიდად აქანავებს თავის თბილ კალთაზე.

– ლიზიკო!

– ლიზი!

– ლიზა!

– ლიზ!

– ლიზიკო!

– ლიზა!

## ბაბრა

1

მთის მკლავების რკალში ფეთქავს ზღვა – მიჯნური... გაგრა,  
ვინ თქვა – ჩემთვის იმ პირველი ედემივით გაქრა!  
სამშობლო ხომ სულის ხორცთან მუდმივ კავშირს ნიშნავს,  
ან სად წავა მზე, რომელიც შენთან ერთად იშვა,  
ვით ღვთის რწმენა, ვით განწმენდა, როგორც ტანჯვით შვება  
და თიხასაც ის აღელვებს, რაიც ზეცას ნებავს...  
ზღვა – ჯადოს ფლობს, ვით ღიმილი სიკვდილგამოვლილის  
და ტკბილია ახლა, როგორც... აკრძალული ხილი!

2

მზის ამოსვლასავით სადა, – ვით აკაკის ლექსი, –  
სიგიჟმაჟე დილის – მგოსნებს ჟრჟოლად უვლით ფრთებში,  
ტოტიდან ტოტს ეხლებიან, ვითარც... სატრფოს გული  
და ეღვრებათ ჩანჩქერებად ზეცა მოსარკული.

3

სისხლში ხსოვნად ჟოლავს ბჟოლა – ხე ზურმუხტისფერი.  
სილუეტი: მამის მალლა შემართული ცერი,  
მას შემდეგ, რაც მომანოდა: – ერთი, ორი... ათი!..  
მაყვლისფერი თუთა. ვსანსლავ, – მხიბლავს როლი მართვის.  
მერე ზღვისკენ მივაბიჯებთ: – ერთი! ორი! სამი!..  
მივსდეგ (დღემდე!) – ძლივს ვენევი ჩრდილს მშობელი მამის.

4

და ბავშვობის ერთადერთი მიხმობს ქუჩა ყუჩად,  
ზღვას რო მთისგან მიჯნავს – დალილ ჩემ გულს ისე ბლუჯავს,  
რომ აკენსდეს და... ტკივილის ანკრიალდეს ოქრო,  
სხივს მოარგებს მერე ღრუბლის ქულას – ზეცის ბოქლომს,  
ცაც – იღება... ზღვის წამლეკავს ნიაღვარი ლურჯი  
და ბავშვობას ვუბრუნდები ერთადერთი ქუჩით.

...

ზღვა ჯადოს ფლობს, ვით ღიმილი სიკვდილგამოვლილის  
და ტკბილია ახლა, როგორც... აკრძალული ხილი.

## მუნა

ხეს ალტაცებით მიაშტერდი. მუხაც შეირხა –  
 შენი მზერა თუ შეიფერა? – მთელი თავისი  
 მინიერ ხიბლით აიმართა, ზეცა მაისის  
 მხრებით აზიდა – გადმოგხედა თითქოს... შეიხმა!  
 მის სიზვიადეს აპყვა გული – შენც გაიზარდე,  
 თვალდახელშუა იქეც სულ სხვად: წმინდა, ნათელი  
 ბედნიერებით დაიმუხტა წამის სათქმელი  
 და ხელის ერთი განვდენალა დაგრჩა მიზნამდე.  
 თან – საუკუნედ გაიწელა თანახმიერი  
 წამი. და ძარღვებს მიჰყვებოდა სისხლივით – რწმენა.  
 და მაშინ გული უშორესის მოფენას სწვდება  
 და... ხის ნაყოფის ფეთქვაც – ფესვთა ერთვის ხვიარებს.  
 მაშინ ამბობიც – თანხმობისკენ სრბოლა შლეგური,  
 მის შეუწყვეტელ შრიალში ჟღერს და არა – გარე! –  
 მის გულში ღვივის, ანიაქებს უჩინარ ქარებს  
 და ჩხრეკს ვარსკვლავთა ლაღარს – ბინდის ავლით შებურვილს.  
 მიმზიდველია მოლოდინი უფროვე მეტად,  
 ვინემ სივრცის შლა ლურჯ შრეებად გუმბათის წიაღ,  
 ოდეს ცას – მინის შეშლალადებს ქრილობა ღია  
 და ტკივილს ელვის მოკანკალე მკლავებში ჰკეტავს.  
 ...  
 დამშვიდობების მოლოდინის მზე – სიზმრებს რთავდა  
 და ხეც – ბავშვობის გიბრუნებდა სინრფელეს ისევ.  
 და მიდიოდი. და იგრეხდი მუხისკენ კისერს.  
 და იყავ ხელის განვდენაზე საკუთარ თავთან...

## მზე

მზის უდიდე-ბულე-სობა ყოფნის ფინით მავსებს,  
 ზღვას გამოჰყვა – აგერ, ჩემთან ამობრძანდა ნავზე,  
 ერთად გვარწვეს ტალღა, ერთად – მწყობრად ვუსვამთ ხოფებს,  
 შორით – ბიის ტაძარი ჩანს, უფრო ქვემოთ – ხობის.  
 გაიხედავ მარცხნივ – ურთა სივრცეს უდგას ბურჯად,  
 ვით სიცოცხლის ლურჯი თვალი – მოჩხრიალებს ხურჩა. –  
 სიზმრისაა ეს თუ ცხადის, არც მე ვიცი, არც მან:  
 ალევებს იქით მისი ჩასვლა ჰგავს სევდიან ჯვარცმას  
 და... აღდგომის მისტერიას გული თრთოლით ელის.  
 ...  
 ორღობეში გაილანდა გოგო, როგორც შველი.

### ანარეკლი

აჰა, მივუშვი ცხოვრება თავის ნებაზე – მიდის,  
მეც შორიახლოს მივყვები, მოჩვენებითად მშვიდი:  
დღის რადიუსში ჩაკეტილს, გაღწევა მაინც უჭირს  
იმ ფარდის იქით, სადაც ფიქრს კისერზე აღარ უჭერს  
ყოფის მარყუჟი – მთლიანად გადახსნილია სული,  
არ იკეტება მზის კარი ბოქლომით – ღრუბლის ქულით.

ერთხელაც – ყოვლის საწყისმა მალლა შემართა კვერთხი  
და – თავის თავის შეცნობად – მეც მომავლინა... ერთხელ.  
და ხელი მიშვა: სამყაროს ერთი ანტენა მეც ვარ  
და მეც ვირეკლავ ყველაფერს, რასაც გამანდობს ზეცა.  
ისიც – მამრუნებს მყოვარჯამ ყოფნა-არყოფნის ზღვართან,

მე კი მგონია – საკუთარ ვნებებს თვითონვე ვმართავ.  
ათასჯერ ვიყავ მართალი? ათიათასჯერ ვცოდვე:  
ყველა ნაბიჯი თავისგან გაქცევადა შექცა ოდენ.

საათი... ისევ წრეს უვლის. ჩემი ცხოვრებაც – წრეა,  
წერვებით მიერთებული ვარ წრეწირების წრიალს, –  
სად ერთი წყდება, მეორე ზუსტად იქ იწყებს ყრუოლას  
და დროს –  
ზღვის გასდევს ტალღები მარადცვალებად ზოლად.

### გაზაფხული

ზღვა – წვიმით ადის უშმაზე. უშმას  
ზღვის სუნთქვა – ლალი გულივით კუმშავს  
და შლის. და სიერცეს ყრუოლა დაუვლის  
და „რაშოვ რერას“ მღერის მამული  
და მარადისთან წილნაყარობა  
წკრილებს თითქოს ყველა წყაროდან  
დროის ძალუმი ხმობით – კოდურით.  
და ძალებს იკრებს ახლად კოდორი  
და რასაც ჯადო მისწვდება მისი –  
ცისკენ ყვავილთა მაშხალებს ისერის.

### იხედის ნაპირსკალი

იმ მუდმივ საყრდენს დავეძებ შენშიც – ღმერთმა რო ჩადო  
აღამის ძეში: ზეციურ და მარადუცვლელ ჯადოს.



## დისონანსური

ვით ხელს, სიბნელეში გამოწვდილს –  
 ხელი, გულს – გული გამოსცდის,  
 ნიშნად იმისა, რომ აღმერთებს,  
 მასთან შეუდგება აღმართებს,  
 როგორც ამზევება სიცოცხლის, –  
 ერთხანს უგურგურებთ ლეთის ცეცხლი.  
 და ჰგვანან გულები რაციებს;  
 ქალი დაიკვნესებს: – რა ცივა!  
 კაცი მოხედავს. მის თვალეში  
 რალაც ბუნდოვანი თარეშობს...  
 ორივე თავს იგრძნობს ყარიბად –  
 უდგათ ხანა გამყინვარების:  
 არცერთი აპირებს დათმობას,  
 შემდეგ... უეჭველად დათბება.

...  
 პლუს-მინუს მუხტები მიაქროლებს  
 სიცოცხლეს – იოლად აქროლებადს.

•

დროო, ჩვენ ისევ პირისპირ ვდგავართ,  
 თუმც... შენ სადა ხარ, არვინ იცის.  
 ქურიის გზაზე იელეებს კვიცი –  
 თეთრი – წყვდიადთან სინათლის დავად.  
 მე ხელს გაფუნვდი სიკეთის ნიშანს,  
 ის მიჭენაობს, არ მიშვებს ახლოს,  
 რალაც საამო ტკივილი ახლავს  
 უკარებლობას. ცას სწვდება ქვიშა,  
 ფლოქვების ქარი რომ ათამაშებს  
 და მზეს ამგვანებს – შრიალა ფაფარს,  
 დატრიალებულს სხივების ქაფად.  
 ჟღალ ჩაბალახში ლანდი თარაშის  
 გადაუდგება უეცრად ქურანს  
 და გაქვავდება ადგილზე ისიც  
 და მთვარესავით მოშვილდულ კისრით,  
 დროო, თითქოს შენს ბურანში ცურავს.

•

ყველაფერი ისეა, როგორც – იყოს უნდა! –  
 თავის თავი არ იცის გზამ – სწორმა თუ მრუდმა,  
 ეს ჩვენ განვსჯით ყოველს და... ჩვენთვის, სხვათა შორის,  
 ზოგჯერ სწორი – მრუდია და მრუდი კი – სწორი.

## ლელა ნარსუიას

რა სითამამით ეფინება ფრთებშესხმულ სივრცეს  
შენი გალობა – ფრთონავს ზეცის ყველა კუნჭული.  
და მუდამ ასე მეჩვენება: მზის გული გიცემს  
და ჰანგის ხანძარს თან მიერთვი თვალდახუჭული.  
ჰარმონია რო საჩინო ჰქმნას – სახელი ერქვას –  
იდუმალებას მიუღია ფორმა ვარდების –  
წითელის, თეთრის... ფურცვლა იწყო ნიავმა ცელქმა,  
შენ მათს ყრფოლაში დაგლანდავ და... გამიხარდები.

...

სადღა წაუვალთ მამულის სულის  
კვლავ მას ვეკუთვნით –  
კოლხური ხმების სად გაგვიშვებს „ოქროს მესერი“:  
ფამს გავარიდეთ მათი შფოთი, სისხლში შევფუთინეთ  
და უკვდავებაც ჩვენი ეს არი...

●

უკმარისობის გრძნობავ, ნისლივით  
გადაფოფრილო ჩემს დღეებს ოდით,  
რატომ მეგონა, ბოლოს – მიხსნიდი,  
შენ ხომ ნიადავ სევდისას ხმობდი?  
ნისლი და სევდა: ლურჯი პლუს ლურჯი –  
ფერი სიცოცხლის ოაზისიდან.  
ამოსცდა მნათი ჰორიზონტს. მუნჯი  
ქარიშხლით – ტალღა ტალღას იზიდავს  
და თეთრი ფერით აჭრელებს გრაგნილს  
მარცხნიდან – მარჯვნივ, ქრისტიანულად.  
და ყელყელაობს სიმაღლე: გაგრის  
აქნეულ ფრთებქვეშ დრო მიმაღულა  
და მიხმობს, მიხმობს –

ნარსულს და ანწყოს  
ცა ამთლიანებს, ყოვლის დამტევი  
და ხსოვნას კინძავს და ოქროს ბანრით  
მზე გულზე მკიდებს –

ნმინდა ხატავით.

●

– ტალღის ცისფერ ანაბეჭდებს  
ველარ ნაშლის ქარ-წვიმა, –  
მითხრა გულმა – ათი წელი  
ზღვის სიზმრებით ნარწევმა...



რეპუზ ნიჟარაქი

## ბნელი განთიადი

### 2000 წელი. დეკემბერი.

სიბნელე. თუმცა სინათლე. მზის სხივები, თუმცა სიცივე. ბრძოლა სინათლისა და სიბნელისა და ამავდროულად მათი პარამონიული მეგობრობა. დასასრული ღამისა და დასაწყისი დღისა. ულამაზესი ფერები, უნაზესი დროის მონაკვეთი და მკაცრი სუსხი. ცხოვრებისეული მშვენიერება და ცხოვრებისეული კანონზომიერება – ბნელი განთიადი.

სწორედ ეს იყო გამოსახული ერთი უცნობი მხატვრის ტილოზე. ეს მხატვარი, დეკემბრის ყინვისაგან გათოშილი, ქუჩაში იდგა და ერთი სული ჰქონდა, სურათი გაეყიდა, სახლში წასულიყო და თუ მოახერხებდა, ხელეები გაეთბო. თან ბავშვებსაც რამეს უყიდდა საახალწლოდ და წამიერად მაინც განიცდიდა ბედნიერებას, რომელსაც მას საყვარელი ადამიანების გახარებული თვალები მიანიჭებდა. ის, ბედნიერების მირაჟისაგან გაბრუნებული, დროებით მაინც დაივიწყებდა შიმშილსა და სიცივეს.

ამ დროს ტროტუართან ძვირფასი მანქანა გაჩერდა. კარი გაიღო და კაცი ძლივს გადმოეჭია მანქანიდან. კაცი, რომლის თვალები ცარიელი იყო, ჯიბე კი აშკარად სავსე. მხატვარს მიუახლოვდა და სურათის თვალიერება ისე დაიწყო, თითქოს ხელოვნებისა

რაიმე გაეგებოდა. შემდეგ მხატვარს აგდებულად მიმართა:

– რა ღირს?

– ასი ლარი.

– ასი რა ამბავია? უბრალო ნახატი, თან ჩარჩოც არ აქვს.

– ზოგ ნახატს ჩარჩო არ სჭირდება. – მიუგო მხატვარმა.

– ჩარჩო ყველა ნახატს სჭირდება.

– ფილოსოფიურად ჩაილაპარაკე კმაყოფილსახიანმა არსებამ: – სამოცდაათს მოგცემ. შევთანხმდით?

– კაი, ნაილე.

„ხელოვნების უდავოდ დიდმა შემფასებელმა“ მხატვარს ფული ჩაუთვალა. სურათს ხელი მოჰკიდა და მანქანისაკენ გაემართა. მხატვარმა კი უკანასკნელად გააყოლა თვალი ვისთვის – ნაჯღაბნს, ვისთვის – შედევრს. მისთვის კი – თავის რჩენის საშუალებას.

### 2084 წელი. დეკემბერი.

სამოცდაათი ერთი. სამოცდაათი ორი. სამოცდაათი სამი. გაყიდულია.

უცნობი მხატვრის სურათი – „ბნელი განთიადი“ – სამოცდაათ მილიონ ლარად გადაეცა ბატონს მეათე რიგში. ბატონს, რომელიც, ფეხზე ნამომ-



დგარი, ხალხს უკადრისად გადაჰყურებდა.

ბატონის თვალები ცარიელი იყო. ჯიბე კი – სავსე. იდგა და კმაყოფილებით უცქერდა ვისთვის – ნაჯღაბნს, ვისთვის – შედევრს, ვისთვის – თავის რჩენის საშუალებას, მისთვის კი – უსაფუძვლო ამბიციების დაკმაყოფილებას.

## არჩევანი

ახალგაზრდამ ხელის ფათურით კარი გააღო და სახლში შევიდა. ეს ბიჭი ლევანია, იგი ბავშვობიდან უსინათლოა. მას შიმშილისგან მეზობლები იფარავენ. ლევანი მარტო ცხოვრობს, მან არც ღამე იცის რა არის და არც დღე, არც თეთრი და არც შავი. თუმცა სულ გაიძახის, წითელს ვხედავო. თან ხალხს ეკითხება, წითელი რანაირიაო. მოკლედ ლევანს ძალიან ბევრი კითხვა აქვს, თუმცა მას პასუხს ვერაფერს სცემს, რადგან განა შეიძლება, აუხსნა ადამიანს, რა ფერია ცა, თუ მან არც კი იცის, ცა რა არის.

ყოველივე ამის მოუხედავად, ლევანი თავს უბედურად არასოდეს თვლიდა. მართალია, მას ბევრი კითხვა ებადებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი ადარდებდა ძალიან, თუ რატომ ხდებოდა ისე, რომ ხან ციოდა და ხან ცხელოდა. ეს, თითქოსდა, იოლი კითხვაც კი ვერ განუმარტეს ლევანს ისე, რომ იგი რაიმეს მიმხვდარიყო. ბოლო დროს ლევანი არც ლაპარაკობდა და არც კითხვებს სვამდა, მაგრამ სინამდვილეში სახლში ჩაიკეტებოდა და საკუთარ თავს ხან აორებდა, ხან ასამებდა. შემდეგ კი დებატებს მართავდა საათობით.

ლევანის ბინა სამი ოთახისგან შედგებოდა. ოთახი, რომელიც შე-

სასვლელიდან ხელმარცხნივ მდებარეობდა, ერთი შეხედვით, ყველაზე სუფთა იყო, მაგრამ ისეთი მყრალი სუნი იდგა, ბიჭი იქ იშვიათად შედიოდა, ბრმა რომ არ ყოფილიყო, ალბათ, განიავებდა კიდეც. შესასვლელიდან ხელმარცხნივ ადრე ბინის ყველაზე მყუდრო ოთახი იყო, მაგრამ გვერდითა ბინაში მცხოვრებმა მეზობელმა ლევანის სიბრმავე გამოიყენა და ეს ოთახი მიიერთა. ახლა კი იქ ბიჭს აღარ შეესვლებოდა. მთავარი ოთახი, სადაც ლევანი ცხოვრების უდიდეს ნაწილს ატარებდა, მისაღები იყო. ამ ოთახში ალაგ-ალაგ კიდეც შემორჩენილიყო პარკეტზე წასმული ლაქი. ოთახის კუთხეები იატაკიდან გადახვეტილი ჭუჭყლით იყო სავსე. ჭერი ჩამოშვებული წყლისგან სულ გაყვითლებულიყო. სერვანდი, რომელშიც ერთ დროს ძვირფასი ჭურჭელი ეწყო, დაცარიელებული გახლდათ. ზოგი რამ მეზობლებმა დაუკითხავად წაიღეს, დანარჩენი თვითონ ლევანმა დაარჩია. კედელზე ლევანის მშობლების აბლაბუდაში გახვეული სურათები ეკიდა, ისინი სახელოვანი ხალხი იყვნენ, თუმცა მცირე ასაკში დაბრმავებულ ლევანს მათი სახეებიც არ ახსოვდა, მაგრამ ხშირად ახსენებდა მათ სახელებს. ამ ბინაში ერთადერთი სუფთა ფართობი ლევანის საწოლი იყო, რომელზეც მეზობლების მიერ თვეში ერთხელ გადმოგდებული თეთრეული ეფინა. შოდა, ლევანიც ამ საწოლზე წამოწვებოდა და ხან სხდომებს მართავდა და ხან – მიტინგებს:

- ბიჭებო, დღეს რა ვჭამოთ?
- რა უნდა ვჭამოთ? რა თქმა უნდა, კარტოფილი.
- ეგ მეც ვიცი, შე დებილო, მაგრამ ვის მოაქვს?
- დღეს ვანიას ჯერია, ეგ გვაჭმევს.
- აუ! მაგას სულ მოხარშული

კარტოფილი მოაქვს, მე კი შემწვარი მიყვარს.

- რას ამბობ, კარტოფილი კარტოფილია - არც შემწვარი ვარგა და არც - მოხარშული, მითუმეტეს, სხვისი მოტანილი.

- თქვე ღორებო, სულ ჭამაზე ნუ ლაპარაკობთ, მოდი, სხვა რამეზე ვისაუბროთ.

- რაზე?

- რაზე და არჩევნები ახლოვდება. ხმა ვის მივცეთ?

- შე უპატრონო, ხმა როგორ უნდა მისცე, როცა წერა-კითხვა არ იცი?

- შე შტერო, წერა-კითხვა რად უნდა ხმის მიცემას? არ გესმის? ხმა უნდა მისცე, შეიძლება, ვერ ვხედავთ, ეს არც არის მთავარი, მთავარი ხმაა.

- ხმა, თორე შენც ოპერის მომღერალი არ მყავდე აბა, როგორ უნდა მისცე ხმა?

- როგორ და უნდა იყვირო.

- რა უნდა იყვირო?

- რასაც ხმას აძლევ.

- მე ხორცი მომენატრა და რა ვქნა, „ხორცი“ ვიყვირო?

- რაც გინდა, ის იყვირე. მე ფორთოხალი მომენატრა და ჩემს ხმას ფორთოხალს მივცემ.

- ისევ საქმელზე გადახვედით. ჯობია შუქს მივცეთ ხმა.

- შუქი რად გვინდა? მაინც ვერ ვხედავთ.

- მაშინ - გაზს.

- გაზი რალად გვინდა?

- თქვენ ვერაფერს ხედებით, გაზზე საქმელს გავაკეთებთ.

- საქმელს ვინ მოგვცემს?

- მართალია. ხმა საქმელს მივცეთ.

- თქვენ ზარმაცები და უსაქმურები ხართ! ჯობია, გაზი გვკონდეს, ჩვენ თვითონ მაინც გავაკეთებთ რამეს.

- შენი არ მესმის, თუ შეიძლება, ხმა მზა საქმელს მივცეთ, რატომ უნდა

ვინვალოთ თავი იმის კეთებას, არ ვიცით?

ასე მანამდე ეკამათებოდა საკუთარ თავს ლევანი, სანამ არ ჩაეძინებოდა და ტკბილ სიზმრებს არ მიეცემა.

ისე რა უაზრობაა?! ერთი ადამიანი და საკუთარ თავთან კამათშიც ვერ მიდის კონსესუსამდე. მაგრამ საშინელება ისაა, რომ ამ ბინაში ერთი ლევანის სახით მილიონი ბრმა ცხოვრობს.

## მონყალაა

დეკემბრის ბოლო დღე იდგა. ბაზარში უამრავი ხალხი ირეოდა. ყველა საახალწლო სამზადისში იყო. აქ, ამ სუნიან და ატალახებულ ადგილას, ხალხი ჭიანჭველებივით ფუსფუსებდა და ქოთქოთებდა: ზოგი ძვირფასს ყიდულობდა და ზოგი იაფფასიანს, ზოგი იპარავდა, ზოგი შრომობდა, ზოგიც კი, უბრალოდ, მონყალეებას ითხოვდა.

- მონყალეება გაიღეთ, დამეხმარეთ, ღმერთმა მრავალ ახალ წელს დაგასწროთ! - ხმადაბლა იძახოდა ერთი მოხუცი მათხოვარი, რომელსაც ხურდებს ისე უყრიდნენ, რომ ზედაც არ უყურებდნენ, მაგრამ თუ დააკვირდებოდით, ძალიან უჩვეულო რამეს დაინახავდით: ეს მათხოვარი მონყალეებას ღირსეულად ითხოვდა. მის თვალებში სიძულვილის მაგივრად სიამაყე იკვეთებოდა. ამის მიზეზად ძალიან ბევრს გაუჭირდება, რადგან როგორ შეიძლება, თავმოყვარე ადამიანმა იმათხოვროს? მაგრამ ყოველთვის გაუგებარს უბრალოდ კარგად დაკვირვება სჭირდება. ხოდა, მოხუცი მათხოვარიც თავისთვის იჯდა და მონყალეებას ითხოვდა. მის თვალში ათასობით ადამიანი ირეოდა, მაგრამ



მოხუცის ყურადღება ერთმა ბიჭმა მიიქცია. ბიჭი მოუთმენლად დადიოდა და აფორიაქებულს ვერაფერი აერჩია. ისე კი, აშკარა იყო, რომ მას რალაციის ყიდვა სურდა. ეს ახალგაზრდა, ხან გამოჩნდებოდა, ხან კიდევ ხალხში იკარგებოდა.

უკვე საღამოვდებოდა, როდესაც მოხუცი მათხოვარი შიმშილითა და სიცივიტ დაღლილი, ფეხზე წამოდგა, ალბათ, წასვლას აპირებდა, მაგრამ ამ დროს მის თვალწინ საზარელი რამ მოხდა – შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი მუხლებზე დაემხო, მიწას თავს ურტყამდა და ქვითინებდა: მოგიკვდეთ, შვილებო, დედა! რა გაჭამოთ?! წყეულიმც იყვნენ! რა ვქნა, რა გიშველოთ? რატომ? რატომ? რატომ მომპარეს? რა დაეუშავე? ღმერთო, შენ მიშველე, გვედრები!

ყველაფერი ნათელი იყო – კიდევ ერთი გაჭირვებული ადამიანი გახდა ბაზრის ჯიბის ქურდების მსხვერპლი.

მოხუცი მათხოვარი ქალთან მივიდა და ამ დროს თვალცრემლიანი ნაცნობი ბიჭი დაინახა, რომელიც ქალს მივარდა, წამოაყენა და დანყნარება დაუნყო. ბიჭმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და მთელი ფული, რაც ებადა, ქალს შეაჩეჩა. მოხუცი მათხოვარი კი იღიმებოდა.

გარს შემორტყმული საზოგადოება, რომელიც საახალწლო სანახაობას უცქერდა, ბიჭის საქციელმა განაცვიფრა, ზოგიერთმა ისიც კი წამოიძახა: „მაგის მოპარულია“, მაგრამ ამ დროს საზოგადოება კიდევ უფრო განცვიფრდა, რადგან მოხუცმა მათხოვარმა დაგლეჯილი ჯიბეები გადმოატრიალა და შავოსანს უამრავი ხურდა ჩაუჩხრიალა, შემდეგ ძალიან სწრაფად ბიჭს ხელი მოჰკიდა და ხალხს შეერია. გაოგნებულმა ქალმა კი მადლობის თქმაც ვერ მოასწრო.

მათხოვრის საქციელით გაოგნებული ბიჭი მას ჩუმად მიჰყვებოდა, როდესაც ისინი ცარიელ ადგილას მივიდნენ, მათხოვარმა ბიჭს პატივისცემით შეხედა და ჰკითხა:

– შვილო ერთი მითხარი, რისი ყიდვა გინდოდა ისეთის, საათების განმავლობაში რომ არჩევდი და ვერ აირჩიე, შემდეგ კი, მთელი ფული იმ საწყალ ქალს მიეცი?

კითხვაზე ბიჭმა მოხუცს მონყენილად, თუმცა ყოველგვარი სინანულის გარეშე მიუგო: – ბაბუ, ერთი ძალიან კარგი ადამიანი შემეყვარდა და მისთვის საჩუქრის ჩუქებას ვაპირებდი.

– შვილო, მაგაზე არ იდარდო, რადგან შენ მას დღეს ყველაზე დიდი და შეუფასებელი საჩუქარი გაუკეთე. ეს, შვილო, შენი მონყალე გული და ადამიანობაა. ამაზე ძვირფასს კი ვერავინ აჩუქებს დღეს თავის შეყვარებულს, – მოხუცმა ბიჭს თვალეში შეხედა და კითხვის დაუსმელად უპასუხა: – გაგიგებს, შვილო, გაგიგებს!

მოხუცმა მათხოვარმა დაგლეჯილი პალტო გაიღელა და მკერდიდან ჩვეულებრივზე დიდი, ქვებით მორთული, ძალიან ლამაზი ვერცხლის ჯვარი მოიხსნა.

– აჰა, შვილო, ეს ჯვარი, ნაუღე იმ გოგონას და სთხოვე არ დაკარგოს. შენ კი გახსოვდეს: მონყალეებს ვინც ითხოვს – იმას მიეცემა, ხოლო ვისაც ეძლევა – იმან უნდა გაილოს კიდევ.

ბიჭი მოხუცს გადაეხვია და სახლისაკენ გაემართა, უკვე ღამდებოდა და მალე ახალი წელიც მოვიდოდა.

ისე, ეს ბიჭიც და მოხუციც, – ორივე მათხოვრები იყვნენ: ერთი სიყვარულს ითხოვდა, მეორე – ხურდას, მაგრამ ორივე ღირსეული ადამიანი იყო.

## ანგელოზი და ეშმაკი

- შოკო, რას ნერვიულობ? იცოდე, კითხვებს რომ დასვამ, ენა არ წაიბორძიკო.

- არ ვნერვიულობ, უბრალოდ, ვლელავ. ეს ჩვენი პირველი ინტერვიუა, თან ისეთ ცნობილ ადამიანთან, რომ არ ვიცი.

ასე ამშვიდებდა ერთმანეთს ორი კეკლუცი გოგონა, რომლებიც ქვაფენილის დასასარულს მიუახლოვდნენ და კობტა სახლის კარზე, სადაც დიდი აბრა ეკიდა წარწერით, „მხატვარ ირაკლი ფიქრიას სახელოსნო-გალერეა“, ზარი დარეკეს. კარი მოხუცმა კაცმა გააღო.

- გამარჯობა, ბატონო ირაკლი, მე ანი ვარ, გუშინ რომ გელაპარაკეთ ტელეფონზე. ჩვენ სახელოსნოს დათვალიერება და თქვენთან გასაუბრება გვინდა.

მოხუც მხატვარს თბილად გაელიმა:

- შო, გამახსენდა. მობრძანდით, მობრძანდით. ოღონდ ერთი წუთით აი, აქ, დიდ ოთახში დამელოდეთ, ანდა, არა, წადით, სურათები დაათვალიერეთ, ოღონდ არ შეეხოთ, მე მალე დავბრუნდები, შემდეგ კი ვისაუბროთ.

მხატვარი ოთახიდან გავიდა. გოგონები კი ოთახის თვალიერებას შეუდგნენ. ჭერი შუშისა იყო და მთელ გალერეას დღის სინათლე ანათებდა. სურათები კედელზე ძაფებით იყო ჩამოკიდებული და ზოგ მათგანს მზის სხივები უფრო აფერმკრთალებდა, თუმცა ეშხს პმატებდა. ანი და შორენა ნახატების თვალიერებით ტკბებოდნენ, თან სურათების შინაარსს თავისებურად ხსნიდნენ:

- ანი, ხედავ, ქალებს რა კარგად ხატავს, რომ უყურებ, ქალის ხასიათი და განწყობა იგრძნობა.

- შო, მაგარია. მე ეს მომიწონა, ნახე!

## ეროვნული

გოგონებმა გალერეა დათვალიერეს და შემდეგ მოჩუქურთმებული თალის გავლით ირაკლი ფიქრიას სახელოსნოში გავიდნენ, სადაც ეტყობოდა, მხატვარი იმ დღესაც მუშაობდა, რადგან ზეთის საღებავები სულ ახალი წასმული იყო პალიტრაზე და გადაჭიმულ ტილოზე. სახელოსნო, გალერეისგან განსხვავებით, უფრო მტვრიანი იყო, მაგრამ უფრო ნათელიც. აქ ორი მაგიდა იდგა. ერთზე ფუნჯები, ფანქრები, საღებავები და გოგონებისათვის უცნობი მრავალი ინსტრუმენტი ეყარა. მეორეზე კი, ალბათ, მხატვარი საუზმობდა ხოლმე, რადგან სუფთა იყო და ფინჯნები ელაგა. სახელოსნოში სურათები არ ეკიდა, ისინი უბრალოდ რიგებად ეწყო, ძირს ან კედელზე იყო აყუდებული. ერთერთ კედელზე კი ფარდა იყო ჩამოკიდებული.

- აი, მეც მოვედი. აბა ეს გამომართვით. მხატვარს ხელში ჩაიდანე ეჭირა, ხოლო მეორეში ყუთი, სადაც ნამცხვრები ეწყო. ეს ყუთი ანის მიაჩეჩა და ანიშნა, მაგიდაზე დაეწყო. თვითონ ყავის დასხმას შეუდგა.

- ბატონო ირაკლი, ნუ ნუხდებით,

- მორცხვად ჩაილაპარაკა შორენამ.

- ერთი ეს მითხარით, რა გქვიათ და რამდენი წლის ხართ?

- მე ანი ვარ, ეს შორენაა. ორივენი თვრამეტი წლისები ვართ.

- მე კი ოთხმოცდახუთს ვუკაკუნებ და თქვენი ბატონიც არა ვარ. ხოდა, თუ შეიძლება, ირაკლი ბაბუა დამიძახეთ. ახლა მოდით ყავა დაელოთ, და ვისაუბროთ. ისე, ჩემთან სტუმრები კი ხანია აღარ ყოფილან. მითუმეტეს თქვენნაირი ლამაზი გოგონები, თან ჩემზე რალაციის დანერას აპირებთ. აბა, დასხედით და რაც გინდათ, მკითხეთ.

გოგონები მაგიდას მოხერხებუ-

ლად მიუსხდნენ. პირველმა ანიმ დაინ-  
ყო:

- ირაკლი ბაბუა, თქვენი ნახატები,  
რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობი-  
ლი, ევროპის მრავალ გალერეაშია  
გამოფენილი. თუ შეიძლება, მოგვიყუ-  
ვით რაიმე ამის შესახებ?

ამგვარი კითხვებით მხატვრისა და  
გოგონების საუბარი თითქმის ერთი  
საათი გაგრძელდა. ანი და შორენა  
დამშვიდობებას აპირებდნენ, როდე-  
საც შორენამ ბატონ ირაკლის ერთი  
ცნობისმოყვარე კითხვა დაუსვა:

- ირაკლი ბაბუა, კედელზე, იმ  
ფარდის უკან, რა არის?

ამ შეკითხვაზე მხატვარს სახე შე-  
ეცვალა, ათრთოლდა კიდეც და პაუ-  
ზის შემდეგ წარმოთქვა:

- ეს გრძელი ამბავია, თუ არ გეჩ-  
ქარებათ, მოგიყვებით.

ახალგაზრდებს თვალები აენთოთ,  
ისინი ხომ კიდეც უფრო მეტს გაიგებ-  
დნენ მხატვარზე და, რა თქმა უნდა,  
დადებითმა პასუხმაც არ დააყოვნა.

- კარგით, გეტყვით. ეს ჯერ არა-  
ვისთვის მითქვამს და სანამ, ამ ქვეყ-  
ნიდან წავალ, მინდოდა ვინმესთვის  
მეთქვა და თქვენ გეტყვით, ოღონდ  
ისე მომისმინეთ, არ გამაჩეროთ. უკვე  
ოცი წელინადაა, ამ ფარდის უკან ჩე-  
მი მთელი დარდი, ფიქრი და სატკივა-  
რია თავმოყრილი. ყველაფერი კი უფ-  
რო ადრე დაიწყო. ირაკლი კედელს  
მოუახლოვდა და ფარდა გადაწია. - აი,  
აქ, ამ კედელზე ზუსტად ვერ გეტყვით,  
მაგრამ მე მგონი, რომ ორი შედეგრი  
ეკიდა. ხელოვნების ორი ნიმუში, რო-  
მელიც ლუვრსაც დაამშვენებდა და  
რენესანსის ეპოქის დიდი მხატვრებიც  
კი მოწინებოდა და პატივისცემით შე-  
ხედავდნენ. ერთ სურათზე ჩვილი  
ბავშვი ეხატა, რომელსაც მზის სხივე-  
ბი დაჰფენოდა და ამ სხივებით ოს-  
ტატურად იყო გამოხატული წარწერა:

„ანგელოზი“. ჩვილ ბავშვს არც წარ-  
ვანდები ედგა და არც ფრთები ჰქონ-  
და, მაგრამ იმდენად გადმოსცემდა  
გრძნობებსა და მხატვრის ჩანაფიქრს,  
რომ წარწერის გარეშეც მიხვდებო-  
დით, რომ ის ანგელოზი იყო, ანგელო-  
ზი დედამინაზე, უბრალოდ ჩვენს  
ცხოვრებაში, ჩვენი გაგებით. მეორე  
სურათზე შავი ფერი ჭარბობდა. ღამე  
იყო, წვიმა და ელვა. მხრებში გამარ-  
თული, შავებში ჩაცმული, თმაგაჩეჩი-  
ლი კაცი ფეხზე იდგა. მას გამშაგებუ-  
ლი გამომეტყველება ჰქონდა, თვალე-  
ბი კი ჩასისხლიანებული და ზიზლით  
სავსე. ხელში დანა ეჭირა, მის ფერხ-  
თით კი, ადამიანის გვამი ეგდო სისხ-  
ლის გუბებში. აქაც ოსტატურად სისხ-  
ლის წვეთებით გამოხატული იყო  
წარწერა: „ეშმაკი“. არც კუდი, არც  
რქები, მხოლოდ ადამიანი. მაგრამ  
დემონი. ამ ტილოებზე ადამიანები  
იყვნენ გამოსახულნი, მაგრამ არც ერ-  
თი ფრესკა ანგელოზებისა თუ ეშმა-  
კებისა არ გამოინვევდა ასეთ სათნო  
და შემზარავ ემოციებს, როგორც ეს  
ადამიანის სახით დახატული „ანგე-  
ლოზი“ და „ეშმაკი“.

ანის და შორენას სურათები ძალი-  
ან მოეწონათ, მაგრამ ვერც ერთს გა-  
ეგო, როგორ უნდა ყოფილიყო ეს ტი-  
ლოები მხატვრის დარდი და სატკივა-  
რი.

- ბავშვებო, - დაიწყო თხრობა  
მხატვარმა. მე ცხოვრების დიდი გზა  
გავიარე. ოცი წლისა უკვე ცნობილი  
მხატვარი ვიყავი. ათასობით ნახატი  
მაქვს დახატული, ქონებაც ბევრი ვი-  
შოვე. ჩემი სურათები, როგორც გით-  
ხარით, მრავალ კოლექციონერს აქვს  
შეძენილი, მაგრამ, ყოველივე ამის  
მიუხედავად, ეს ორი ნახატი ჩემი  
ცხოვრების საფიქრალი და სადარ-  
დებელი გახდა. ეს ამბავი მრავალი  
წლის წინ დაიწყო. მაშინ ორმოცი წლი-



სა ვიყავი. ერთ დღეს ჩემს მეგობართან სტუმრად მივედი, სწორედ იმ დღეს ჩემი მეგობრის მეზობელ ოჯახში ახალშობილს ნათლავდნენ და ჩვენც შეგვიპატივეს. ახლაც თვალწინ მიდგას მათი მყუდრო ბინა. შესვლისთანავე ადამიანური სითბო და სიყვარული ვიგრძენი. პატარა მაგიდის გარშემო დაახლოებით ათნი ვისხედით. ღეთის საიდუმლოებას ნაზიარები ახალშობილი დედას ჩახუტებული ჰყავდა. მის გვერდით მუდღე იჯდა, რომელიც თვალეზანთებული ცოლშვილს ეფერებოდა, ჰკოცნიდა. ახლაც ყურში ჩამესმის იქ წარმოთქმული სადღეგრძელოები და მშობლების ნამოძახილები: „ჩვენი ვაჟკაცი ფეხბურთელი გამოვა“. „არა, ექიმო გამოვა“, „მთავარია, კარგი ადამიანი გამოვიდეს“, – ამ შეძახილებში მე ვუმზერდი მშრომელი ხალხის ოჯახს, უბრალო, სადა ადამიანები იყვნენ – არც ფული ჰქონდათ, არც დიდი სახლკარი, მაგრამ უზომოდ ბედნიერნი იყვნენ. ახალშობილში მე მაშინ ანგელოზი დავინახე. მეორე დღეს, ამ ოჯახს ტილოთი და საღებავებით ვენჯიე და ეს სურათიც მაშინ შევქმენი. მას შემდეგ ამ კედელზე ჰკიდია და ჩემს მიერ დახატულ ყველა სურათზე უკეთესია. ეს ჩემი უსაყვარლესი ტილოა.

ამ სურათს კი, როგორც ხედავთ, „ემშაკი“ ჰქვია. მასაც თავისი ისტორია აქვს. „ანგელოზის“ დახატვიდან ოცდახუთი წლის თავზე, წვიმიან საღამოს სახლში ვბრუნდებოდი და ჩემს თვალწინ საზარელი რამ მოხდა: გაშმაგებულმა ახალგაზრდამ ქუჩაში საფულის გულისთვის, ცივისსახლიანად, არაადამიანურად, უგულოდ კაცს ყელი გამოჭრა. შემდეგ გაქცევა სცადა, მაგრამ მილიციამ მისი დაკავება მოახერხა. იმ ღამეს მოველინა ქვეყანას ეს ტილო. როგორც ხედავთ, კარგი

ნახატია და თან ანგელოზი გვერდით ჰკიდია, თუმცა მე ის მეზიზღება, მტანჯავს, მაგრამ ეს ცხოვრებაა. სურათის დახატვის მომენტში ამას ვერ ვხვდებოდი. მაგრამ... – მხატვარი შეჩერდა, პაუზა გააკეთა და თითქოს თხრობას ახლა იწყებო, განაგრძო:

– ამ დღიდან დაიწყო ჩემი ტანჯვა – მე ცნობისმოყვარეობამ და ზიზღამ ამ ემშაკის გაცნობის სურვილი გამიჩინა. სისხლიანი საღამოდან ერთი კვირა იყო გასული, როცა მე ჩემი გავლენიანი ნაცნობების დახმარებით ციხეში შევედი და პატიმარი მოვინახულე. ჩემი თხოვნით ჩვენ მარტო დაგვტოვეს. ცოტა ხანს ზიზღით ვუყურე. შემდეგ გავეცანი და უბრალოდ ვკითხე: „რატომ, შეილო, რატომ? თვალეზანთებში შემომხედა, დამაკვირდა და გადაიხარხარა: „მე ბოროტი ვარ“. შემდეგ თავი დაჰხარა. როდესაც ამოიხედა, თვალთაგან ცრემლი წასკდა და აღმოხდა: „მეზიზღებით ყველა, მეზიზღებით“.

მე მისი ცრემლების ვერ გავიგე და კიდევ ერთხელ შევეკითხე: „რა დაგიშავა? რა დაგიშავა იმ საწყალმა კაცმა, ფულის გულისთვის რომ ყელი გამოლადრე?“

– ბატონო ირაკლი, – ირონიულად ჩაილაპარაკა და შემომხედა, – ფული არაფერ შუაშია. ვერაფერს გაიგებთ, მაგრამ მაინც გეტყვით, რადგან მალე სიკვდილს მომიხჯიან. ჯოჯოხეთში კი კარი ჩემთვის ღიაა. იქ მიჩვენებია, იქ მულოდებიან მაინც. ვერც ერთ სულერს ველარ ვიტან. თავიდან დაეინჯებ და კარგად მომისმინე, იქნებ ჩასწადე მე ერთ ჩვეულებრივ ოჯახში გაეზარდე. ჩემი მშობლები ღირსეული ადამიანები იყვნენ, სიყვარულით, სითბოთი მზრდიდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ათწამედ. ათი წლის რომ ვიყავი, მამა დაიჭირეს. პატიოსანი ბულალტერი

იყო, მაგრამ დირექტორმა ხელი შე-  
 ანწინადა და მამასაც სახელმწიფო  
 ქონების მითვისებისათვის რვა წელი  
 მოუსაჯეს. მას შემდეგ მე ის აღარ მი-  
 ნახავს. დედას ჯერ სამკაულების, შემ-  
 დეგ კი, ბინის გაყიდვა მოუწია იმისათ-  
 ვის, რომ თავი გაგვეტანა. პროფესია  
 არ ჰქონდა და ერთადერთი სამუშაო,  
 რისი შოვნაც მოახერხა, მდივნობა  
 იყო. ერთ დღესაც დედას მანქანა და-  
 ეყვანა და მოკვდა. დასაფლავებაზე  
 თანამშრომლების საუბარს მოეკარი  
 ყური, თურმე უფროსს დედა მარტო  
 მდივნად არ სჭირდებოდა, ჰოდა,  
 თვალცრემლიანი და ანერვიულებუ-  
 ლი დედიკო სამსახურიდან გამოიქცა.  
 ქრახზე გადარბენის დროს კი მანქანამ  
 დაარტყა. მძლოლი გავლენიანი პირის  
 შვილი აღმოჩნდა და ციხის ოთხი კე-  
 დელი მისგან ისევე შორს იყო, რო-  
 გორც ჩემგან სამოთხე. სასამართლომ  
 ჩემი თავი ბავშვთა ინტერნატს გადას-  
 ა. ერთადერთი, რაც ჩემი ოჯახიდან  
 დამრჩა, სათამაშოები და ტანსაცმელი  
 იყო. მე კი გაჭირვებულ ბავშვებს და-  
 ვურვივ ინტერნატში. აქ, ამ ვითომ  
 სახელმწიფო მზრუნველობის ადგი-  
 ლას, სინამდვილეში კი ყველასაგან  
 სრულიად მიტოვებულ გარემოში, შვი-  
 დი წელი დავყავი. ისინი კი, რომლებ-  
 საც წესითა და რიგით ჩვენთვის უნდა  
 ესწავლებინათ და ჩვენზე ეზრუნათ,  
 ყოველდღე გვცემდნენ, საზიზღრო-  
 ბებს გვაჭმევდნენ და ვერ გვიტანდ-  
 ნენ, მაგრამ აქ ერთი მეგობარი შევი-  
 ძინე, იმედა ერქვა. ჩვენ გვერდი-  
 გვერდ გვეძინა და შვიდი წლის გან-  
 მავლობაში იმედა სულ მეუბნებოდა,  
 ოდესმე თავს დავალწვევით ამ დაწ-  
 ვედილ ადგილს. ის ამბობდა, რომ  
 ცხოვრება გველოდა, რომ ბევრს მი-  
 ვალწვევით და დიდ მომავალზე ოც-  
 ნებობდა. მე და იმედას ამაზე მეტი  
 არა, მაგრამ მთელ სიცოცხლეში თი-

თო-თითო ოცნება აგვიხდა ერთდღეს.  
 ეს იყო 23 სექტემბერი, ჩვენ ბარგი  
 ჩავვალაგებინეს და გვითხრეს: თქვენ  
 უკვე სრულწლოვანები ხართ და აქე-  
 დან აახვიეთო. ჩვენც იმ დღეს მთელი  
 ქალაქი დავათვალიერეთ. ღამე პარკ-  
 ში გვეძინა, მაგრამ ბედნიერები ვიყა-  
 ვით, რადგან თავისუფლება გველირ-  
 სა. მეორე დღიდან სამუშაოს ძებნა  
 დავიწყეთ. იმედას ბევრი წიგნი ჰქონ-  
 და წაკითხული, ძალიან ჭკვიანი იყო  
 და სამუშაოც მალე იშოვა. ერთი თვე  
 იმედა მინახავდა და მარჩენდა, შემდეგ  
 მეც ვიშოვე სამუშაო, მანქანებს  
 ვრეცხავდი. ერთ დღეს ვილაცამ მან-  
 ქანა მოიყვანა და გარეცხვა შემიკვე-  
 თა, თვითონ კი სადღაც წავიდა. მე  
 მანქანა გავრეცხე და შემდეგ ხელების  
 გასათბობად ოთახში შევედი. არ ვიცი,  
 რა მოხდა, მაგრამ მანქანიდან ფულის  
 ამოღების ბრალდებით დამიჭირეს და  
 როგორც ინტერნატში გაზრდილ  
 უპატრონოს, ერთი წელი მომისაჯეს.  
 ციხეში, ინტერნატი, როგორც ედემი  
 ისე მახსენდებოდა. პატიმრობა საერ-  
 თოდ საშინელება იყო, მაგრამ ამას არ  
 მოეყვებო. ერთ წელიწადში გამომიშ-  
 ვეს, იმედასთან მივედი და აი, ამ დღეს  
 ჩემი მოთმინების ფილა აივსო, იმედა  
 ორი თვის მკვდარი იყო. როგორც  
 მითხრეს, ჩემს მგრძნობიარე და სუსტ  
 მეგობარს გოგო შეჰყვარებოდა, მაგ-  
 რამ გოგოს მამას ინტერნატში გაზრ-  
 დილი ბიჭი არ ეპიტნავებოდა და იმა-  
 ზე იზრუნა, რომ იმედა ჯერ სამსახუ-  
 რიდან დაეთხოვათ, შემდეგ კი შეტე-  
 ნილი ბრალდებით მასაც ჩემნაირად  
 ციხეში ამოაყოფინეს თავი. იქ იმედამ  
 ვერ გაუძლო და ერთ დილას ზენრით  
 თავი ჩამოიხრჩო. ამ ამბის შემდეგ ჩემს  
 სიცოცხლეს გადავხედე. მე ბავშვობა  
 წამართვეს, მე მამა წამართვეს, მე დე-  
 და წამართვეს, მე ინტერნატში დამ-  
 ტანჯეს, მე ციხეში უსამართლოდ მა-

ნამეს და ბოლოს ერთადერთი მეგობარიც წამართვეს. ამ ყველაფრის შემდეგ მე ვიღრიალე: „ვინ ქნა ეს?“ და პასუხიც მივიღე: „ეს ხალხმა გააკეთა. ადამიანებმა, რომლებიც თავს ღირსეულ საზოგადოებას უწოდებენ. ამ დღის შემდეგ ყველა ადამიანი მეზიზღება. ცხოველებიც კი უფრო მეცოდება. დავინწყე მოპარვა, ყაჩაღობა, მკვლელობა და ეს შურისძიება იყო. იმ მკვლელობის გარდა, რომელიც თქვენ ნახეთ, მე კიდევ ოთხი ადამიანი მყავს იმქვეყნად გასტუმრებული, ეს უკვე ვალიარე, ერთადერთი სიკეთე იქნება, რასაც ადამიანები მე გამოიკეთებენ. ახლა კი გირჩევთ, ნახვიდეთ, რადგან მე თქვენც მეზიზღებით. ხელები შეკრული მაქვს, მაგრამ თუ მალე არ გაეთრევით, კბილებით გეცემით.“

მე ავდექი და სანამ კართან მივიდოდი, კიდევ ერთი საშინელება მოვისმინე:

- თქვენ ხომ მხატვარი ხართ? მხატვრობის არაფერი გამეგება, მაგრამ მახსოვს, დედა ძილის წინ მეუბნებოდა ხოლმე, შეილო, შენ რომ დაიბადე, ჩვენთან ერთი ცნობილი მხატვარი იყო სტუმრად. ისეთი ლამაზი იყავი, რომ მან დაგხატა და სურათს „ანგელოზი“ დაარქვაო.

ოთხი თვის შემდეგ ის სიკვდილით დასაჯეს. მთელი ამ დროის განმავლობაში მე ფიქრი მტანჯავს. მტკივა ის, რომ ჩვენ, საზოგადოებამ გავაბოროტეთ კაცი. ჩვენ რომ მისთვის მიგვეხედა, ის „ფეხბურთელი“, ექიმი“ და თუ ეს არა, „კარგი ადამიანი“ მაინც

გამოვიდოდა. მე მივხედი, რომ ყველა ადამიანი ანგელოზად იბადება და როგორც პირველი ანგელოზი დაცემის შემდეგ, ეშმაკად იქცა, ასევე ეს ანგელოზებად დაბადებული ბავშვები ეშმაკები ხდებიან. სატირალი ის არის, რომ მათ დაცემას ხელს ჩვენ ვუნწყობთ და ამას ვერც ვხვდებით. გოგოებო, თქვენ კი იცოდეთ, რომ გამოსავალი არსებობს. გამოსავალი ერთმანეთის სიყვარულია. როცა ყველა ჩვენგანს, საზოგადოების ყველა თუ არა, ბევრ წევრს სხვისი შვილები ისევე შეგვიყვარდება, როგორც საკუთარი და ისევე მივხვდავთ, როგორც ჩვენს შვილებს, როცა მივხვდებით, რომ ფული, სახლ-კარი - ეს მხოლოდ ცხოვრების პირობებია და მეტი არაფერი, ჩვენ გვეშველება. ამ პატარა ანგელოზებს კი ეშმაკებად გადაქცევა აღარ დაემუქრებათ. ანი, შორენა, მე ყველაფერი გითხარით, რაც მანუხებს და კიდევ ერთს გთხოვთ, გიყვარდეთ ერთმანეთი, სიყვარული ბედნიერებაა.

• ანიმ და შორენამ „ირაკლი ფიქრისასაგან“ თითო-თითო სურათი მიიღეს სახსოვრად. ინტერვიუსი არაფერი ვიცი, მაგრამ გოგონებს ერთი კარგი გაკვეთილი კი ჩაუტარდათ. იმ კედელზე ხომ ორი ტილო ეკიდა, ორი ტილო, ჩარჩოს გარეშე, რომელიც ერთობლიობაში ცხოვრების მწარე რეალობის უშნო ჩარჩო არის.

## ფრანგული მოთხრობა

მაქს ჟაკობი

### დიდი ადამიანის ბიოგრაფია

შარლ დიურანი დაიბადა ათას... წელს. წარმოშობით იგი პროვინციული

ოჯახიდან იყო. მისი ოჯახი, როგორც ჩანს, არაფრით გამოირჩეოდა, თუმცა ფრანგულ არქივებში დიურანების გვარი მეთოთხმეტე საუკუნიდან მოიხსენიება. პუატუს პროვინციის, ქალაქ ბოს მაცხოვრებელთა 1398 წლის სიაში ჩანერილია ვინმე დიურანი, რომელმაც თითქოსდა ვილაციის სახლი დაიქირავა. ლე-მანეს, წმინდა სქოლასტიკის მრევლის არქივში, მეთექვსმეტე საუკუნის საბუთებში შემორჩენილია მეორე დიურანის ნათლობის ჩანაწერი. ნაპოლეონის ბრძოლათა ანალებში მოიხსენიება სერჟანტი შარლ დიურანი, რომელიც ატრიით გამოძღა და მარენგოსთან ბრძოლის წინ, კუჭის მოუნელებლობით გარდაიცვალა (იხ. გენერალ მ-ს მემუარები. ტ. XI, გვ. 213). მაგრამ აქ, დიურანის ნინაპრებზე არ გვექნება საუბარი. ჩვენი ამოცანა ამ პრობლემის გამოკვლევა როდია. მისი გამოკვლევა ჯობს, გენეოლოგიის მცოდნეებს დაუვთმოთ. ჩვენ კი დიდი დიურანის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესდეთ. მისი დედის ერთ-ერთი, თავისი ბანალურობით ამაღლებული წერილი ცხადყოფს, რომ ცნობილი ყოული დიურანი, 1860 წლის ახალგაზრდობის უსაყვარლესი მწერალი ქალი, შარლის შორეული ნათესავი იყო. მისი ნაწარმოების სათაურები ხომ საყოველთაოდ ცნობილია: „აგ-

ლაი ანუ მძიმე მოვალეობა“, „არმანი ანუ ქაბუკი მოძღვარი“. ასე რომ, პატივცემული ნათესავი შარლის ღირსეული წინამორბედი გახლდათ და რა გასაოცარია, თუ თავდაც, ჯერ თვალი არ აეხილა, უკვე ბრწყინვალე იმედებს იძლეოდა?

რვა წლის შარლმა თითქმის შეისწავლა ნერა-კითხვა და ლიცეუმში თავის თანაკლასელებს არასოდეს ჩამორჩებოდა. ჯილდოების განაწილებისას, იგი თითქმის ყოველ წელს იღებდა ქების სიგელს სანიმუშო ყოფაქცევისა და კლასიკოს ავტორთა დეკლამაციისათვის. ასე რომ, პოეზიის სიყვარული ჯერ ნორჩი ასაკიდან გამოავლინა, რამაც შემდგომში, მისი ბიბლიოთეკის შერჩევისას იჩინა თავი (იხ. „შარლ დიურანის ბიბლიოთეკა“, გამომც. „აშეტი“, ინ-18). ბაკალავრის ხარისხზე გამოცდის ჩაბარება ცოტა გაუჭირდა, რაც ნათელ გონებას ხშირად ემართება, რადგან შეზღუდულ საგამოცდო მოთხოვნებს ასე იოლად ვერ ეგუება (ო, ბოლოს და ბოლოს როდის ჩატარდება ლიცეუმის დამამთავრებელ გამოცდათა რეფორმა) და მთელი გულისყურით სამართლის შესწავლას შეუდგა. მისმა უზადო წარმოსადგეობამ და ქცევის მანერამ ერთი ადვოკატის ყურადღება მიიქცია და შარლიც მისი მდივანი გახდა. მაგრამ დიდი გენიოსები, სამწუხაროდ,

დისციპლინას ვერ ემორჩილებიან. ადვოკატი მალე დაშორდა შარლს იმ მოტივით, თითქოს მან ორთოგრაფიაც კი არ იცოდა! ორთოგრაფია? სათქმელი მაინც ქონოდა რამე! შარლის გონებაში ხომ ამდენი აზრი და იდეა ტრიალებდა! ჭეშმარიტად დიდ ხელოვნებას იგი ქსავიე დიურანმა, მისმა ბიძაშვილმა აზიარა, ვინც სახელი, სააქციო საზოგადოება „დიუპონ-ში“ მუშაობით გაითქვა (საფლავის ქვებისა და საბალე სკულპტურების დამზადება). სწორედ ქსავიე მიანოდა შარლს იდეა შეექმნა „კამპილაციითა კამპილაციები“, სწორედ ის ნაწარმოები, რომელმაც მისი ცხოვრება დიდებით შემოსა.

ეს ამბავი 18... წელს მოხდა. შარლმა ის-ის იყო მემკვიდრეობით სამი ათასი ფრანკი რენტა და ათწლიანი დაძაბული შრომის შემდეგ – სამართლის ლიცენციატის ხარისხი მიიღო. შემდეგ ერთწლიანი ნებაყოფლობითი სამხედრო სამსახური გაიარა და დაქორწინება გადაწყვიტა. არჩევანი თავის ბიძაშვილზე ეფენი დიურანზე შეაჩერა, ვისაც, ჩვენს ექსტრავაგანტობისა და თავანწყვეტილი ინდივიდუალობის ეპოქაში, ერთი უდაო ღირსება მაინც გააჩნდა: სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ეფენიმ ორი შეილი აღზარდა ანუ მათზე ზრუნვა ჩვენი ლიცეუმებისა და კოლეჯების საუკეთესო მასწავლებლებს მიანდო, რაც ძალიან გონიერი ნაბიჯი იყო, თავად კი, ზედმეტი ცერემონიების გარეშე, თავის პატარა სახლში, ქმრის მეგობრებს უმასპინძლებოდა. სწორედ ამ უმფოთველი სიმშვიდის ატმოსფეროში, დიურანის სიკვდილამდე ერთხელაც რომ არ დარღვეულა, შეიქმნა სახელგანთქმული „კამპილაციითა კამპილაციების“ შვიდი ტომი.

„კამპილაციებს“ ბრალს დებდნენ:

ეგ, ბატონო, მხოლოდ კამპილაციები და მეტი არაფერიო. კი, ბატონო! რათქმა უნდა, კამპილაციებია! მერე რა? განა შარლი ამას მალავდა? არა და არა! პირიქით გენიოსის თავმდაბლობით, ის ამაცობდა კიდეც ამით და შესანიშნავად ესმოდა, რომ მომნაწი ცოდვილი უკვე სანახევროდ შენდობილია. და განა მან – ო, ამ დიდმა ავტორმა! – არ დაწერა: სადაც ფორმა არ არის, შინაარსი არაფერიაო! ფორმა კი დიურანს ჭეშმარიტად მშვენიერი ჰქონდა; მშვენიერი იმით, რომ საერთოდ არ არსებობდა ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავის არსებობას გვაკინწყებდა და ხელოვნების მწვერულიც სწორედ ეს იყო! და რა შორსაა ის დრო, როცა ვინმე უსახელო ადვოკატი ორთოგრაფიული შეცდომებისათვის ლანძლავდა! ახლა მთელი საფრანგეთი ხარბად კითხულობს შარლის ნაწარმოებების ნაწყვეტებს, გაზეთებში რომ ქვეყნდება და თუ მის პროზაში აქა-იქ რაღაც შეცდომები გაიპარება ხოლმე (რას იზამ, არც ბალზაკია უცოდველი), ამისთვის კორექტორები არსებობენ – კეთილი ინებონ და გაასწორონ.

შარლი ორმოცი წლისა იყო, როცა დაასრულა თავისი „კამპილაციითა კამპილაციები“, ნაწარმოები, რომელიც სასიამოვნო და ჭკუისასანავლებელი ნაშრომი გახდა და საიდანაც საზოგადოება უმალლესი მორალის ჩამოყალიბებულ ფორმულებს იწოდდა.

**ამაღლებული ისე იშვიათად გვხვდება!**

ო, დიახ, შარლ! უკიდურესად იშვიათად გვხვდება! ოღონდ არა შენს ცხოვრებაში, რომელიც მოვალეობას მოკრძალებითა და ჭეშმარიტად მსახურებოდა და საკუთარი სარგებე-

ლი არასოდეს ახსოვდა. მას ხომ ყოველ ცისმარე დღეს ახალი მსხვერპლი აესებდა. და რა კარგად გესმოდა ეს თავად, თუკი ასეთი მშვენიერი სიტყვები დანერგე, შენი დიადი სულის სიღრმეებს რომ გვიხსნიდა:

**შეუმჩნეველი გმირებიც არსებობენ!**

დიახ, არსებობენ, ო, დიდო ადამიანო და შენც მათ რიგში აღმოჩნდებოდი, ნარმატების ათინათს შენი ცხოვრება რომ არ გაესხივოსნებინა. დიახ, არსებობენ ეს ყველამ იცის, მაგრამ ჯერ არავის გამოუთქვამს ასეთი რბილი და შეუნუხებელი მანერით მხოლოდ შენ რომ გახასიათებდა.

**სათნოება განსხვავდება მანკიერებისაგან!**

ო, დიახ, განსხვავდება და ეს კაცობრიობას შენ უთხარი, შარლ, უთხარი ახლა, რამეთუ დადგა ყაში ეს ჭეშმარიტება გეცნობებინა მსოფლიოსათვის, სადაც ყველა ცნება ერთმანეთში აირია და სადაც ტაშს მანკიერებას უფრო უკრავენ, ვიდრე სათნოებას.

**სიყვარული ვნებაა, რომელიც ახალგაზრდებს ყოველგვარი სისულელისკენ უბიძგებს!**

სწორედ სისულელისკენ! რა შთამბეჭდავად სხარტი წინადადებაა! სწორედ ასეთი მამობრივი და ამასთანავე სერიოზული ტონი შეეფერება გენიალურ გონებას!

და მაინც, რა გვინდა ამითი ვთქვათ? ის, რომ შარლ დიურანი პირქუში მორალისტი იყო? რომ მკაცრი მოსამართლე გახლდათ? არა და არა! შარლი, უპირველეს ყოვლისა მამა იყო, რასაც წამითაც არ ივინყებდა, მისი მკითხველები მისივე მეგობრები იყვნენ, სტილი კი სინაზით სავსე, ვითარცა სახარება, რომელიც უცილობ-

ლად გაგახსენდებოდა, როგორც ვინაი ნათელ და თანაც მარტივი, გაუპრანჭავი ფორმით გადმოცემულ აზრს ნაიკითხავდე:

**სიყვარული ვნებაა!**

ო, როგორ იტანჯებოდა! როგორ უყვარდა! გამანადგურებელი შინაგანი ბრძოლა, აი, მისი სიმშვიდის ფასი! (იხ. ჩვენი შრომები „შარლ დიურანი და ქალები“, ტ. 1, „შარლ დიურანის ბიძაშვილები“, ტ. 11, „მესამე რესპუბლიკის ხანის იდილია: შარლ დიურანის შინამოსამსახურე“.)

ადგილის უკმარისობა გვაიძულებს აზრი მოკლედ ჩამოვყალიბოთ, თუმცა „კამპილაციების“ ზნეობრივი ასპექტი უფრო სრულ განხილვას იმსახურებს. რათა დავასრულოთ ჩვენი ძალაუნებურად ზედაპირული განხილვა აღვნიშნავთ, რომ ყველა დიდი გონების მსგავსად, ვერც შარლმა გაუძლო პოლიტიკური კარიერის ცდუნებას. იგი არაერთგზის აირჩიეს იმ დეპარტამენტის საბჭოს წევრად, სადაც მშობლების მემკვიდრეობა მიიღო, შემდეგ კი, გარემოების ძალით, დეპუტატად, სენატორად, მინისტრად და ინტრიგების მოყვარული რომ ყოფილიყო – რაც მუდამ აკლდა ამ კრისტალურად წმინდა ადამიანს – უდაოდ რესპუბლიკის პრეზიდენტიც გახდებოდა.

იმ ეპოქაში, როცა შარლი პოლიტიკურ სარბიელზე პირველ ნაბიჯებს ადგამდა, მიღებული იყო ამომრჩეველებისთვის თავი კანდიდატ-სოციალისტად წარედგინა, რათა უმრავლესობის მხარდაჭერა მოეპოვებინა და შარლიც – ქონებისა და რენტის მფლობელი – დანარჩენებივით მოიქცა. მაგრამ, განა ვინმე იფიქრებდა, რომ ამ მინათმფლობელმა სოციალისტი პირადი სარგებლობის გამო და-

ირქვა? ჩვენს მიერ ციტირებული გამოთქმები ხომ სწორედ მის იშვიათ უანგარობაზე მეტყველებდნენ. ამასვე ადასტურებს მისი მრავალრიცხოვანი და არაჩვეულებრივად სიტყვაუბვი გამოსვლები. მის სიტყვებს ხანდახან ზედმეტად ნეიტრალურად და უმნიშვნელოდ მიიჩნევდნენ. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ცუდად ერკვეოდნენ. შარლს შეგუების მშვენიერი ნიჭი ჰქონდა. დეპუტატთა პალატაში, ცნობილი მოაზროვნე, დიდი მწერალი ადგილს უზადო ტაქტის მქონე ადამიანს უთმობდა და ამ ადამიანს შეეძლო არავინ გაელიზიანებინა და გაენანყენებინა. ო, როგორ არ გავდა იმ მებრძოლ ხარებს, მხოლოდ საკუთარი პარტიების ინტერესები რომ ამოძრავებდათ! საფრანგეთის დიდება – მხოლოდ ეს იყო შარლის სადარდებელი. ოჯახშიც, საპარლამენტო ტრიბუნაზეც და თავის სამუშაო კაბინეტშიც ერთნაირად მოკრძალებული გახლდათ; მშვიდობიანოყვარეც იყო. „არადა, არსებითად რა გააკეთა ან პალატაში ან სენატში?“ – კითხულობდნენ მისი მტრები. „სიტყვით გამოდიოდა“, – პასუხობდნენ თავყვანისმცემელნი ამ კაშკაშა, დაუშრეტელი მჭევრმეტყველებისა, ამ ძლიერი, ყოვლისშემძლე მომხიბვლელობისა, რომელიც მას, როგორც არავის ისე ახასიათებდა. „ეს სიტყვები მას არ ეკუთვნის, ისინი დაწერა...“ ო, უკვე ვხვდები, ვინც დაწერდა... უკვე მესმის სიძულვილით აღსავსე ხმები... დიახ, ვცნობ ამ გაბოროტებულ ხმებს, ლაფს რომ ასხამდნენ ყოველივე დიადს, ყოველივე ღირსეულს, საფრანგეთის ჭეშმარიტ ძალას რომ წარმოადგენს. საბრალო შარლ! შენ შეიცან ადამიანთა სიბოროტე! შეიცან შური! შეიცან ცილისნამება და დაუმსახურებელი შეუ-

რაცხყოფა! მაგრამ მშვენიერად და საფლავში! თავყვანისმცემლებიც გყავს და შენი თავყვანისმცემლები მალალინტელექტუალური ადამიანები არიან.

იმასაც ამბობენ, რომ შენი მინისტრობის პერიოდში დეპუტატთა შეკითხვებს შენს ნაცვლად სამინისტროს ჩინოვნიკები პასუხობდნენ. მაგრამ ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ სხვაგვარადაც ხდება? არა მგონია, რადგან სხვა შემთხვევაში პარლამენტის ზნეობაზე წარმოადგენა არა მაქვსო, უნდა გამოტყდეს. დიურანმა კო, ეს, რა თქმა უნდა, საფუძვლიანად იცოდა. და თუნდაც... თუნდაც... გაერთამამდები და განაცხადებ: თუნდაც არც ერთი სიტყვა მისი დაწერილი არ იყოს! თუნდაც „კამპილაციითა კამპილაციები“ მხოლოდ კამპილაციები იყოს! თუნდაც მისი პოლიტიკური, ისევე როგორც ადმინისტრაციული როლი ნოლს უტოლდებოდეს! ნუთუ ამან, გეკითხებით მე თქვენ, შეიძლება ხელი შეუშალოს იმას, რომ შარლ დიურანი ჩვენს მოგონებებში დარჩეს დიდ შარლად, დიდ დიურანად, დიდ მოქალაქედ, დიდ შარლ დიურანად!

შარლ დიურანი სამოცდახუთი წლისა ვარდაიცვალა და დაობლებულმა ოჯახმა დაიტირა. მთელი საფრანგეთი ღრმა სევდამ მოიცვა. უბედურ ქვრივს დასამშვიდებლად მთავრობამ სახელმწიფო პენსია დაუნიშნა. შვილებმა და შვილიშვილებმა საპატიო თანამდებობები მიიღეს. მისი ნაწარმოებები სახელმწიფო ხარჯზე გამოიცა. დიურანის ბიუსტები მის მშობლიურ ქალაქში და ლონშანის დიპლომატიური ინსტიტუტის მოსაყდელ დარბაზში დაიდგა. მისმა პორტრეტებმა რამდენიმე მუზეუმში დაამშვენა. ყოფილ გოჭების მოედანს, პარიზში, შარლ დიურანის სახელა-





მიენიჭა. შარლის ბიოგრაფია, რომელიც მისმა ყოფილმა მდივანმა, ახლა სენატორმა და მთავარი სამმართველოს დირექტორმა დანერა, პიერ კორნელისა და ვოლტერის ბიოგრაფიებთან ერთად, სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიდა.

დიურანის ფილოსოფიურ სისტემაზე წარმოდგენის შექმნა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ზოგიერთები, ზემოთ ჩამოთვლილ აფორიზმებზე დაყრდნობით, ცდილობდნენ იგი თავისებურ სწავლულ-ფსიქიატრად გამოეცხადებინათ. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ მან ასეთი სიტყვაც კი არ იცოდა. დიურანი უბრალო ადამიანი იყო და ეს არ უნდა დაგვაინწყდეს. მეორენი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდნენ, რომ იგი რასპაისა და ბერანსეს შუადარეს და ერთი ნუთითაც არ ჩაფიქრებულან,

რომ რასპაი სწავლული იყო და არა კი პოეტი. ყველაზე ღრმა ინტერპრეტატორები კი შარლ დიურანის ფილოსოფიაში „კეთილმოსურნე შემწყნარებლობას“ ხედავდნენ, რაც, ჩვენის აზრით, ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოა. თუმცა, როგორც თავად ხშირად ამბობდა: „არ ღირს რაიმეს გაზვიადება“. გავიხსენოთ მისი შესანიშნავი გამონათქვამი, უკვე სასიკვდილო სარეცელზე წარმოთქმული: „მე არასდროს და არავინ შემძულებია, გარდა ჩემი უიღბლო კოლეგებისა!“ ასე რომ, ჩვენ სულაც არ ვცდილობთ დიურანის შემოქმედებაში ის პროვინციული ოპტიმიზმი დავინახოთ, რის მიწერასაც ვილაც-ვილაცები ასე ცდილობდნენ ამ მოაზროვნესათვის, ამ გენიალური გონებისათვის კაცობრიობა რომ განადიდდა.

## შარლ-ლუი ფილიპი

### შეხვედრა

კაცმა წინ გაუსწრო და გულუბრყვილოდ გაიფიქრა, საკმარისია ვიტრინასთან შეეჩერდე, მაშინვე გვერდით ამომიდგებაო. ქალმა კი ისე გააგრძელა გზა, წარბიც არ შეუხრია.

მაშინ კაცმა გადაწყვიტა, თავად გამოეხეხაურებო. ქალი კი ძველებურად გაავებული აღმოჩნდა, გაოცება გაითამაშა და ჩაილაპარაკა:

– წარმოგიდგენია! მე კი მითხრეს, მოკვდაო!

ეს სიტყვები კაცს გულზე მოხვდა. ესე იგი, მართლა რომ მომკვდარიყო, მისთვის იოტისოდენადაც არაფერი შეიცვლებოდა.

ქალი ელეგანტურად გამოიყურებოდა. კაცს ვერ გაერკვია მანტო ნავის იყო, კურდღლის თუ კრაველის, მის ჩაცმულობაში ხომ მაინცდამაინც ვერასოდეს ერკვეოდა. თითქმის ინანა კიდეც, რომ მიუახლოვდა, უცებ ისეთ არარაობად იგრძნო თავი ამ ქა-



ლის გვერდით. და მაინც, გახუმრება სცადა.

- ოჰო! ეტყობა საქმე კარგად ნაგვიდა!

- გამოგიტყდები, მშვენიერი გადაწყვეტილება მიიღე, განქორწინება რომ მომთხოვე, - უპასუხა ქალმა. - ჩემთვის ეს სასარგებლო აღმოჩნდა.

ორიოდე წუთი კაცი ბრიყვული იერით მიყვებოდა, ქალის სურვილის წინააღმდეგ მიყვებოდა, თითქოს თავხედი იყო და ქუჩაში უცხო სეუჩნდა. ბოლოს პკითხა:

- მაინც რას აკეთებ?

ქალმა ცალკბად უპასუხა:

- როგორც ხედავ, მივაბიჯებ.

ბასტილის მოედნამდე ასე იარეს. აქ კაცს მარჯვნივ უნდა მოეხვია, რათა სადგურზე მოხედრილიყო. მანაც უნებურად იქით გადადგა ნაბიჯი. ქალმა კი ხელი მარცხნივ გაიშვირა და ჩაილაპარაკა:

- იქით მივდივარ.

განშორებისას თავაზიანად შეჩერდა, თითქოს კარგად აღზრდილი ქალი ვარო, ანიშნებდა. კაცმა არ იცოდა როგორ დამშვიდობებოდა. ხომ შეიძლება შემომიჩნდა და თავიდან ვერ მოვიშორეო, ქვეყანა შეეყარა. ამის საშუალება რომ წაერთმია, იქვე კაფეს შეხედა და შესთავაზა:

- აქ შევიდეთ, თუ ძალიან არ ჩქარობ.

ქალმა გაიცინა, ცოტა ხანს დაფიქრდა და შესძახა:

- სიამოვნებით, რა სასაცილო იქნება!

შევიდნენ, მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ და არაყი შეუკვეთეს. მალე მოართვეს კიდეც.

და უცებ, საქმეში მოულოდნელობა ჩაერია. განსაკუთრებით ქალისთვის აღმოჩნდა ეს მოულოდნელი. კაცის ბაგეს ის ჩვეული სიტყვები მოს-

წყდა, ოდესღაც <sup>ეროვნული</sup> უმეორებდა. ყოველ საღამოს, სამსახურიდან ექვს საათზე დაბრუნებული, ჩვეულებრივ ეკითხებოდა ხოლმე: „აბა, რაო?“, რაც ნიშნავდა: „აბა, რა მოხდა, სანამ მე წასული ვიყავი?“ რვა წელიწადია ერთმანეთი არ ენახათ. და აი, პირი დაალო თუ არა, მაშინვე ეს სიტყვები წარმოთქვა.

- აბა რაო?

არც ერთი სხვა ქალისთვის ეს არ უთქვამს.

ნაცნობი სიტყვების გაგონებისას ქალმა უნებლიედ გაიღიმა და თავი ოდნავ დაიქნია. რაღაც ამდაგვარს ხომ თავადაც განიცდიდა. ადრე სახლიდან გასასვლელად გამზადებულ კაცს ჩვეულებრივ თავიდან ფეხებამდე აათვალთვალ-ჩაათვალთვალებდა ხოლმე და ყველაფერი წესრიგში თუ აქვსო, ამოწმებდა. ღმერთმა იცის, რა აჩაჩული ივლიდა, ქალს რომ თვალი არ ედევნებინა. აი ახლაც, სწრაფად შევლო თვალი და უთხრა:

- როგორც ვხედავ, პალსტუხის შეკვრა ჯერაც ვერ ისწავლე. აბა, ცოტა დაიხარე, შეგისწორებ...

კაცს გაეცინა. რაც მართალია, მართალია პალსტუხი მართლაც ყოველთვის ჰაიპარად ჰქონდა შეკრული. მან თავი დახარა, შემდეგ კი მონდომებით გასწორებული წასკვი სარკეში შეათვალთვალა. ქალმა კი ამ დროს ჩაიცინა და დაამატა.

- რა უცნაურია! თურმე დღემდე არ მსიამოვნებს, აჩაჩულს რომ გხედავ.

უხერხულობა გაიფანტა.

კაცი ისე ყვებოდა რა მოხდა რვა წლის მანძილზე, როგორც ადრე მთელი დღის ამბავს უყვებოდა ხოლმე.

განშორებიდან ერთი წლის შემდეგ ხელახლა დაქორწინდა. ახლა ორი შვილი ყავს, ორი გოგონა. უფროსი ექვსი წლისაა, უმცროსი ხუთის. ისევ იქ



მსახურობს. სენ-მანდემი ცხოვრობს. სწორედ ვენსენის რკინიგზის სადგურისკენ მიიჩქაროდა, მას რომ გადაეყარა. ეს იყო და ეს. არსებითად ყველაფერი უამბო და გაჩუმდა.

არადა, რა საოცარია! რაც უფრო მეტად შესცქეროდა, მით უფრო მზნუნდებოდა, თავის დროზე ხეირიანად არც კი შემიხედავსო. ერთად რომ ცხოვრობდნენ, დარწმუნებული იყო ცისფერი თვალები აქვსო, განქორწინების შემდეგ კი, გაუგებარია რატომ, ეჩვენებოდა, მისი თვალები ღია ნაცრისფერია და ქალის გონიერებაც სწორედ ამითი მოჩანსო. ეს აზრი ახლა ქალსაც გაუზიარა. მან კი გაიცინა და იხუმრა:

- აი, ხომ ხედავ, ჩემი არასოდეს გესმოდა და არც მაფასებდი.

თავის მხრივ ქალსაც ყველაფერი აინტერესებდა და მისი ცხოვრება კარგად რომ შეეცნო, პკითხა:

- როგორია შენი ცოლი?

- აბა, რა გითხრა, ალისა? - მცირე დუმილის შემდეგ ჩაილაპარაკა კაცმა. - ადამიანს მხოლოდ ერთი ნამდვილი ცოლი ჰყავს - პირველი. მეორედ მხოლოდ იმიტომ ქორწინდები, რომ ოჯახი და ბავშვები გყავდეს.

რა სევდიანად წარმოთქვა ეს სიტყვები! რა ბედნიერები იქნებოდნენ, ქალს რომ მოენდომებინა! კაცმა ახლა ამაზე ჩამოაგდო სიტყვა და პირდაპირ განაცხადა:

- ოჰ, ნეტავ არ მოგეტყუებინე!

ის ხომ კარგად იცნობდა ამ ქალს. მათი ერთობლივი ცხოვრების ბოლო ხანებში ხშირად ამჩნევდა, რა ჯოღად სურდა თავისი სიმართლე დაემტკიცებინა. ახლა კი, პოი საოცრებავ, რბილი და მინდობილი ხმა გაიგონა;

- ნუთუ არ გესმის? მე ხომ რაღაც უფრო პატარა ვიყავი. ახალგაზრდობაში კი ყველა სულელები ვართ!

ძალიან თბილად ექცეოდა, სწორედ ისე, როგორც ქორწინების პირველ ხანებში, როცა სიკეთით იყო სავსე და თბილ გრძნობებსაც ასე ეხმიანებოდა.

კაცმა იკითხა:

- როგორ ცხოვრობდი ეს რვა წელიწადი?

- აბა, რა საჭიროა ეს გიამბო? - უპასუხა ქალმა. - ალბათ თავადაც გესმის, როგორ ცხოვრობენ ქმარ-გაყრილი ქალები.

მაშინ კაცმა ჩაიბუტბუტა:

- ისლა მამშვიდებს, ალისა, რომ გაჭირვებულს არ გაეხარ.

ისინი მაგიდასთან, ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, როგორც ორი მეგობარი, ერთად რომ მისცემიან სევდას. ქალმა მოიბოდიშა:

- ნუ გენყინება ასე უცხვირპიროდ რომ შეგხვდი. სიამაყით მომივიდა. ჯობდა, უპასუხოდ დამეტოვებინე. თავადაც ხედავ, შეცდომა დაფუშვით და ახლა ტკივილით გავიხსენებთ ხოლმე წარსულს.

დიდხანს საუბარი არ შეეძლოთ. კედლის საათი უკვე რვის ნახევარს უჩვენებდა. ქალს არ სურდა, კაცი მის გამო უსიამოვნებას გადაეყროდა და უთხრა:

- აღარ შეგაჩერებ, პოლ. შენი ცოლი ალბათ ღელავს.

კაცმაც უპასუხა:

- ო, რა თქმა უნდა! საბრალო, უფრო მეტად აღელდებოდა, ის რომ გაიგოს ამ საღამოს რაზედაც ვფიქრობ!

მათ ერთმანეთს ხელი ისე ჩამოართვეს, როგორც ორმა მეგობარმა, ცხოვრებაში რომ არ გაუმართლათ.

ალფონს ალე

## მზითვი

კვირა დღეა, დაახლოებით ექვსი საათი იქნება.

საინტერესოა, თუ შეგიძინევიათ: როცა პარიზში პაპანაქება დგას, კვირა სალამოს, მიუხედავად იმისა, თუ რას აჩვენებს თერმომეტრი, მაინც კვირის სხვა დღეებზე მეტად ცხელა.

არ შემომჩნევიაო, ამბობთ? არა უშავს, ესე იგი დაკვირვებული კაცი არა ხართ.

ასე რომ, გავაგრძელოთ.

ექვსი საათია. ამ დროს ის პარიზელები, ვისაც ჯიბე კარგი სადილის შეკვეთის საშუალებას არ აძლევს, კაფეთა ტერასებს ესხმიან თავს და დინჯად მიირთმევენ აპერიტივს, ამ უცნაურსა და იდუმალ სასმელს, რომელსაც საზიზღარი გემო აქვს, სამაგიეროდ კუჭზე ნამდვილად დამლუპველად მოქმედებს.

საკმარისია ორიოდე ჭიქა ეს სასმელი გადაყლაპო, შიმშილის გრძნობას დაკარგავ და სადილად შეიძლება ნახევარი ულუფითაც დაკმაყოფილდე. ჩვენს გაფხეკილ დროში კი ნამდვილად ღირს ეკონომიის ამ მეთოდზე დაფიქრება.

ბულვარის ერთ-ერთ კაფეს ტერასაზე ვიჯექი, წინ კი ამღვრეული სითხით სავსე ჭიქა შედგა, უდაოდ „ბორჯია და კო“-ს გამოშვებულს რომ გავადა.

მეზობელ მაგიდას ორნი მიუსხდნენ, მამაკაცი და ქალბატონი. მამაკაცი ამკარად ქალბატონის მეუღლე

გახლდათ. ქალმა ვერმუტ-კასისი შეუკვეთა, მამაკაცმა კი აბსენტ-ანისი.

ქალმა ისეთი ტონით მოითხოვა თავისი ვერმუტ-კასისი, რასაც გინდა რომ მოითხოვდა. მამაკაცმა კი თავისი აბსენტ-ანისი ხელჩაქნული, დალილი ტონით შეუკვეთა.

„მომეცით აბსენტი, – თითქოს ამბობდა იგი. – ო, არა, არა, დათრობა კი არ მინდა, ცოტა ხნით თავდავინყება მსურს, მხოლოდ მცირე ხნით, თუნდაც მეოთხედი საათით მაინც მინდა დავაღწიო თავი სამართებლების ამ საშინელ ფაბრიკას, ცხოვრება რომ ქვია!“

აბსენტის მოყვარული ოცდაათიოდე წლის, წარმოსადეგი მამაკაცი გახლდათ, უბრალოდ, მაგრამ კობტად ეცვა, ცოცხალი, ჭკვიანი სახე ჰქონდა, მაგრამ საბრალო, ისე მონყენილი იყო!

მე კარგად აღზრდილი ადამიანი გახლავართ და თავს არასოდეს მივცემ უფლებას, ქალს მახინჯი ან თუნდაც არც თუ ისე მომხიბლველი ვუნოდო. ამიტომ ერთადერთი შენიშვნით შემოვიფარგლები. ბატონი აბსენტის მოყვარულის ქალბატონი უბრალოდ ამაზრზენი არსება გახლდათ. ფიზიკურ სიმახინჯეს ზედ სახის უაზროდ თავხედური და უსიამო გამომეტყველება ერთოვდა, ყველაფერი ერთად კი გაპრანჭული და უგემოვნო ტანსაცმლით შემოსილიყო, რაც მის პატრონს ყველა პუნქტით მინასთან ასწორებდა.

ო, რა კარგად მესმოდა ამ საცოდავი კაცის სასონარკვეთილება! მის

ადგილას რომ ვყოფილიყავი და ცხოვრების ასეთი თანამგზავრი შემხედროდა, აბსენტს ჭიქებით კი არა, კასრებით, ზღვებით, ოკეანეებით შევსვამდი!

მათი საუბარი ნანყვეტ-ნანყვეტ მესმოდა, მაგრამ ცოლის აგრესიულ-მა და ქმრის დაღლილმა გამომეტყველებამ მიმახვედრა, რომ საქმე ცოლ-ქმრულ იდილიასთან არ მქონდა.

უცებ მამაკაცს სახე შეეცვალა და ისეთი გამომეტყველება გაუჩნდა, თითქოს კისრამდე ვარ სავსე ამ საოჯახო პურობითო, ფიქრობდა.

დარჩენილი სასმელი ერთი ყლუპით გამოცალა (ნახევარი მანამდე ჭონდა შესმული), ხელები ერთმანეთს გადააჭდო და ცოლს პირდაპირ თვალებში შეხედა:

- ჯანდაბისკენ ხომ არ გაისეირნებდი? (ეს ჯანდაბა ზრდილობის გამო მე ვახსენე, თორემ მამაკაცმა სულ სხვა სიტყვა იხმარა).

ამ მოულოდნელი თავდასხმით მახინჯი ქალი ცოტა არ იყოს დაიბნა.

- დიახ, დიახ, - გაიმეორა მამაკაცმა. - ისევე მხერხავ არა? უკვე კისრამდე ვარ შენი საყვედურებითა და გადაკრული სიტყვებით!

- გადაკრული სიტყვებით?  
- დიახ, სწორედ გადაკრული სიტყვებით! თუ არ ვცდები, შენი მზითვი გქონდა მხედველობაში არა?

- კი, მაგრამ, მეგობარო...

- მზითვი, მზითვი! მოდი, შენს მზითვზე ვილაპარაკოთ. მშვენიერი მზითვი კი მოგყვია! იცი, რამდენი მოგცეს?

- ასი ათასი ფრანკი.

- დიახ, ასი ათასი ფრანკი! იცი კი, რა შემოსავალი მოაქვს შენს ასი

ათასს, შენს ყბადაღებულ ფრანკს?

- ზუსტად არ ვიცი...

- არ იცი? აი, ახლა გეცოდინება.

შენს ყბადაღებულ ასი ათას ფრანკს სამი ათასი ფრანკი რენტა მოაქვს, თუ ხარჯებს არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა.

- კი მაგრამ, მეგობარო...

- იცი, სამი ათასი ფრანკის რენტა დღეში რამდენი გამოვია?

- კი მაგრამ, მეგობარო...

- მხოლოდ ცხრა ფრანკი და ორმოცდაათი. გესმის? ცხრა ფრანკი, და ორმოცდაათი სანტიმი!

- კი მაგრამ...

- კარგი, დაეამრგვალოთ რიცხვი და ათი ფრანკი მივიღოთ. დღეში ათი ფრანკი, იცი, საათში რამდენი იქნება?

- კი მაგრამ, მეგობარო...

- დღეში ათი ფრანკი საათში ორმოცი სანტიმი გამოდის. აი, ეს არის შენი მზითვი. საათში რვა სუ! მართალი გითხრა მაინცდამაინც ძვირიც არ გადაგიხდია!

- შეურაცხყოფას მაყენებთ!

- აილე, აი შენი რვა სუ. ერთი საათის მზითვის ფულს ვიხდი სამოც ნუთ თავისუფლებაში. ახლა შეიძის ნახევარია. რვის ნახევრისთვის დავებრუნდები...

- თავხედო!

- და გაფრთხილებ, თუ ბრწყინვალე სადილს არ მომართმევ და ასეთი სიფათით შემომხედავ, სხვაგანაც მოვახერხებ სადილობას. მზითვის ნაწილს, დროის იმ მონაკვეთისათვის, რაც ნასული ვიყავი, რა თქმა უნდა, გადაგიხდი. კარგად ბრძანდებოდე!

მამაკაცმა ორი აპერატივის ფული გადაიხადა და ნაჟიდა, ცოლი კი იჯდა და წინ დაყრილ რვა სუს ჩაშტერებოდა.

თარგმნა მანანა მიქელაძემ

მანა ძიგუა

## მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკური წერილები

მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკის გაცნობისას, რამდენიმე მომენტი განსაკუთრებით იპყრობს დაინტერესებული მკითხველის ყურადღებას: 1. ეროვნულ ინტერესთა საოცრად დიდი დიაპაზონი, სადაც არ არსებობს დიდი და პატარა პრობლემა; 2. ილიასეული „მოყვარეს პირში უძრახე“-ს პრინციპით გაანალიზებული ქართული სატიკვარი და ბოლოს, ბიბლიური წინასწარმეტყველურობით გაცხადებული დიდი მამულიშვილის სიტყვები:

„სხვის პატრონობას შეჩვეულნი ეხლაც ჩრდილოეთიდან მოველით შველას. ვერ შევითვისეთ ის ცხადი სინამდვილე, რომ „პატრონი“ აღარა გვყავს, რომ ჩრდილოეთიდან ნაცვლად დახმარებისა და წესრიგისა, აუცილებლად გვენვევა ღვთის რისხვარეაქცია და ანარქია...

...საითაც ქვეყანა ტრიალებს, ჩვენც იქით უნდა ვიბრუნოთ პირი, ხოლო იგი უძლეველის ძალით მიექანება დასავლეთისაკენ. მისი გზა მოსკოვსა და პეტროგრადზე კი აღარ მიდის, არამედ შავ ზღვასა სჭრის და დუნაის ხეობაზე გადადის. გვეყო მოსკოვ-პეტროგრადში გაცხრილული ევროპიულ კულტურით კვება, რომელსაც უფრო მეტი მონღოლური შხამი ურევია, ვიდრე დასავლეთის წმინდა სასმელი“ (1.570).

საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ერთი უმთავრესი თემაა მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკისა. აქედან, ბუნებრივია, უპირველესად რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი იკვეთება, რადგან სწორედ ეს ქვეყანა წარმოადგენდა ჯერ კიდევ ქართველ მეფეთათვის „მფარველი კეთილი მეზობლის ხატს“ და მიუხედავად ასობით მწარე გაკვეთილისა, ჩვენში ამ ხატის შარავანდედი დღესაც არ გაფერმკრთალებულა.

თურმე, როდესაც საქართველოში რუსეთის შემოსვლის საკითხი იხილებოდა, დავით ჩერქეზიშვილს უკითხავს მეფისათვის: „პატრონო მეფე და კარისკაცნო დარბაისელნო: რომ აღებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთ თვისსა დროსა დახშვასა მისს?“ – გიორგის უპასუხია: „დახშვა კარისა ამის იქნება დახშვა ქრისტიანობისა კარისა, ამისათვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაცა ვესავთ, იქმნება თვით მცველად კარისა, რომელსაცა თვით ჯვარცმული მასზე დახშავს და განალებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩენს საჭიროდ“ (2.152), ანუ „ქართველი ხალხი კი არ დაკეტავს დარიალის კარს, როცა ეს აუცილებელი გახდება, არამედ – უზენაესი. ამას ღვთის ანაბარად დარჩენა პქვია“-ო (3.6), ასეთ შეფასე-



ბას აძლევს მეფის პასუხს აკაკი ბაქრაძე. ძნელია არ დაეთანხმო! თუმცა... ამ „თუმცას“ კი ილიას გზა ჰქვია, იმ ილიასი, ანდერძად რომ დაუდო თავის ერს:

„გული იმოდენად კიდე შეგვრჩენია, იმოდენად კიდე გვერჩის, რომ ჩვენს ვინაობას ვუპატრონოთ და ქართველობის სახელი საღანძღავსათრეველად არ დაეანებოთ არავის“ (4.721).

„უბელადო ჯარი იშვიათად იმარჯვებს, ან გამარჯვება იგვიანებს. მაგრამ ისტორია ზოგჯერ დროზე მიაშველებს ხოლმე მედროშეს“ (5.318) – ნერდა მიხეილ ჯავახიშვილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთი უპირველესი მათ შორის, ვინც ილიას შემდეგ ერის პატრონობის უმძიმესი მისია იტვირთა, სწორედ მიხეილ ჯავახიშვილი იყო. განგებამ იწინააღმდეგა, რომ ილიას, საგურამოში მის დღეობაზე მისულ წინამძღვრთან კარის მოსწავლეებიდან სწორედ ყმანელი მიხეილ გამოერჩია და მისთვის ასპარეზი დაელოცა.

აღბათ, განგების ნება იყო ისიც, რომ წლების შემდეგ, ილიას ეზოში, კაკლის ხის ძირში, მოხუცი მწერლის წმინდა სისხლით მოთხერილ ბალიშზე სწორედ მიხეილ ჯავახიშვილმა დადო თავი.

„არასოდეს დამავინყდება ის ღამე, – იგონებს მიხეილი, – სხვებმა დამასწარეს და ლოგინები დაირიგეს. დარჩა მხოლოდ ერთი ბალიში, ილიას სისხლით მოთხერილი ბალიში, რომელიც მოკვლის დროს ზურგის უკან ედო. ბერი ყოყმანის შემდეგ ძლივს გაგებდე: ეს ბალიში კაკლის ქვეშ, წყაროსთან დავდე, სადაც მრავალი დაუვინყარი საათი მქონდა გატარებული, ზედ ცხვირსახოცი დავაფარე და ფსიქურად დატანჯულმა და ფიზიკურად დაქანცულმა მამლის ყვილისას ძლივს ჩავიძინე.“ (6.121)

„ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ

აუთრთოლდება კალამი ხელში ჩიხაძის დესაც დანერს:

„კალამი მითრთის... ენა მებმის... აზრი მერევა. ტყვიით განგმირეს მცოვანი გული მცოვანის პოეტისა და გვამი მისი დააგდეს მტვრიან შარა გზაზე.“

განგმირეს ის გული, რომელიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ჩვენთვის თრთოდა და ჩვენთვის ფეთქავდა.“ (7.428)

მაგრამ, ასეთი მძიმე სულიერი დაძაბულობის დროსაც ემოციები ვერ თრგუნავენ საღ გონებას და ილიას მკვლელობაზე დანერვილ პირველსავე წერილში ისმება კითხვა: „ვის ან რად უნდოდა მისი დაღლილ-დაქანცული სული და ჯანგამოლეული სხეული?“ (7.428), იქვეა პასუხიც: „ცხადია, მხოლოდ ის, რომ პოეტის მკვლევები დაიბადნენ დღევანდელ ცხოვრების უფსკრულში.“ (7.428)

პირველ წერილს მეორე მოსდევს, სადაც მიხეილ ჯავახიშვილი ყოველგვარი შეფარვისა და ალეგორიების გარეშე, ილიას მკვლევებად სოციალ-დემოკრატებს აცხადებს:

„სოც.-დემ. ბელადებმა, აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა ისეთი ფსიქიური ატმოსფერო შექმნეს ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომ ერთი ნაწილი სოც.-დემოკრატიისა ხმამალა და გულწრფელად თანაუგრძობდა ილიას მოკვლას, მეორე ნაწილი გულგრილად დაუხვდა მას და მხოლოდ უმცირესობა – სულ რამდენიმე კაცი ალაშფოთა ამ საზიზღრობამ. ჩვენ ვეცდებით დავამტკიცოთ, თუ დღემდის არ არის დამტკიცებული, რომ სოციალ-დემოკრატიის უმრავლესობას („შეგნებულსაც“ და „შეუგნებულსაც“) ილია ჭავჭავაძის მოკვლა სარევოლუციო აქტად მიაჩნდათ. აი ეს არის ჩვენი ბრალდება.“ (8.432)

თუმცა, ეს არ იყო ერთადერთი

ბრალდება, რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილი სოციალ-დემოკრატიას უყენებდა. თავის წერილებში მწერალი არაერთხელ ააშკარავებს ბოლშევიკური იდეოლოგიის ანტიეროვნულ არსს. ამავე დროს, ეს არის თანმიმდევრული ბრძოლა რუსეთის კლანჭებიდან თავისდაღწევისა. „გზა ხსნი-სა“ პირველად რეალურად 1905 წელს გამოჩნდა, როდესაც მძლავრად შეიწყა იმპერიის ტახტი. მიხეილის წერილ-მაც არ დააყოვნა:

„ჩვენი ისტორია, რომელიც 104 შავ ფურცელზეა დაწერილი, წრეულს უნდა გათავდეს. მე-105 ფურცელი თოვლივით თეთრ ფურცელზე უნდა დაიწეროს და ობლის ცრემლივით წმინდა, მთის ნიაღვარსავით მღელვარე ამბავით უნდა დაიწყოს“ (9.49) – დაწერს ამავე წელს მიხეილ ჯავახიშვილი. რომლისთვისაც საქართველოს „შავი ისტორიის“ ათვლა 1801 წლიდან იწყება და 104 „შავ წელს“ ითვლის (1801+104=1905).

„ხალხს თავისთავად და ნებაყოფლობით არასოდეს არ ეძლევა ესა თუ ის უფლება, იგი ყოველთვის მოპოვებულია ძალით“ (10.203) – მტკიცედ სწამს მიხეილ ჯავახიშვილს. ...და იწყება თავდაუზოგავი ბრძოლა, რომელიც, პირველ რიგში, ქართული ცნობიერების დაშლის წინააღმდეგაა მიმართული:

„ასი წლის განმავლობაში ჩვენს თავადაზნაურობას ოთხნაირი უფლება ჰქონდა: უფლება „ჩინ-მენდლების“ მიღებისა, უფლება მამულების დაგორაეებისა, გაკოტრებისა და მთელი უფლების მითვისებისა!

ასი წლის განმავლობაში ჩვენი თავადაზნაურობა ამ უფლებებით მართლაც რომ გულუხვად სარგებლობდა: მსახურობდა სამაგალითოდ, მსახურობდა ისე, როგორც ნამდვილი მოხელე ბიუროკრატი და ერთგული

მამულიშვილი. გამორჩეული ედგა, „ნაპრაყო და ნალევოს“ სწავლობდა და წამდაუნუმ საქირო იყო თუ არა, მოკრძალებითა და მორჩილებით ყვიროდა:

„Слушаюся ваше б-дие!

„მორჩილება“ და „მუხლის მოყრა“, – აი, რა ეწერა მათ დროშას, რომელიც მათ სამშობლოს მხსნელად მიაჩნდათ, ხოლო ჩვენ სუდარად გვეჩვენებოდა...“ (9.47)

თავადაზნაურობას არც სოციალ-დემოკრატები ჩამორჩნენ და ერთი სახის მონობა უკვე პარტიულ ნიღაბფარებული მონობით შეიცვალა.

„ქართველებს ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი ერთგულება. დღემდის თავადაზნაურობა სულ იმის ცდაში იყო, რომ რუსეთის მთავრობისათვის როგორმე დაემტკიცებინა თავისი უქვეშევრდომილესი ერთგულება, ასევე იქცევიან ჩვენებური სოც. დემოკრატებიც, რომელნიც მხოლოდ იმიტომ არ თხოულობენ თვითმმართველობას, რომ ეშინიათ, ვაითუ რუსეთის „ამხანაგებმა“ პროლეტარიატის ლალატი დაგვწამონო; ეშინიათ და ეფიცებიან რუსეთის სოც. დემოკრატისა, რომ ისინი ერთგული „ამხანაგები“ არიან და ლალატი ფიქრადაც არ მოსვლიათ. მაგრამ როდემდის?...“ (11.395) – კითხულობს გულდამწვარი მამულიშვილი და ცდილობს გააგებინოს „გზააბნეულთ“, რომ ამ ქვეყნად არ არსებობს ეროვნულ ინტერესზე უმაღლესი რამ და არ შეიძლება იგი კერძო, პარტიულ ინტერესებს შეეწიროს. იმიტომაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ქართველთა მიერ წარგზავნილ სოციალ-დემოკრატებს მოუწოდებს, დაიცვან ერის ინტერესები და არ უნდა დაიჯეროს, რომ „იქ, სადაც აშკარა იქნება, რომ რომელიმე მეზობელ ერის ბურჟუაზია სხვადასხვა საშუალებით ეცდება ქართველ-



ბის ეროვნულად დაჩაგვრას, ქართველთა სახელით სათათბიროში წასული სოციალ-დემოკრატები გაჩუმდებიან და ქართველებს დაჩაგვრისაგან არ დაიცავენ? ნუთუ იქ, სადაც სკოლებში გამარუსებულ პოლიტიკის მოსპობაზე და ნამდვილ ეროვნულ სკოლის შემოღებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ქართველი სოციალ-დემოკრატები ამ წინადადებას მხარს არ დაუჭერენ და გაჩუმდებიან? ან როცა კავკასიაში შუაგულ რუსეთიდან ხალხის გადმოსახლებას დაიწყებენ და ისედაც უმინაწყლობით შენუხებულ ქართველ გლეხობას ამ მხრივ უფრო შეავიწროვებენ, იტყვიან, ჩვენთვის სულ ერთია, ვინ იქნება კავკასიაში მინის მფლობელიო... ან როცა მეზობელ ერთაგან ქართველების დაჩაგვრის სურვილი აშკარა შეიქმნება და ეს დაჩაგვრა ხელს შეუშლის ქართველთა კეთილდღეობას, ქართველების წარმომადგენლები პარტიულ ტაქტიკის გულისათვის თვალს აარიდებენ ამ უბედურებას?" (11.230)

წერილში არაერთხელ გაცხადებული „ნუთუ?“ არც ისეთი უბრყვილოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. იგი საესეა სექსისით, უნდობლობით. თითქოს, მწერალი წინასწარ გრძნობს, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნულ საკითხში პილატესავით ხელს დაიბანენ და ვაითუ, „უფროსმა მამ“ ლალატში ბრალი არ დაგვდოსო, გაჩუმებას არჩევენ.

საუბედუროდ, მიხეილ ჯავახიშვილის წინათგრძნობა გამართლდა. რუსეთის სათათბიროში წარგზავნილ ჩაგრულ ერთა დეპუტაციათაგან მხოლოდ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა არ დაუჭირეს მხარი ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას, რაც ეროვნებათა შორის შუღლის გამწვავების საშიშროებით ახსნეს. ამას მეო-

რე, არანაკლებ „ჭკვიანურ“ არგუმენტსაც უმატებდნენ, აი ასეთს:

„ისინი, ვინც ტერიტორიულ ავტონომიას ითხოვენ, ჩვენი ქვეყნის ბედს კულტუროსან რუსეთს აშორებენ და ველურ აზიას უკავშირებენ. ამიტომ ამ რეაქციონურ მოთხოვნას შეგნებულმა პროლეტარიატმა ყოველი ღონისძიებით უნდა შეებრძოლოს.“ (12.295)

საპასუხოდ იბეჭდება მიხეილ ჯავახიშვილის არაერთი წერილი, სადაც ამგვარი მოსაზრებების აბსურდულობა არგუმენტირებულადაა დასაბუთებული. ორიოდე ამონარიდი ამ წერილებიდან:

„გესმით? „კულტუროსან რუსეთს აშორებენო!“ თურმე რუსეთი კულტუროსანი ქვეყანა ყოფილა და ჩვენ კი უკულტუროსნები, მას უკულტურობას ვაბრალებდით! მაშ თუ მთვარიდან მობრძანებული სტუმარი იმის მომხრეა, რომ ჩვენი ქვეყანა კულტუროსან ქვეყანას დაუკავშიროთ, იმის მომხრეც უნდა იყოს, რომ რუსეთის მაგიერად „კულტუროსან“ ინგლისს მივეკედლოთ... თქვენს ლოლიკას რომ გავყვეთ, ჩვენ იქამდის მივალთ, რომ უნდა გავამართლოთ „კულტუროსან“ გერმანიის მიერ უკულტურო პერერობისა და სხვა ხალხების დაპყრობა, უნდა გავამართლოთ ინგლისი, რომელმაც უკულტურო ბურები დაიმორჩილა, გავამართლოთ კულტუროსანი ევროპა, რომელიც ჩინეთს გაყოფას უპირებს, უნდა გავამართლოთ ევროპიელი კულტურტრეგერები, რომელთაც კულტურა შეაქვეთ ველურ აზიაში“. (12.296).

ან კიდევ:

„ჩვენი“ დეპუტატების აზრით, შეუძლებელია საქართველოს ავტონომია მიენიჭოს, რადგან საქართველოში უმცირესობა დაიჩაგრებაო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა გამოადის



აქედან? ის, რომ „ამხანაგი“ დეპუტატი უმეტესობის – ქართველების ინტერესებს მხსვერპლად სწირავს უმცირესობის ინტერესებს და იმას კი არ ამჩნევენ, რომ ამით ისინი ლალატობენ სოც. დემოკრატიის პრინციპს, რომელსაც სახელად უმრავლესობის დაცვა ჰქვია.“ (12.293).

მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკა მრავალ, ამგვარი სულისკვეთებით დაწერილ წერილს შეიცავს. მათი ავტორი თანმიმდევრულად ააშკარავებს ბოლშევიზმის ანტიეროვნულ არსს და ცდილობს აჩვენოს საზოგადოებას, რომ იგი ისეთივე უხეში დამპყრობი ძალაა, როგორც თვითმპყრობელობა, რომ „ეკონომიკურ მონობის გარდა, არსებობს გონებრივი და სულიერი მონობა“ (13.284):

„ერთი მითხარით, რით განირჩევიან ამ მხრივ ჩვენებური სოც. დემოკრატები თვითმპყრობელობისაგან? გონებრივ ბატონყმობას დაჩვეული სოც. დემოკრატები ამას „პროლეტარიატის დიქტატურას“ უწოდებენ, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, ვინ არის დიქტატორი და თვითმპყრობელი, – დურნოვი და ტრეპოვი თუ სოროში დამალული კომიტეტი და სოციალისტის იარლიკით შეიარაღებული მიტროფანუშეები.“ (14.389)

მთელი თავისი არსებობის მანძილზე საქართველო თავს იცავდა. მომხდური მოდიოდა ხმლით და გვიპყრობდა. ხმლითვე ხდებოდა დაკარგული თავისუფლების მოპოვება.

XIX საუკუნიდან სურათი შეიცვალა. ახალმა აგრესორმა ხმლის პოლიტიკა დაყვავების პოლიტიკით შეცვალა. შედეგად: დანგრეული ქართული ცნობიერება, ზნეობის დეგრადაცია, ნაგლეჯილი ქართული ტერიტორიები, მოშლელი საზღვრები.

მოყვარედ მოსული მტრის საშიშროებაზე საუკუნეების წინ აფრთხი-

ლებდა თავის სამშობლოში ურთი სულგანათლებული მამულიშვილი:

„შემომეყარა ყივჩაღი  
საზღვარსა მუხრანისასა,  
პური მთხოვა და ვაჭმიე,  
ვურჩევედი თავთუხისასა.  
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,  
ვურჩევედი ხოხობისასა.  
ღვინო მთხოვა და ვასმიე,  
ვურჩევედი ბადაგისასა.  
ცოლი მთხოვა და ვერ მივეცი,  
მიმყავდა სიდედრისასა,  
ან კი ცოლს როგორ მიეცემდი,  
შვილსა გაზრდილსა  
სხვისასა.“(14.77)

ეს სიტყვები რომ ყურად ელო ქართველობას, ალბათ, დღეს არც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა ექნებოდა და არც სამცხე-ჯავახეთისა. როგორც ჩანს, ჩვენი გონიერი წინაპრის მიერ ლექსად გამოთქმული ბრძნული შეგონება ქართველთათვის მხოლოდ ფოლკლორულ ნიმუშად დარჩა.

იგივე ბედი ეწია მიხეილ ჯავახიშვილის წერილებსაც, სადაც ავტორი განგაშს ტყებს საქართველოს შემოსეულ ათასი ჯურის მომხდურის გამო და ახსენებს უკვე დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოს მთავრობას, რომ „სახელმწიფოსთვის და ერისთვის არ არსებობს უმაღლესი და უდიდესი კანონი, თვინიერ თვისი ფიზიკური არსებობის დაცვისა“ (16.574), რაც, პირველ რიგში, საზღვრების დაცვასა და გამაგრებას გულისხმობს. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ დიდი მამულიშვილის – მიხეილ ჯავახიშვილის მიერ საოცარი გულთამხილაობით გაცხადებული სიტყვები:

„გადახედეთ საქართველოს რუკას. მისი ეკონომიკური, ტოპოგრაფიული, სტრატეგიული და ისტორიული საზღვრები ერთი და იგივე არიან. ბევრი



სახელმწიფო ინატერის ასეთს მთლიანობას და მკაფიოდ გამოჭრილ-გამოკვეთილ ჩარჩოს. უდიდესი ბოროტება იქმნება წინაშე ჩვენის ერისა და მისი მომავლისა ამ ბუნებრივ ჩარჩოს ღარღვევა და მხოლოდ იმიტომ, რომ მის ამა თუ იმ მცირე კუთხეში ქართველი უმცირესობას შეადგენს. ამ მთლიან ჩარჩო-საზღვრების შესაქმნელად ჩვენს წინაპრებს ზღვა სისხლი დაუღვრიათ და მრავალი თაობა მისთვის შეუღვეიათ. და თუ ეხლანდელ თაობას არ დაჰკარგვია იდუმალი აღლო თავის დაცვისა და შეგნება უდიდესი ვალდებულებისა წინაშე მომავლისა, იგი ნებაყოფლობით ვერ გადაუხვევს ათასი წლობით გაკაფულ გზას, ვერ მოკლავს საკუთარის ხელით თავის თავს და ვერ დაიდებს ისეთს საზღვრებს, რომელთა დაცვას უნდა შეალიოს თავისი ძალღონე და რომელიც ალაყაფის კარებებს გაუხსნიან ყველას, ვინც კი მოისურვებს ჩვენს მამულში შემოსვლას. ხოლო ყველამ იცის, რომ მოსურნე ჩვენს სახლში შემოსვლისა ათასია. ყველას

უნდა ხრიოკი მთებიდან მდიდარ ბაღში ჩამოსვლა. ეს უბრალო სურვილი კი არ არის, არამედ უძლეველი კანონია მიმზიდველობისა, რომლის გაქარწყლება და შეჩერება შეიძლება მხოლოდ მეორე კანონით: უხეში ძალითა და იარაღით.

მუდმივი ბრძოლა ამ ორ კანონთა შორის, სარწმუნოებრივ ბრძოლას რომ თავი დავანებოთ, – განმარტავს საქართველოს ისტორიას." (16.574)

„ისტორია მასწავლებელია ცხოვრებისა“-ო – უთქვამთ ძველ რომაელებს და ამით საკუთარ შეცდომათა გამოსწორების იმედს გამოთქვამდნენ. ჩვენც ამ იმედით ვამთავრებთ წერილს, ხოლო საქართველოს ხელისუფალი კი ისევ და ისევ დიდი მიხილ ჯავახიშვილის სიტყვებს შევახსენებთ:

„ისევ წერილმანი ჯგუფური შეხლა-შემოხლა, ისევ პირადული მტრობა და ანგარიშები? და ეს დღეს, როდესაც ყოველივე ახლად იბადება, როდესაც შესაძლოა ყოველივეს აღდგენა, მოპოება, ან დაკარგვა, დასამარება?“ (17.541).

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მ. ჯავახიშვილი, „წერილები“. თბ. 2001 წ. „ჩვენი დამფუძნებელი კრებისათვის“, 1918 წ.
2. პ. ოსელიანი. „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა“. თბ. 1978 წ.
3. აკ. ბაქრაძე. „ქართული მწერლობა“. ტ. IX. თბ. 1992 წ.
4. ი. ჭავჭავაძე, „თხზულებანი“. „ქვათა ლაღი“. თბ. 1984 წ.
5. მ. ჯავახიშვილი. რწ. თხზ. ექვს ტომად, ტ. VI, თბ. 1964 წ. „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“. 1928 წ.
6. კ. ჯავახიშვილი. „მიხილ ჯავახიშვილი“. თბ. 1987 წ.

7. მ. ჯავახიშვილი, „წერილები“. თბ. 2001 წ. „მოკლეს პოეტი“. 1907 წ.
8. იქვე. „ალარ გაეჭუმდებით?!“. 1907 წ.
9. იქვე. „გონიერი ზომიერება“. 1905 წ.
10. იქვე. „მინისტრთა პასუხისმგებლობა“. 1906 წ.
- 11-14. იქვე. „პატარა ფიქრები“. 1906 წ.
15. „ქართული ხალხური პოეზია“. „შემომეყარა ყიფჩალი“, თბ. 1974 წ.
16. მ. ჯავახიშვილი, „წერილები“. თბ. 2001 წ. „ქარებები ჩავეკეტოთ“. 1918 წ.
17. იქვე. „ჩვენი ბედი“. 1917 წ.



შალვა ჩიჩუა

## კრიტიკოსი და დრო

დიმიტრი ბენაშვილი - ლიტერატურული პორტრეტი

ბატონი დიმიტრი ბენაშვილი ცოცხალი რომ იყოს, უფრო გაბედულად დავენერდი მასზე. როდესაც ეს სევდისმომგვრელი „იყო“ ერევა საქმეში, ყოველივეს სხვაგვარ იერს აძლევს, სხვაგვარ განწყობას ქმნის, წერასაც მოზომილს გაეალებს. მისი ფართო ღიმილი ხომ ვეღარ გააპატიებს თუ რაიმე უზუსტობა დაუშვია. ამიტომაც ცდილობ, ჩვეულებრივზე მეტი მორიდება გამოიჩინოს. ამას სხვა მოსაზრებებიც განაპირობებს. დიმიტრი კი მეგობრობდა ჩვენთან, მის თანამშრომლებთან, მაგრამ მიჭირს თქმა - მხოლოდ მისი კაცთმოყვარული ბუნებით იყო ეს გამონეწეული, ერთად მუშაობის გამო, თუ მართლა პოულობდა ჩვენში რაიმეს, რაც დასაახლოებლად განაწყობდა. შინაგანად მუდამ ვგრძნობდით, რომ ჩვენ შორის ხელმძღვანელი და დიდი კაცი იდგა. მარტო იმიტომ არა, რომ ის განყოფილების გამგე იყო, თავის მოსაზრებებს მტკიცედ და სავსებით დამაჯერებლად გადმოგვცემდა, რასაც განამტკიცებდა ბეჯითი ტონი, დამარწმუნებელი ლოგიკა და ფოლადგარეული ხავერდოვანი ბარიტონი. ამავე დროს გვზიბლავდა უზომოდ კეთილი ღიმილი, ცოცხალი, მოძრავი თაფლისფერი თვალები. თუმცა,

არც ისე იშვიათად, მგზნებარე გაცეცხლებაც იცოდა, რაც იმას მონშობდა, უკომპრომისოდ, გულით და სულით, მთელი არსებით იწვოდა დიდსა თუ მცირე საქმეში. თავს არასოდეს წარმოიდგენდა მარადიულ ქეშმარიტებათა ქურჭლად. იგი ყოველთვის ტემერამენტით აღსავსე ცოცხალი კაცი იყო, პიროვნება, მოაზროვნე და მოქალაქე. ხასიათის ეს თვისება მთლიანად და სავსებით ცხადდებოდა არა მხოლოდ მის რეცენზიებსა და კრიტიკულ ნერილებში, არამედ მისი წარკვევების მოზრდილ კორპუსებში. ყოველი სტრიქონი მის ადამიანურ ხასიათს და სტილს ამჟღავნებს. ის არასდროს არ მოგვითხრობს, ყოველთვის გვიმტკიცებს, გვისაბუთებს, არგუმენტს წარმოგვიდგენს.

მკითხველი შეამჩნევდა - ჯერჯერობით არ ვსაუბრობ ბატონ დიმიტრის ლიტერატურულ შეხედულებებზე, მხატვრულ მსოფლმხედველობაზე, მსოფლალქმაზე. მინდა აღვნიშნო ადამიანური სახის ჩემს მესხიერებაში აღბეჭდილი ზოგიერთი დეტალი, სულს რომ უდგამს წარსულის სურათებს და ეს მისი ხასიათის გაცოცხლებასთან ერთად სუვედანარეუვ სიამოვნებასაც განმაცდევინებს.



- როგორ ხარ, ჭაბუკო?! - ეს შემართული, მოთამაშე, ოდნავ თეატრალიზებული ტონი კეთილგანწყობას ბადებდა ყოველთვის და სჯა-ბაასისთვის გვაშაადებდა.

ეს მიმართვა: „ჭაბუკო“, აღმოჩენად არ ჩამეთვლება თუ ვიტყვი, მის ადრინდელ ჭაბუკ ლიტერატურულ თანამებრძოლებთან ერთად შექმნილი, ცხოვრების სტილის ერთი საოცრად გამომხატველი დეტალი იყო და მეტონიმიადაც შეიძლება აღვიქვათ. ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, გრიგოლ აბაშიძე, ლადო ავალიანი, კოტე ხიმშიაშვილი, ალექსანდრე საჯაია, გაბრიელ ჯაბუშანიური, ვლადიმერ უბილავა, ალექო შენგელია და სხვები - ოცდაათიანი წლების ლიტერატურული მზეჭაბუკები - შემოკრებილი ჰყავდა ჟურნალ „ჩვენ თაობას“, რომლის მთავარი რედაქტორობა იმხანად ახალგაზრდა კრიტიკოსს, დიმიტრი ბენაშვილს დაეკისრა, და იგი მართლაც დიდი ენერგიით შეუდგა ამ ამოცანის განხორციელებას ჭაბუკ პოეტებთან, პროზაიკოსებთან და კრიტიკოსებთან ერთად. ეს სიტყვა, ძველ სემანტიკასთან ერთად, რომელიც მხნეობას, ძალას, შემართებას გულისხმობს, ახალი მნიშვნელობითაც აღიჭურვა, მათი მხატვრული შემოქმედების სტილში, ტექსტში და ცხოვრების წესშიც გამომჟღავნდა. ნიკა აგიაშვილმა, რომელმაც მათ ცხოვრებას და შემოქმედებას მშვენიერი ნიგნი მიუძღვნა, მეტად ზუსტი სათაური მოუწახა - „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, რომელმაც ამ ახალგაზრდების ლიტერატურული და ცხოვრებისეული ბედი ასახა ასე მოხდენილად და სევდიანად.

და ეს სიტყვა - ჭაბუკო! - ყველაზე მეტად მასვე - დიმიტრის ახასია-

თებდა, ის ყოველთვის იყო შემართული, ჭაბუკური ენერგიით დამუხტული; სიჭარმაგის ფაშასაც დიდი ღირსებით ეჭირა თავი და ყოველთვის მზად იყო შებოროდა ძნელ საქმეს. ეს გახლდათ მისი პიროვნების არსის გამომხატველი ერთი მხარე.

დიმიტრისათვის ეს მიმართვა მნიშვნელოვანი საუბრების დასაწყისი იყო, რადგან მასთან შეხვედრა ყოველთვის რალაც ახლის, მნიშვნელოვანის განსჯა-შეფასებას, საკუთარი აზრის გამოთქმას ნიშნავდა. მას ჰქონდა იშვიათი ნიჭი, ყოველი მოვლენა, ლიტერატურული ფაქტი უჩვეულო კუთხით დაენახა, აღმოეჩინა მასში ახალი მნიშვნელობა. ამიტომ იყო, რომ ბატონი დიმიტრი როგორც კერძო საუბრებში, თანამშრომელთა ჯგუფში, ისე ხალხმრავალ განხილვებსა და საღამოებზე მწერალთა კავშირში, სახელმწიფო უნივერსიტეტში, ლიტერატურის ინსტიტუტში ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა, როგორც მთავარი მომხსენებელი ან დაუცხრომელი მწვავე მოკამათე, რომლის გამოსვლას ყოველთვის დიდი რეზონანსი ჰქონდა.

დიმიტრის უყვარდა მოლხენა, სერობა, სადაც ღვინიანი ჭიქა მეგობრულ წრეში მხოლოდ პატრუქია ქართველი კაცის ენამზეობის, ნიჭის და სიბრძნის გამოსავლინებლად.

წვეულების გადახდა უფრო ერჩია საკუთარ ოჯახში, სადაც დროდადრო იკრიბებოდა ქართული ლიტერატურული საზოგადოების რჩეულნი და სუფრას დიასახლისობდა ზნეკეთილი და მშვენიერი ქალბატონი ვერა ჩოფიკაშვილი. იქ ხანდახან თანამშრომლებისთვისაც მოიძებნებოდა ადგილი.

ბუნებრივია, ჩვენ გული არ გვითმენდა, რაც შეიძლება ხშირად შევხ-

ვედროდით ბატონ დიმიტრის ლხინში. იგი არასდროს გაანზილებდა ახალგაზრდების მოწადინებას, რადგან სულიერად, აღნაგობითაც მუდამ ახალგაზრდად გრძნობდა თავს.

ნამომწყები ხშირად ქიცა იყო, ჩვენი გრიგოლ ხერხეულიძე. ჯიბიდან სამ მანეთს ამოიღებდა და ხელისგულზე დაიდებდა, რადგან იცოდა, მხარდამჭერნი ბევრი და უფრო უხვნი აღმოუჩნდებოდნენ ამ მწირ ფსონს, თუ არადა, არც ეგ იყო უბედურება, ნამდვილი კახური ლეინო №8, ლიტრი 70-80 კაპიკი ღირდა. დიმიტრი ღიმილით უყურებდა ამ „ბერიკაობას“ და სერობის ადგილის არჩევასაც მათ დაანებებდა, თუმცა ბოლოს თავად გადაწყვეტდა, რადგან ბოლო სიტყვა მას ეკუთვნოდა. და მერე ნიჭიერი სადღეგრძელოები თანდათან გადაიზრდებოდა ლიტერატურულ საღამოში. აქ ისევე ქიცა და ნოდარ ალანია პირველობდნენ, რომელთაც მთელი ქართული პოეზიის დეკლამირება შეეძლოთ ზეპირად გათენებამდე.

ქალაქგარეთ გასვლაც გვიყვარდა, საკრალურ ადგილებში. დაუვინყარია ასვლა ჯვარზე, ბაზალეთის ტბასთან, მაჩხაანშიც ვყოფილვართ. ზოგჯერ ქალაქგარეთ გასვლისას დიმიტრის თან ახლდა უკვე ნამოზრდილი ვაჟი - გურამი - ნყნარი, მორიდებული, ლბილი, ლამაზი სახის ნაკეთებით, კითხვის ნიშნად მოპყრობილი ცისფერი თვალეტი ყველასაგან გამოარჩევდა ყურადღებად გადაქცეულს. ეს იყო მისი დაფრთიანების დასაწყისი. ლეინოს მხოლოდ ჭაშნიკს უსინჯავდა, სადღეგრძელოებსაც არ აძლებდა მამამისი. ჩვენთან ერთად, გატაცებით უსმენდა, ორიგინალური დიქციით წართქმულ ლექსებს.

ზეიმობდა მჭევრმეტყველები და იყო პოეზიის ნამდვილი ტრიუმფი.

ამ წუთების გახსენება ჩემთვის სევდისა და სიამოვნების მომგვრელია. კმაყოფილი დავრჩები, თუ მკითხველის წარმოსახვაშიც მოვახერხებ აღმედგინა რამდენიმე ეპიზოდი ბატონ დიმიტრი ბენაშვილის ცხოვრებიდან, მისი ადამიანური ბუნების, მისი კეთილი ხსოვნისთვის.

თუმცა იგივე ხსოვნა დიდ სიძნელესაც მიქმნის. ბატონი დიმიტრი ბენაშვილი იყო დიდებული ქართველი კაცი, უსაზღვროდ კეთილი ბუნებისა და, ამასთანავე, საოცრად შკაცრი ხასიათის მქონე. თანდათან ვხვდები, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს, თუ რამდენად აუცილებელი და ერთნაირად საჭიროა ხასიათის ორივე ეს მხარე, ცხოვრების მღვრიე ლანქერში შეუდრეკლად რომ იდგე, საკუთარი რწმენითა და შეხედულებებით ემსახურო სამშობლოს. დიმიტრი აქ უკომპრომისო იყო. თავდაუზოგავად შრომობდა და იბრძოდა ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ ასპარეზზე.

დიმიტრი ბენაშვილის ნააზრვეის შეფასების სირთულე ის გახლავთ, რომ მისი შემოქმედება და მოღვაწეობა დანახული და განხილული უნდა იქნას, როგორც მთელი და ამავე დროს მთელის ნაწილი. კოორდინატების რიგის ცვლა მომცველობის არეს და სიღრმეებს ქმნის, იმათი შეპირისპირება და ურთიერთმიმართება კი ჭეშმარიტ შინაარსთან მიგვაახლოებს. გარკვეული ეპოქის, ამ შემთხვევაში მთელი მეოცე საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების და ლიტერატურის ისტო-

რის, მთელი კულტურის დინამიურ პროცესს შეუძლია ასახოს, გამოხატოს და შეგვაგრძნობინოს პიროვნების, დამოუკიდებელი შემოქმედის ნამდვილი არსი და პირიქით. ცალკეულ შემოქმედთა პუანტილური სურათი მთლიანობას ქმნის, ურომლისოდაც ვერ შეიგრძნობ დროს. „ეპოქები იქცევიან ადამიანის სახით“ – წერს ლეო ქიაჩელი, კონტექსტი ქმნის მართებულ სურათს.

დიმიტრი ბენაშვილს, მის თანამედროვეებთან ერთად, ურთულეს დროში მოუხდა მოღვაწეობა, თუმცა მთელი ქართული ისტორიის მანძილზე, თუნდაც მსოფლიო ისტორიასაც რომ გადავხედოთ, როდის იყო დავარცხნილი და დაწყნარებული დრო, როცა „თხა და მგელი ერთად ძოვდეს“.

მიუხედავად იმისა, ჩვენ ვალდებული ვართ XX საუკუნის ურთულეს კატაკლიზმებში, სისტემის ნანგრევებში არ ჩავკარგოთ ყოველივე, დავინახოთ და სათანადოდ შეფასასოთ ქართული კულტურის ფორმირების ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქა.

ლიტერატურული პროცესის გააზრებისათვის ისევე მნიშვნელოვანია კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის შემოქმედების შესწავლა, როგორც პოეტის, პროზაიკოსის და დრამატურგის. დიმიტრი ბენაშვილის კაპიტალური ნაშრომების, მისი კრიტიკული წერილების, მთლიანად მისი ნააზრევის ქვეშარიტი არსის გამოვლენა არა მხოლოდ მისი ღვაწლის დაფასება იქნება, არამედ ხელს შეუწყობს გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის არსისა და დონის გათვალისწინებას. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა, ხელოვნება არაფრით ჩამოუვარდება, ზოგ რამეში თუ არ აჭარბებს, ჩვენი სხვა წარსული საუ-

კუნეების ლიტერატურას და ხელოვნებას. XX საუკუნეში ახალ საფეხურზე ავიდა ქართული პოეზია, პროზა, სრულად წარმოჩნდა რომანი და დრამატურგია, რომელთაც XIX საუკუნემ მხოლოდ დასაბამი მისცა, შეიქმნა მაღალი დონის ქართული თეატრი, აგრეთვე ოპერა ქართული რეპერტუარით. ამ მთლიანი პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და მოღვაწე იყო დიმიტრი ბენაშვილი.

კულტურის ისტორიის საკითხებს განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება, რომ არ გავიშვოროთ ჩვენი სულიერი კულტურის მიმართ იგივე შეცდომები და უპასუხისმგებლობა, რაც ჩვენ დავეშვიტ საქართველოს ტერიტორიების, მატერიალური სიმდიდრის და მინის წიაღის მიმართ, არა აქვს მნიშვნელობა – რა პირობებში და ვისი ზენოლით. სულიერი კულტურის ფენომენი მკვეთრად განსხვავდება ამ მხრივ მატერიალური კულტურისაგან, ეროვნული სიმდიდრის ეკონომიკური ფორმებისაგან, რომელთა განადგურება უფრო ადვილად ხდება. სულიერი კულტურის „გაქრობა“, აღმოფხვრა, საერთოდ, ალბათ, შესაძლებელია, მაგრამ ზოგადად იგი არალიკვიდურია და მოკლე დროში არ ექვემდებარება ავის მზრახველთა მიზნებს, მრავალრიცხოვანი და მრავალი მიმართებით განხორციელებული დივერსიების მიუხედავად.

ამ საკითხების, ისევე, როგორც ლიტერატურის ისტორიის სხვა პრობლემების შესწავლა და განზოგადება, დიდი სიფრთხილით გაანალიზებას მოითხოვს, მით უმეტეს ახლა, როცა ვაპირებთ ქართული ლიტერატურის ისტორიის ახლებურ შეფასებას ანუ გადაფასებას და უცხოელთა თუ შინაურთა მხრით ხორციელდება დივერსი-

ები ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ძველიდან დღემდე. XX საუკუნესაც, ალბათ, რადიკალური გადაფასება მოვლის.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ერთ ნერილში, რაც არ უნდა გაბედული იყოს ავტორი, ვერ დაისახავს დიმიტრი ბენაშვილის შემოქმედების მეტნაკლებად სრული შესწავლის ამოცანას. მე მინდა შევეხო რამდენიმე ზოგად პრობლემას. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, იქნებ წამოვჭრა რამდენიმე უქველად გადასანყვეტი საკითხი.

შეიძლება თუ არა ზოგიერთი კონკრეტული საკითხის გადაჭრაში, მეთოდოლოგიის თუ სხვა არსებითი პრობლემების გადაწყვეტაში ვედავოთ პროფესორ დიმიტრი ბენაშვილს? როგორც კრიტიკოსს, როგორც თეორეტიკოსს, ლიტერატურის ისტორიკოსს?

მკითხველი ადვილად მიმიხვდება, რომ კითხვა, რომელიც აქ დავსვი არა რელევანტურია. ალბათ, უკრ არ დაწერილა ნიგნი, რომელიც ამა თუ იმ კუთხით სადავო არ გამხდარიყო. და შეიძლება სწორედ ეს არის ნიგნის კულტურის ერთ-ერთი უდიდესი დასახურება კაცობრიობის წინაშე – მისცეს ბიძგი აზროვნებას და ნაირგვარად აამუშაოს კაცობრიობის გონი. სანინაალმდეგო მოსაზრებებმა იქნებ ახალი ჭეშმარიტებანი აღმოაცენონ ადამიანთა ცნობიერებაში. მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ ათავისუფლებს მემკვიდრეებს მისხალ-მისხალ ამოკრიბონ ფოლიანტებში თავმოყრილი სიბრძნე, რაც ამავე ნიგნებმა შემოუნახეს შთამომავლობას. დიმიტრი ბენაშვილის ნიგნების მიმართ ეს პრომატევადი, რთული სამუშაო შემდგომისათვის უნდა გადავდოთ, ან, კიდევ

უკეთესი, შემოვუნახოთ მომავალ ფელოლოგიის დოქტორს, რომელიც გულმოდგინედ შეასრულებს ამ შრომას. ამჯერად ჩვენ დიმიტრი ბენაშვილის მემკვიდრეობის შესწავლა სხვა ასპექტით გვაინტერესებს. რა ტიპის მოაზროვნე იყო ის, რა პრინციპებზე დაყრდნობით წყვეტდა ლიტერატურის ფუძემდებლურ საკითხებს, თეორიისა და ისტორიის პრობლემებს. ამ საქმეს მე ვუყურებ, ცოდვა გამხელილი სჯობს, პრაგმატული თვალსაზრისითაც, დარწმუნებული ვარ, ბევრ სასარგებლო და სახელმძღვანელო პრინციპს, დაკვირვებას გაგვიზიარებს ლიტერატურის და ლიტერატორების გულმზურვალე ჭირისუფალი. ამჯერად მინდა წარმოვადგინო დიმიტრი ბენაშვილის შრომების ხელახალი წაკითხვით მიღებული შთაბეჭდილებები. ალბათ, ჩვენ შევძლებთ ადენიშნით ამ თხზულებების ზოგიერთი არსებითი მხარე. მაგრამ შეფასება უფრო ხანგრძლივ შრომად მესახება. ქართული ლიტერატურის ისტორიის დადგენის და შექმნის დროს ყოველთვის აქტუალური იქნება წერილები და ნაშრომები კრიტიკოსისა, რომელიც უშუალოდ მონანილებდა ლიტერატურის განვითარების ნახევარსაუკუნოვან პროცესში.



ტაძარში რომ შედიხარ, ბევრი რამ უნდა იცოდე მის შესახებ და უნდა ეცადო, რაც შეიძლება ღრმად შეიცნო იგი, ყველაფერს დინჯად დააკვირდე. დიმიტრი ბენაშვილის უპირატესი ინტერესი, ცხადია, ქართული ლიტერატურა იყო, ცოცხალი პროცესი და ისტორია, მაგრამ მუდამ ახსოვდა ურ-



ყვეი ქვეშარიტება: საგანთა კავშირის გარეშე არცერთი საგნის ბუნების ან არსის ამოცნობა არ შეიძლება. და აქ არამარტო კავშირია აქტუალური, არამედ წინააღმდეგობა – კონტრასტი, რაც ასხივებს ორივე მხარეს. მსოფლიო ლიტერატურის ტექსტები ანათებენ ერთმანეთს, რომ ისინი უკეთ ნაეიკითხოთ. ამიტომაც დიმიტრი ბენაშვილი, რომელიც ანალიზისას თავისი გამოკვლევის ცენტრში, ბუნებრივია, აქცევდა ქართული ლიტერატურის ფაქტებს, ყოველთვის ცდილობდა მათ შესწავლას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

პირველივე მისი თეორიული შრომების მიზანი ხელოვნების და ლიტერატურის სპეციფიკის დადგენა იყო. შემდეგ კი თანდათან აღრმავებდა ნიუანსების წვდომას ამ მიმართულებით. მკითხველს ვთხოვ, აქ ლიტერატურის სპეციფიკის საკითხის წამოჭრას ბანალურ პრობლემად ნუ ჩამითვლის. მე ბარე ორი პროფესორი ვიცი, სერიოზულად რომ ამტკიცებენ, ლიტერატურასა და რელიგიას შორის განსხვავების დადგენაჭირსო, ხოლო ჭაკ დერიდა ლიტერატურასა და ფილოსოფიას შორის იგივეობის ნიშანს სვამს. ჩემი აზრით, ორივე შემთხვევაში, მრავალი საერთო ნიშნის არსებობასთან ერთად, განსხვავების პოვნა, სირთულის მიუხედავად, პრინციპულად შეუძლებელი არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში საზოგადოდ ცნობილია, რომ რელიგია აბსოლუტურად რწმენას ემყარება, ლიტერატურა და ხელოვნება – ძიებას, ორივე სახეებით აზროვნებას, პირველი პოსტულატურ სახეებსა და ხატებს, იდეებს გულისხმობს, მეორე – მუდმივ ძიებას და შემოქმედებას.

დიმიტრი ბენაშვილი ყოველთვის ამახვილებდა ყურადღებას მხატვრუ-

ლი ფორმის შესწავლის პრობლემაზე, რადგან მხატვრული ფორმის არსის მთელი სიღრმით გააზრება „ლიტერატურათმცოდნეობას ასხვავებს სხვა მოსაზღვრე მეცნიერებისაგან“, ისე, როგორც მხატვრული ფორმის კანონების მხატვრულ სახეებში რეალიზაცია ავლენს ლიტერატურისა და ხელოვნების სპეციფიკას. მაგრამ ეს სრულიადაც არ შეიძლება გაეიგოთ, როგორც რაიმე, თუნდაც იოტისოდენი გადახრა ფორმალიზმისაკენ, რადგან დიმიტრი ბენაშვილს, თავისი აზროვნების საფუძვლების და სტილის მიხედვით ღრმად ჰქონდა ათვისებული რეალიზმის მეთოდოლოგიური საფუძვლები, ასახვის და გამოხატვის კანონზომიერებათა ობიექტური არსი და მნიშვნელობა, ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთმიმართებათა პრინციპული ბაზა. მისთვის მხატვრული ფორმის საკითხები წყდებოდა ინვარიანტის ქვალიტეტიდან ქვალიტეტში გადასვლის სახეცვლილებათა პრიზმაში. ფორმა არასდროს არ არის ცარიელი, პუნქტირით შესრულებული მოდელი. ფორმა და არსი, ფორმა და შინაარსი განუყოფელია. აქ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ობიექტური სინამდვილის, ცოცხალი დერიტის „დაკარგვა“. მხატვრული ფორმის შესწავლა და კვლევა არასდროს გადაიქცეოდა თვითმიზნად. რადგან პოეტური ფიგურები, მეტაფორა, ტროპი საერთოდ, პროზის რთული სტრუქტურა მნიშვნელობათა პოვნის, ახალი სინამდვილის აგების „საშენი მასალაა“, რომელმაც ინვარიანტი უნდა გამოიყვანოს „პირველქმნილი“ სინამდვილისაგან. საერთოდ, ალბათ, ძნელია წარმოიდგინო ფორმის შესწავლა მისი ფუნქციის გარეშე, ე. ი. იმის გარეშე, რისთვისაც იქმნება ფორმა. ამ გზით



ნათელი ხდება, რომ ლიტერატურის, ხელოვნების სპეციფიკას განსაზღვრავს არა მხოლოდ ფორმა, რომელსაც, სრულიად სამართლიანად, პირველ რიგში ვასახელებთ, არამედ, უქვევლად, ხელოვნების საგანი, რომელიც აგრეთვე სპეციფიკურია, სპეციფიკურ შინაარსს ატარებს.

ამ საერთო ხასიათის სტრატეგიის გზაზე დიმიტრი ბენაშვილი თანდათან აღრმავებს საკუთარ მიგნებებს და იყენებს კონკრეტულ მიმართებებში კონკრეტული მწერლების შემოქმედების ანალიზისას. აქვე უნდა აღინიშნოს - იგი უკვე ჭაბუკობიდანვე ცდილობს სწორედ ამ პრობლემებში გარკვევას, რადგან მიაჩნია, რომ სწორედ ასე უნდა მიუდგე ლიტერატურის პროცესის და მხატვრული თხზულების სერიოზულ ანალიზს. პირველივე შრომებში - ნიგნებში „ხელოვნების საკითხები“, „ლიტერატურული ძიებანი“ და ასევე, სხვა ცალკეულ ნერილებში, უპირატესად სწორედ ესთეტიკის საკითხებს იკვლევს, თეორიის უზოგადეს პრობლემებს, რადგან უამისოდ შეუძლებელი იქნება ეროვნული ლიტერატურის და ხელოვნების არსის წვდომა და ისტორიაში გარკვევა.

ლიტერატურის სპეციფიკის დადგენა, რომელიც თანდათან დახვეწილ ფორმებს იღებს და ამფლავნებს კრიტიკოსის ანალიტიკურ უნარს, განმაზოგადებელ თეორიულ სიმაღლეებთან ერთად ქმნის მყარ საფუძველს კვლევა-ძიებისათვის, რომლის ძირითადი ჟანრი, ან ვთქვათ, ფორმა, ხდება მონოგრაფია.

●  
ლიტერატურის სპეციფიკის აქ-

ცენტრირება, რაც საგანს შემოღობვლავს და მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტს გამოკვეთს, სრულიად არ ნიშნავს ხელოვნების „იზოლირებას“ კულტურის, ზოგადად ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებისაგან. ცნობიერების სხვა სფეროებთან ზღვრის დადგენა იმიტომაც ჭირს, რომ მათ შორის - ლიტერატურასა, ხელოვნების სხვა ფორმებსა, ესთეტიკასა, ეთიკასა, ფილოსოფიასა და რელიგიას შორის უმჭიდროესი კავშირებია, რომლებიც, თავის მხრივ, ავლენენ ურთიერთშელეწევისა და გადასვლის ურთულეს ფორმებს, რის საფუძველზედაც შესაძლებელი ხდება, აღქმული, გააზრებული და დანახული იქნას ერის კულტურის მთლიანობა. ხოლო დიტერატურა და ხელოვნება ამ დროს წარმოგვიდგება არა როგორც დამოუკიდებელი, თავისთავადი და თვითკმარი, განმხოლოებული ერთიანობა, არამედ მთლიანი ეროვნული კულტურის ნაწილი. ამ მიმართებების მიღმა არ არსებობს არავითარი ლიტერატურა და კულტურა. მათი გამოყოფა და სპეციფიკის დადგენა მეცნიერული ოპერაცია და შიდაკულტურული დეფინიციია. ხოლო თითოეული ცალკეული ლიტერატურა დიდი თუ უმცირესი გამოკვლევა ფაქტის ემპირიული დანახვა კი არ არის, არამედ ზოგადპრობლემური სისტემური გააზრების კონკრეტული გამოხატულება, რაც ყოველთვის გულისხმობს და ითვალისწინებს მთლიან კულტურას. სპეციფიკა, სახელდობრ, ლიტერატურისა და ხელოვნების სპეციფიკა, სწორედ ის „მნიშვნელობაა“, რომელიც შემოფარგლავს კვლევის ობიექტს სინერგეტიკული თვალსაზრისის იმანენტური გათვალისწინებით, კონკრე-



ტიკა, რომელიც შემავალია ზოგადში, ზოგადის გამოვლინების ფორმაა.

ამ პარამეტრების გათვალისწინებით, უკვე შესაძლებელია ეროვნული კულტურის ისეთი ფორმების კვლევა, როგორცაა ლიტერატურა და ხელოვნება; ოპერირება ცნებებით – მხატვრული ნაწარმოები, ხელოვნების საგანი, ადამიანის კონცეფცია, სახე, ხასიათი, ტიპი, არქეტიპი, სიუჟეტი, სტრუქტურა, ლიტერატურული სკოლა, მიმდინარეობა, სუბიექტი, ასახვის ობიექტი, სინამდვილე, მითი, ასახვა, თვითგამოხატვა. დიმიტრი ბენაშვილის ნაწერებში ყოველივე ეს – ზოგად-ლიტერატურული ფორმები – ემსახურება კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების ანალიზს, კონკრეტული მწერლის შემოქმედების ყოველმხრივ განხილვას, ეროვნული ლიტერატურის მთლიანი სურათის შექმნას.

დიმიტრი ბენაშვილის უპირატესი აინტერესების სფერო თავისი თანამედროვე ლიტერატურა იყო, მაგრამ მკვლევარი ძველ, ახალ და უახლეს ლიტერატურას ყოველთვის წარმოიდგენდა მთლიანობაში. ეძიებდა და ხედავდა არა მხოლოდ იმ თავისთავად საგულისხმო ხილულ ნიშნებს, როგორცაა, ვთქვათ, საერთო ლიტერატურული ენა ან სხვა კომპონენტები, არამედ უფრო ღრმა შრეებს – ქართული ხასიათის მხატვრული განსახიერების ფორმებს, მათ ზოგად მნიშვნელობას. ეს ზოგადი ეროვნული ნიშნები და მათი გამოხატვის კონკრეტული ფორმები აინტერესებდა მას კონკრეტულ მწერლებთან და კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებებში, ქართული ლიტერატურის მთელი ისტორიის მანძილზე თავის ისტორიულ სახეცვლილებაში. ამ მიზნით იწერებოდა გამოკვლევები: „სახისა და ხასიათის პრობ-

ლემა „ვეფხისტყაოსანში“, „ვეფხისტყაოსანში“, „გალაკტიონ ტაბიძე“, „კონსტანტინე გამსახურდია“, „მიხეილ ჯავახიშვილი“, „ნიკო ლორთქიფანიძე“, „ლევო ქიაჩელი“, „პოლიკარპე კაკაბაძე“ და სხვ. მისი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა მეოცე საუკუნის, აგრეთვე, მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის რიგ თვალსაჩინო ნარმომადგენლების შემოქმედება, რომ არ გაეანალიზებინოს ჩვენი ეროვნული მწერლობის ტრადიციებისა და მსოფლიო ლიტერატურის უმდიდრესი მიღწევების ფონზე. მკვლევარს არასდროს ავიწყდება და ყოველთვის განსაკუთრებულ აქცენტს უკეთებს, რომ ლიტერატურას, ცნობიერების ამ ფორმას თავისი სპეციფიკური გამოსახვის საშუალებები აქვს. ლიტერატურის ამ სპეციფიკას არც თუ იშვიათად ივიწყებენ თანამედროვე ზოგიერთი „ეტალონები“ და ლიტერატურას აყენებენ ერთ ჭრილში ფილოსოფიასთან ერთად. ცხადია, ლიტერატურა, აგრეთვე, „სიბრძნისაა ერთი დარგი“, მაგრამ მას სამყაროს ხილვის და წარმოსახვის საკუთარი სპეციფიკური საშუალებები და ფუნქცია აქვს. დიმიტრი ბენაშვილი ხშირად და დაბეჯითებით იმეორებს, რომ ფილოსოფია ცნებების ენაზე აზროვნებს, იგი ამოიცნობს და განმარტავს სინამდვილეს, ლიტერატურა კი მხატვრულ სახეებში ასახავს და, რაც მთავარია, ქმნის ახალ სინამდვილეს.

ლიტერატურული შემოქმედება თავის უმაღლეს განზოგადებებად კი ერთეულ, ინდივიდუალურ, კონკრეტულ ფორმას აძლევს. აქ ლაპარაკია არა მხოლოდ ვიზუალურ სახეობრივ ფორმებზე. სწორედ ეს მომენტები ყველაზე კარგად და სრულად გამოიხატება ლიტერატურის რეალისტურ

ფორმებში. ვფიქრობთ, აქ არ დაგვეჭირდება იმის განმარტება, რომ ლაპარაკია არა რეალიზმზე – ლიტერატურულ მიმართულებაზე, სადაც, ბუნებრივია, ყველაზე უკეთ არის გამოხატული ლიტერატურისა და ხელოვნების რეალისტური მიმართება სინამდვილესთან, რომელიც აღიარებს სინამდვილეს ხელოვნების საგნად და ასახვის ობიექტად, არამედ გულისხმობს ზოგადად ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართებას ყოფიერების არსთან ონტოლოგიური თვალსაზრისით.

დიმიტრი ბენაშვილისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ერთეულის, ინდივიდუალურის, კონკრეტულის გამოხატვის, ან იქნებ, სჯობდეს ვთქვათ, ასახვის გაცნობიერება, როგორც არა განსაკუთრებულის, არამედ განუმეორებელის ხილვის აქტი, ეროვნულთან მისვლის ერთადერთი გზა. ამ მიზანს ემსახურება მის გამოკვლევებში თვითთავი მხატვრული ნაწარმოების სკრუპულოზური ანალიზი, როგორც თავისებურების გამოვლენის გზა როგორც ტრადიციებთან დაკავშირებული უხილავი ძაფების აღმოჩენის საშუალება არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედების ეროვნული თავისებურებების გამოვლენის, არამედ ქართული ხასიათის, ქართული სულის განუმეორებლობის გაცხადების ერთადერთი ასპექტი.

ჩალრმავებული ანალიზი ქართველი მწერლების უმაღლესი რიგის მხატვრულ შეფასებაში, ეპოქების განსხვავებულობის მიუხედავად, იძლევა ნათესაური მოდულაციების ხილვის საშუალებას. ხოლო ამ მოდულაციების ანალიზი, თავის მხრივ, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური თუ კულტუროლოგიური შრეების შე-

ფარდებითი არსი საშუალებას აძლევს მკვლევარს, დაადგინოს ეპოქის ნაკვალევი ყოველ თითოეულ მხატვრულ ნაწარმოებში. არა მხოლოდ მისი ასახვითი ფუნქციის შედეგებით, არამედ თვით ასახვის და გამოხატვის ფუნქციის განსხვავებული ხასიათით. ამრიგად, მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, ეროვნულ მთლიანობასთან ერთად დიფერენცირდება ეპოქის, ისტორიის თვალსაზრისით. ასე დგინდება ტრადიციებისა და განვითარების ურთიერთზემოქმედების მხატვრულ შემოქმედებაში გადატეხილი ისტორიული სურათი იაკობ ზუცესიდან მეოცე საუკუნის თითქმის ბოლო ათწლეულებამდე.

ეროვნული ისტორიული ცხოვრების, ქართველი კაცის შეცნობის უკეთეს საშუალებას მკვლევარს, საკუთარი ღრმა რწმენით, აძლევდა რეალისტური ხელოვნება, რომელიც ცნობს სუბიექტისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ სამყაროს და სინამდვილის შეცნობის სინერგეტიკულ მეთოდებს ემყარება. ხელოვნების, ლიტერატურის გამოსახვის ფორმების კონკრეტულობა ემპირიული ფორმების გამოხატულების ილუზიას ქმნის. მაგრამ ემპირია სრულიადაც არ არის საშიშო თუ წარმოვიდგენთ, რომ ის არსის ნაწილია, უსასრულობის უსასრულოდ მცირე ნაწილაკი. კონკრეტული ფორმები და სახეები კი სიახლოვის, უშუალოობის ეფექტს ქმნიან და სინამდვილესთან კონტაქტის გზად იქცევა. უახლოესი სინამდვილე, ჩვენი საცხოვრებლის ეროვნული გარემო და ჩვენი თანამემამულეები არიან – ხელოვნებისა და ლიტერატურის ასახვის საგანი. ამიტომაც მხატვრული ნაწარმოები უპირველესად ეროვნულ

არსს ასახავს, შემდეგ იგი, ცხადია, ზოგადეკაცობრიულიცაა.

«ვაჟა-ფშაველა თავისი შემოქმედებითი სულით და ინტელექტით ეროვნული იყო და ზოგადეკაცობრიულიც. ამიტომ კვლევა-ძიების დროს ვაჟა, როგორც შემოქმედი და მოაზროვნე, გახსნილია ნაციონალური და მსოფლიო ლიტერატურის ფონზე» (ვაჟა-ფშაველა, 1961, გვ. 3). პროფ. დიმიტრი ბენაშვილი ზუსტად იცავს ამ თანმიმდევრობას, რადგან ის არსებითი იყო იმ დროს (ახლაც რჩება სამწუხაროდ), როცა, ზოგიერთთა აზრით, ეროვნული რალაც რეგიონალურ, თუ პროვინციალურს არა, ელფერს იღებდა, ხოლო აღმატებული ხარისხი იგულისხმებოდა ზოგადეკაცობრიულის მიმართ. როცა ვერ იყო გათვალისწინებული, რომ ზოგადეკაცობრიულს გამოხატვის სხვა ფორმები არ გააჩნია თუ არა ეროვნული. ვაჟა-ფშაველას პოეზიის სირთულის გამო ერთმანეთის სრულიად გამომრიცხავი საპირისპირო მოსაზრებები იშვიათობა როდი იყო ვაჟას შემოქმედების ირგვლივ არსებულ მდიდარ ლიტერატურაში და ბევრი, პირდაპირ შეიძლება ითქვას, მცდარი თვალსაზრისიც გამოთქმულა. განსაკუთრებით ეს ეხება ანტროპომორფისტული, ფილოსოფიური და მხატვრული თვალსაზრისების აღრევას, რომელმაც ქართულ კრიტიკაში მეოცე საუკუნის ბოლო მესამედშიაც წამოყო თავი, მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი ბენაშვილის მონოგრაფიამ «ვაჟა-ფშაველა» სწორ პოზიციაზე დააყენა ამ გენიოსის შემოქმედების კვლევა და, არსებითად, გადაჭრა მისი ქმნილებების რეალიზმთან, როგორც შემოქმედების მეთოდთან დაკავშირების საკითხი. ასეთ პოზიციაზე მკვლევარი დადგა კვლევის ობი-

ექტური შედეგებიდან გამომდინარე და არა მხოლოდ იმიტომ, რომ რეალიზმს თვლიდა სამყაროს ათვისებისა და სინამდვილის გამოხატვის უმთავრეს და ყველაზე ადეკვატურ მეთოდად. მას, პროფესიონალ კრიტიკოსს, მთელი გატაცებით, თავისი ბოქარი ენერგიით შეეძლო დაეცვა სახელმძღვანელოდ მომარჯვებული პრინციპები. როგორც ეს ნამდვილ მკვლევარს შეეფერება, კვლევის საგანთან მიდიოდა არა წინასწარაღებული აზრით, არამედ პატივს სცემდა საკვლევე ობიექტს. დიმიტრი ბენაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ «ცხოვრებისაგან, საზოგადოებრივი მოვლენებისაგან მოწყვეტა უკარგავს მხატვრულ ნაწარმოებს მიმზიდველობის ძალას, ცოცხალი შემოქმედების უნარს, და აქცევს უსიცოცხლო სქემად, გამოგონილ ფაქტად. აქედან კი ერთი ნაბიჯია ცინიზმამდე, ადამიანის სიძულვილამდე, ყალბ, გამოგონილ ესთეტიზმამდე, რომელიც მოკლებულია ჭეშმარიტი ხელოვნების იდეას».

დიმიტრი ბენაშვილი მრავალმხრივი მკვლევარი იყო დიდი, ფართო ერუდიციით და ღრმა შეგნებით ეკიდებოდა იმ ფაქტს, რომ ლიტერატურა და ხელოვნება მრავალფეროვანი და მრავალნახნავოვანი ფენომენია. ადამიანის ფიქრსა და გრძნობას არ შეიძლება ხელოვნური ზღვარი დაუდო. «პოეტი თავის უმაღლეს ამოცანას მხოლოდ მაშინ წყვეტს, როდესაც ადამიანის უღრმესი სულიერი ინტერესების სფეროში შესვლის დროს ამ ინტერესებს ანიჭებს რეალურად არსებობის უფლებას შესატყვისი ფორმის მეშვეობით».

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ პროფ. ბენაშვილის აზრს რეალიზმის, როგორც ლიტერატურისა და ხელოვნე-

ბის უნივერსალური მეთოდის გაგებაში. ამ ბოლო ციტატაში, რომლითაც იწყება მონოგრაფია გალაკტიონზე, სინამდვილის გააზრების და გაგების სხვა, უფრო ღრმა რაკურსი გამოჩნდა. ამასთან ესთეტიკური იდეალი ფართოდება და არ იკეტება ასახვის ან თუნდაც გამოხატვის ფარგლებში და შესატყვის ადგილს უთმობს თვითგამოხატვის ფორმებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანის უღრმეს სულიერ ინტერესებსა და ინტენციებს რეალურად არსებობისა და გამოხატვის უფლება ენიჭება. ბატონი დიმიტრი არსად არ უშვებს შესაძლებლობას, კვლავაც გაამახვილოს ყურადღება „შესატყვის ფორმაზე“.

წერილის მოცულობის გამო, ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს ფეხდაფეხ მივყვეთ უაღრესად საინტერესო მსჯელობას „შემოქმედებითი წარმოსახვის უნარზე“, „ცხოველმყოფელ ფანტაზიაზე“, „შინაარსში ჩაძირვასა“ და „ხელოვნებითი მშვენიერების შექმნაზე“. მაგრამ ორიოდ სიტყვით მაინც უნდა მივუთითოთ მის ნარკვევებში ხელოვნების სპექტრის ფარგლის გაშლაზე, მიმართებების დიაპაზონზე ფილოსოფიური სიღრმეების მხატვრული საშუალებებით მიღწევაზე. ერთი სიტყვით, მხატვრული რეალიზმის უსაზღვრო ნდობასთან ერთად ხელოვნების სხვა მიმართულებების ცნობაზე.

გალაკტიონის შემოქმედების მხატვრულ მეთოდთან დაკავშირებით ზოგჯერ პარადოქსული ფაქტების აღმოჩენაც შეიძლება. „ლურჯა ცხენებში“, მაგალითად, მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ უმაღლეს შედეგში, არავითარი არარეალისტური არ არის. მაგრამ ისიც ცხადია, რომ XX საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის

მხატვრული შემოქმედების შეხვედრას ვერ განვდებოდა ტრადიციული რეალიზმის ფარგლები, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ რეალიზმი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი ძლიერ სიცოცხლისუნარიანია, თუნდაც მისი მოქნილი სტრატეგიის გამო, რაც სინამდვილესთან კონტაქტის ნეალობით მუდმივი რეგენერაციის და სრულყოფის მუხტს და ენერგიას იღებს. ამიტომ სრულიად კანონზომიერად გვეჩვენება, რომ პროფესორ დიმიტრი ბენაშვილი სწორედ გალაკტიონის შემოქმედების შესწავლას იწყებს საოცრად ღრმა ფრაზით, სადაც მე დღესაც მზიბლავს, როცა პოეტი „ადამიანის უღრმეს სულიერ ინტერესებს რეალურად არსებობის უფლებას ანიჭებს“. გალაკტიონის შემოქმედება, მისი ყოველი შედეგური საუკეთესო დადასტურებაა ამ ესთეტიკური პრინციპების და ეს სიღრმეები თავიდან ბოლომდე გასდევს კვლევას გალაკტიონის პოეზიაზე, მის ცნობილ მონოგრაფიაში.

საერთოდ, მონოგრაფია კვლევის ყველაზე მიმზიდველი ფორმაა დიმიტრი ბენაშვილისათვის. მას, ცხადია, კარგად აქვს შეთვისებული ხელოვნების, მწერლობის, პოეზიის, პოეტის პარამეტრების არსის განმსაზღვრელი ილიასეული გენიალური ფორმულა – „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“. პოეტური ნიჭი ღვთიურია, მას ცა ნიშნავს და პოეტური ხელოვნების არავითარ დაუფლებას არ შეუძლია ლექსების ავტორი პოეტად აქციოს ამ ციური ნიჭის გარეშე, რომ ეს კოდირებული, ღვთივ მომადლებული გენია მხო-



საქართველოს  
ლიტერატურული  
პროცესის ანალიზი

ლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ერის კულტურაში, ლიტერატურის და ხელოვნების განვითარების გარკვეულ დონეზე და პირობებში ავლენს თავის ენერჯიას და იღებს გამოკვეთილ მხატვრულ ფორმას. პოეტის, მწერლის, ლიტერატურის და ხელოვნების ორივე ეს მხარე მას კარგად აქვს გააზრებული და შეცნობილი, მაგრამ ის პირველ რიგში ნიჭის თაყვანისმცემელია, რადგან მხოლოდ ნიჭიერ შემოქმედს, თავისი გენიის წყალობით, ძალუძს ასახოს ეპოქა, საზოგადოებრივი ცხოვრება და უკუაფინოს ის პოეზიის უღრმეს ენაზე. საზოგადოებისა და ცხოვრების, ერის კულტურის, კაცობრიობის ცხოვრების არსის ფიზიკური და სულიერი ემანაციის გარეშე არ იქნებოდა არავითარი პოეზია, მაგრამ თუ საზოგადოების ისტორიას, საერთოდ, სამყაროს წარმოვიდგენთ, როგორც ტექსტს, პოეზიის საფუძვლს, მას სჭირდება გამშიფრველი და ამომკითხველი სუბიექტი, ხოლო პოეზიის ინვარიანტში მისი ხილვისას შემოქმედი და ფორმის მიმცემი. ამიტომ იყო, რომ დიმიტრი ბენაშვილის უპირველესი ობიექტი ლიტერატურის კვლევის პროცესში იყო შემოქმედი, მწერალი, ლექსისა თუ პროზის ოსტატი, მისი ნიჭის თავისებურების გაშიფრვა კი მკვლევარის უპირველესი ამოცანა.

ლიტერატურული პროცესის, როგორც ლიტერატურის ისტორიის შესწავლა უთვალავ ინგრედიენტს შეიცავს და ურთულეს პროცესებს უნდა ითვალისწინებდეს, რასაც ვერავითარი მონოგრაფიები, რომლებიც ცალკეულ მწერალთა შემოქმედებას შეისწავლიან, ვერ შეცვლის, მიუხედავად იმისა, რომ ეს მწერლები უეჭველად ლიტერატურული პროცესის სუბიექ-

ტები და ობიექტები არიან. დასაწყისში ლიტერატურული პროცესის ანალიზი, სწორედ უთვალავ პრობლემათა აუცილებელი გათვალისწინების გამო, ნაკლებ საშუალებას იძლევა, ყურადღება ხანგრძლივად შეაჩერო, დაბეჯითებით და ყველა მიმართებით, მთელი სიღრმით გააანალიზო ცალკეულ შემოქმედთა მხატვრული სამყარო. ასეთ გამოკვლევას კი შეუძლია ნათელყოს პოეტის, მწერლის ნიჭიერების ხარისხი, მხატვრული ქმედობის ძალა, ტრადიციისა და მოდერნის გამოხატულება ლირიკასა თუ პროზაში, დრამატურგიაში. სწორედ დიდ პოეტურ ტალანტს შესწევს უნარი, მთელი ძალით გახსნას ეპოქალური მოვლენები ცხოვრებასა და ლიტერატურაში. ამიტომაც პროფესორი დიმიტრი ბენაშვილი უპირატესობას ანიჭებს მონოგრაფიას, როგორც გამოკვლევის ფორმას და გამოკვლევის ობიექტად ირჩევს ქართული ლიტერატურის უნიჭიერეს წარმომადგენლებს, ის მიმართავს მწვერვალებს, ასრულებს ურთულეს „ტრავერსს“ და თუ პარადოქსულად არ მოგვიჩვენებთ ასეთი დასკვნა, წვდება უდიდეს სიღრმეებს. ამ სიღრმეებში „თავისთავად“, ყოველგვარი ინტერტექსტის და პირდაპირი განმეორებების ან არქტიპული რემინისცენციული ფორმების გარეშე ჩნდება ეროვნული კულტურის დამახასიათებელი ნიშნები. განუმეორებელ სახეებში და ხასიათებში დიპრონულ და სინქრონულ პლანებში გამოსჭვივის ერის კულტურის მთლიანობა და წარუშლელი ნათესაური იერი, ცნობიერების და აზროვნების, მხატვრული სახის აგების განუმეორებელი „ხელწერა“, რაც იქნებ სწორედ გამორჩეულად საგულისხმო იყოს ლიტერატურის ისტორიისათვის ხომ ამ

პრინციპებზე იყო აგებული ლანსონის „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“. ამასთან, ლიტერატურული პროცესის მრავალმხრივი ანალიზი ლიტერატურას წარმოგვიდგენს არა როგორც ფიქსირებულ, არამედ დინამიურ მთლიანობას, რომელიც მგრძობიარეა საზოგადოებრივი ისტორიის და კულტურის ზემოქმედების მიმართ. ეს ურთიერთმიმართება კარგად აშუქებს ლიტერატურის თანამედროვე, ისტორიულ, ეროვნულ და ზოგადკაცობრიულ პარამეტრებს.

საერთოდ, მონოგრაფიის როგორც გამოკვლევის ფორმის მნიშვნელობა, უნდა ვაღიარო, პირველად, მთელი სისრულით დიმიტრი ბენაშვილის „ვაჟა-ფშაველას“ შესწავლის შემდეგ გავიცნობიერე. მონოგრაფია კვლევის არა მხოლოდ სინერგეტიკული სინთეზური ფორმაა, რომელიც მთელი სისრულით წარმოგვიდგენს გამოკვლევის ობიექტს, არამედ თვით ეს ცალკეული ნაწილები მონოგრაფიული შესწავლის დროს აღიქმებიან და გაიანაზრებიან სხვა დონეზე, რადგან ანათებენ და ასხივებენ ერთიმეორეს და აქედან გამომდინარე მონოგრაფია, როგორც გამოკვლევა, თვით იღებს სხვა დონეს. მკითხველი ადვილად მიმიხვდება, რომ ამ წერილში შესაბამისი მაგალითების მოყვანა შეუძლებელია. ერთს მაინც ვიტყვოდი, „გველის-მჭამელის“ უმთავრესი სადავო ფილოსოფიური პრობლემის გაგება დამაჯერებელი და „საბოლოო“ გახდა ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული და პუბლიცისტური წერილების საფუძვლიანი შეპირისპირების შემდეგ, რაც დიმიტრი ბენაშვილმა შეასრულა თავის მონოგრაფიაში ერთ-ერთ ურთულეს და უმშვენიერეს ქართულ პოეტზე.

● მონოგრაფიებზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ – მართალია, პროფესორი დიმიტრი ბენაშვილს გამორჩეულად უვარდა მონოგრაფია, როგორც გამოკვლევის ფორმა, ცალკეულ მწერალთა შემოქმედება, მაგრამ ის არ იყო მისი კვლევა-ძიების ერთადერთი ფორმა, მკვლევარი დიდი ენერგიით მუშაობდა პოეზიის ფანრების და გვარების თვალსაზრისით შესწავლისათვის. განსაკუთრებით უყვარდა ლირიკა, მაგრამ შეიძლება ითქვას არანაკლებ შრომობდა რომანის და დრამატურგიის სპეციფიკის დადგენისათვის და მათი ჩამოყალიბების ისტორიის შესაქმნელად.

მეოცე საუკუნის რომანს ცალკე წერილი „მნიშვნები ქართულ რომანზე“ 1961 წელს (№3) მიუძღვნა ჟურნალ „მნათობში“ (ადრეც პუონდა მას დაბეჭდილი ნაშრომი ისტორიულ რომანზე). პატარა მოცულობის მჭდრო სტატიაში ბევრი რამ არის საგულისხმო ფანრის განვითარებაზე ნახევარსაუკუნოვან პერიოდში, მაგრამ ამ დებულებათა შესავსებად კრიტიკოსის შეხედულებები ამ დროის რომანზე მის სხვა შრომებში უნდა ვეძიოთ. მას არ გამორჩენია არც ერთი ლირიკულების მქონე რომანი, არც ერთი მნიშვნელოვანი მწერლისა, რომ თავისი აზრი არ გამოეთქვას და არ გაეანალიზებინოს მათი რომანები.

მეოცე საუკუნის ქართულ რომანს ძირითადად სამ სახედ ყოფს: სოციალური, ფსიქოლოგიური და ისტორიული რომანი. კლასიფიკაცია, მოგებხენებათ, კონვენციურია, პირობითობას შეიცავს, რადგან რომანი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით კლასიფიცირდება.



ამასთანავე, რომ გავიაზროთ კრიტიკოსის მიერ რომანის არსის გაგება, აუცილებელია, გავხსენოთ მისი მიმართება ლიტერატურის და ხელოვნების სპეციფიკასთან, რეალიზმის პრობლემებთან, საესეებით ნათლად ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით რომანის, როგორც ჟანრის, წარმოქმნა ჰეგელის აზრით უშუალო კავშირშია იმ ეპოქასთან, როცა ირღვეოდა ძველი მითოლოგიური აზროვნების „Ursprünglich poetische Weltzustand“ და იწყებოდა ახალი რეალისტური აზროვნების, შემოქმედებითი მეოთხის, ფორმირება, რომელსაც აქვს ფართო და მრავალმხრივი შესაძლებლობანი, როგორც ობიექტის ასახვის, ისე საკუთარი მდიდარი არსის გამოვლენისა და განვითარებისათვის, ფართო ასპარეზი ხელოვნის საკუთარი ენერჯის, გემოვნების და მხატვრული მიდრეკილებების რეალიზაციისათვის. აქ უნდა ვეძიოთ საფუძველი რეალიზმის იმ ფართო და ღრმა გაგებისა, რომელიც ვლინდება მკვლევარის დამოკიდებულებაში ზოგადად ხელოვნებისა, და, კერძოდ, რომანის მიმართ. ეს აძლევს მას საშუალებას, მეოცე საუკუნის ქართული რომანი გაიაზროს თავის მრავალფეროვნებაში. სინამდვილის, სამყაროს ასახვის, ობიექტის როლის ღრმა გაგებასთან ერთად კრიტიკოსი საესეებით ნათლად გაიაზრებს მწერლის გამორჩეულ როლსა და მნიშვნელობას სახისა და ხასიათის, ზოგადად სინამდვილის, გარესამყაროსა და ადამიანთა საზოგადოებების ასახვაში. მკვლევარის ღრმა რწმენით „რომანისტიკის მხატვრული შემოქმედებითი მეთოდი, მისი ესთეტიკური მსოფლმხედველობა ყოველთვის ებჯინებოდა რეალისტურ მიმართულებას ლიტერატურა-

ში“ ... რომანის განვითარების განხილვისი შინაარსითა და სტრუქტურით ორგანულად არის დაკავშირებული რეალიზმთან და მისი მაგისტრალური ხაზი მხოლოდ ამ მიმართულებას მიჰყვება, გადახვევა დეფორმაციას და შინაარსობრივ ცვლილებებს იწვევს. „ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ვერც სიმბოლიზმმა და ვერც ფუტურიზმმა ვერ შექმნა რომანი“ („მნათობი“, 1961, №3, გვ. 112).

უნდა ითქვას ამ დროისათვის უკვე ფორმირებული ან ფორმირების პროცესის ბოლო ფაზაში იყო მოდერნისტული რომანის, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა – მოდერნისტული პროზის თეორიები. ჰერტრუდა სტიინის, ვირჯინია ვულფის, ნატალი საროტის ალენ რობ გრიეს და სხვათა კრიტიკულ წერილებში ან მათსავე რომანებში.

ეს ამბავი გაცილებით ადრე დაიწყო. გუსტავე ფლობერი, ბარათში ლუიზა კოლეხადმი, წერდა: „ვოცნებობ დავწერო რომანი არაფერზე“, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, ალენ რობ გრიე დაასკვნია: „ნამდვილ მწერალს არაფერი აქვს სათქმელი მკითხველისათვის“. შეიძლება ეს ორი გამოხატულებაში მოდერნისტული რომანის თავი და ბოლო იყოს, რის გამოც რ. ბარტი „ფრანგული სიმსუბუქით“ დაასკვნია: „რომანის პრობლემა სტილის პრობლემად გადაიქცა“. 1963 წელს ლენინგრადის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც რომანის საკითხებს მიეძღვნა, ნატალი საროტი ამბობდა: მართალია, ჩვენ, ფრანგი რომანისტები ვშორდებით „პუბლიკას“, მაგრამ ეს დიდ დანაკარგად არ უნდა ჩაითვალოს. „მწერალი წერს მხოლოდ თავისთავზე“. აქ საესეებით ბუნებრივი იქნებოდა მსჯელობის გან-



გრძობა: „და თავისთვის“. მკითხველი საბოლოოდ ქრება და ენა კარგავს, როგორც შემოქმედებით, ისე კომუნიკაციის ფუნქციას, ავტორი კმაყოფილდება ესსეს სტილით და არ ქმნის ახალ მხატვრულ სინამდვილეს, არ პყავს მხედველობაში მკითხველი და აქ ლოგიკური ფაქტი ხდება „ენის სიკვდილი“ (დ. კასპითი) ეს არის „ახალი რომანის“ და „ახალი ახალი რომანის“ ლოგიკური დასასრული. აქვე მთავრდება აბსურდის დრამაც. თუმცა პოსტმოდერნიზმში ვერავითარი გარკვეული ლიტერატურული მიმართულება ვერ გამოიკვეთა ჯერჯერობით და ტერმინიც და ცნებაც მთელი გარკვეულობით მხოლოდ იმას ამბობს, რომ ეს სწორედ „პოსტ“ მოდერნიზმია. არც კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების „მაგიური რეალიზმი“, სადაც ქალი, დღისით, მზისით პაერში დაფრინავს და ბიჭი გოჭის კუდით იბადება, არც აგრეთვე ჯ. ფაულზის „French Lieutenant Women“ ან დასავლურ კრიტიკულ ლიტერატურაში გამოვლენილი ნოსტალგია ჩვეულებრივი სოციალური რომანის გამო ჯერ კიდევ არ ნიშნავს რეალისტური რომანის აღორძინების დასაწყისს, თუმცა ეს სათანადოდ რომ გამოიხატოს ლიტერატურულ პროცესში, არ იქნებოდა რეალისტური რომანის მოულოდნელი გაჩენა Aus dem Nichts, W. Keiser-ის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა მოვლენას თავისი მიზეზი აქვს. ჯერჯერობით კი აღიბეჭდა მწვავე ნოსტალგია თუნდაც „სოციალური რომანის“ გამო.

მეოცე საუკუნის ქართული რომანის ხვა გზით ნავიდა. არ თმბოდა რეალიზმის პოზიციებს, რადგან ცხოვრება მრავალ პრობლემას წამოჭრიდა. ეროვნული ლიტერატურა ამ პრობლემებს ვერ განუდგებოდა. ამ პრობლე-

მების გვერდის ავლით ხარმოვდგებულა განვითარებულიყო რეალისტურ ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობილი ლიტერატურა, კერძოდ რომანი. ეროვნული ისტორიული და თანამედროვე პრობლემატიკა გახდა ქართული რომანის თემატური საფუძველი. მეოცე საუკუნის 30-იანი წლების მიჯნაზე ქართულ ლიტერატურაში რომანი იქცა ცხოვრების მხატვრული წარმოსახვის ძირითად საშუალებად. ეპიკური თანრის ეს ფორმა თავისი მოქმედების ასპარეზად ირჩევს, ერთის მხრით, წარსულს, მეორეს მხრით, აწმყოს დროის პრობლემატიკას“ (გვ. 115).

ეს დიდმნიშვნელოვანი დასკვნა იყო პოეზიის უპირობო პრიორიტეტს მიჩვეული მხატვრული აზროვნების ქვეყნისათვის. „ქართული რომანების ამგვარმა სიუჟეტმ მკითხველ საზოგადოებას მისცა განსჯის, დაფიქრებისა და გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალება. ეპოქის აქტუალურმა პრობლემატიკამ, რომელმაც ფრიად მკვეთრი გამოხატულება პპოვა ამ წლების რომანებში, გამოიწვია სალიტერატურო კრიტიკისა და საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლება“. ეს, ალბათ, ქართული რომანის განვითარებაზე იმ ოცნების განხორციელება იყო, რომელზედაც დაფინებით სისტემატიურად ლაპარაკობდა და წერდა არჩილ ჯორჯაძე საუკუნის დასაწყისში.

„მცირე პროზის დაძლევა“ და ვრცელი რომანის სარბიელზე გასვლა სწორედ რეალიზმის გზით განხორციელდა ქართულ ლიტერატურაში.

რეალიზმი, როგორც „მართლის თქმის“ პრინციპი, აპულეუსის „მეტამორფოზებიდან („ოქროს ვირი“) მაინც გენეტიკურად უკავშირდება სინამდვილის ასახვისა და გამოხატვის



პრობლემებს. სინამდვილე თვით ზემოქმედებს მეთოდზე. სამყაროს აღქმა, შეგრძნება და გამოხატვა დამოკიდებულია ჩვენი ცნობიერების განვითარების დონეზე. ეს ქეშმარიტება დაფიქსირებულია ასახვის თეორიის გენიალურ ფორმულაში: „სამყაროს სურათი არის სურათი იმისა, თუ როგორ მოძრაობს მატერია და როგორ აზროვნებს მატერია“. ეს – სურათი! მაგრამ თვით სამყარო კი სრულიად დაბოუკიდებელია ჩვენი ცნობიერებისაგან. სამყარო დიდია, რამდენიც არ უნდა უზუჭო თვალი, „ჩემი შეგრძნებების იქით არ არსებობ“, „იმდენად არსებობ ჩემთვის, რამდენადაც ჩემზე ზემოქმედებო“ – ყურს არ გათხოვებს, თავისი გზით მიდის, აუმღერეველი „Vorwertsgegangen“ (K. Jaspers) უკანდაბრუნების პრეცედენტს გამოიციხავს.

„მიხილ ჯავახიშვილს პქონდა განუსაზღვრელი ნდობა სინამდვილისადმი, ცხოვრებისადმი“ (დიმიტრი ბენაშვილი) მისი ყოველი მხატვრული იმპულსი ცხოვრებისაგან მომდინარეობდა, ცხოვრებით იყო ნაკარნახევი, ხოლო მხატვრული სახე რთული ცხოვრების ღრმა ანალიზით იყო ნასაზრდოები.

„სინამდვილისადმი ნდობა“ არა მხოლოდ მხატვრული მეთოდის პრობლემაა, არამედ სამყაროს ხედვის, მსოფლშეგრძნების ფილოსოფიური ობტივიზმის საფუძველია, რომელიც, კერძოდ, ჩანერგილია ქართველი კაცის ბუნებაში, მის ხასიათში და მხატვრულ შემოქმედებაში, ქართული მზიური ხასიათის განმაპირობებელია. იმდენი უბედურების მხილველი კაცი, როგორიც მიხილ ჯავახიშვილი იყო, სინამდვილეს ხედავდა, როგორც „ერთადერთ საყრდენს“ (დ. ბენაშვილი), სწამდა მისი და იყო მისი მსოფლმხედ-

ველობის, ადამიანური არსების მხატვრული შემოქმედების საფუძველი. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ მომენტს მიხილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში დიმიტრი ბენეშვილი სწორედ იმიტომ, რომ ეს არ იყო ერთეული, ერთი მწერლის რწმენის განსაკუთრებული გამოვლინება, არამედ ქართული მსოფლშეგრძნების, ქართული ბუნების და ხასიათის ზოგადი ნიშანი, რომელმაც თავი იჩინა საერთოდ ქართულ ლიტერატურაში და კერძოდ, უპირველესად მის გენიალურ წარმომადგენლებთან.

ბუნება, მთები და მდელი, მისი ხასხასა ფერები აღიქმება, როგორც ადამიანთა მოღვაწეობის, მისი ენერჯის გამოვლინების სფერო, როგორც ღვთიური შემოქმედება.

**„ჩვენ, კაცთა მოგვცა სამყარო გვაქვს უთვალავი ფერითა.“**

მაგრამ არა როგორც საჩუქარი, არამედ ადამიანის ადგილსამყოფელი და საცხოვრისი, მისი პრაქტიკის სფერო, კერძოდ, ესთეტიკური და მხატვრული სახელოსნო. ფერი აქ უზე ფერწერულ კოლორს არ აღნიშნავს მხოლოდ. ფერი ვიზუალურ ფორმას აძლევს ქვეყანას და მთელ სამყაროს. მხოლოდ ფერის საშუალებით შეგვიძლია აღვიქვათ გარემოს ფორმები, სამყაროს და ქვეყნის თვალხილული ხატი. ფერს თვალის ბადურა წარმოქმნის, მაგრამ ბადურაზე ზემოქმედებს ფერის სუბსტანტიის ფიზიკური ექვივალენტი. იქნებ ეს იყოს ამ მიმართებით ობიექტის და სუბიექტის ბინალური კონსტრუქციის, მათი შეპირობების და განუყრელობის ნიშანი, სუბიექტის მიმღეობის მარადიული წყარო, რომლის ნიაღში გამუდმებით და გულმოდგინებით ხორციელდება ხილული

და უხილავი სამყაროს განმაცვიფრებელი აქტი - მარადისობის დინება ბრძნული, ობიექტური. უღრმეს ქმნადობაში მას „არ რჩება“ არც ეთიკური და არც ესთეტიკური შეფასების დრო. „საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზეავისა“. - ამის ღქმა კი მხოლოდ სუბიექტს შეუძლია - ვაჟა ღვთიური სიმაღლიდან დასცქერის ბუნების ობიექტურ სურათს - „მანც კი ლამაზი არის, მანც სიტურფით ყვავისა“. ამის დანახვა, აღქმა და შეფასება მხოლოდ ადამიანის კომპეტენციაა, მე ვიტყვოდი: მისი ფუნქცია. მაგრამ სამყარო არა მხოლოდ ესთეტიკურ და მხატვრულ იდეათა სფეროა, არამედ ადამიანის დამოკიდებულების, მიმართების ველი, სადაც სუბიექტი უჭჭეულად ავლენს საკუთარ ინტენციებს. „ორი რამ არის ქვეყნად უეჭველი: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ზნეობრივი კანონი ჩემში (კანტი). მშვენიერის შეგრძნება ეთიკური პრობლემისა და სილამაზის იდეის რთული სუბიექტური ნაერთია. კაცთა უშუალო ადგილსამყოფელი, ქვეყანა უკვე სავსებით აღარაა მხოლოდ ესთეტიკური სამყარო და მხატვრული სახელოსნო, არამედ - რთული ცხოვრება. არა მხოლოდ სასიამოვნო მრავალფეროვნება, კაცთა ცხოვრების სალხინობელი, არამედ ადამიანის მკაცრი გამოცდა და მძიმე ბედი, რომლის გარეშე შუუცნობელი დარჩებოდა ღიმილი და ჭმუნვა, სიკეთე და ბოროტება, ტანჯვა და ნეტარება, სიხარული და ბედნიერება. სიხარულსა და ბედნიერებას დამსახურება უნდა. უნდა შეგეძლოს! შენ უნდა შეგეძლოს, თვითონ უნდა შეძლო, და არ ითხოვდე! ეს უნდა ახსოვდეს მარადჟამს პიროვნებას და ერს! პირველ რიგში ერს. ერის ცხოვრების გარეშე პიროვნული

ბედნიერება არ არსებობს, ხომ დევილი ბედნიერება. სილამაზითა და მშვენიერებით, ბრძოლითა და გარჯით, ტანჯვითა და წვალებით აღესილი ქვეყანა არის შენი სამშობლო თავისი ჭირით თუ ლხინით - სიკეთითა და ნაკლით.

**მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი.**

ესეც ყოველთვის უნდა ახსოვდეს ერსა და პიროვნებას. ადამიანების, გარემოს, მინის ნამდვილობის, რეალურობის შეგრძნება, ნდობა სინამდვილისადმი ბადებს სიახლოვის, ჩვეულის, მშობლიურის გრძნობას. ამ გრძნობებს ავითარებს რეალისტური ლიტერატურა და ხელოვნება, სადაც აისახება ბუნება და ადამიანები, ისტორია და თანამედროვეობა, გარემო და სული.

პეგელი შენიშნავდა - ერებმა პირველად ლიტერატურაში გააცნობიერეს თავიანთი თავი. ამასთან ლიტერატურის და ხელოვნების მიმართება ეროვნულ სინამდვილესთან უნდა გაეიაზროთ არა მხოლოდ ასახვის თვალსაზრისით, არამედ, როგორც ამ ეროვნული ისტორიის, კულტურის ნაწილი ონტოლოგიური მნიშვნელობით ისე, როგორც მ. ჰაიდეგერი ლაპარაკობს ბერძნულ ტაძარზე. ტაძარი არა მხოლოდ ასახავს ან გამობატავს ბერძნულ კულტურას, არამედ „ის არის მასში“. აქ შეიძლება ერთგვარად გათვალისწინებულია ტაძრის რეალური მოცულობა გარემოში, მაგრამ „ის არის მასში“ სავსებით ინარჩუნებს მნიშვნელობას აგრეთვე ლიტერატურაზე მსჯელობისას. ის აქაც სავსებით რელევანტურია. „ვეფხისტყაოსანი“ არის ქართულ კულტურაში, ისტორიაში - ის მისი ნაწილია. არა - სულია! თუ ვინმემ „ვეფხისტყაოსნის“ ხელყოფა გა-

დამყვიტა, მან კარგად იცის, რასაც აკეთებს – მას ქართული სულის განადგურება სურს.

ყოველივე ქართულის, მისი სიმბოლოს გაბიაბრუება, ისე, როგორც თამარის შეურაცხმყოფელის უკეთური მიზანი სიმბოლოდ გადაქცეული ქართული ხატის შეგინებაა. მტერმა კარგად იცის; საფუძვლებს უნდა მიაყენოს ჭრილობა.

თამარის ხატისა და „ვეფხისტყაოსნის“ ამ თვალსაზრისით გააზრება თვალსაჩინო მაგალითია მხატვრული კატეგორიების შეთანხმებისა ისტორიული რიგის კატეგორიებთან და არა მხოლოდ კულტუროლოგიური თვალსაზრისით.

ადამიანის სასიცოცხლო არის (Gebensraume) უჭჭველი ზემოქმედება ადამიანის აზროვნებაზე განსაკუთრებულ დასაბუთებას პოულობს მეცნიერთა უახლესი აღმოჩენების სახით ტვინის კოგნიტიური ფუნქციების შესწავლის გზით. მოძველებული ფილოსოფიური დასკვნები, რომ „მსოფლიო ქაოსში ადამიანის აზროვნებას შეაქვს წესრიგი“ სავსებით საფუძველს მოკლებულია ღმობნდა. არავითარი კოდირებული მარადიული ჭეშმარიტებები ტვინს არ გააჩნია. მისი დანიშნულებაა სასიცოცხლო არეში ადამიანის ადგილის პოვნის და შეგუების ფუნქცია. გარემო – საგნები და მოვლენები სისტემატიურად და სისტემატიურად ზემოქმედებენ ადამიანის აზროვნებაზე; ტვინის კოგნიტიური ფუნქციაა, აღმოაჩინოს ადამიანს მისი სასიცოცხლო გარემოს ობიექტური კანონზომიერებანი და დაამკვიდროს იქ ადამიანი. ამ იდეების ლოგიკური გაგრძელებაა სავსებით ახალი აღმოჩენები (D. G. P – დვალი, გაბადაძე, პორეტო), განვითარების თეო-

რიები, რომლებიც ადასტურებენ რომ სამყარო შეცნობადია. ეს უკანასკნელი აღმოჩენები კიდევ ერთი ბოლო და, ვფიქრობ, ყველაზე ძლიერი არგუმენტებია რეალისტური ასახვის სასარგებლოდ. ამავე მიმართულებით, სერიოზული დაფიქრების საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ უძველესი დნმ-იც კი არ ყოფილა უცვლელი.

დიმიტრი ბენაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული რეალიზმის, როგორც შემოქმედებითი მეთოდის უნივერსალურობაში, მაგრამ ამავე დროს ეს სრულიადაც არ ნიშნავდა მისთვის სხვა მეთოდთა უგულვებლყოფას. ლიტერატურული პროცესი, ისტორიის თვალსაზრისით, ცხადია, არ არის ერთგვაროვანი და ერთმნიშვნელოვანი. შემოქმედებით მეთოდთა სხვადასხვაობა შეპირობებულია ფილოსოფიური აზრის წინააღმდეგობრივი განვითარებით, აქედან გამომდინარე, სინამდვილესთან ხელოვნების დამოკიდებულების სხვადასხვა მიმართებით, ხელოვნების საგნის სხვადასხვა პოზიციებიდან განსაზღვრით. რეალიზმი, ცხადია არ არის ერთადერთი მიმართულება, ობიექტურად ლიტერატურულ პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა დროს, ან თუნდაც ერთდროულად. თუ ლიტერატურათმცოდნე მხოლოდ ერთ რომელიმე მეთოდს შეისწავლის, ასეთ გამოკვლევას, ცხადია, არ შეუძლია ლიტერატურული პროცესის მთლიანი სურათის მოცემა. პროფესორმა ბენაშვილმა ეს ძალიან კარგად იცოდა და დიდი პატივისცემით მოიხსენიებდა სხვა ლიტერატურული მიმართულებების წარმომადგენლებს: ბოდლერს, მალარმეს და ვერლენს კლასიკოსებს უწოდებდა. ეს იყო ლიტერატურის ისტორიკოსის პოზიცია. თუ ლიტერატურის კრიტიკო-

სი თავისუფალია თავისი სიმპატიების და მიდრეკილებების გამოხატვაში, ლიტერატურის ისტორიკოსი ვალდეზ ბულია გაითვალისწინოს ყველა მიმართულების მრავალნაზნაგოვანი მთლიანობა ლიტერატურული პროცესის სინქრონული და დიაქრონული სისრულისათვის. პროფესორმა ბენამვილმა შესანიშნავად იცოდა, რომ ხელოვნება არ არის ერთი ტიპის, ის მრავალფეროვანია და მის მრავალფეროვნებას ხელოვნების საგანი განსაზღვრავს. თუ რას აღიარებს ლიტერატურისა და ხელოვნების ესა თუ ის მიმართულება ასახვის საგნად, ან საერთოდ, მიაჩნია ასახვა ხელოვნების მიზნად, თუ ხელოვნების სპეციფიკად თვითგამოხატვას თვლის.

ქეშმარიტი ეროვნული ლიტერატურის ისტორიის შექმნა ან თუნდაც ერთი ლირებული ნაწარმოების მაღალ დონეზე განხილვა და შეფასება მოითხოვს მრავალი რაკურსის მომარჯვებას. ცალკეული მხატვრული თხზულების ჯერ ეროვნული, შემდეგ კი მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში გააზრებას. ამასთანავე, ყოველთვის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ორი ასპექტი: მსგავსი სპეციფიკური ნიშნების აღმოჩენა და აუცილებელი განსხვავების პოვნა მათ შორის თვითმყოფ მხატვრულ მნიშვნელობათა და სიდიდეების დასადგენად, საკუთარი მეცნიერული ინტენციების მიხედვით ეროვნული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ფიგურათა მხატვრული შემოქმედების გასაანალიზებლად. დიმიტრი ბენაშვილი არ უკრთოდა მაღალ მიზნებს. მას არ ახასიათებდა ცრუ თავმდაბლობა და ცრუ მოკრძალება, გაბედულად და თავამად ეკვეთებოდა უძნელეს ამოცანებს. მას შეეძლო თვალის გასწორება ბუნების და საზოგა-

დოების „აპორიებუჭან და ამ ძნელ საკითხებით დაინტერესებისას საესეზებით მიუღებელი იყო მისთვის „ბუტაფორიული პატრიოტიზმი“, ცხოვრების და ლიტერატურის უძირითადესი და უღრმესი კითხვების კვლევისას მიმართავდა უმაღლეს ეროვნულ ფასეულობებს, დიდ მწერლებს. ქართულ ლიტერატურას ნარმოიდგენდა ერთ მთლიან სიდიდედ, თუმცა კი კარგად ესმოდა დროის კატეგორიის გადამწყვეტი მნიშვნელობა, მწერლობის ისტორიისათვის, ქეშმარიტების გარკვევისათვის, ზნეობის, ეთიკის, ესთეტიკის ურთიერთმიმართების, ურთიერთკავშირის გამოვლენის და ამავე დროს მათი დამოუკიდებელი, თვითმყოფი ბუნების გარკვევისათვის.

ერის კულტურასთან, ქართული ლიტერატურის ისტორიასთან მისი დამოკიდებულება გამოიკვეთა როგორც მთლიანისადმი, ერთიანისადმი. მის აზროვნებაში ქართული მწერლობა არ იყო ცალკეულ პერიოდებად განმხოლოებული. ამიტომ მისი კვლევის საგანი იყო როგორც ძველი, ისე ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა. მკვლევარის პოზიცია მაქსიმალისტური იყო. კვლევის საგანს ირჩევდა იმ უმნიშვნელოვანესი და უმაღლესი, ეროვნული სიმდიდრიდან, რაც კი ქართულ ლიტერატურას და კულტურას გააჩნდა. რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგი, ვალაქტონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიჩელი, პოლიკარპე კაკაბაძე, სერგო კლდიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, კოლაუ ნადირაძე და სხვ.

ერთგვარი ნარმოიდგენა მისი შემოქმედებითი ინტერესების ამ ასპექტსაც შეუძლია ნარმოქმნას. კერძოდ,



სახისა და ხასიათის პრობლემის ნა-  
მოჭრა „ვეფხისტყაოსანში“ უკვე ნიშ-  
ნავდა წმინდა ფილოლოგიური კვლე-  
ვის საზღვრების გარღვევას და ესთე-  
ტიკური ფენომენის წინ წამოწევას,  
რაც თავისთავად იყო უკვე დიდი მიღ-  
წევა მიუხედავად იმისა, რომ ამ წამოწ-  
ვებამ დამსახურებული განგრძობა  
ვერ პოვა. მიუხედავად დიდი და მნიშ-  
ვნელოვანი ლიტერატურის არსებო-  
ბისა „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ  
ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში,  
გენიალური თხზულების ინტერპრე-  
ტაცია ძირითადად კვლავ რჩება ფი-  
ლოსოფიური სისტემების მხატვრულ  
სახეებად გარდათქმის განმარტებათა  
დონეზე, იმის ჯეროვნად გაუთვალის-  
წინებლად, რომ მხატვრული ნაწარმო-  
ების ფილოსოფია სულ სხვა ფილოსო-  
ფიაა და არ არის ფილოსოფიის, რო-  
გორც საგნის იდენტური. ამიტომ  
რუსთაველი სხვადასხვა მსოფლმხედ-  
ველობის „გამტარებლის“ დონეზეა  
ინტერპრეტირებული მანიქვეელობი-  
დან არეოპაგიტიკამდე. ამიტომ ვფიქ-  
რობ, რომ იქნებ დიმიტრი ბენაშვილის  
მიერ წამოჭრილი პრობლემა ჯერ კი-  
დეც გადაჭრას მოითხოვდეს და გამგ-  
რძელებლებს ელოდეს, ან თუნდაც  
დასაბუთებულ უარყოფას.

ეროვნული ლიტერატურის ერთი-  
ანობის და მთლიანობის პრობლემა გა-  
აზრებულია ენის, სტილის და მსოფლ-  
შეგრძნობის სფეროებში. თუმცა ეს  
მთლიანობა არ შეიძლება განხილულ  
იქნას უძრაობის და მუდმივი ერთგვა-  
რობის პირობებში. პროფ. დიმიტრი ბე-  
ნაშვილი მას მოიაზრებს, დინამიურ,  
განვითარებად მთლიანობად. პერიო-  
დების გამოყოფა განსაზღვრულ ნიშ-  
ნებს და ეპოქალურ მახასიათებლებს  
ეყრდნობა. მაინც შესაძლებელია.  
მწერლობის ისტორიას პროფ. დიმიტ-

რი ბენაშვილი წარმოიდგენდა არა რო-  
გორც ერთგვაროვან „თოქს“ – არამედ  
როგორც კარგად გამოკვეთილი რგო-  
ლებისაგან შემდგარ ჯაჭვს.

დიმიტრი ბენაშვილს კარგად ჰქონ-  
და შეცნობილი საკუთარი ნაშრომების  
მნიშვნელობა, მაგრამ რადგანაც  
ღრმად ესმოდა ობიექტის შესწავლის  
რთული დინამიკის კანონზომიერი  
მოვლენები ისტორიული გზის ვრცელ  
და შორეულ გადასარბენზე, თავისი  
გამოკვლევების დასკვნითი დებულე-  
ბის ფორმირებისას საკმაოდ ხშირად  
იმეორებდა, რომ ქართველი მწერლე-  
ბის შემოქმედებაში უთუოდ აღმოჩნ-  
დებოდა ახალი რაკურსები, ტექსტე-  
ბის ხელახალი ნაკითხვის საფუძველ-  
ზე, რაც აუცილებელი გახდებოდა მო-  
მავალში და მეცნიერთა ახალი თაობე-  
ბის ძალისხმევას მოითხოვდა. ეს კი  
ახალი ასპექტით წარმოაჩენდა ჩვენთ-  
ვის უკვე ცნობილ თხზულებებს და  
მხატვრულ ფასეულობათა ახალ მნიშ-  
ვნელობებს დაადგენდნენ, თუ გავით-  
ვალისწინებთ როლან ბარტის მოსაზ-  
რებას, რომ „განუმოურება მნიშვნელო-  
ბათა დედაა“. ამ დროს ტექსტი, რო-  
გორც ობიექტი, ინარჩუნებს ავთენ-  
ტიურობას, მაგრამ თავისი იდეოლოგი-  
ური არსით იცვლება სუბიექტი. ეს ში-  
ნაგანი მექანიზმი მოქმედებს ახალ  
მნიშვნელობათა წარმოქმნის პროცეს-  
ში.

დიმიტრი ბენაშვილი თავის ნააზ-  
რებს გადაჭარბებულად არ აფასებდა,  
მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ გან-  
საკუთრებით XX საუკუნის მწერლო-  
ბისადმი მიძღვნილი ნაშრომები უთუ-  
ოდ გამოადგებოდა ქართული ლიტე-  
რატურის ისტორიის სისტემატიური  
კურსის შემქმნელთ.

პროფ. დიმიტრი ბენაშვილი ხე-  
ლოვნების ზოგადი კანონებით ესთე-

ტიკის პრინციპებით მეცნიერულ ოპერირებას ბუნებრივად უთავსებდა ინტუიტურ მიგნებებს, გულის სიბრძნეს, ყურს უგდებდა საკუთარ სინდისს და რწმენას, რაც ხელს უწყობდა ეროვნული საუნჯის სიღრმეების წვდომაში. სავსებით მართალი იყო თავისთავთან, როცა წერდა: „შეიძლება შეგვედავონ ამა თუ იმ საკითხის ინტერპრეტაციის დროს, მაგრამ ბრალს ვერავენ დაგვდებს არაგულწრფელობაში“. იგი ყველაზე ნაკლებ ემორჩილებოდა იდეოლოგიურ წნეხს (ცნობილია, პირდაპირი კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, თბილისიდანაც მოუხდა წასვლა ხევში, სადაც, სხვათა შორის, შეხვდა ცხოვრების თანამგზავრს, ქალბატონ ვერას). იგი წერდა მშობლიური ქვეყნის, ერის, მისი მწერლობის უღრმესი სიყვარულით გულგამთბარი, ვერ იტანდა „ბუტაფორიულ პატრიოტიზმს“, ყურს უგდებდა ერის წარსული და თანამედროვე

ცხოვრების რიტმს, როგორც მისი ჭირისა და ლხინის, მისი ძნელბედობის ჭირისუფალი, ერის მთელი ისტორიის, ლიტერატურის და ხელოვნების მადლით დაბრძენებული მოაზროვნე-კრიტიკოსი და მკვლევარი, რომლის მიზანი დიდი მწერლობის მხატვრული ქმნილებების სიღრმის წვდომა, ქეშმარიტების აღმოჩენა, ბუნებისა და ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების სიღრმისა და მშვენიერების ხილვა, განცდა და მეცნიერულენაზე თარგმნა იყო.

ასეთი კრიტიკოსი, მკვლევარი და შემოქმედი გახლდათ დიმიტრი ბენაშვილი.

რაც უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლიან XIX და XX საუკუნის ქართულ მწერლობას, მნიშვნელობათა დადგენის თვალსაზრისით, მთ უფრო გაიზრდება მისი, როგორც კრიტიკოსისა და მოაზროვნის მნიშვნელობა.



## გელა ოდიკაძე

### „გარეუბანი“

ირაკლი სამსონაძე ცხოვრებაზე მოსაუბრე მწერალია. რა თქმა უნდა, ყველა მწერალი ცხოვრებაზე საუბრობს, მაგრამ ზოგჯერ წინა პლანზე ლიტერატურული თამაშია წამოწეული. ზოგჯერ თხზვის პროცესი ისე იტაცებს მწერალს, რომ მთლიანად წარმოსახვაში კი არა, ფორმადქმნადობაში გადადის. წარმატებულია თუ წარუმატებელი რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ეს ქმნადობა, ახლა არ არის არსებითი. უბრალოდ, ნათელი უნდა იყოს ერთი რამ: ემპირიული რეალობისაგან მონყვეტილი ნაწარმოები უინტერესოა. ასეთ დროს მწერლობა ლაბორატორიაში ჩატარებულ ცდას ემსგავსება.

ამგვარი მომენტისგან დაზღვეულია ირაკლი სამსონაძის მოთხრობები. აქ საკმაოდ მჭიდროდ არის შორგებული ფორმა და სათქმელი ერთმანეთს. მეტიც – მწერალი კრგად მიგნებული ფორმის მეშვეობით თავის გამოცდილებას გვიზიარებს. სწორედ ეს გამოცდილება, ცხოვრებისეული ვითარების შერჩევა, ადამიანებზე დაკვირვება, მოვლენათა თავისუფალი გააზრება ქმნის ირაკლი სამსონაძის პროზას.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით: წიგნი „გარეუბანი“ მთლიანად დღევანდელ სინამდვილეზეა დაწერილი. დღევანდელი ცხოვრებისეული რეალიები კონკრეტულობას და

საგნობრივ ხელშესახებობას ანიჭებს მოთხრობების კრებულს. ხშირად ეს სინამდვილე დრამატულიც არის და მტიკიენეულიც.

ვთქვათ, მოთხრობაში „ხმა მიწიდან“ ქალაქის გარეუბნის (ამ გარეუბნის განწყობილება გადააკრავს მთელ წიგნს) პეიზაჟია აღწერილი. ეს პეიზაჟი ნაცრისფერია და მდორე, სტატიკური და უმოძრაო. აქ კორპუსებია, კვარტლებია, დიდი მიწდვრებია და ამ მიწდვრებზე აყრანტალეული ყვავები. ზამთარია. ეს მხოლოდ ურბანისტული ლანდშაფტი არ არის, ეს ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გამომხატველი შტრიხებია: „შენ და გარემოცვა ერთმანეთზე ზემოქმედებთ და საბოლოო ჯამში ერთმანეთს ემსგავსებით. არა, ის გიმსგავსებს, რადგან ის დიდია, თვალუნვდენელი და ყოველდღიური. შენ კი პატარა ხარ, იმდენად პატარა, რომ კოლბაში ეტევი. ვერ გაანგრევ ამ მიწას. აღარ ფიქრობ ამაზე; შეეგუე კიდეც, რომ აზრი არა აქვს ბრძოლას და შეგუებაც დამთრგუნველად მოქმედებს შენზე. ეს აღარ არის ზამთარი. ზამთარი სხვაა. ზამთარი ლოყებს უნდა გწვავდეს სიჯანსაღით“.

მოთხრობის ლირიკულ გმირს აფეთქებული კვირტის დანახვა ენატრება. მაგრამ მას უკვე სხვა აფეთქების ხმა ესმის. ამ ფრაგმენტში ცნობიერების ნაკადი ოსტატურად გადადის



ერთი აფეთქებიდან მეორე აფეთქებაზე. ეს მეორე აფეთქების ხმა კი მინიდან აღწევს. ეს არის „მძიმედ დაძრული ხმა მინიდან“. კაცი მეშვიდე სართულიდან გადმოხტა და მიწას დაასკდა. ყრუ, დამთრგუნველი ხმა პირქუში ლანდშაფტის ლოგიკური დაბოლოებაა.

შთამბეჭდავი მოთხრობაა „ორნი ყველას წინააღმდეგ“. გოჩა და ნიკო, ორი თითქოსდა ერთმანეთისაგან განსხვავებული ტიპი ცხოვრების რომელიღაც გზაჯვარედინზე ერთმანეთს დაემსგავსა. „მონაფეობის ხანაში არ ძმაკაცობდნენ. სტუდენტობისას მით უმეტეს. სამი თუ ოთხი წლის წინ აღმოაჩინა ნიკომ გოჩა, გოჩამ კი ნიკო, რადგან სწორედ მაშინ შეუდგნენ ლოთობის ერთფეროვან, მომქანცველ გზას“.

გოჩა და ნიკო, მართლაც, ლოთი კაცის ერთფეროვან ცხოვრებას ეწევიან. თანდათან არა მარტო მათი ცხოვრების წესი ხდება საზიარო, არამედ მსოფლმხედველობაც. ეს მომენტი მწერლის მიერ ზუსტად არის მიგნებული და დამაჯერებლადაა დახატული. კლასელის დაბადების დღეზე მისულები, თავს მაინც უცხოდ იგრძნობენ და ასე გაუცხოებულები, საკუთარ ნაჭუჭში გამომწყვდეულები, უკანვე ბრუნდებიან. საინტერესო ისაა, რომ ისინი ყოველთვის უძებნიან გამართლებას თავიანთ ცხოვრების წესს. ამ ხასიათით განსხვავებულ ადამიანებს შორის ჩუმი თანხმობა არსებობს.

საინტერესო მოთხრობაა „კაცი და ჩიტი“. კაცი გახვევებული ზის ტელევიზორთან და ინფორმაციებს „დასდევს“ არხიდან არხზე. ის თითქოს ამ რეალობაში აღარ ცხოვრობს და ისე გახვევდება, რომ ჩიტი აჯდება თავზე, რასაც მისი ისტერიული სიცილი მოპ-

ყვება. მოთხრობა ერთგვარად ვიფრების თუ გაკვირვების ინტონაციით არის დაწერილი. ასეც მთავრდება. „არ მესმის, რა არის ამ ამბავში განსაკუთრებული. რა აცინებს ამ კაცს იცინის და იცინის. იცინის და იცინის. ვერ გავიგე. ნამდვილად ვერ გავიგე. გაფრინდები ჩიტებთან და ის იქნება“.

„გარეუბანში“ შესული ყველა მოთხრობა, გარკვეული აზრით, მედიტაციურია, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, ლირიკულ-მედიტაციური. ყოველი მოთხრობა ადამიანის თავისებური სულიერი მოძრაობის, მისი მოქმედების, ფსიქიკური მდგომარეობის განჭვრეტაა, მხატვრული ანალიზია, ვითარების გარკვევის, სიღრმეში წვდომის სურვილითაა აღძრული. ამავე დროს, ძალდაუტანებლობა, ლაღი შესრულება, სისადავე და სრულიად თავისუფალი დამოკიდებულება სიტყვასთან, არა მხოლოდ ლირიკული სიხალასის შთაბეჭდილებას ქმნის, არამედ სისავსისას. ეს სისავესე მთავარზე მეტყველებს – მწერალს აქვს სათქმელი, რომელსაც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ამბობს.

სწორედ ლირიზმი და გონებისშიერი განჭვრეტაა ერთად თავმოყრილი მოთხრობაში „ბებო, ეპ, ბებო“. აქ ჩვენი უბადრუკი, გაჭირვებული ყოფა აღწერილი, თუმცა მხოლოდ ამაზე არ ჩერდება, უფრო შორსაც მიდის მწერალი.

მოთხრობის გმირი ალექსანდროვის ბაღში მიაბიჯებს. ნათელი დღეა: „არც თოვლია, არც წვიმაა, არც ქარია“. ხანდაზმულ ქალს მიწაზე თავშალი გაუშლია და ზედ წიგნები დაუწყვია, ყიდის. ერთი პურის ფასად – ორმოცდაათ თეთრად. აი, ეს წიგნებიც: „ძირითადად საბავშვო ლიტერატურა – სამი მუშკეტერი. ქართული ხალხუ-



რი ზღაპრები. ჩეხური ზღაპრები ქართულ ენაზე. სახურავის ბინადარი კარლსონი და პეპი – გრძელი წინდა ერთ წიგნად. ლურსმანა. მავგლი. ბროშურა – ქართული ფუტკარი. ძველისძველი სახელმძღვანელო ფიზიკაში“ და სხვ. ყოველივე ამას რომ გადახედავს, მოთხრობის გმირი აგრძელებს გზას, მაგრამ გრძნობს, რომ რაღაც უცნაური ნაღველი დაეუფლა. ეს ნაღველი მხოლოდ მოხუცი ბებოსადმი თანაგრძნობით არ არის გამოწვეული. საქმე ისაა, გაყვითლებული წიგნები უკვე გარდასული დროის ფერმკრთალი ნიშნებია. არის კიდევ რაღაც, რაც ნაღველიან ფიქრებს იწვევს: „იმ საბავშვო წიგნებს თავის მკითხველი ჰყავდა და აღარა ჰყავს, არა ბებო? ჰო, ჰყავდა. აღარა ჰყავს. ეჰ! მოვიდა ეს – ეჰ! მე მივდივარ. ახლა მართლაც ჩემთვის მივდივარ. მე ვარ ამ დღის მიღმა თუ ეს დღე დარჩა ჩემს მიღმა, არ ვიცი“.

მოთხრობა „შეება“ დღევანდელ სილატაკეს ეძღვნება. ამ სილატაკეში ჩავარდნილი დედა-შვილი ერთმანეთს ანუგეშებს და გულს უმაგრებს. რეალობა იმდენად მკაცრია, რომ დედა უკვე წარმოდგენაში ცხოვრობს, თავს იტყუებს სასიამოვნო ტყუილებით, თითქოს ფული იპოვა და ამ ნაპოვნ ფულს მთელი სერიოზულობით ანაწილებს. მერე ვაფს და რძალს შესჩივის: „ის კი არა, ვანაწილებ კიდევ იმ ფულს,

მაინც რომ არ მყოფნის ოხერი... – იცინის რძალი. – აბა, აბა – იცინის ქალი“. ეს შესანიშნავი დეტალია. აშკარად ჩანს, რომ ადამიანები დამორგუნველ რეალობაზე მაღლა დგებიან და გამოსავალს ურთიერთგამხნეველში პპოვებენ.

ირაკლი სამსონაძის მოთხრობების პერსონაჟები კეთილშობილი ადამიანები არიან, რომლებიც ცხოვრების ლაბირინთში მოხვედნენ და გზის გაგნებას ცდილობენ.

წიგნში შესული ათი მოთხრობა ცალკეული მეტყველი დეტალების სიუხვით გამოირჩევა. პროზა მართლაც დეტალების ხელოვნებაა და თუ წარმოსახვის სიძლიერეზე და ფანტაზიის მრავალფეროვნებაზე ვისაუბრებთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე ეს მახვილგონივრული და მეტყველი დეტალების სიმრავლეში იჩენს თავს. დინამიკური, „მოძრავი“ და „მოქნილი“ სტილი, რომელსაც ირაკლი სამსონაძემ მიმართა (ან რომელიც ძალდატანების გარეშე თვითონ სათქმელმა მოიტანა), სხვა ნიშანდობლივ შინაარსობრივ და ფორმალურ მხარეებსაც უყრის თავს.

ირაკლი სამსონაძის მოთხრობების კრებული „გარეუბანი“ სერიოზული მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში და ამიტომაც, იმედი მაქვს, უფრო ვრცელი საუბრის თემატ გახდება.



## ჯემალ მჭედლიშვილი

### როსა მართალ ხარი

ილიასა და ვანო მარაბლის ერთი უპრეცედენტო პოლემიკის შესახებ\*

... 1891 წელს, ვანო მარაბელი კვლავ ახალი გაზეთის გამოცემისთვის იბრძვის. მიაღწია კიდეც მიზანს, მაგრამ ნებართვა ამჯერად სამეცნიერო-სალიტერატურო ორგანოს გამოცემას ითვალისწინებს. ასე იბადება „კვალი“, რომელიც 1892 წლის ბოლოს, საახალწლოდ იწყებს გამოსვლას. მაგრამ დიდ მამულიშვილს კვლავ ლალატი ეგებება წინ, ესოდენ ნაჩვევი, სხვათა მიმართ გამოჩენილი ერთგული თანადგომის პასუხად. ცნობილი მოღვაწე ევ. იოსელიანი იგონებს:

„ვანო დიდი ხათრიანი და მოსიყვარულე ადამიანი იყო... თუ ვინმე გაჭირვებული მიმართავდა მას, ყველა ღონეს ხმარობდა შემწეობა აღმოეჩინა... იყენებდნენ მის ცოდნას, გამოცდილებას და როცა ამა თუ იმ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ, მას გვერდით ტოვებდნენ. ასე მოატყუა იგი ვლ. მიქელაძემ, როცა დააარსეს სასოფლო-სამეურნეო ბანკი: როცა წესდება დამტკიცდა და ნევრებიც საკმაოდ ჩაენერნენ და ფულიც შეტანილი ჰქონდათ, ვლ. მიქელაძემ /მი/მართა ჩვეუ-

ლებრივ ქუთათურ ხრიკსა და ისე მოხერხებულად ისარგებლა, რომ მარაბელ/ს/, რომლის ინიციატორობით არსდებოდა ბანკი, თავი უნდა დაენებებინა სამეურნეო ბანკისთვის და განზე გამდგარიყო; ბანკის /მ/მართველობა ერგო მიქელაძეს.

ასეთივე ხრიკით მოექცა გიორ. ექვთ-ძე წერეთელი ვანო მარაბელს. ორთავე/მ/ ერთად – ვანომ და გიორგიმ – განიზრახეს ყოველ კვირეული ნახატი ჟურნალის გამოცემა; დაიშუშავეს პროგრამა, მიიღეს ნება გამოცემისა და როდესაც ყველა მხრით მზათ იყო ჟურნალის გამოცემა, გიორგი წერეთელმა რაღაც მიზეზის გამო დაისაკუთრა ჟურნალი, მარაბელი უნდა ჩამოშორებულიყო“!

1893 წელი განსაკუთრებული უსამოვნების მომტანი აღმოჩნდა ვანო მარაბლის ცხოვრებაში; თუმცა იგი სინამდვილეში ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაიწყო, როცა საქართველოში შემოჭრილმა პოლერის ეპიდემიამ საყვარელი ძმის, ვასოს მუუღლე, ნინო ვეზირიშვილი და ათასობით თანამემა-

\* ნარკვევი ამოღებულია წიგნიდან „მარაბელზე ლეგენდების გარეშე“, რომელიც იმე-  
დია, მალე გამოვა. – ავტორი.



მულე იმსხვერპლა, ხოლო თანამზრახველთა და სხვა „მაჩაბლისტთა“ გადანყვეტილებით ილიას „გასაშავებლად“ დაწერილი ბროშურა „თავადი ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა“, მიუტევებელ ცოდვად ექცა და ამაშიც მისი გულლიაობა და პირდაპირობა თამაშობდა გადამწყვეტ როლს. მაგრამ რა გინდა, ამ ნაბიჯმა სამუდამოდ გააცია მის მიმართ დიდი ილიას გული, რომელშიც, მიუხედავად ურთიერთ უმძრახობისა, კვლავ ბოვინობდა მაჩაბლისადმი პატივისცემის გრძნობა.

„მაჩაბელი ერთფეროვანი იყო, ამასთან ბავშვივით გულახდილი, ალალმართალი, - იგონებს იაკობ მანსვეტაშვილი. - ავინყდებოდა, რომ ბევრჯერ თქმა სჯობს არა თქმისა, ბევრჯერ თქმითაც საქმე გაფუჭდება. რაც გულში ჰქონდა, პირზედაც ის ეკერა... ილია სულ სხვა იყო: დინჯი, აუჩქარებელი, გულის არ ამყოლი. მინამ სიტყვა მოსწყდებოდა, მრავალჯერ მოფიქრებული, ანონ-დანონილი უნდა ჰქონოდა... ხან თუ მედგარი იყო, ულმობელი, შეუპოვარი, ხან უკან დახევაც, - საცა არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა ვაჟკაცისაგან, - კარგად ჰქონდა ილიას შეთვისებული...“

ილიას და მაჩაბლის დაფნის გვირგვინები მოსვენებას არ აძლევდნენ სხვებსაც, რომელნიც თავიანთ თავს დიდ ორატორებად სთვლიდნენ. ჩაპბერეს სტვირის გუდას, მოხსნეს პირი და წარმოსქდა დაუსრულებელი ლაპარაკის ნიაღვარი.<sup>2</sup>

1893 წლის 15-30 ივლისს ჟურნ. „მწყემსი“, „ახალი ამბები და შენიშვნების“ სათაურქვეშ რამდენიმე ინფორმაცია გამოქვეყნდა, რომელთაგან ერთ-ერთი იტყობინებოდა, რომ „ივერიას“ დაუნყია ხელმოწერა შემოწერილობებზე, რომელიც გამიზნული

ყოფილა შოთა რუსთაველის ასაგებად. ანონიმი ავტორი იტყობინება, რომ აღნიშნული ძეგლისთვის ფულის შეგროვება ჯერ კიდევ 12 წლის უკან დაწყებულია გაზ. „დროების“ მიერ და კიდევაც შეგროვილა 200 თუმნამდე; შემდეგ, როცა „დროება“ ს. მესხისგან ი. მაჩაბელმა შეიძინა, „სხვა მოვალეობასთან ერთად ხომ არ გადასულა ბ. მაჩაბლის ხელში ზემოხსენებული საგნისთვის მოგროვებული ფულიც?“ - კითხულობს იგი და დასძენს: თუ გადავიდა, „დღეს იგი ნამთავნით იქნება დანიშნულებისამებრ მოზადებული, რადგან ყველამ კარგად ვიცით ბ. მაჩაბლის საზოგადო საქმისთვის გულშემატკივრობა და უანგარო პატიოსნება. და თუ მის ხელში არ გადასულა ის ფული, მაშინ ყოველივე იმედი უნდა გადავინმინდოთ მისი კვალის პოვნაზედაც კიო“...<sup>3</sup>

ინფორმაციას გაზ. „ივერიიდან“ დაუყოვნებლივ, თანაც ძალზე მკაცრად გამოეხმაურა იოსებ მელიქიშვილი, რომელიც სასწრაფოდ თხოულობდა „მწყემსის“ რედაქტორისგან „დროების“ იმ ნომრის დასახელებას, სადაც გამოცხადებული იყო შემოწინრავთა სია.<sup>4</sup>

ამავე წლის „მწყემსის“ მე-17 ნომერში კიდევ ორი წერილი იბეჭდება ამავე თემაზე რედაქტორის შენიშვნითურთ. პირველის ავტორი, ვანო მაჩაბელი, ახსენებს რა რედაქტორს იმ წერილის შინაარსს, რომელიც რუსთაველის ძეგლისთვის ფულის შეგროვებას ეხება „დროებაში“ მისი რედაქტორობის დროს, ირწმუნება, რომ მსგავსი რამ არ მომხდარა და რუსთაველის ძეგლის ასაგებად არა თუ მის დროს, „რაც დაჭეშმარიტებით ვიცი, არამედ არას დროს ჩემს წინადაცო“, არავის უთავია და არც არაფერი შეგროვილაო, ამასთან სთხოვს სხვა გაზეთებს,

რომელთაც ეს მცდარი ცნობა გადაბეჭდეს, გამოაქვეყნონ მისი წერილის შინაარსიც.

მეორე წერილი ილია ჭყონიას ეკუთვნის, რომელშიც იგი აღიარებს, რომ დაუსვა შეცდომა „მხოლოდ ხელის-მონერის საგნის დასახელებისა და ფულის რაოდენობის აღნიშვნაში“ და დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ხელმონერა ჩატარდა 1880-1883 წელს და არა რუსთაველის ძეგლის ასაგებად, არამედ მარი ბროსეს პრემიის დასაარსებლად და შეიკრება კიდევ ექვსასიოდე მანეთით... ამასთან უკიფინებს: „როცა ს. მესხმა გადასცა „დროება“ პატივცემულს თ. ი. მაჩაბელს, მაშინ ამ ფულების დანიშნულებისამებრ მოხმარება დაევალა ამ უკანასკნელსო.“

რედაქტორი ბოდის იხდის ავტორის შეცდომისთვის და მოითხოვს დასახელდეს, თუ ვის აბარია კონკრეტულად ეს თანხა.

„ივერიის“ 210 ნომერში კვლავ იბეჭდება ი. მელიქიშვილის წერილი, რომელშიც იგი გულმოსული, რომ ჭყონია ვერ ასახელებს „დროების“ ნომერს, სადაც ხელისმონერთა სიაა გამოცხადებული, მოითხოვს: „ასე დაბეჯითებით წერა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ჯიბეში გექნებათ საბუთები. და რაკი თქვენ არაფითარი საბუთი არა გქონიათ, თქვენმა საქციელმა დაუსჯელად არ უნდა ჩაიაროსო“ და მიუთითებს ს. მესხის ხსოვნის შეურაცხყოფაზე.

სწორედ „მწყემსის“ მე-17 ნომერში დასტამბული წერილები გამოაქვეყნა „კვალმა“, ისარგებლა რა მაჩაბელის თხოვნით – ჩემი წერილი გადაბეჭდოს ყველა იმ გაზეთმა, ვინც ის ცნობა გამოაქვეყნა, რომელიც მე მადანაშაულობდაო და მიუხედავად იმისა, რომ ეს „ცნობა“ „კვალს“ არ დაუ-

ბეჭდია, მაინც აქვეყნებდა მისი წერილი და მასთან ერთად ჭყონიას ინფორმაციასაც, რომელიც ბროსეს პრემიისათვის შეგროვილი თანხის მაჩაბელზე გადაცემას იუწყება და „სოლიდარობისთვის“, „მწყემსის“ რედაქტორის შენიშვნასაც (წერილები ასე იწყება: „მწყემსის“ მე-17 №-ში სწერია“ და ა. შ.).

„კვალის“ რედაქციის ეს არაფურნალისტური „ტრიუკი“ შემთხვევითი არ ყოფილა. მანამდე, მან, 34-ე ნომერში გამოაქვეყნა ვითომდა „სახუმარო-გასართობი“ ლექსები, რომელთაგან ერთ-ერთი ვანო მაჩაბლის მისამართით იყო მიმართული... ამ ლექსში ავტორი ვანოს კაჭკაჭად ნათლავს და „კვალის“ სალაროს დაპატრონებაში სდებს ბრალს. აი, ისიც:

„ჩვენ „აქმა“! არავისთვის გვითქვამს,  
„კაჭკაჭის“ მეტისთვისაო;  
თავი ნაილო ჩხავილით,  
ან თქვენკენ გადმოფრინდაო;  
კლიტე მოგვტაცა კასისა,  
ველარ გავალეთ ისაო;  
„კაჭკაჭი“ თქვენვე იტვირთეთ,  
კლიტე მოგვეცით, – გვინდაო.“

პოეზიის ეს „შედეგრი“ პირველი ცილისწამება იყო მაჩაბლისადმი, რომელსაც „კვალმა“ ი. ჭყონიას „მწყემსში“ გამოქვეყნებული ბრალდებაც მიუსვა გვერდით. აღნიშნულმა პასკვილებმა მთელი მონიანვე საზოგადოება ალაშფოთა, რომელმაც კარგად იცოდა ვანოს პატიოსნება, აგრეთვე ის, რომ მას „დროება“ მის ვალებთან ერთად ჰქონდა ჩაბარებული და აბა, საიდან მიეცემოდა ეს ფული! მითუმეტეს, „კვალის“ სალაროს „ქურდობაში“ ბრალისდება წარმოუდგენელი სიცრუე რომ იყო, მაგრამ მარტო მათი გააზრება არ შეელოდა საქმეს, თავის გამართლებას მოითხოვდა „სენსა-

ციებით" მცხოვრები „საზოგადოების“ უმეტესობა, რომელიც სათავადაზნაურო ბანკის სხდომებზეც იმიტომ დადიოდა ილია-მაჩაბელს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების სერიის საცქერ-მოსასმენად, რომ იგი გასართობ სპექტაკლად მიაჩნდა და უსაქმობით გაგრძელებულ დროს ამაში ჰკლავდა! მაგრამ, დავუბრუნდეთ „მწყემსის“ პუბლიკაციებს...

მე-18 ნომერში იბეჭდება ვანო მაჩაბლის მორიგი წერილი, რომელიც ბროსეს პრემიისათვის ნაგროვებ თანხას ეხება და თავისებური აღსარებაა მისი მხრიდან. იგი ყვება, თუ როგორ გადასცა 1883 წლის 1 მაისს „დროება“ „ოთხმეტეტი წლის უმადური შრომის შემდეგ“ ს. მესხმა, „რომელთან ერთად ექვსასი თუმანი ძველი ვალი გაზეთისა კისრად დამედო. ამ ვალში სტამბისა, ქალაღისა, ასოთ-ამწყობებისა და სხვა ვალებს გარდა იყო ზემოხსენებული 532 მანეთიც. მოვკიდე გაზეთს ხელი და წლის დასასრულამდე სამასოთხასი თუმანი კიდევ სხვა ვალი მოემატა, რადგან წლის ხელის-მონერის ფული, უმთავრესი შემოსავალი გაზეთისა, უწინ გაზეთსავე მონდომოდა და მე დამრჩა მხოლოდ ყოველდღიური წვრილმანი შემოსავალი, რაც, რასაკვირველია, გაზეთის ხარჯს ვერ აუვიდოდა. მე იმედი მქონდა, რაკი გაზეთის მთხოვნელობა ხალხში თან-დათან ვრცელდებოდა და უწინდელი ძნელი მდგომარეობა შეიცვალა, შეძლება მომეცემოდა ოთხ-ხუთ წელიწადში გამესტუმრებინა ეს ვალი და შემდეგ შემოსავალი გაზეთის გასაუმჯობესებლად მომეხმარა... მაგრამ მიმუხბთლა ბედმა, ორი წელიწადი ძლივს დასცალდა ჩემს ხელში გაზეთს და 12 სექტემბერს 1885 წ. გაზეთი დაიხურა. გარდა ზნეობრივი ტანჯვისა, რომე-

ლიც მე გამოვცადე, კისრად ვმძინავრებოდა ვალი დამედო..."

შემდეგ იგი მოგვითხრობს, რომ „დროების“ დახურვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, სოლოლაკში, იოს. მელიქიშვილის ბინაზე შეკრებილა ჩვენი მონინავე ინტელიგენცია, სამსჯელოდ ჟურნალ „ივერიის“ გაზეთად გადაკეთების თაობაზე, 50-მდე კაცი. აქვე განუხილიათ (მაჩაბლის გარეშე. - ჯ. მ.) საკითხი აღნიშნული ვალის, ე. ი. 9 ათასი მანეთის გასტუმრების შესახებ და დაუსკვნიათ: „ეგ საზოგადო ვალია და საზოგადოებამვე უნდა გადაიხადოსო, რადგან გაზეთისთვის არის აღებული, რომელმაც მრავალი გაჭირების დღე გამოიარა, გზა გაიკვლია, კითხვა მოთხოვნილებად გარდაქმნა და რადგან მომავალში მშრომელთ აღარ გაუჭირდებათ აღარც თანამშრომლების შოვნა, აღარც ხელის-მომწერლებისა, აღარც თანამგრძობლებისა და იქნება თანდათან შესამჩნევი მოგებაც მიიღონ ხოლმეო..."

ვანოს უარი განუცხადებია საკითხის ასე გადაჭრაზე: „მე, რაკი ჩვენი საზოგადო გულ-გრილობის ამბავი ვიცოდი, გამოვაცხადე: ვთხოვთ, მაგ საგანზე ლაპარაკს ნუ ინებებთ მეთქი; იქნება მართლა აგრეც იყოს, რომ ბრძანებთ, მაგრამ რადგან იურიდიულად მე ვიკისრე ეგ ვალი, მევე უნდა გადამხდეს და გადამხდება კიდევ მეთქი. ჩამოვთვალე, რაც ვალი მქონდა, **ბროსეს პრემიაც დაუხსახელე** (ხაზგასმა ჩვენია. - ჯ. მ.) და თან დავუმატიე, - იქნება მთელი ჩემი სიცოცხლე ვერც კი აწუვიდე მაგოდენა ვალს, რაკი გაზეთი ხელთ აღარა მაქვს, მაგრამ ყოველის ღონის-ძიებით ვეცდები პირნათლად გამოვიდე ადრე, თუ გვიან საზოგადოების წინაშე და იმათი ნდობაც გავამართლო, ვინც ეგ საქმე მე გადმომცა-მეთქი. მაინც არ მომე-

ვნენ, კომიტეტი შეადგინეს, მოთავეობა იკისრა თ. ილია ჭავჭავაძემ (და ცდილობდა კიდევ გადაწყვეტილების განხორციელებას და იმაზე, თუ როგორი ნაწყენი დარჩა დასავლეთ საქართველოს ინტელიგენციისა, რომელმაც კირილე ლორთქიფანიძის სახით უარი თქვა დახმარებაზე, დ. მესხი მოგვითხრობს თავის მოგონებებში: „კირილემ ქვა ისროლა, თავი შეუშვირა: ქუთაისში, იმერეთში ვის რა გააჩნია, ფულიანები იქ არიან და გადაიხადონო. ილიას მივწერე ეს ამბავი და პასუხად ერთობ გულნატკენი წერილი მივიღე-ო... - ჯ.მ.“), სიებიც დასწერეს, ფულიც გაანერეს, ბევრს კიდევ გამოუცხადეს, შენ ამა და ამდენი უნდა მოგვეყო და სხვ., მაგრამ ეს ყველა ამაო დარჩა, წინააღმდეგობამ არ მილალატა და მთელი ვალი, ბევრის უქმის მითქმა-მოთქმის შემდეგ მე დამატყდა.

მას აქეთ მოედევ ამ ვალების გადახდას და დღესაც კიდევ ვერ მომილია ბოლო. - ასეთი გულდათუთქვით ალბათ არც ერთ მორწმუნეს არ წამოსცდენია თავის უდანაშაულო-დანაშაულის შესახებ არც ერთ აღსარებაზე!

ახლა, როცა ასეთი დილემის წინაშე წააყენეს ვანო მაჩაბელი და საზოგადოებრივი ფულის მითვისებაც კი დააბრალებს, იგი იძულებულია გახსნას ყველა კარტი და დღემდე გულში მალულად ნატარები სატკივარი ყველას საამჟამაოდ გამოუტანოს; და ამით ამცნოს მავანთ, თუ რა გაჭირვებას უძღებდა იმ დროს, როცა დაპირებულ ხელფასს არ უხდიდნენ და ის კი მაინც დუმდა, საზოგადოების გულისთვის გულმხურვალედ და გულჩაკეტვით იტანდა „მეგობრად“ ქვეულ ეკონომიურ სიდუხჭირეს. წერილის შენიშვნაში იგი წერს: „საჭიროა ერთი გარე-

მოება გაეხსენოთ: არამც ფუფუნავეს „დროების“ ვალი ჩემს გარდა ერთი მანეთიც არ გადაუხდია, ამ გაზეთს ბრმა შემთხვევის გამო მოაკლდა 1500 მანეთამდე შემოსავალი, რომელიც იმის კასაში შევიდოდა, თვე ან თვე-ნახევარი კიდევ რო დასცლოდა. მე მოგახსენებთ ბანკების განცხადების ფულზე რაკი ქართული გაზეთი აღარ იყო, ბანკებმა თავიანთი განცხადება ყოველთვიურ ჟურნალ „ივერიაში“ დააბეჭდვინეს და ფულიც „ივერიის“ რედაქტორს, თ. ილია ჭავჭავაძეს მიართვეს, ამ ჟურნალის რედაქტორს, რომელშიაც ორ წელიწადზე მეტი გაზეთის აღებამდე უსასყიდლოდ მარტო ვმუშაობდი. თუმცა სასყიდელს დაპირებულნი იყვნენ და ასე გასინჯეთ, ერთხელ იძულებული ვიყავ პირიქით ჩემის მოადგილისთვის სასყიდელი ჩემის გაჭირვებული ჯიბიდან მიმეცა.“

მცირე გადახვევა: აქ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს „კვალის“ ხელმძღვანელობის არაკეთილსინდისიერი და უხამსი დამოკიდებულების დემონსტრირების შესახებ მაჩაბლისადმი, რაზედაც ზემოთ მივუთითებდით. როდესაც გაირკვა ვანოს უდანაშაულობა, რომ მას არც რუსთაველის ძეგლის ასაგები და არც მარი ბროსეს სახელობის პრემიისათვის ნაგროვები თანხა არ ჰქონდა მითვისებული, მათ ამჯერად ნაუყრუეს და თავიანთ გაზეთში აღარ გადაუბეჭდიათ ვანოს წერილი „მწყემსის“ მე-18 ნომრიდან! ანდა, რატომ გაირჯებოდნენ: იმით, რაც გადაბეჭდეს, თავიანთი საქმე გააკეთეს, პატიოსანი კაცო ლაფში ამოსვრილი დატოვეს - ქურდად და საზოგადოებრივი თანხის მიმთვისებლად გამოაცხადეს; ახლა კი, რაში სჭირდებოდათ მისი რეაბილიტაცია?! როგორც ჩანს, ეს ამბავი მათ საერთოდ არც კი ეპიტანავათ! რა უნდა იყოს იმაზე უარესი, რო-





ვა ადამიანი, და ამასთან საზოგადოებრივი მოღვაწე, სიმდაბლის ამ დონემდე დაეშვება!!!

ამრიგად, ვფიქრობთ, ეს ბოლო შენიშვნა იქცა მიზეზად ილიას აფეთქებისა და იმ წერილის გამოქვეყნებისა, რომელიც დაისტამბა „ივერიაში“ საბაურით: „მოკითხული საზოგადოებრივი თ. ივ. მაჩაბლისა და ბროსეს პრემიის გამო“ და რომელიც თავისებური გაგრძელება გახლავთ „მწყემსი“ დაწყებული კამათისა, ამჯერად ბოლემიკად ქცეული; ამასთან, ჩვენდა სამწუხაროდ, რამდენადმე არაობიექტური ილიას მხრიდან, თუმცა, ამასაც ბქონდა თავისი გასამართლებელი მიზეზი... მთლად უსაფუძვლოდ ილია არასოდეს იქნეოდა მახვილს!

ჯერ კიდევ არ განვლებოდა ცეცხლი, ერთი წლის წინ დანთებული ვანო მაჩაბლის ბროსურისგან, რომ კიდევ ერთხელ გაუხსენა „ახალი ცოდვები“ საქვეყნოდ! მართალია, „მწყემსის“ მე-18 ნომერში მოყვანილი ფაქტები ყველა უტყუარი იყო და სინამდვილეს შეეფერებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი ათი წლის წინათ გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული და შეურაცხმყოფელი არაფერი იყო მასზე ამ წერილში, მაინც გაააფთრა ეს დინჯი და დარბაისლობითაც უპირველესი მოღვაწე საქართველოსი მასში თავისი სახელის ამოკითხვამ.

„საკვირველი კაცია თ. ივ. მაჩაბელი რაც გინდა ავიწაიკიდოს, რაც გინდა სად წაიბორძიკოს, რაც გინდა ფეხი გადაუბრუნდეს თავის წინდაუხედაობისა და უთაურობისგან, არ შეიძლება მაინც და მაინც ან თავზე არ წამოიც-

ვას გვირგვინი წამებულისა საზოგადოებრივი საქმისთვის, ან დიდ-გულად დონჯი არ შემოიყაროს ბუმბერაზობისა და ღვანლ-მოსილობისა ქვეყნისათვის.“ – ასე მწარედ იწყებს ილია ამ წერილს და იქვე, ერთი აბზაცის შემდეგ, კიდევ ერთხელ ამფლავნებს თავის გულწაწყენობას:

„საცა გინდა და არ გინდა, ასლად, თუ უადგილოდ, თ. მაჩაბელი წამოაკერებს ჩემს სახელსაც, თითქოს ღმერთს ილია ჭავჭავაძე თ. მაჩაბლის ბოლოთრიად ან ნალოდ გაუჩენია.“ აქ იგი იხსენებს „მწყემსის“ №18 დაბეჭდილ ვანოს წერილს, სადაც იგი „დროებასთან“ ერთად მისი ვალების გადმობარებაზე საუბრობს.

„საქმე ის არის, რომ თავ. მაჩაბელმა განსვენებულ მესხისგან იყიდა გავითი და გარიგებულ ფასში ზოგი წილი ნალდი ფული მისცა და უფრო ბევრისა პირობა დაუდო, ვალებს გაზეთისას მე გაეისტუმრებო და ამ სახით გარიგებულ ფასში ვალები გაუბარა. აქ „გადმომცა“ და „დამედოვო“ კი არ არის სათქმელი გულ-მართალ კაცისგან, არამედ „ვიყიდე“ და „დავიდე...“

ილია ბანკის თავმჯდომარის ჩვეული პრინციპული გულცივობით და საქმიანი ტონით საუბრობს. ასეთი იყო ბანკშიც: საქმე რომ არ წამხდარიყო, ამისთვის არავის შეიცოდებდა და ვალების დაუფარაობას ვერავის აპატიებდა, მისი ძმაც რომ ყოფილიყო; გულგრილად უყიდა და დაგირავებულ უძრავ ქონებას მვეალებს...

ილიას მრისხანება იქამდე მიდის, რომ ტრაგიკული შედეგიდან მომდინარე სამართლის დანახვაც არ უნდა... „დროება“ რომ ვანოს ხელში აყვავდა, ისე, როგორც ჟურნალი „ივერია“, ამას მთელი მაშინდელი საზოგადოება ადასტურებს, ის კი:



„... თ. მაჩაბელმა ორი წლის განმავლობაში ერთი სამასიოდ თუმანიც, როგორც თვითვე გვაუწყებს, სხვა ვალი დააკერა გაზეთს, მაგრამ ამით გაზეთი „დროება“ კი არ გაუფუჭო ბეზებია, უფრო დააქვეითა და ბოლოს იქამდე მიიყვანა, რომ სულიც დააღუპინა“.

როცა „დროება“ დაიხურა, მაშინ მას ეს არ უთქვამს, ვანოსთან ერთად იღვწოდა მისი გადარჩენისთვის და თავად კისრულობდა რედაქტორის შეცვლას. ახლა კი, განსაკუთრებით იმ ბროშურის გამოცემის შემდეგ... სიტყვამწარეობა არ ელევია, რაც იქამდე მიდის, რომ ვანოს უკადრისსაც ჰკადრებს: „... თ. მაჩაბელმა გაზეთი იყიდა იმისთვის, რისთვისაც ყველანი რასმე ყიდულობენ, ესე იგი, გამორჩენისათვის...“ – წერს იგი. ილია მაშინდელ გულისტკენასაც ვერ მალავს, როცა ქანანაშვილის რედაქტორობა მოინდომა „დროებისთვის“ და ვანომ აჯობა.

„სერგეი მესხმა რომ დააპირა გაზეთის გაყიდვა, მაშინ რამდენსამე კაცმა, თავ. მაჩაბლის გარდა, მოისურვა ყიდვა გაზეთისა და ფასში მორიგდნენ კიდევ მესხთან. საქმე გათავებული იყო, რედაქტორადაც დანიშნულ იქმნა ეხლანდელი გამგებელი სახელმწიფო ბანკის განყოფილებისა ბაქოში ბ-ნი ქანანოვი, კაცი კარგად განათლებული და მომზადებული და ამას გარდა ყოველისფრით ღირსეული, როგორც გვახსოვს, ეს გამოცხადდა კიდევ.“

ხოლო როგორც ყოველთვის, ისეც ამ შემთხვევაში თ. მაჩაბელი თავისებურად ზურგთ უკან გაძერა გამოძერა, გათავებული საქმე ჩაშალა და თვითონ იყიდა გაზეთი.“

წერილი გაზეთის ოთხივე ქვედა ნახევარგვერდზე გრძელდება, სარდაფზე დიდი ადგილი უკავია და ამი-

თაც გამოიჩინა სხვა წომრებიც. ილია თავისი სიტყვის წინააღმდეგეც კი მიდის. მაშინ, როცა 1885 წელს მთელი მონინავე საზოგადოება შეჰყარა და მაჩაბლის დახმარება დაავალა (გავისხენოთ ზემოთ მოყვანილი დ. მესხის მოგონება) – გაზეთის ვალი საზოგადოების ვალით, ახლა პირიქით იქცევა: მაჩაბელი ამტკიცებს, „რომ „დროების“ ვალი საზოგადო ვალია და საზოგადოებაზე უნდა გადაიხადოს. თუ საზოგადო ვალია, საზოგადოების მინდობილობითვე უნდა ყოფილიყო აღებული... გაზეთი „დროება“, თუ სხვა რამ ამ გვარი, კერძო საკუთრება პატრონისა და კერძო საკუთრებისთვის აღებული ვალი რად უნდა იხადოს საზოგადოებამ?“

აი, ასეთ სტილში, ასეთი სიმკაცრით გრძელდება საუბარი სამი გვერდის ბოლო სვეტამდე „დროების“ რედაქტორის „დანაშაულზე“, რომელმაც გაბედა და გაზეთი საკუთარი ინიციატივით შეისყიდა! ბოლო სვეტი კი ყველაზე მტკივნეულ ადგილზე ფეხის დადგმაა: დასტურს წარმოადგენს „კვალის“ რედაქციისას, როცა ამ უკანასკნელმა სალაროს ქურდობა დააბრალა მაჩაბელს და კატკაჭი უწოდა:

„... ეს ოინები ძალიანა ჰგავს იმ „კატკაჭის“ ამბავს, რომელმაც „კვალის“ რედაქცია იძულებული გაჰხადა საქვეყნოდ გამოეცხადებინა, რომ კასის გასაღები მოგვტაცა და არ გვიბრუნებსო“. ბოლოს გამწარებული მაჩაბლის აქამდე უთქმელ და ან მოყვანილ ჩვილს იმეორებს, რომ მას „ივერიაში“ მუშაობის დროს კუთვნილი ხელფასი არ მიუღია და ამით სურს „თ. ილია ჭავჭავაძე უფრო მეტად ზედნაკლას, შიგ ჩაითრიოს საკუთარ ვივაგლახში, ასე შეჰპლავის ეხლა მკითხველსო...“ იმ ჟურნალის რედაქტორს, რომელშიაც ორ წელიწადზე მეტი

გაგანაწილებული  
საქმიანობა

მარტო მე (კიდევ „მე“ და „მე“) ვმუშაობდი, თუმცა სასყიდელს დაპირებული იყვნენ და ასე გასინჯეთ ერთხელ იძულებული ვიყავ პირ-იქით ჩემის მოადგილისთვის ჩემი გაჭირვებულის (მოდიოთ და ცრემლები ნუ მოგივიათ, თქვე გულ-გრილო ქართველებო!) ჯიბიდან მომეცაო...

მთელი ორი წელიწადი უსასყიდლოდ ვმუშაობდიო, იყვედრება თ. მაჩაბელი. ჯერ ეს გავიხსენოთ, რომ ჩვენს სალიტერატურო ასპარეზზე ერთი და ორი მაგალითი არ არის, რომ უსასყიდლოდვე უმუშავიათ ათი, ოცი და ოცდა ათი წელიწადიც, მაგრამ არავის მუნათი არ დაუდვია არავისთვის...

იმ ხანებში, როცა თ. მაჩაბელი მუშაობდა „ივერიაში“, ჩვენში სასყიდელი ვის ეძლეოდა, რომ თითქმის ათ წელიწადს შემდეგ ეხლა თხოულობს თ. მაჩაბელი (კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ალ. მაჩაბლის მოგონება! - ჯ. მ.). აქამდე სად იყო? რატომ არ მოითხოვა, თუ საბუთი რამ ჰქონდა? ჩვენ აქ არც კანონიერ ხან-გასულობას ვეფარებით უკან (გვესაუბრება იურისტი ილია! - ჯ. მ.), არც ფორმალურს საბუთებს ვითხოვთ. თ. მაჩაბელმა წარმოგვიდგინოს დავთრები მაშინდელ „ივერიის“ შემოსავალ-გასავლისა და რაც მოგება აღმოჩნდეს, მთლად მიირთოს ჩემგან”.

შემდეგ იგი კვლავ ბროსეს პრემიის ვალს უბრუნდება: „ეს ფული აი ათ წელიწადზე მეტია არავის გახსენებია. საკვირველია თ. მაჩაბლის ამბავი და ამ ფულებისა. მინამ დანა ყელთ არ მი-აბჯინეს, თ. მაჩაბელმა ამ ფულების გამო კრინტიც არ დასძრა“ და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ილიას წერილის შემდეგ, 15 ოქტომბერს, „ივერია“ თავის ფურცლებზე ადგილს უთმობს ამავე სულისკვეთებით გაყლენთილ

წერილს „ჩვენს ფულთან ვის რა უნდა ჰქონდა?“ (წერილს ხელს აწერს ანონიმი ავტორი „ხმა საზოგადოებიდან“, რომელიც განსაკუთრებული აგრესიულობით და უხამსობით ხასიათდება. აქ არ მოგყვებით მის მიმოხილვას, მით უმეტეს, რომ მაჩაბელი ამ წერილს პასუხის გაცემის ღირსადაც არა თვლის და მაინც, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ მასში ნამოჭრილი კითხვები, რომელიც უპასუხოდ დარჩა, თუ არ ჩავთვლით ილიასადმი დაწერილ პასუხში დამთხვეულ საკითხებს. ამრიგად:

„1. ამ ათ-თერთმეტი წლის წინად ჩვენის ლარიბ ჯიბიდან თითო-ორ-ორი გროში ამოვიღეთ, მაშინდელ „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს გავუგზავნეთ, - ვთხოვეთ, საქართველოს ერთი მაღლიანი კაცი აღმოუჩნდა, რომელმაც ჩვენი ისტორია, ძველი ცხოვრების მოთხრობა დავიწყების უფსკრულიდან ამოიღო, ჩვენი ერის წარსული სვე-ბედი ქვეყანას ამცნო; გამართეთ ხელის მოწერა, ეგებ იმ კაცს ან ძეგლი, ან სხვა სახსოვარი ავუგოთ თქო. განსვენებული სერგეი მესხი გულმხურვალედ მოეკიდა საზოგადოების წმინდა სურვილს და ხელის მოწერა გამართა; ამ ხანებში აჟად გახდა და გაზეთის გაყიდვა მოინდომა. სხვებს ივანე მაჩაბელმა დაასწრო და იყიდა „დროება“. ექვსას მანეთამდე მოგროვილი ფული მესხმა მაჩაბელს გადასცა. ეს გადაცემა იმას ნიშნავდა, ხელის მოწერა განაგრძე, რომ შემოწირულობა გავრცელდესო. და თუ ამას არ იკისრებ, ამ ფულს მისი გზა უჩვენეო, ესე იგი ან თავიანთ პატრონებს უნდა დაბრუნებოდა და ან მაშინვე რომელიმე ბანკში უნდა შეტანილიყო ბროსეს ფონდათ. ათი წლის სარგებელი ხუთას მანეთს ზედ დასძენდა, ასე რომ დღეს ათას მანეთამ-

დე გვექნებოდა. - რატომ ი. მაჩაბელ-  
მა არ ინება და ეგრე არ მოიქცა?

2. რა ნება ჰქონდა ბ-ნ ივანე მაჩა-  
ბელს, რომ ათი წლის განმავლობაში  
ჩვენს ფულსა ჯიბეში ინახავდა და არ  
აცხადებდა?

3. ბ-ნ ჭყონიას და მამა ლამბაშიძეს  
რომ არ ეკითხათ მაჩაბლისთვის, სად  
არის ჩვენი ფულიო, ხომ მომავალშიც  
ვერას გავიგებდით?

4. ვისაც საზოგადო მოღვაწედ მო-  
აქვს თავი, ის აგრე არ იქცევა, და თუ  
ეგეთ საქმეს ჩაიდენს, ხმა უნდა გაკ-  
მინდოს, საზოგადო ცხოვრებიდან გა-  
დადგეს."<sup>9</sup>

ილიას და შემდეგ ანონიმი ავტო-  
რის წერილის სიმწვავეთა და დაუზო-  
გაობით აღელვებული ეკატერინე გა-  
ბაშვილი, იმავე 15 ოქტომბერს, ილი-  
ას შემდეგი შინაარსის ბარათს უგზავ-  
ნის:

„ძვირფასო ბატ. ილია! მე როგორც  
დედაკაცი, როგორც ქართველი ქალი,  
რომლისთვისაც თქვენი სახელი, დი-  
დება და სიცოცხლე ძვირფასია,  
გთხოვთ იქონიოთ მომეტებული ღმო-  
ბიერება და დამარცხებულ მტერს ნუ  
დააჭერთ ნიხლს, ნუ გაასწორებთ დე-  
დამინასთან, ნუ მიიყვანთ ქურდულ  
შურისძიებამდე (აქ, მიუხედავად იმი-  
სა, რომ მწერალ-ქალს პრეტენზია  
აქვს ვანოს პიროვნების ახლო ცნობი-  
სა, მაინც ვერ ამფლავნებს მის ობიექ-  
ტურ შეფასებას, თორემ იგი არ და-  
წერდა „ნუ მიიყვანთ ქურდულ შურის-  
ძიებამდეო“, რამეთუ ვანო ის კაცი არ  
იყო, რომელსაც შეეძლო ფიზიკურად  
ხელეყო ნებისმიერი უღირსი ადამიან-  
ის სიცოცხლეც კი, არა თუ, შეიძლე-  
ბა იმ დროს მტრად ქცეული, მაგრამ  
მაინც ერის წინამძღოლის, მისი პირ-  
ველი მედროშის ჭირშიც და ლხინშიც,  
დიდი ილია ჭავჭავაძისა, თანაც „ქურ-  
დულად“, რაც ასევე შეურაცხმყოფე-

ლი იყო ისედაც თიფქმის წვეთსაგან  
მიტოვებული, ჯეროვნად დაუფასებუ-  
ლი და ერის სამსხვერპლოზე სიცოც-  
ხლედადებული მეორე მოღვაწისათ-  
ვის, რომელსაც ბედმა ისედაც მონა-  
მეობრივი ცხოვრება მიუსაჯა და ასე-  
ვე მარტოობაში დაამთავრებინა სი-  
ცოცხლე! - ჯ. მ.) და ამით ნუ ჩააგდებ  
შიში და მწუხარებაში ყოველ შენს სა-  
თაყვანებელს. დღევანდელი წერილი  
„ივერიაში“ მაჩაბლის შესახებ მე გა-  
მარჯვებულის ნიხლად მიმაჩნია და  
ნიხლი ლომისგან განა მოსანონია?“<sup>10</sup>

21 ოქტომბერს „ივერია“ აქვეყნებს  
ვანო მაჩაბლის „პასუხად დარბაისულ  
გაზეთის დარბაისულ რედაქტორს“.<sup>11</sup>  
პასუხი ილიას წერილზე ოდნავ მცირე-  
ა, თუმც ისიც სარდაფის ოთხ გვერ-  
დზეა მოთავსებული. პასუხს ეპიგრა-  
ფად მიუძღვის „ივერიის“ 1887 წლის  
274 ნომრიდან ამოღებული მონინავე  
წერილის ციტატა: „ჭუჭყიანი სიტყვა-  
პასუხი, ჭუჭყიანი გულის-ნადები, რო-  
მელიც ზედ აბეჭდია ხოლმე ყოველ  
კაცს სხვის გასაბიძგებლად გამო-  
ლაშქრებულს, მეტის-მეტი ცხადი ნი-  
შანია თვითონ მოლაშქრეს უწმინდუ-  
რობისა და ჭუჭყისა.“

წერილის დასაწყისშივე ვანო მაჩა-  
ბელი გულწრფელ გაცხებას გამოთქ-  
ვამს ილიას უმართებულო ბრალდებე-  
ბით სავსე წერილზე, რომელსაც  
„თითქმის მთელი გაზეთი“ აქვს დათ-  
მობილი.

„თითქმის მთელი გაზეთი-მეთქი  
დაუთმიათ იმისთანა ლანძღვა-გინე-  
ბისთვის, რომელსაც ძველებურ სამუ-  
ახლოებში თუ მოისმენდით, თორემ  
სხვაგან ვერსად. სიტყვები: „წინ-დაუ-  
ხედავი, უთაური, უხეირო, ბედ-ნაკ-  
ლები, თაღლითი, რეგვენი, ყბედი, ჩი-  
ტირეკია, ქარაფშუტა, ჭკუა-დაულა-  
გებელი, თავისი ღირსების არ დამცვე-  
ლი, ჭკუა-თხელი, თავისებურად

ზურგთ უკან გამძრომ-გამომძრომი, სხვის საკუთნოსკენ ხელის წარმტაცე" და სხვა, უხვად აჭრელებენ ამ უშველებელ ფელეტონს." შემდეგ ავტორი კიდევ ერთხელ გვახსენებს ამ უკმეხი წერილის დანერის მიზეზს, ი. ჭყონიას წამოჭრილ საკითხს და მასზე მაჩაბლის მიერ გაცემულ პასუხს – ბროსეს პრემიისთვის განკუთვნილი თანხის ქონა-არქონის შესახებ, ამასთან „შენიშვნაში ვცადე დამესურათებინა, თუ რა როლსა თამაშობდა ი. ჭავჭავაძე ამ ისტორიაში; – განაგრძობს იგი, – ის თ. ჭავჭავაძე, რომელმაც თუმცა ყველა ეს ამბავი კარგად იცოდა, მაგრამ მაინც შეუნიშნავად (ე. ი. კომენტარის გარეშე. – ჯ. მ.) გადმოხტდა ბ. ჭყონიას წერილი თავის გაზეთში, როგორც იარაღი მიმართული ვითომცდა ჩემდა შესარცხვენად, ჩემდა გასაბიაბრუებლად.

ამ შენიშვნამ გაამწვავა თ. ჭავჭავაძე და გამოალაშქრა ასე გაბრაზებული; გაბრაზებული იმ ზომამდე, რომ თითქო დაავიწყდა უბრალო წესი მოკამათეთა და არც-კი გადმოხტდა ის წერილი, რომელმაც მისი რისხვა-გრგვინვა გამოიწვია."

ვანო შენიშნავს, რომ კარგად იცის, რა დაუზოგავია ილია თავისი მტრების განადგურებაში და ყველაფერს აკეთებს ამისთვის, შოულობს თანამოაზრეებს, რომელთაც თავისავე მიწოდებული ფაქტების მიხედვით არა თუ საკუთარ გაზეთში, რუსულ პრესაშიც კი აბეჭდინებს წერილებს, რომლებიც მისივე წერილების ანალოგებია; რომ იგი ასეთივე იყო ბანკშიც, ლიტერატურაშიც; შემდეგ კვლავ იწვევს მას, რათა სამედიატორო სასამართლოს მიერ გარჩეულ იქნეს მათ შორის არსებული უთანხმოების მიზეზი, გამართლდეს მართალი და გამტყუნდეს მტყუანი, ამასთან სასამართლომ ბანკის საქმე-

ებიც განიხილოს. შემდეგ კვლავ ეწვევა ლობს: ის მაინც დამისახელოს, რაცნობები მიაჩნია მას ჩემს თავის სამართლებელ წერილში „შეთხზულად, ანუ უსაფუძვლოდ, მაგრამ მომაგონდა, რომ მრავალს იმის ფელეტონის წამკითხველს ჩემი წერილი არ ექნება ნაკითხული და იძულებული ვარ მოკლე, რამდენიმე სიტყვით, გადავცე მკითხველს შინაარსი იმ წერილისაო" და მოყავს იმ წერილის შინაარსი, „მწყემსში" რომ ჰქონდა გამოქვეყნებული. და ამის შემდეგ გაცემული კითხულობს: „რა ჩამეთვლება ყოველს ზემოთ ნათქვამში მე დანაშაულად? ის, რომ სხვას შევეცილე და „დროება" ვიყიდე მესხისგან? დიაღ, ვიტყვი, „ვიყიდე", რაკი ეს სიტყვა ისე მოსწონს თ. ჭავჭავაძეს. მართლა გამორჩენისათვის ვიყიდე თუ არა, ან როგორ ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, როგორ ვექცეოდი ჩემს თანამშრომლებს, რომელთა წინაშე გადაშლილი მქონდა ყოველი შემოსავალ-გასავლის წიგნები გაზეთისა, ან ვილებდი რასმეს ჩემის შრომის ფასს, თუ არა, – ამის გამოცნობა თ. ჭავჭავაძის გულთმისნობისთვის მიმინდვია და იმ პირთა სინდისის მხელისთვის, რომელნიც მაშინ ჩემთან დაახლოვებულნი იყვნენ და ძნელს უღელს გაზეთში მუშაობისას მიწევდნენ.

შემდეგ ავტორი კვლავ უბრუნდება ილიას წერილს, რომელიც მთლიანად იმაზეა დაფუძნებული, რომ მაჩაბლის ვალი თითქოს საზოგადოებას უნდა გადაეხადაო და „ამ ამბის გამო ვითომ-და მარილიანად ოხუნჯობს. მერე ვინ შეეხვენა საზოგადოებას, შენ გადაიხადაო? იმ კრებაში, რომლის მოთავეობაც იკისრა თ. ჭავჭავაძემ, თვით იმანვე არ აღიარა ამაზედ ლაპარაკი და არ წარმოსთქვა სიტყვა? მერე ყველანი ამაზედ არ დაყაბულდნენ

ჩემს გარდა? განა მე თითონ არა ვთქვი იქა, რომ იურიდიულად მე ვიკისრე ეგ ვალი და მევე უნდა გადამხდესმეთი? თუ ეს ყველა ასე იყო, მაშ რაღა ალაპარაკებს, რაღა აოხუნჯებს თ. ჭავჭავაძეს?"

მაჩაბელი კვლავ უბრუნდება მის მიერ ჟურნალ „ივერიაში“ განუული შრომის საფასურის გადახდის საკითხს და საყვედურობს: იმ დროს „დროებაში“ გამოსაქვეყნებელ განცხადებების თანხიდან მაინც მოეცა, რომელიც ჟურნალ „ივერიაში“ დაბეჭდა, „რაც მისგან სასყიდლად დაპირებული მქონდა... რომ ამ ფულით ცოტათი მაინც მომენმინდა პირი ჩემგან ნაკისრ ვალებისთვისო.“ ილიას კითხვებზე, თუ საბუთი რამ ჰქონდა, თუ სასყიდელი ეძლეოდა ვინმეს მაშინ და ა. შ., მაშინ წარმოადგინოს იგი და „რაც მოგება აღმოჩნდეს მთლად მიირთოს ჩვენგანო“, მაჩაბელი პასუხობს: „პირველ საკითხავზე ამას მივუგებთ თ. ჭავჭავაძეს: მაშინაც, როცა მე ვმუშაობდი „ივერიაში“ და იმის წინადაც, ბევრს მიუღია სასყიდელი სალიტერატურო შრომისათვის, მაგრამ შორეულ მაგალითებს რომ არ გამოვუდგეთ, დავასახელოთ თვით მისივე თანამშრომელი ბ. ქანანოვი, რომელიც ორი-სამი წლის განმავლობაში იღებდა წელიწადში 900 მანათს ჩემზე წინადაც „ივერიაში“ შრომისათვის... თუმცა მსაყვედურობს თ. ჭავჭავაძე, აქამდე სად იყავი, თუ მართლა გერგებოდა რამეო, მაინც სულ-გრძელად მთავაზობს შრომის ფასს, და რა-კი შეშინებია, მართლა არ წამომედავოს და არ გამომართვასო, საჩქაროდ უმატებს, თუ მოგება აღმოჩნდება რამეო. ჯერ უნდა დაეამშვიდო თ. ჭავჭავაძე... არ ვედავები ხსენებულ ფულს... რადგან ლიტერატურაში შრომის დროს „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“ თუ სხვა-

გან მე შორს ვიყავ დუქანაზრულან-გარიშთან, მაგრამ თუ თ. ჭავჭავაძის მსჯელობას დავემყარე, იმ ჭავჭავაძისა – კი არა, რომელიც ზემოხსენებულ კრებაში გაზეთის მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა, არამედ „ივერიის“ ფელეტონის ავტორის ჭავჭავაძის მსჯელობაზე, მაშინ – სრული ნება მაქვს, ვუთხრა მასვე, მე რა შუაში ვარ, თქვენ მოგება გქონდათ, თუ ზარალი, რა-კი აღმითქვით შრომის ფასი, უნდა მომცეთ კიდევაც მეთქი... ერთმა უნდა ჯანი გაიგდებინოს, თავი ქვეს ახლოს და ცხრაასი თუმანი ერთ წელიწადში თუ მეტ ნაკლებში საიდანაც უნდა გადაიხადოს, მოგება ექმნება თუ ზარალი და მეორემ-კი მხოლოდ მაშინ შეასრულოს თავისი მოვალეობა და მოცემული პირობა, თუ მოგებას ჯიბეში უხვად ჩაიჩხჩიალებს! აი ეს გახლავთ ლოგიკა ჭავჭავაძისა..."

მაჩაბელი გაოცებულია ილიას კიდევ ერთი ბრალდების გამო: „დროება“ რომ დაიხურა, გამოუსვლელი ნომრების ფული სექტემბრიდან იანვრამდე არ დაუბრუნა ხელისმომწერლებსო, – გვახსენებს იგი ილიას საყვედურს და იქვე პასუხობს: ზოგიერთებმა, ვინც მოითხოვა ეს თანხა, მიიღეს კიდევც, მაგრამ ბევრმა გაიგო რა უბედურებაც შეემთხვა გაზეთს და დარჩენილ კაპიკებზე სიტყვა არ დაუძვრია... მაგრამ თვითონ დაავინწყდაო ილიას, როცა ყოველგვარი უბედურების გარეშე 1884 წელს „ივერიის“ ოთხი წიგნი დააკლო ხელისმომწერლებს, რადგან რამდენიმე წიგნი ორ-ორ ნომრად გამოსცა თაბახების მოუმატებლად, რატომ მაშინ არ გაუგზავნა ხელისმომწერლებს ამ ნომრების საფასური? მაგრამ ამისთანა ლაპარაკები არც საკადრისია, არც სადმე მოსატანი, რადგან ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ ჩვენი ლიტერატურის

მდგომარეობას, მეტადრე ამ ათიოდ წლის წინად და ამისთანა უნებურ უპირულობას არავის ცოდვად არ ჩაუთვლიდნენ".

ლახერის დაკვრაზე მტკივნეულად აღიქვა მაჩაბელმა ილიას მომდევნო ბრალდება, რომელშიც იგი წერს: მაჩაბელმა „დროებას“ სული დააღვინაო, ამასთან მოჰყავს ასეთი მწარედ ნათქვამი აბზაც: „აქ ბრალი ედებოდა უთაურობას, წინდაუხედაობას, უთაუბოლობას და გარემოების უცოდინარობას, აუნონ-დაუნონებლობას და სხვას არაფერს... რა მიზეზითაც თ. მაჩაბლის ხელში სული ამოხადეს გაზეთსა, ჩიტირეკიპობის მეტი არა ეთქმის-რა. თუ გაზეთი მართლა საქვეყნო საქმეთ მიჩნეული იყო თ. მაჩაბლისაგან, ეს დიდი საქმე არც უნდა ადვილად გაენირა და ცარიელ ქარაფშუტობისათვის ენაცვალეზინა, საქმე გასანიარავად უნდა ღირებულებოდა. უამიოდ ყოველივე განირვა უთაურობაა, სხვა რომ არაფერი ეთქვათ-რა“.

აღნიშნული სიტყვების ფასი კარგად ესმის მაჩაბელს და ეთანხმება: თუ ილიას დავუფერებთ, მაშინ მართლაც ღირსი ეყოფილვარ ჯვარზე ცმისა, იმხელა დანაშაული ჩამიდგნია საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, მაგრამ „ნება მომეცით ვექილად თვით თ. ჭავჭავაძე ავარჩიო და მასვე ვათქმევინო საზოგადოების წინაშე ჩემი გასამართლებელი სიტყვაო“ და მოჰყავს ნაწყვეტი „ივერიის“ 1886 წ. 217 ნომერში დაბეჭდილი ილიას წერილიდან („ქართულის გაზეთის „დროების“ რედაქტორის ივანე მაჩაბლის გასამართლება“), რომელშიც, როგორც ცნობილია, უსამართლოდ არის მიჩნეული უსაფუძვლო ჩივილების გამო რედაქტორის გასამართლება, რაც სასამართლოზეც დადასტურდა, როცა მან მაჩაბელი დამნაშავედ არა სცნო. ილიას ეს

წერილი აგებულია იმ უსამართლოდ თა გამობაზე, რაც გაზეთის რედაქტორის ხვედრი იყო იმხანად. პარალელი გაჰყავს რა მაშინდელ და ამჟამად კვლავ „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილებს შორის, ვანო მაჩაბელი კითხულობს: „შუადარეთ ყოველივე ეს... და პკითხეთ მას, როდის ამბობდა მართალს ერთსა და იმავე გარემოებაზედ?“ კაჭკაჭთან დაკავშირებულ პასკვილის გამეორებაზეც ჩვეული ლოგიკით განავრძობს: „მას (ილიას. - ჯ. მ.) ზნედა სჭირს თავის გაზეთის ფურცლებში დაუთმოს ხოლმე ალაგი იმისთანა ცილის-წამებას თავის მოპირდაპირეთადმი, რომლის წაკითხვის დროს ბევრნი ამა თუ იმ პირს ასახელებენ; მაგრამ ისე მორიდებითა და შიშით კია ყველა ეს ნათქვამი, რომ დასახელებული კლანჭი ვერ ჩასჭიდებს და ვერ იტყვის, ეს მე შემეხებაო. ეხლაც ამ სახითვე გამოუყენებია „კვალში“ დაბეჭდილი უღირსი ცილის-წამება რაღაც კასის კლიტის მიტაცებაზედ და ჩაუკერებია თავის ფელეტონში“... დასასრულს, ვანოც ენააღმასობს და იმავე ტონში, ილიასვე მოწინავე წერილიდან<sup>12</sup> პასუხობს:

„სწორედ საოცარია, თუ-კი ეხლანდელ დროში საოცარი დარჩენილა კიდევ რამ, რომ თ. ჭავჭავაძის სახელი და გვარი აწერია ზემოხსენებულ უკადრის ფელეტონს, იმ თ. ჭავჭავაძისა, რომელიც ერთ-ერთ თავის წერილში ასეთი რიხითა და მრისხანებით პკიცხავს ადამიანის უმართებულო თვისებას, ურცხვად წოდებულს.“

დიალ:

„ქვეყანაზედ მრავალ გვარი ავკაცობაა, მრავალ გვარი სულმდაბლობა და სალახანობა. ხოლო ყველაზედ უარესი, ყველაზედ საზიზღარი, ყველაზედ ჩირქიანი ურცხვობაა. ნუ გგონიათ ურცხვობა უღონო რამ იყოს, არა,

ურციანული

იგი ძლიერია მარტო იმით, რომ ურცხვობაა და რაკი ურცხვობაა, იმის ხელთ ბარაქიანი ტყუილიც არის, ზორბა უნამუსობაც, სამარცხვინო სულელობაც, საზიზღარი ცილისნამებაც.“

პოლემიკა გრძელდება „ივერიის“ 234-ე ნომერში, სადაც დაბეჭდილია ილიას მომდევნო წერილი. ილია განაწყენებულია, ვანომ რომ სალანძღავი სიტყვები გადმოულაგა; ახსენებს: ადრეც, ბანკის კრებას „ბრბო“ უწოდებო. აქვე შეაქვს შესწორება: ჩემს წერილში მაშინ რედაქტორი კი არ დამიცავს სასამართლოსგან, პირიქით, სასამართლოს სამართლიანი განაჩენი შევაქეო. შემდეგ კვლავ მის ბროშურას უბრუნდება, რომელიც ვერა და ვერ მოუნებლბია: „იგი ერთს სახელოვანს წიგნაკში ჰკიცხავს რა ჩვენის ბანკის გამგეობას და საკუთრივ მე, ბანკის საქმეთა საქებურ წარმოების მაგალითად გვიხატავს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებას...“ იმიტომ ვერ ნავიდნენ ციხეშიო! და ბოლოს ისევ ბროსეს პრემიის თანხაზე გამოთქვამს თავის ურყევ აზრს და ამ ფულის ამდენხანს ვალადდებას დანაშაულად უთვლის.

როგორც უკვე ზემოთაც შევნიშნეთ, მიუხედავად ვანო მაჩაბლის რწმენისა, ილია თავის გაზეთში ბოლო წერილს მაინც თავისას დაბეჭდავსო (ეგებ ამ სიტყვების გასამტყუნებლად მოიქცა ასე ბრძენი ილია, ანდა ჩათვალა, რომ სიტყვის გაგრძელება არაფრის მომცემი იყო!), „ივერიის“ რედაქტორი ბოლო წერილისთვის მაჩაბელს სთავაზობს გაზეთს.

„ივერიის“ 9 ნომერის ნომერში იბეჭდება ვანოს „უკანასკნელი პასუხი“.<sup>13</sup>

„თ. ჭავჭავაძემ კიდევ დაბეჭდა წერილი თავის გაზეთში (№234) ჩემს წინააღმდეგ, რომელსაც წინასიტყვაო-

ბადაც ბროსეს პრემიის საქმე ჩემს ლვარა და ბოლოშიც იგივეს მიაკერა, ცხადია, რა განზრახვითაც“. – ასე იწყებს „უკანასკნელ პასუხს“ მაჩაბელი და გულნატკენი განაგრძობს, რომ ილიას განგებ არ სურს გაიგოს მისი სიმართლე, თორემ მას ეს შესანიშნავად აქვს შეგნებული... ამიტომ „მემასთან ამ საგანზე სალაპარაკო აღარა მაქვს-რა“-ო.

„სალაპარაკო აღარა“ აქვს, რადგან „ყოველს ჩემს საკითხს ან ყურს უყრუებას, ან სიტყვას ბანზე აგდება და განძრახ აქარწყლებს მის მნიშვნელობას...“ რადგან „ჩემს სრულიად კანონიერს სურვილს, რომ მედიატორეთა სამართლით გარჩეულიყო ეს დაუსრულებელი დავიდარაბა და აწონილიყო საქმის ყოველივე გარემოება – უარსა ჰყოფს და სამაგიეროდ უკადრისად სიტყვის გადაკვრით ვითომ და რალაც საიდუმლო ამბებზე თავიდან იშორებს ამ მისთვის უსიამოვნო პასუხის მოთხოვნას.“

ლაპარაკობს რა ილიას მხრიდან მედიატორთათვის საქმის გადაცემის უარყოფის შესახებ, ვანო კვლავ იმეორებს პოლემიკის მისთვის ერთხელ უკვე ნაცადი ხერხის ანალოგს, რომელიც ასე დიდებულად აქვს შენიშნული და შემდეგ თავის ბიოგრაფიულ რომანში მოყვანილი ბ-ნ ვ. ჭელიძეს, გამოყენებული იმ დროს უკვე ცნობილ პუბლიცისტთან და მეტად ანგარიშგასანვე საზოგადო მოღვაწესთან, ნიკო ნიკოლაძესთან კამათის დროს. მაჩაბელი მიმართავს შექსპირის „იულიუს კეისრიდან“ ანტონიოსის მონოლოგის წყობის თავისებურ ინტერპრეტაციას. ამის შესახებ ვ. ჭელიძე წერს: „კეისრის მოკვლის შემდეგ ბრუტოსი ნებას მისცემს კეისრის გულითად მეგობარს – ანტონიოსს, სიტყვით გამოვიდეს ხალხის წინაშე. ანტონიოსის როლი მე-



ტად მძიმეა: მან კეისრის წინააღმდეგ ამხედრებული ხალხი, რომელიც ბრუტოსმა თავისი მჭერმეტყველური სიტყვით კიდევ უფრო ააღელვა, უნდა გადაიბიროს და ახლა კეისრის მკვლელების წინააღმდეგ ამხედროს. ამასთან, ნება არ აქვს ბრუტოსი და შეთქმულების სხვა მონაწილენი აუგად ახსენოს. პირიქით, უნდა გაამართლოს კიდევ მათი მოქმედება. ანტონიოსი მიაღწევს მიზანს. მისი სიტყვა ორატორული ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია." ანტონიოსი ჩამოთვლის კეისრის საუკეთესო თვისებებს, თუ რა თავდადებული იყო იგი ქვეყნისთვის, ხალხისთვის და ყოველ ასეთი ჩამოთვლის შემდეგ იმეორებს ერთსა და იმავე ციტატას: „მაგრამ ბრუტოსი მას მედიდურობას აბრალებს და ბრუტოსი ხომ პატიოსანი კაცია.“<sup>14</sup>

მოვიყვანთ ამ ტავტოლოგიურ ხერხის წერილში ნახმარ ნიმუშს:

„მართალია ის არ თაკილობს ჩაჩუმებას ყოველ ჩემ საკითხზე, რის პასუხიც ვერ მოუძებნია თავის სალანძღავ კარაბადინში, –

და მედიატორთა სამართალში გამოწვევას კი თაკილობს!

ის არ თაკილობს იმას, რომ სხვის ნაწერი, სხვისგან ხელმონერილი მე მომანერა და დღესაც კიდევ მიკიბულ-მიკიბული გზით ცდილობს მე მომახვიოს თავზედ, თუმცა თვით იმისაგანვე ამონაწერი სრულად სხვას ამტკიცებს –

და მედიატორთა სამართალში გამოწვევას კი თაკილობს!

ის არ თაკილობს იმას, რომ ხელმოწერილი წიგნის ავტორობა მე მომანეროს, თითო სიტყვა და ფრაზა იქიდგან ამოჰგლიჯოს ერთი ერთმანეთთან დაუკავშირებლად და საზოგადოებასთან მამბეზლოს, – აი მაჩაბელი როგორ უმართებულოდ გიხსენებდაო, –

და მედიატორთა სამართალში გამოწვევას კი თაკილობს!

ის არა თაკილობს გულთა-მხილათობას და ფსევდონიმების გამოცნობას, ის, რომელიც თავისსავე „ივერიაში“ ასე ცხარედ ჰკიცხავდა ამგვარ საქციელს ერთი მწერლისას:

„ეს „მართებული“ მწერალი თავის მოკამათის ფსევდონიმსაც ფარდასა ჰხდის, მართებულობის ამ ერთადერთს ყველასათვის წმინდად და ხელშეუხებლად აღიარებულს წრესაც ლახავს და დაურიდებლად აბიჯებს ზედა“ (გაზ. „ივერია“, №170, 1891 წ.).

და ეხლა, რაკი გაჭირვება დადგა, თვითვე ცდილობს ფსევდონიმის გამოცნობას და „მართებულობის ამ ერთადერთს ყველასადმი წმინდად და ხელშეუხებლად აღიარებულს წრესაც ლახავს და დაურიდებლად აბიჯებს ზედა.“

ამას არ თაკილობს, –

და მედიატორთა სამართალში გამოწვევას კი თაკილობს!

ის არ თაკილობს იმას, რომ წიხლი ჩასცხოს თავისს ნაამხანაგარს, ოდესმე მისთვის თავ-გამოდებულს, რომელიც პასუხის მიცემის ღონეს მოკლებულია და რომელზედაც ჯერ სამართალს მსჯავრი არ წარმოუთქვამს; არა თაკილობს ამას, ოღონდ ამითი მე როგორმე ცილი დამწამოს და გამანბილოს, –

და მედიატორთა სამართალში გამოწვევას – კი თაკილობს!“ – და ა. შ.

ამრიგად, კიდევ ერთხელ დავინახეთ, თუ რამდენად დაუფასებელი ჟურნალისტი და პუბლიცისტი იყო ვანო მაჩაბელი, რომელზედაც ნოე ჟორდანია სამართლიანად წერდა: „ივ. მაჩაბელმა მოკლე დროში.... თავისი თავი გაგვაცნო ნამდვილ, ენერგიულ ჟურნალისტათ. ის სწორედ რედაქტორათ ყოფილა დაბადებული და სულ



სხვა რამეს კი (იგულისხ. ბანკი. - ჯ. მ.) შეაღწეო, თუ შეაღწევი, მთელი თავისი სიცოცხლეო!"<sup>15</sup> ამასთან, აღნიშნულ პოლემიკაში მან ქეშმარიტად კიდევ ერთხელ გაამართლა ილიას მეთოდი, რომელსაც „ივერიაში“ მუშაობის დროს აჩვენებდა: „შთავარია შეუპოვრობა, სიმართლე და ორატორული ხერხი, - მონინალმდეგეს იქ დაარტყი, სადაც ყველაზე მწვავე ტკივილს მიაყენებ, ისეთ საკითხში გამოიჭირო, რისგანაც თავს ადვილად ვერ გამოიხსნის..."<sup>16</sup>

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ილიამ მაჩაბლის „უკანასკნელი პასუხით“ დაამთავრა აღნიშნული პოლემიკა, მას პასუხი ამ წერილზე აღარ გაუცია, ამაზე ზემოთაც ვწერდით და იმ ვარაუდებსაც უნდა გავუსვავთ ხაზი კვლავ, რაც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ: ილიამ ან ვანოს კომენტარი გაითვა-

ლისწინა, რომელშიც იგი დასაწყისშივე აღნიშნავდა - რაც არ უნდა დაეწერო, ბოლო სიტყვა რედაქტორისაა და მაინც გაიმართლებს თავსაო, ანდა თავისმა დარიგებამ შეაჩერა, რომელიც ასე შესაშურად გამოიყენა მასწავლებელთან პოლემიკაში მისმა ყოფილმა მონაფემ...

აი, ასეთ ვითარებაში ჩაიარა აღნიშნულმა უპრეცედენტო პოლემიკამ და მაჩაბლის უმედიატორო გასამართლებამ, რომელიც საზოგადოების მიერ ნაგროვებ და ს. მესხის დროს გაჭირვებაში ჩავარდნილ გაზ. „დროების“ შემოხარჯულ თანხას ეხებოდა, და რომლის გადახდამაც „დროების“ სხვა ვალებთან ერთად, საბოლოოდ დათრგუნა და ბოლოს, შეინირა კიდევ ბუმბერაზი ქართველი მოღვაწის, ვანო მაჩაბლის ტრაგიკული სიცოცხლე.

## შენიშვნები

1. ვგ. იოსელიანი, ჩვენი წარსული ცხოვრებიდან. ლიტმუზეუმის ფონდი.
2. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი. ჩემი ცხოვრებიდან, მე-3-4 რეეული, ლიტმუზეუმის ფონდი.
3. ჟურნ. „მწყემსი“, 1893 წ., №14.
4. გაზ. „ივერია“, 1893 წ. №185.
5. „კვალი“, 1893 წ. №40.
6. დ.მესხი, მოგონებანი, 1940 წ., გვ. 87-93.
7. მაჩაბელი რომ გულწრფელია, ამას ადასტურებს ალ. მაჩაბლის მოგონებაც: „მას პქონდა ჯამაგირი, როგორც კასირს 80 მანეთი... და ილიაც დაჰპირდა ჟურნალის

- წარმოებაში 75 მანეთს თვეში...“ მოგონება დაცულია ლიტმუზეუმის ფონდში.
8. „ივერია“, 1893 წ. №216.
  9. „ივერია“, 1893 წ. №221.
  10. დაცულია ლიტმუზეუმის ფონდში.
  11. „ივერია“, 1893 წ. №226.
  12. „ივერია“, 1888 წ. №16.
  13. „ივერია“, 1893 წ. №241.
  14. ვ. ქელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, 1957 წ., გვ. 149-150.
  15. ნ. ჟორდანიას, ქართული პრესა, 1900 წ., გვ. 47.
  16. ვ. ქელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, გვ. 149.

## ივანე ბარათელი

### ბასილ კასარიელი კვლავ ქართულ მხარეებში

თემატიკურად და ფანტოზობრივად მდიდარი ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთ არსებით ნიშანს ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ლიტერატურული ძეგლები წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია VIII-XII საუკუნეების ქართული მწერლობა. სწორედ, ამ პერიოდში შეიქმნა მრავალი ორიგინალური თუ თარგმნილი ფილოსოფიურ-თეოლოგიური შინაარსის თხზულება, რომელთაც ფასდაუდებელი როლი შეასრულეს ქართული კულტურისა და აზროვნების ისტორიაში. კერძოდ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ეპოქის ქართველი მწიგნობარ-სწავლულების შემოქმედება და ლიტერატურული მემკვიდრეობა თითქმის სრულად ასახავდა იმ დროისათვის მოწინავე და გაბატონებული ბიზანტიური კულტურის აზროვნების ყველა თვალსაჩინო და მნიშვნელოვან მონაპოვარს. ჩვენი ნინაპრების მიერ თარგმნილი თუ ორიგინალური თხზულებები ზედმინებით ზუსტად გამოხატავდნენ ეპოქის კულტურულ-სააზროვნო სულისკვეთებას და ამგვარად, ამით, მოწინავე ევროპული ერების რიგში დგებოდა ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, ქართულ ცნობიერებაში და აზროვნებაში

ფართო ცოდნა-განათლება შემოიღოდა, ხდებოდა „ქართველთა ურმის დატვირთვა მწიგნობრობითა და განათლებით“. VIII-XII საუკუნეების (განსაკუთრებით X საუკუნიდან) ქართულმა მწერლობამ შემოქმედებითი თვალსაზრისით დიდ განვითარებას მიაღწია, რომელიც „გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ და გამდიდრებული ახალი მიმართულებითა და ფარებით, როგორცაა მეტაფრასტიკა, ისტორია, ფილოსოფია (ე. ბ.)... თავისი განვითარების კულმინაციურ პუნქტს აღწევს ამ პერიოდში არა იმდენად ნათარგმნს, რამდენადაც ორიგინალურ ძეგლებში“.<sup>1</sup>

აკად. კორნელი კეკელიძე თავის დროზე დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა ბიზანტიური და ქართული მწერლობის ურთიერთობის საკითხებს და ამ მიმართულებით არაერთი მაღალი მეცნიერული დონის საყურადღებო გამოკვლევა დაგვიტოვა. კერძოდ, ეხებოდა რა ბიზანტიური კულტურისა და მწერლობის აქტუალობის თემას X-XII საუკუნეების საქართველოს სააზროვნო სივრცეში, აღნიშნავდა: „ვინაიდან ბიზანტიკაში ამ დროს საქრისტიანო ქვეყნებში ყველგან თავისებურ „მოადა“ იყო გა-

დაქცეული და კულტუროსნობის მაჩვენებლად, ქართველთა გაღვიძებული ეროვნული თვითშეგნება თხოულობდა, რაც შეიძლება მეტად დაახლოებოდნენ ისინი ბიზანტიურ კულტურასა და მწერლობას<sup>2</sup>.

საკუთრივ X-XI საუკუნეების ბიზანტიურ აზროვნებაში შეიმჩნევა სამი დიდი კაპადოკიელი თეოლოგის, გრიგოლ ღვთისმეტყველის (330-390), ბასილ დიდის (კესარიელის, 330-379) და გრიგოლ ნოსელის (335-394) მოძღვრებათა გავლენის მნიშვნელოვანი ზრდა. ამას თავისი ობიექტური და ეპოქის მოთხოვნილებასთან შესაბამისი მიზეზები ჰქონდა, რომელთა შორის ერთ-ერთ არსებითს ანტიკურ ფილოსოფიასთან ქრისტიანული თეოლოგიის სინთეზის (ცხადია, თეოლოგიის უპირატესობით) შესაძლებლობა წარმოადგენდა. ეს გარემოება ნოციერ ნიადაგს ქმნიდა ანტიკური ფილოსოფიის აღორძინებისათვის. რენესანსული აზროვნებისაკენ სწრაფვა დაკავშირებული იყო მიქელ ფსელოსისა (1018-1078) და იოანე იტალოსის (1025-1082) სახელებთან და ისტორიაში „პროკლეს რენესანსის“ სახელითაა ცნობილი. კაპადოკიური კულტურის აღორძინება X-XI სს.-ის ქართული აზროვნების ისტორიაში უდავო ფაქტია და სამეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანად დასაბუთებული<sup>3</sup>, ამიტომ ჩვენ ზოგადად შევხებით მას, რადგანაც წინამდებარე შრომის მიზანს ეს არ წარმოადგენს.

ზემოთ აღვნიშნავდით ქართველების ღრმა ინტერესზე ბიზანტიური კულტურისა და მწერლობისადმი. ცხადია, ამ გარემოებას თავისებური გამოძახილი უნდა ჰქონოდა ქართულ კულტურაში. ვგულისხმობთ კაპადოკიელთა რენესანსს ძველ ქართულ კულტურასა და აზროვნებაში. კაპა-

დოკიელები საქართველოშიც მხოლოდ იყვნენ ჯერ კიდევ X საუკუნემდე, ე.წ. წინაათონურ პერიოდში, მაგრამ მათი თარგმანები განმსაზღვრელი არ იყო ქართული მსოფლმხედველობრივი აზროვნებისათვის. X საუკუნიდან კი ქართული ქრისტიანობა, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, კაპადოკიური კულტურის ძლიერ გავლენას განიცდიდა და ქრისტიანობასთან ერთად საქართველოში კაპადოკიელი მამების მოძღვრებაც ვრცელდებოდა სამეცნიერო ლიტერატურაში, კაპადოკიელ მამათა მოძღვრება მიჩნეულია განათლების იმ ხაზად საქართველოში, რომელიც ქრისტიანული ნეოპლატონიზმის (კაპადოკიელთა გზით) უტყუარი გავლენის კვალზე მეტყველებს ქართულ აზროვნებაზე, მისი განვითარების ადრეულ პერიოდში<sup>4</sup> (პეტრე იბერის ცხოველი ინტერესი ბასილ დიდის მოძღვრების მიმართ).

### ბასილ დიდის (კესარიელი) მოძღვრება ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში

ბასილ დიდი (330-379), რომელსაც დაბადების ადგილის მიხედვით კესარიელსაც უწოდებენ (იგი დაბადებულია კაპადოკიის ქალაქ კესარიაში), სრულიად გამორჩეული და ყველაზე გავლენიანი იყო კაპადოკიელ მოღვაწეთა შორის საქართველოში. ძველი ქართული კულტურა და ტრადიცია მის კულტს საგანგებო როლს ანიჭებს. ბასილ დიდის ბიოგრაფიული მასალები მონმობენ, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა პონტოსა და კაპადოკიის ცნობილ ქალაქებთან - კესარიასთან და ნეოკესარიასთან არის დაკავშირებული. ამ ადგილებში ძირითად მოსახლეობას სხვებთან ერთად უძველესი დროიდან ქართველური ტომე-

ბიც შეადგენდნენ.<sup>4</sup> საფიქრებელია, რომ ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რომლის საფუძველზე ძველ ქართულ სააზროვნო სინამდვილეში და საღვთისმსახურო პრაქტიკაში ბასილის კულტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: „ქართული ტრადიცია არც ერთ საეკლესიო მამას (თვით ქართველი მოღვაწეებიდანაც კი) ისეთი დიდი გულისყურით არ ეკიდება და ისეთ დიდ პატივს არ მიაგებს და არც ერთი მათგანი ისე გათავისიანებული არა მყავს, როგორც ბასილი“.<sup>5</sup>

ბასილ კესარიელმა, რომელსაც დიდი შეერქვა არა მარტო ლიტერატურული შრომებისათვის, არამედ დიდი სასულიერო და საზოგადოებრივ-პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, „სიცოცხლეშივე მოიპოვა იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს საყოველთაო აღიარება“.<sup>6</sup> არ შეუდგებოდა ბასილ დიდის უზარმაზარი სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობის როლისა და ადგილის განხილვას შუა საუკუნეების ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრის ისტორიაში. სამეცნიერო-კულტურულ ნრეებში ეს საკითხი საფუძვლიანად არის შესწავლილი. აღვნიშნავთ, მხოლოდ იმას, რომ ბასილ კესარიელის მეგობრისა და თანამედროვის, გრიგოლ ნაზიანზელის (330-390), ანუ გრიგოლ ღვთისმეტყველის შეფასებით, რომელიც ასევე ძალზე პოპულარული იყო საქართველოში, იგი (ბასილ დიდი) „რიტორი იყო რიტორთა შორის უწინარეს საყდართა მათ მოძღურებისათა დაჯდომისა და ფილოსოფოსი ფილოსოფოსთა შორის უწინარეს საფილასოფოსა სწავლისა და, უზესთავსიცა ვთქუა, მღდელ იყო ქრისტიანეთა“.<sup>7</sup>

როგორ აისახა დიდი კაპადოკიელი მოაზროვნისა და თეოლოგის, ბასილ კესარიელის მემკვიდრეობა ძველ ქარ-

თულ ლიტერატურულ ძეგლებში? რა ნაირად აითვისა ქართულმა შემოქმედებითმა გონმა ეს კაპადოკიელი მოღვაწე, რომელიც „ქრისტიანული მწერლობისა და ეკლესიის ისტორიაში გრიგოლ ნაზიანზელსა და იოვანე ოქროპირთან ერთად თანაბრად იწინილებს უპირველესი და უდიდესი მოღვაწის სახელს“.<sup>8</sup> უპირველესად ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბასილ დიდის თხზულებათა თარგმანები უძველესი დროიდან არსებობს ქართულ ენაზე. ეს გარემოება ნათელყოფს ძველი ქართველი მწიგნობრებისა და სწავლულულების ცხოველ ინტერესს დიდი კაპადოკიელი მოღვაწის მიმართ. თურით იყო გამონევეული ჩვენი განსწავლული წინაპრების შეუწელებელი ინტერესი ბიზანტიური კულტურისადმი საერთოდ, და კერძოდ, კაპადოკიელი მამების ნააზრვისადმი, ამის თაობაზე ზოგადად ზემოთ აღვნიშნეთ. ბასილ დიდმა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა, რომელიც სამეცნიერო ნრეებში მიღებული შეხედულების თანახმად, შეიძლება სამ ძირითად ნაწილად დაიყოს: პირადი ნერეები, ზნეობრივ-ასკეტიკური ნანერეები და ქადაგებები. ქართული ტრადიციისათვის ბასილ დიდის შემოქმედება უმთავრესად, თარგმანების სახითაა ცნობილი და ათვისებული, რომელთა რაოდენობა მიახლოებითაა დადგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მიმართულებით საფუძვლიანი კვლევა ჩატარებული, ამ თარგმანების სრული ბიბლიოგრაფია ჯერჯერობით არ არსებობს. რა თქმა უნდა, ერთ შრომაში შეუძლებელია ბასილ კესარიელის შემოქმედების სრული და ამომწურავი ასახვა ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში. წინამდებარე შრომის მიზანია კაპადოკიელი

მოღვაწის გარკვეული ფილოსოფიურ-თეოლოგიური კონცეფციის წარმოჩენა, რომელიც, ჩვენი აზრით, მძლავრ იმპულსს წარმოადგენდა X-XII საუკუნეების ქართველთა შემოქმედებითი გონისა და ცნობიერებისთვის. ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ბასილ კესარიელის თარგმანები ძველ ქართულ მწერლობაში ორ პერიოდს მოიცავს: ე. წ. წინა ათონური პერიოდი და ათონური. ბასილს თარგმანები ათონურ პერიოდში იწყება ბასილს თხზულებათა საფუძვლიანი და ინტენსიური თარგმნა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ეფთვიმე ათონელმა. ქართულად მთარგმნელები კი კაპადოკიელ მოღვაწეს მართლაც, რომ გამოირჩეული შეხვდა: ეფთვიმეს გარდა ბასილს თარგმნიდნენ გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი.

ბასილ დიდის თხზულებების ქართული თარგმანების წინა ათონური პერიოდიდან ფილოსოფიურ-თეოლოგიური თვალსაზრისით აღსანიშნავია მისი „ექუსთა დღეთაის“ ადრინდელი, VIII საუკუნის თარგმანი, რომელიც მეცნიერთა ვარაუდით, არაბული ენიდან უნდა იყოს შესრულებული.<sup>9</sup> ამ თარგმანის შესახებ უნდა ითქვას, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, ძველი თარგმანი ფილოსოფიური აზრის ბუნდოვანებისა და სტილისტური დაუხვეწაობის მიუხედავად, გამოირჩევა მდიდარი ლექსიკური მარაგით და ფილოსოფიურ ტერმინთა სიზუსტით, მთარგმნელის სწრაფვით ფილოსოფიურისაკენ. ამ შეხედულების თანახმად, ძველი თარგმანი აშკარად „ფილოსოფიურია“ და უარყოფილია კ. კეკელიძის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „წინაათონურ-

რი პერიოდისათვის უცხო დარჩა ფილოსოფიური მწერლობა, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის „პირველ პერიოდში ჩვენ ვერ ვპოულობთ ასეთი მწერლობის ნამდვილ კვალს“.<sup>10</sup> „ექუსთა დღეთაის“ სწორედ ამ ძველ თარგმანს გულისხმობდა XI საუკუნის განთქმული მწიგნობარი და მთარგმნელი, ათონის სალიტერატურო სკოლის ცნობილი წარმომადგენელი, გიორგი მთაწმიდელი, რომელსაც ეკუთვნის ბასილის ეგზეგეტიკური ძეგლის „ექუსთა დღეთაის“ გვიანდელი, მეორე თარგმანი, როდესაც იგი თარგმნილ ტექსტს ბოლოში ერთგვარ ანდერძს ურთავს: „და თარგმანი თუ არა, ჩუენგან ამისი ჭვრობაიცა შეუძლებელი იყო, არა თუ თარგმნა... და თუ რააზომნი ღუანლნი გვნახვან ამისსა თარგმნასა, იგი ღმერთმან იცის! რამეთუ აღურაცხელად ღრმარს და შეუკადრებელი! და ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანნი აკურთხენ, დიდად ხელი აღმიპყრნეს“.<sup>11</sup> „ექუსთა დღეთაის“ ქართველმა გამოცემელმა მიხ. კახაძემ, რომელმაც 1947 წელს, ბასილ დიდის აღნიშნული თხზულების გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევით, ტექსტის ბოლოს დართული ანდერძის ანალიზისას უარყო სხვა, ადრეული ქართული თარგმანის არსებობა, რომელზე დაყრდნობითაც გიორგი მთაწმიდელმა თავისი თარგმანი შეასრულა და შესაძლებლად მიიჩნია ამავე თემაზე დაწერილი „თარგმანები“ ბერძნულ ენაზე, როგორცაა მაგ. იოანე ოქროპირის „ექუსთა დღეთა“ და სხვა მრავალი.<sup>12</sup> მიხ. კახაძის მოსაზრება უარყო ილ. აბულაძემ, როდესაც მან მიაკვლია ამ ძეგლის კიდევ ერთ, ადრეულ თარგმანს, რომელსაც გულისხმობდა გიორგი მთაწმიდელი თავის ანდერძში. ავტორმა დაასა-



ბუთა, რომ ათონელი სწავლულის ნათქვამი, „ხელის აპყრობა“ ძველი მარგმანების მიდევნებით ახლის და-წესება-შესრულებას ნიშნავს, რაც გიორგი მთაწმიდელის ცნობილი მეთოდი იყო.<sup>13</sup>

### გიორგი მთაწმიდელი და ბასილ კესარიელის „ექუსთა დღეთაი“

თხზულება „ექუსთა დღეთაი“ სამართლიანად ითვლება ბასილ კესარიელის ლიტერატურული მემკვიდრეობის მშვენიერად და გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობაშიც მას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ ძეგლმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა X-XI საუკუნეების საქართველოში კაპადოკიელ მამათა მოძღვრების ფილოსოფიურ-თეოლოგიური ასპექტების, კერძოდ, ბასილ დიდის ნააზრევის ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ რელიგიურ აღმსარებლობასთან მიახლოების საქმეში. ამიტომ მას შედარებით ვრცლად განვიხილავთ.

ცნობილია, და ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ კაპადოკიელმა მამებმა და კერძოდ ბასილ დიდმა ანტიკური კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს. მათი აზროვნება ტრადიციული ქრისტიანობის ნეოპლატონისტური სულისკვეთებითაა გაფლენილი. თავად ბასილ დიდი, რომელიც ფართო ერუდიციისა და განათლების პატრონი იყო, შესანიშნავად იცნობდა ანტიკურ ფილოსოფიას და მრავალი ნეოპლატონური იდეა ქრისტიანული ინტერპრეტაციით დაამკვიდრა. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიკეთის მონიზმის იდეა, როგორც ბოროტების შეფარდებითობის გამოხატულება. ამ მხრივ, ბასილ კესარიელი სრულიად განსხვავებული ფიგურაა

თავისი წინამორბედის, ტერტილიანისაგან, რომელიც ბიბლიური ნიგნების იქით არ იხედებოდა და კატეგორიული წინააღმდეგი იყო ანტიკური ფილოსოფიის შესწავლისა, პირიქით, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ბასილ თავგამოდებით იცავდა ანტიკური მწერლობისა და ფილოსოფიის გაცნობისა და შესწავლის აუცილებლობას. მისი მეგობარისა და თანამედროვის გრიგოლ ნაზიანზელის თქმით, „ვინ-მე მოიპოვა ფილოსოფოსობა ესრეთ, ვითარცა მან ჭემ-მარიტი იგი და მალალი, რომელი არს საქმისა კერძა და გულისხმის ყოფისასა.“<sup>14</sup> (ცხოვრება ბასილ დიდისა).

ანტიკური ფილოსოფიისა და ლიტერატურის კვალი შეიძლება ინახოს „ექუსთა დღეთაის“ გიორგი მთაწმიდელისეულ თარგმანშიც, რაც ამ თხზულების მსოფლმხედველობრივი ნყაროების შესახებაც გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას. მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს ბასილ დიდის თხზულებიდან, სადაც ვაღმოცემულია პლატონის, არისტოტელეს და თვით ქრისტიანული სარწმუნოებისათვის მიუღებელი ისეთი ათეისტი მწერლის აზრები, როგორიც ლუკრეციუსია. გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი თხზულების ეს ადგილები ნათლად მეტყველებს მთარგმნელის მაღალნიჭიერებაზე, მარტივ, ბუნებრივ და სადა მეტყველებაზე:

1. „და ამავე პირსა და სახესა ვიტყვით ცისათვისცა, რამეთუ მრავალმეანი და მრავალ-ფერი გამოძიება დაწერეს ბრძენთა მათ სოფლისათა ბუნებისათვის ცისა, და რომელთამე თქუეს, ვითარმედ ოთხთაგან ნივთთა აგებულ არს იგი, ვითარცა შესახებელი და ხილული, და რამეთუ ეზიარების იგი ქუეყანასა სიმყარითა, და ცეცხლსა ხილვითა, და ნეშტთა მათ ნივთ-

თა შეზავებითა. და რომელთამე ვითარცა შეუწყნარებელი განიშორეს სიტყუაჲ ესე, და მებუთისა რაისმე აგებულებისა და ბუნებაჲ და ნივთი დამტკიცებისათვის ცისა თვისისგან გონებისა და თავით თვისით გამოსახეს და შემოიღეს.<sup>15</sup> პირველი აზრი (ცის ოთხი ნივთისაგან (ელემენტისაგან) შედგენილობა პლატონს ეკუთვნის, ხოლო მეორე (ცის ხუთი ელემენტისაგან შედგენილობა) არისტოტელეს.

2. „არამედ ოთხ-კედელნი გოდოლნი მრგულად ეოცნებიან. ვინაჲცა ყოვლით-კერძო ცხად არს, ვითარმედ ფრიად განშორებულთა ვერ განიცდის თუალი ჭეშმარიტებით, არამედ შერეულად და უნდოდ განიცდის იგი გუამთა და აგებულებათა.“<sup>16</sup> (ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის). მოხმობილი ციტატა იმდენად იდენტურია ლათინური ენისა, რომ უდავოდ ლუკრეციუსიდანაა.<sup>17</sup>

გიორგი მთანმიდელის მიერ შესრულებული თარგმანი ბასილ დიდის თხზულებისა, რომელიც მკვლევართა ერთსულოვანი აღიარების თანახმად, კაპადოკიელი მოაზროვნის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, ათონური სკოლის საუკეთესო ტრადიციებით არის შექმნილი. გიორგის პოზიცია მთარგმნელობითი მეთოდისადმი მისივე ცნობილ ანდერძში მკლავნდება, რომლის მიხედვით: „და ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრეთვე შეუცვალებულად დასწერდეთ, ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ. ჩუენ რომელი ჯერ იყო, ჩაგვირთავს და რომელი ჯერ იყო, დაგვიკლია, – ვითა ჩუენსა ენასა მოვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდა“.<sup>18</sup>

ამ ანდერძიდან ვიგებთ, რომ ათონელ მწიგნობარს შესაძლებლად მიაჩნია თარგმანში „ჩართვა“ და „გამოკლება“ თუ კი ქართული ენის ბუნება

ამის საჭიროებას მოელოდა. მართლაც, დიდის თხზულების მისეული თარგმანიც ამ მეთოდითაა შესრულებული, რომლის თვალსაჩინო გამოხატულებაა ათონური სკოლის მამამთავრის ეფთვიმე მთანმიდელის ლიტერატურული მემკვიდრეობა. ბასილ დიდის პექსემერონული ხასიათის თხზულება „ექუსთა დღეთა“ (შექმნის ექვსი დღის მიხედვით) დიდი პოპულარობით სარგებლობდა შუა საუკუნეებში. იგი ბიბლიური კოსმოლოგიისა და კრეაციის საკითხებს ეხება. ამიტომ მასში ქრისტიანული ფილოსოფიის თვალთახედვით არის გადმოცემული ბიბლიური შესაქმის დღეები, „გონიერი და გრძნობადი სამყაროს გაჩენა მეექვსე დღის გამოკლებით, როცა გაჩნდა ადამიანი“.<sup>19</sup> გიორგი მთანმიდელის აღნიშნულმა თარგმანმა ხელი შეუწყო მომდევნო პერიოდის ქართულ ქრისტიანულ კოსმოლოგიურ და ანთროპოლოგიურ შეხედულებათა ჩამოყალიბებას. ვგულისხმობთ ბასილის შეხედულებას ნელის სხვა ელემენტებზე მეტად რაოდენობის შექმნის შესახებ, რომელსაც უპირისპირდება მისი ძმის, გრიგოლ ნოსელის მოძღვრება ელემენტთა „გასწორებით“ მყოფობის თაობაზე.<sup>20</sup>

ასეთი გამოჩენილი მოაზროვნისა და ცნობილი ნაწარმოების ამტყვევლება ქართულ ენაზე ფრიად საშური საქმე იყო იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის. მისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში კონკრეტულ რელიგიურ მიზანდასახულებაში ვლინდებოდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ დიდი კაპადოკიელი მოღვაწის მოძღვრება ქართულ მართლმადიდებლურ აღმსარებლობასთან მიახლოებულიყო. ერის სულიერი და კულტურული განვითარების გზაზე გიორგი მთანმიდელის როლი განუზომლად დიდია.



ერეკლესი  
კვიფლი

## ბასილ დიდი ეფთვიმე მთანმიდელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში

მიუხედავად იმისა, რომ ბასილ დიდის უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ასახვა ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ჩვენ გიორგი მთანმიდელის შემოქმედებითი თარგმანების ანალიზით დავიწყეთ, კაპადოკიელი მოაზროვნის თხზულებათა თარგმნა ინტენსიურად ეფთვიმე მთანმიდელის (დაახ. 955-1028) დროიდან იწყება. ეფთვიმე მთანმიდელმა საფუძველი ჩაუყარა შორეული ქალკედონის ნახევარკუნძულზე ქართულ მწიგნობრობას და თავისი თარგმანების დონითაც გამოირჩეული ადგილი დაიკავა ძველი ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი სრულიად განსაკუთრებული იმგურაა იმდროინდელი ქართული შემოქმედებითი აზროვნებისა და სათანადოდ არის შეფასებული მისი ღირსება და ღვაწლი ქართველი ერის სულიერი განვითარების და ცოდნაგანათლების საპატიო საქმეში. აღვნიშნავთ, მხოლოდ თუ რა მაღალი აზრის იყო ეფთვიმეს მთარგმნელობით მოღვაწეობაზე და შემოქმედებაზე ქართველთა მეფე დავით კურაპალატი, რომელიც გიორგი მთანმიდელის ცნობით, ეფთვიმეს შესახებ ამბობდა: „მაღლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამაღ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა“. <sup>21</sup> ამიტომ, დიდ კაპადოკიელ მოღვაწეს ქართულად მთარგმნელები მართლაც გამოირჩეული შეხედა, როგორც ამას ზემოთ აღვნიშნავდით. ეფთვიმე მთანმიდელი კი მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი და საუკეთესო იყო.

ეფთვიმეს მიერ თარგმნილი ბასილ

დიდის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, ფილოსოფიური აზრის ისტორიისათვის საინტერესოა „ითიკა“, რომელიც სრულად თარგმნა ქართველმა მწიგნობარმა. ის შედგება ორი ნაწილისაგან „სწავლანისა“ და „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲსა“-გან.

„სწავლანი“ ბასილ დიდის იმ ქადაგებათა კრებულია, რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში „სხვადასხვა ჰომილიებს“ უწოდებენ და შედგება სხვადასხვა შინაარსის თხზულებებისაგან. მათი ერთი ნაწილი დოგმატიკის საკითხებს განიხილავს, სხვები კი უმეტესად მორალის თემას ეხება. ამდენად, ის მართლმადიდებლური ქრისტიანული დოგმების მრეკლში გავრცელებასა და იმდროინდელი საზოგადოების ზნეობრივ სრულყოფას ისახავდა მიზნად. მაგრამ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჰომილიებში მოცემული დიდაქტიკა, უმეტეს შემთხვევაში, თავის აქტუალობას ყოველი დროისათვის ინარჩუნებს და მარადიული ღირებულებისაა. ჰომილიათა უმეტესობაში გაკიცხულია ადამიანთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ისეთი მანკიერი მხარეები, როგორიცაა შური, სიხარბე, უმადურობა, სიმთვრალე, ანგარება, ლტოლვა სიმდიდრის დაგროვებისადმი და სხვ. ეფთვიმე მთანმიდელისათვის დამახასიათებელი მაღალმხატვრული ენით შესრულებული ბასილის „სწავლანი“ გამოირჩევა აზრის ხატოვანი გადმოცემით.

სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ ეფთვიმემ, ქართველი ხალხის ზნეობრივი ამაღლების ქომავმა, მწიგნობარმა და სულიერმა მამამ, ბასილ დიდის თხზულებებიდან სათარგმნელად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დიდაქტიკური „სწავლანი“ აირჩია.

„სწავლანი“-ში ასევე საფუძველია-



ნადაა განხილული ფილოსოფიური აზრისათვის საინტერესო მთელი რიგი საკითხები, რომელთა შორის აღსანიშნავია: სიკეთის მონიშნის რაობა, დროის პრობლემა, პიროვნების თავისუფლების თემა, ანტიკურ ფილოსოფიასთან ქრისტიანობის მიმართების საკითხი. გარდა ამისა, ნაჩვენებია ანტიკური ფილოსოფიის შერჩევითი პრინციპი და მისი ათვისების საზღვრები. ბასილ დიდი ეხება აგრეთვე ქალისა და კაცის თანასწორობის, გონებისა და ნების მიმართების, სიბრძნისა და ფილოსოფიის ურთიერთკავშირის საკითხებს და სხვ. ეფთვიმე მთაწმიდელის ჩინებული თარგმანის წყალობით, მთელი ეს პრობლემატიკა ქართულ აზროვნებაში შემოვიდა. მისივე დამსახურებაა ისიც, რომ ცნებებისათვის დამკვიდრდა შესაბამისი ქართული ტერმინები, რომელთაგან მრავალი დღესაც გამოიყენება. მაგ.: გონებითი, გამოცდილება, სულის გონება, სათნოება, შიში, ძრწოლა და სხვ.

ბასილ დიდის თხზულებების ძველ ქართულ თარგმანებში, რომელიც ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ არის შესრულებული, კიდევ ერთი ნაწარმოები იპყრობს ჩვენს ყურადღებას და ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიისათვის მეტად-საყურადღებოა. საქმე ეხება ბასილის ნაწარმოებს „დანყებისათვის სოლომონის იგავთაისა“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული შეხედულების თანახმად, იოანე პეტრიწის „განმარტებას“ ბოლოსიტყვაობის წყაროა.<sup>22</sup> ძველი ქართული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოადგენელი იოანე პეტრიწი შუა საუკუნეების ფილოსოფიაში იმ ხაზის გამგრძელებელია, რომელიც ქრისტიანულ კულტურაში კაპადოკიელ მოაზროვნეთაგან მოდის და XI საუკუნის II ნახევარში

ბეერ საერთოს პოლემიკურ ნეოპლატონიზმთან. აქედან გამომდინარე, ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ შესრულებული თარგმანი ბასილ დიდის თხზულებისა. თავად პეტრიწი თავისი ნაწარმოების ბოლოსიტყვაობაში ძალზე მაღალი აზრისაა ბასილ დიდზე, რომელიც დიდ პრაქტიკოს მოღვაწე და ფართო აზროვნებით დაჯილდოებულ ადამიანად მიაჩნია: „გინა ვინ იყო ეგეოდენი ფილოსოფოსობითა, ესე იგი არს რავდენი რაა არს საქმითი და რავდენი მხედველობითი ფილოსოფოსობისა, ვის აქუნდა ეგეოდენი და რავდენი შთამოვალს სიტყვიერთა მოქმედებათა მოსაჩლეობისათვის და წინააღმდეგობითა წინადადებათა და გამოსაჩინებელთათვის, რომელსაცა განმსიტყუელობითად ხელოვნებად სახელსდებენ“.<sup>23</sup>

საერთოდ, იოანე პეტრიწი თავისი შრომის ბოლოსიტყვაობაში, ხაზს უსვამს გრიგოლ ნაზიანზელის მიერ პატივისცემასა და აღიარებას, თავისი მეგობრის ბასილ დიდის მიმართ, აღნიშნავს მის დამსახურებაზე ფილოსოფიურ აზროვნებაში. მაგრამ, კიდევ უფრო საინტერესოა იოანე პეტრიწის მსჯელობა ბასილ დიდის კრეაციონიზმზე, საიდანაც ნათელი ხდება თურა დიდი ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობდა ბასილ დიდი ქართულ სინამდვილეში, ეს გარემოება (იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობა) საშუალებაა ბასილ დიდის მოძღვრების, მსოფლმხედველობის გასაგებად ფილოსოფიურ გამოკვლევებში.<sup>24</sup>

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბასილ დიდის მრავალრიცხოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი თხზუ-



ლებები, საბედნიეროდ, ქართულ ენაზე უძველესი დროიდანვე არსებობს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ერთ შრომაში დიდი კაპადოკიელის შემოქმედების სრულად განხილვა ძველი ქართული მწერლობის ფონზე. წინამდებარე შრომის მიზანი ეს არც ყოფილა. შევეცადეთ, წარმოგვეჩინა იმ პერიოდის ქართული შემოქმედებითი ცნობიერების მიერ ბასილ კესარიე-

ლის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მოძღვრება ძველ ქართულ ლიტურგულ ძეგლებში, რომლის ანარქული უდავო ფაქტია ძველ ქართულ მწერლობაში. სწორედ, ამიტომ ათონელ მწიგნობართა დამსახურება სრულიად გამორჩეულია ქართველი ერის სულიერებისა და კულტურის განვითარების ისტორიაში.

**შენიშვნები**

1. კ. კეკელიძე, „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, ტ. 1, თბ., 1951, გვ. 51.
- \* ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძის „კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარქული ძვ. ქართულ მწერლობაში“. თბ., 1949.
2. კ. კეკელიძე, „ძვ. ქართული მწერლობის ისტორია“, ტ. 1, თბ., 1951, გვ. 53.
- \*\* ამის შესახებ იხ. გ. თევზაძე, „კაპადოკიელთა რენესანსი X-XI ს.ს. საქართველოში“, „წიგნში“, ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“, ტ. 1, თბილისი, 1996, გვ. 97-109.
3. იქვე, გვ. 103.
4. Надар Ломоури, "К истории Понтийского царства", часть 1. Тб, 1979, გვ. 139.
5. ბასილ კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. თბ., 1983, გვ. 05.
6. ნინო ქაჯაია, „ბასილ კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები“, თბ., 1992, გვ.5.
7. იქვე.
8. ბასილ კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონისეული თარგმანი, გვ. 04.
- 9-10. „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“, ტ. 1. გვ. 120, თბ., 1996.

11. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, „ბასილ დიდი,“ ექუსთა დღეთაი“, თბ., 1947, გვ. 115. მიხ. კახაძის გამოცემა.
12. იქვე გვ. 072-074.
13. ნ. ქაჯაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 10-11.
14. „ექუსთა დღეთაი“, გვ. 078.
15. ბასილ დიდი, „ექუსთა დღეთაი“, გვ. 12-13.
16. იქვე, გვ. 76.
17. იქვე, გვ. 080.
18. იქვე, გვ. 069.
19. „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“, ტ. 1. გვ. 119.
20. იქვე, გვ. 122.
21. „ძველი ქართული პაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“... წიგნი II, თბ., 1967. გვ. 61.
22. ბასილ კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გვ. 08.
23. იოანე პეტრიწი, „განმარტებაი პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“, შრომები, ტ. II, თბ., 1937, გვ. 224.
- \*\*\* იხ. მ. მახარაძე, „ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში“. თბ., 1999. გვ. 42-47.



ახსოვრ ბრეზაძე

## ფილოსოფოსის მრწამსი

უპრიანი იქნებოდა, წინამდებარე წერილი მომავალ წელს გამოქვეყნებინა, როცა თამაზ ბუაჩიძეს 75 წელი შეუსრულდებოდა. მაგრამ მივდიე სიბრძნეს: „რაც დღესაც შესაძლებელია, ხვალისათვის არ გადადო“, ამასთან ვინ იცის, იქნება კი „ხვალ“? თუ იქნება, ღმერთს მადლობას შევნიშავ და ახალს დავენერ. კვლავ თაზოს პიროვნებისა და შემოქმედების კარნახით.

ზემოთ თამაზ ბუაჩიძე „თაზოდ“ მოვიხსენიე. მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო. სიტყვა არაა ბგერების უბრალო გროვა, მაგიური მნიშვნელობის ფენომენია, სახელდებულის შინაარსსაც გამოხატავს და, ამ შემთხვევაში, სახელმძღვანელოთა განწყობილებასაც მის მიმართ. „თაზო“ – ასე მოიხსენებს მას დიდი და პატარა, და ეს არის „ნათლიათა“ მიერ თამაზ ბუაჩიძისადმი სიყვარულის დადასტურება, ერთგვარი სიმბოლო, სიყვარული, და სხვა არაფერი.

ბედნიერება მქონდა თაზოსთან ერთად ბორჯომში რამდენიმე დღე გამეტარებინა („დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთანაა“). დავსეირნობდით პარკში და ვმსჯელობდით საქართველოში დიდი ბრძოლებით მოპოვებული ფილოსოფიის ახალი დისციპლინის – ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემებზე. ამ დროს ორი-

ვენი შეპყრობილი ვიყავით გონის იდეით. მე მას ვუსმენდი, როგორც მორჩილი მონაფე თავის მოძღვარს; თაზომ მალე „აღკვეთა“ ასეთი განწყობილება და თანასწორთა დიალოგი დაამკვიდრა. მართალი გითხრა, საკმაოთო თითქმის არაფერი გვქონდა. როგორც იტყვიან, ის „ჩემს გულში იჯდა“. ასე მივედით ერთ საერთო ანთროპოლოგიურ დასკვნამდე: „ვინც „გონს“ უარყოფს, მას გონი არ გააჩნია. ვისაც არ გამოუცვლია გონის მომხიბვლელი ძალა, ვისაც ნეტარება არ უგრძნვია მისი უმაღლესი აქტით – სინდისით, ის ვერასოდეს ჩაწვდება ამ ფენომენის არსს“. გახარებულები სალამოობით მალარიჩს ვუხდით ჩვენს აღმოჩენებს.

ახლა, როცა ხელნაწერებად დარჩენილი მასალის მიხედვით თამაზ ბუაჩიძის მშვენიერი ნიგნი გამოიცა, ბევრი რამ მეცნო „ბორჯომული საუბრებიდან“.

იმათ შორის, ვინც მე ცხოვრების გზაზე შემხვედრია, თაზო იყო ადამიანი, რომელსაც ყველაზე ნაკლებ მქონდა რაიმე დასაგმობი. ამასთან, ისეთსაც არავის ვიცნობდი, ვინც ასე დაუნდობლად ექცეოდა თავის თავს... კილავდა მას, იუმორითა და ირონიით მოიხსენიებდა ხოლმე. ეს „მცირედ რჩეულთა“ ნიშანია, სულიერობაა და განსაკუთრებული სიმამაცეც. თავად



უხვად დაჯილდოებული დახვეწილი იუმორის გრძნობით, დიდად აფასებდა მის მქონებელთ; „მე ვინ ვარო იმასთან შედარებით“ – იტყოდა სხვაზე (ერთხელ ქუთაისში, ებრაელების უბანში ვექიფობდით. უცებ ქუჩაში ხმაური ატყდა, თაზომ ფანჯარაში გაიხედა, შემობრუნდა და აურზაურის მიზეზი გვამცნო: ჩემი და ვაჟა გოგობერიშვილის ნიგნები გამოუტანიათ სპეკულიანტებს გასაყიდად და რიგი დამდგარა).

თამაზ ბუაჩიძის მთელი შემოქმედება არის სარკე, სადაც მისი ავტორის არსებაა ასახული; „სისხლით ნაწერი“ არც თუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ შედეგრებად აღიარებული ნაშრომების გაცნობის კვალად ჩვენ წინაშე წარმოდგება ცხოვრებაზე ღრმად დაფიქრებული მოაზროვნე, ფიზიკურად და სულიერად სუფთა კაცი, რომლის ტანჯულ არსებობას მარად თან ახლდა სინდისი, მოვლენების გონითი განსჯა. მან თავისი სულის წინააღიდან ამოიტანა დაფარული საუნჯე – გონითი საწყისები – განავრცო ის და სხვებსაც მოუწოდა ამგვარი ქმედებისკენ, რათა „დიდი სინათლის“ გზამკვლეობით ეზიარონ ნამდვილ – ადამიანური ყოფიერების ბედნიერებას. სულის სინათლე გამომჟღავნდა მის საშურ უნარში – ფილოსოფიის ურთულესი საკითხების ნათლად გადმოცემაში. თაზოს სტილი გადამდებია; თითქმის იმგვარად, კარგი სიმღერის მოსმენისას ჩვენშიც რომ აღიძვრება მძაფრი გრძნობა თანაშენარეულებისა.

პატრიოტი და ტრადიციების დამფასებელი კაცი მუდამ სიახლეებისკენ მიისწრაფოდა. მან დიდი წვლილი შეიტანა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის დაფუძნების საქმეში, ძნელბედობის ჟამს აქტიურად იცავდა მის ინტერესებს. თამაზ ბუაჩიძის მოღვაწე-

ობის მეორე პერიოდი მთლიანად ანთროპოლოგიური პრობლემებითაა დაკავებული; მან გეზი მისცა ქართული ფილოსოფიური ანთროპოლოგიის კვლევის ძირითად მიმართულებას – გონით ანთროპოლოგიას.

თამაზ ბუაჩიძე ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საგნის რაობას ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებების ურთიერთობის საკითხის მიხედვით არკვევს. სამყაროს შემადგენელ ნაწილებს კერძო მეცნიერებები ცხადყოფენ, სამყაროს როგორც მთელს – ფილოსოფია. ამის შესაბამისად, ადამიანს ბევრი მეცნიერება სწავლობს, მაგრამ ისინი მხოლოდ ადამიანის ნაწილებს ეხებიან, მათგან ყურადღების გარეშეა დატოვებული ადამიანი როგორც მთელი. ამასთან მიუთითებს, რომ ბიოლოგიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, არაფილოსოფიურ ანთროპოლოგიებს გარკვეული წარმოდგენა აქვთ ადამიან-მთელზე, მაგრამ მისი სპეციფიური კვლევა არაა მათი კომპეტენცია, რასაც ისინი ამბობენ ადამიანის შესახებ, ესეცაა ადამიანი, მაგრამ ის სხვაცაა, რაც გამოიხატება კითხვით: „რა არის ადამიანის რაობა“. ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ ფილოსოფიური ანთროპოლოგია იძლევა. ეს დისციპლინა უნივერსალურია, იგი ადამიანის ყოველდღიურ არსებობაშიც მონაწილეობს; რომ არა აქ შემუშავებული „სტიქიური ადამიანთმცოდნეობა“, დიდად გაჭირდებოდა კაცთა ცხოვრება, ურთიერთობები. ყოველდღიურობის ადამიანს გარკვეული აზრი აქვს შემუშავებული საკუთარი თავის და სხვების შესახებ, გააჩნია ღირებულებათა შკალა, რომლითაც ის ხელმძღვანელობს ცხოვრებაში. როგორც სხვა ადამიანის კვლევას ვინწყებთ საკუთარი სტიქიურად შემუშავებული რესურსების გამოყენებით,

ასევე, ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ განაზრებებს წინ უსწრებს ინტუიტიური ნახევარცოდნა. „არსებობს წინარემეცნიერული ცოდნა იმისა, თუ რა არის ადამიანი“ (პენგსტენბერგი). თითოეული ადამიანისთვის აუცილებელი, დასაბუთებული ცოდნა საკუთარი ცხოვრების გზის შესახებ არსებობის საზრისის განსაზღვრება, ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური განაზრებების შედეგია. როგორი და რამდენი ცოდნაც არ უნდა მოეპოვებოდეს ადამიანის შესახებ მითებს, რელიგიას, ხელოვნებას, კერძო მეცნიერებებს, ადამიანის პრობლემის გადაწყვეტა, მისი იდეის შემუშავება ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საქმეა. ეს დისციპლინა ახალია, XX საუკუნის კუთვნილებაა, მისი პრობლემა კი ძველთაძველია, თითქმის ფილოსოფიის ხნისაა. ფილოსოფიის აღმოცენების პირველ ხანაში ადამიანს სამყაროს კანონზომიერების თვალთახედვით განიხილავენ, თუმცა აქაც იყვნენ ფილოსოფოსები, რომლებმაც ადამიანის განსაკუთრებულობა შეამჩნიეს (ანაქსიმანდრე, ანაქსაგორა). თამაზ ბუაჩიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ანთროპოლოგიურ ეპოქას, კერძოდ სოფისტთა ლეანლს. მათ, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ადამიანი ფილოსოფიური თვალთახედვით განიხილეს, აღიარეს ადამიანის ცვალებადობა და კულტურის განსაკუთრებული როლი ადამიანის ყოფიერებაში. სოფისტების ხაზს აგრძელებს სოკრატე – ძველი სამყაროს დიდი ანთროპოლოგი. მან გაიზიარა და თავისებურად გაიზარა მცნება „შეიცან თავი შენი“. როგორც ცნობილია, ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში გავრცელებულია შეხედულება: თანამედროვე ანთროპოლოგიის დებულებები, გაგრძელება და თეორიუ-

ლი გადამუშავებაა სოკრატეს ფილოსოფიისა. დიახ, იწყება აქედან და შემდგომ, ფილოსოფიის მთელი ისტორია ადამიანის ფილოსოფიური ცხადყოფის ისტორიაა. ამგვარადაა წარმოდგენილი საქმის ვითარება თამაზ ბუაჩიძის ფილოსოფიის ისტორიაში, აქ ეს უკანასკნელი გადაჯაჭვულია ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ისტორიასთან, ის შეტად საინტერესო ინტერპრეტაციებით იკვლევს სოციალის ფილოსოფიას (ა. შოპენჰაუერი, ფრ. ნიცშე, ვ. დილთაი, ო. შპენგლერი), ექსისტენციალიზმს (კ. იასპერსი, ჟ. პ. სარტრი, ა. კამიუ), ფსიქოანალიზს (ზ. ფროიდი); მის შემოქმედებაში არსობრივადაა განხილული გონის ანთროპოლოგია და ბიოლოგისტური ანთროპოლოგია, მ. შელერის, ა. გელენის, ე. როთპაქერის, პ. პენგსტენბერგის და სხვა გამოჩენილ ანთროპოლოგთა თეორიები, მათ შეხედულებათა ავ-კარგი, საკითხთა გარკვევის მისეული ხედვა. თამაზ ბუაჩიძე კარგად იცნობს გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, განსაკუთრებულ სიმპათიას კი შვედელის მიმართ ამჟღავნებს. ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ მან ახლებურად წარმოადგინა შვედელის სისტემა, რეაბილიტაცია გაუკეთა ექსისტენციალისტთა მიერ შეურაცხყოფილ დიდ მოაზროვნეს, „გონის ფილოსოფიაში“ დაინახა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განსახები, ყურადღება მიაქცია ანთროპოლოგიურ გონს და სუბიექტურ ფაქტორს. ის შვედელის ზემოაღნიშნული თხზულების მთავარ თემად, ცენტრალურ ფიგურად ადამიანს, მის ცხოვრებასა და მოქმედებას მიიჩნევს. სწორედ ადამიანია იდეის გაუცხოების, სხვადაყოფის მოხსნის და თავის თავთან დაბრუნების პირობა. „გონის ფილოსოფიაში“ შვედელმა ადამიანის

არსების გამომხატველი გარკვეულობები ფილოსოფიური თვალთახედვით, კერძოდ, თავისუფლების კატეგორიის განასერში ვანიხილა. თამაზ ბუაჩიძე ამ ნაწარმოების პირველ ნაწილს მთლიანად ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას უწოდებს და აღნიშნავს: „ადამიანის არსების, როგორც თავისუფლების გაგება და ადამიანის სხვა მხარეთა, როგორც ამ არსების გამოვლენის ფორმათა რაობისა და დიალექტური ურთიერთკავშირის შეგელისეული დახასიათება ბევრს მისცემს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის დარგში მომუშავე მკვლევარს“: აბსოლუტური გონის არსება თავისუფლებაა, მისი სრული გამოვლენა თავისუფლების ჩასახვასა და ზრდას უკავშირდება; ძალა, რომლითაც ხდება თავისუფლების რეალიზაცია, აქვს ადამიანს, რომლის არსებაც არის გონი. თამაზ ბუაჩიძეს არასწორად მიაჩნია ბიოლოგიური ანთროპოლოგიის დებულება: „ადამიანი არის ნაკლოვანი ცხოველი“. პირველ რიგში იმიტომ, რომ ადამიანი არ არის ცხოველი. მართალია, მას აქვს სხეული, მაგრამ ეს არის სპეციფიკურ-ადამიანური სახის, პიროვნების ზემოქმედებით, ცხოველისგან განსხვავებული სხეული. თანამედროვე ანთროპოლოგიაში მას ტანს უწოდებენ. რაც შეეხება ადამიანში ინსტიქტთა სინაკლულეს და სპეციალიზებას, მოკლებულობას – ეს სრულიად არაა ადამიანის ზადი, პირიქით, ბევრი ინსტიქტი შეასუსტებდა ადამიანის აქტიურობას, გონს, აზროვნებას, თავისუფლებას; სპეციალიზება კი მას გარემოში ჩაკეტავდა, უარყოფდა მის პლასტიურობას. ავტორს არ მოსწონს შეხედულება (დასკვნა): ადამიანი ინარჩუნებს სიცოცხლეს, რადგან მას აქვს გონი, რომელიც ქმნის კულტურას. გამოდის, რომ კულტურა იმისთვისაა მოწოდებული,

რომ ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ სახუროს. აქ გონი მხოლოდ სიცოცხლის განმმტკიცებლის როლში გვევლინება. ამით დავინწყებულია მეორე მხარე კულტურისა და გონის უმაღლესი დანიშნულება, – მხატვრული შემოქმედება, ხელოვნება, მორალი, რელიგია, საერთოდ, გონითი მეცნიერებები, და რაც მთავარია, ადამიანის უმაღლესი მისია – უანგარობა, მაღალი ღირებულებებისადმი ინტერესი. დიდა თამაზ ბუაჩიძის წვლილი ადამიანის კვლევისას რედუქციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სინამდვილისადმი რედუქციონისტურ მიდგომას ის „ონტოლოგიურ სიბეცეს“ უწოდებს. ამ დროს ყოფიერების ერთი სფეროს შესატყვისი პრინციპები, ცნებები ონტოლოგიურად, ე. ი. არსებობის წესით სრულიად განსხვავებულ სფეროში გადაგვაქვს. „ონტოლოგიური სიბეცის“ თვალსაჩინო მაგალითია მექანიციზმი, აგრეთვე მისი უარყოფელი ბიოლოგიზმიც. თამაზ ბუაჩიძე გვთავაზობს კულტურის რაობის შესახებ შეხედულებას, რომლითაც დაძლეულია ყოველგვარი რედუქციონიზმი: მართალია, კულტურა ცოცხალია, მაგრამ ის გონითი სიცოცხლეა, მას სიცოცხლეს აძლევს ადამიანი და არა ბუნება. ცხოველს ბუნება კარნახობს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, ადამიანს ასეთი მოკარნახე არა ჰყავს, ის თვითონ ირჩევს თავისი ცხოვრების წესს; აქ გადამწყვეტი სიტყვა თავად ადამიანს, მის გონს ეკუთვნის, რომელიც არა მარტო ბიოლოგიურზე, არამედ არსებითად, მაღალ ღირებულებებზეა მიმართული. ყოფიერების ეს წესი, რომელშიც თავისუფლებაც იგულისხმება, კულტურისა და ადამიანის არსებითი მახასიათებელია. მარტო სული, თუ მას ფსიქიკის მნიშვნელობით გავიგებთ, ინდივიდუალური ნაწილია

ეროვნული

ადამიანისა და ასეთად რჩება; გონი („გონითი სული“) ისაა, რაც შეიძლება „გასავადეს“, ნაწარმოებად იქცეს. გონის სიცოცხლე არის შემოქმედება, ახალი, მანამდე არარსებულის წარმოშობის სათავე, სინთეზური პროცესი, სიცოცხლის შეტანა მასალაში, მისი გაცოცხლება, სულის შთაბერვა. თამაზ ბუაჩიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნულ კულტურას, ეროვნული გონის შემოქმედების ნაყოფს. ის კითხვას, რა არის ძირეული ერთ ეროვნულ გონში, რომელიც სხვადასხვა ფანრის ნაწარმოებთ შინაგანად ერთმანეთს ამსგავსებს, პასუხობს: ეს არის მსოფლგაგება, მსოფლიოს ხედვა, განცდა, რომელიც თავისებური ინტერპრეტაციაა ყოფიერებისა, ადამიანის ცხოვრების საზრისისა. ეროვნული გონიც მსოფლგაგებაა, შემოქმედების ნაყოფია და ამასთან ეროვნული გონის შექმნილი ყოველი ფენომენის ღრმა ნათესაობის საფუძველი. ერთი საერთო წყარო, ერთი მსოფლგაგება, ეროვნული გონი, ერთსა და ეროვნულ კულტურას მთლიანობას აძლევს – დაასკვნის თამაზ ბუაჩიძე და დასძენს: ეს „ერთია“ დავანებული კულტურის სხვადასხვა ფორმაში და რომელიმე მათგანში ამის წდომსა სხვა სახეთა გაგების საშუალებაა. ობიექტური გონის სახით წარმოდგენილი ყველა ეროვნულ-კულტურითი ფენომენი, რომელიც არაა უბრალოდ ფსიქიკური, არამედ მისგან განსხვავებული და მასზე აღმატებული გონითი, მყარი საყრდენია იმისთვის, ვისაც განუზრახავს ეძიოს ეროვნული, ვთქვათ, ქართული, „ვეფხისტყაოსანში“. ამ ობიექტად ქცეულ გონში, ქართველი კაცის მსოფლგაგებაა ფიქსირებული. დაკვირვებული თვალი აუცილებლად ამოიკითხავს ქართველის დამოკიდებულებას ბუნებასთან, მეო-

რე ადამიანთან, სიცოცხლეცხოველსკედელთან. ამასთან დაკავშირებით თამაზ ბუაჩიძეს მოჰყავს პოემის „საოცარი სტრიქონები“: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“. შუა საუკუნეების ნაწარმოებში ჩადებული შინაარსი ქართულის დახასიათებაა, ზედროულია თავისი არსით, იმიტომაც, რომ ეს არის ეპოქა, როცა თავისუფალი სულია აღზევებული. ეს არსებითი ხელსაყრელი პირობაა იმისა, რომ მთელი სისრულით გამოვლინდეს ეროვნული (ქართული) სული (გონი).

თამაზ ბუაჩიძის თანახმად, ადამიანის მეცნიერული თუ ყოველდღიური არსებობისთვის, უპირველესია კითხვა: რა დანიშნულება აქვს ადამიანის ცხოვრებას, რისთვის ვართ მოსული ამ ქვეყნად? ამის შესახებ გარკვეული წარმოდგენა აქვს ყოველ ადამიანს და ის ამგვარად წარმართავს თავის ცხოვრებას. მაგრამ ისმება კითხვა, თუ როგორია ეს წარმოდგენა ანუ რა მიზანი ამოძრავებს მას? იმისათვის, რომ ამ კითხვას ვუპასუხოთ, აუცილებელია ადამიანის დახასიათება, რადგან სწორედ მის (ადამიანის) დანიშნულებაზეა ლაპარაკი. ადამიანის რაობის ცხადყოფა, სამყაროში მისი ადგილის მიინიშნება, საშუალებას მოგვცემს შევფასოთ მისივე ცხოვრების ყაიდა, მისწრაფებების ხასიათი და მიზანშეწონილობა. დაეინყოთ „ადგილით“. ადამიანი დისტანცირების უნარით დაჯილდოებული არსებაა, მაგრამ ის არ ცხოვრობს გარემოს გარეშე. ცხოველი აბსოლუტურად გარემოს შვილია, ბუნების მონაა. ადამიანის გარემო სპეციფიკურია, ის ადამიანისაა, ადამიანურია. ადამიანი ყველაფერს თავისი დროის კულტურის სათვალეებით უყურებს. მას შეუძლია



სპეციალობათა გადანაცვლება, გარემოს შეცვლა, მისი საზღვრების გადალახვა და გაფართოება, სამყარომდე ამაღლება.

სამყარო ერთიანი და მთლიანია, რომელიც ნაწილებისა და საფეხურებისაგან შედგება. ჩვენი ავტორი რეალურ სამყაროში ხედავს ერთმანეთისაგან განსხვავებულ ოთხ სფეროს და იქ არსებულებს, რომლებიც სამყაროში რეალურად, ე. ი. სივრცესა და დროში მყოფობენ (ამის გარდა არსებობს ზედროული სამყარო, რომელსაც ადამიანი კი უკავშირდება, მაგრამ მასში არ ცხოვრობს). პირველი (ქვედა) საფეხური არაორგანულია; ინერტული, შინაგან აქტუალობას მოკლებული, დროში განფენილი ნივთთა სამყაროა. თუ მეორე და მესამე სფეროს გაგაერთიანებთ, ეს იქნება სიცოცხლე – მცენარეები, რომელსაც ახასიათებს შინაგანი აქტივობა, გარკვეული „თვითობა“ (ვარდი თვითონ იზრდება, თვითონ პასუხობს გარეგან გამღიზიანებლებს, ანარმოებს ნივთიერებათა ცვლას) და ცხოველები, სადაც პირველად გამოჩნდება სული, ფსიქიკა, პრაქტიკული ინტელექტიც კი. ცხოველს განცდის უნარიც აქვს და ინტერესიც, ოღონდ არა საგნის „რა“-ს შესახებ, არამედ მისი ვიტალობისათვის მნიშვნელოვანზე. არცერთ აღნიშნულ საფეხურზე ადამიანის ადგილი არაა; მას უფრო მაღალი ადგილი ეკუთვნის და აქვს კიდევაც, რაზედაც მისი სპეციფიკური უნარი – გონი აყენებს. „გონი, ძალზე მოკლედ, შეიძლება დახასიათდეს, როგორც უნარი საკუთარი თავის დავინყებისა და ამ გზით საგანში ჩაძირვისა, როგორც უნარი სრული ტრანსცენდენციისა“ – გონის ცნების თამაზ ბუაჩიძისეული განსაზღვრება გახლავთ მისი არსობრივი, ყოვლისგადამწვდომი ცხადყოფა. სი-

ნამდვილის რომელ სფეროშიც არ უნდა მჭლავნდებოდეს გონითობა, ის ყოველთვის თან ატარებს ზემოთ მითითებულ ნიშნებს.

გონის მთავარი თვისებაა თავისუფლება. ადამიანი თავისუფალია არა მარტო რაიმესგან, არამედ ის თავისუფალია რაიმესთვის, რაც შემოქმედებაში, კულტურაში გამოიხატება. ადამიანი, როგორც პიროვნება, კულტურაში ასახლებს გონით – ზნეობრივ კანონებს. „ზნეობრივი ყოფიერება ადამიანთა ყოფიერების მოუცილებელი თვისება უნდა გახდეს“ – ასეთია თამაზ ბუაჩიძის მეცნიერული და ცხოვრებისეული კრედო. ის, რაც ადამიანთან ვერ გააკეთა ბუნებამ, უნდა გააკეთოს „თვითონ“; „დაუსრულებელმა არსებამ“ თავად უნდა დაასრულოს თავისი თავი. ადამიანში სპეციფიკურ-ადამიანური იწყება მაშინ, როცა ის თავისუფლდება სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დანოლისაგან. ამის გარეშე ადამიანი მხოლოდ ვიტალური ინტერესების მიხედვით იმოქმედებს, ვერაფერს იტყვის საგანთა თავისთავადობის შესახებ. საერთოდ, სადაც გონი კლებულობს, იქ ცხოველური მატულობს. გონი სულია, რომელიც მხოლოდ ადამიანის კუთვნილებაა, მაგრამ ის არ არის მზა სახის მოცემულობა. გონი შესაძლებლობაა, რომლის განამდვილება ადამიანზეა დამოკიდებული, გონით – კულტურული სახის „კონსტრუქტორი“ ადამიანია. გონის უნარის ამოქმედება თავის აუცილებელ პირობად მოითხოვს ზრუნვას ამ უნარის განვითარებაზე. ბავშვის აღზრდაც იქეთკენ უნდა წარიმართოს, რომ მასში განვითარდეს ეს მოცემულობა, რომ მოხდეს გონითი შინაარსების „მითვისება“, მათი გაშინაგნება. მაგრამ ისეთი ადამიანებიც არიან, რომლებიც არ იხედებიან საკუთარი



ერეკტული

სულის სიღრმეში და არც გონის გაღვივებისათვის იღვნიან. ადამიანებს შორის გონითობის მიხედვით განსხვავება დიდია. ეს კარგად ჩანს ცხოვრების ორ პოზიციაში. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისთვის ნიშანდობლივია კულტურის ათვისება, რითაც ის ცხოველური ყოფიერებისგან გამოიყოფა. ამგვარი პოზიცია არაა მექანიკური სახის, არჩევანს თავად ადამიანი ახდენს, ისაა გადაწყვეტილების სუბიექტი. ამის მიხედვით იკვეთება ადამიანთა ცხოვრების წესის ურთიერთგანსხვავებულობა. პირველი ეს გახლავთ ვიტალობის პოზიციიდან განსაზღვრული ცხოვრება. ამგვარი არსებობის მაგალითად გამოდგება ვაჟა-ფშაველას გმირის სიტყვები:

**„არ იცი არა, ჭკვათხელო,  
ყბუდო, ზეზერე მგრძნობარევ,  
თავისა სასიამოვნოდ  
წუთისოფლისა მცნობარევ“.**

ამ დახასიათებაში წარმოჩენილი ადამიანისთვის საზომი წუთისოფლისა თავად წუთისოფელში ან მასზე მაღლა კი არ არის, არამედ მისი „მანია მე“-ს სიამოვნებაშია. ყოფნის ასეთ ყაიდას თამაზ ბუაჩიძე სულითბერნობას უწოდებს. საინტერესო ისაა, რომ აქაც გონითი შინაარსები, მაგ. ინტელექტუალური ძალები მონანილეობენ, მაგრამ გაუკუღმართებული სახით. ამ შემთხვევაში გონი დამორჩილებულ მდგომარეობაშია.

სულითბერნობისაგან მთლიანად განსხვავდება გონითი ინტერესებით განსაზღვრული ახალი ფენომენი – სულიერება. ამ შემთხვევაში „წუთისოფელთან“ ადამიანის მიმართება განსაზღვრება იმ ობიექტური საზომებით, რომელთაც იძლევიან მაღალი ღირებულებები – ჭეშმარიტება, სიკე-

თე, ობიექტურობა, კულტურობა, სიწმინდობა. ადამიანის არსებობა არჩევნის წინაშე ყოფნაა. ის ცხოვრების ორი წესისგან – სულითბერნობისა და სულიერებისგან – ირჩევს ერთ-ერთს. ზოგადად რომ ვთქვათ, ადამიანი თვითონ ქმნის თავის ზნეობრივ მე-ს. ეს უკანასკნელი იბადება და სრულყოფილი ხდება იმგვარი ადამიანის სიღრმეში, ვისაც სულიერების გზა აურჩევია. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი ფაქტორი: ადამიანში მის მიერ ვიტალური მე-ს დაფინყება სულაც არ ნიშნავს საერთოდ მე-ს უარყოფას. ეს გახლავთ მის მეორე მე-ზე უარის თქმა და ამ ადგილზე გონითი მე-ს დაყენება. ამგვარი მე ავტონომიურია, თავისუფალია, თავისუფლების პირობაა და მისი დამამკვიდრებელი, გონითი „მე“ არის გონადა – ამბობს თამაზ ბუაჩიძე.

გონითი ცხოვრება ტრანსცენდირებაა ღირებულებით სფეროში. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: როგორია ეს გადასვლა, არის ჭეშმარიტი? იქნებ ჩემთვის ღირებულია ის, რაც მე მსურს, მსიამოვნებს, მომწონს. ასეთი მიდგომა ამკვიდრებს რელატივიზმს და ადამიანთა სამყაროში, ეგოიზმს. ამ შემთხვევაში თავდასაცავად, არცთუ იშვიათად, მოიხმობენ გამოსავალს: ღირებულების საფუძვლემდებელი არის არა ინდივიდი, არამედ გარკვეული სოციალური ჯგუფი, ფენა, კლასი ანდა ადამიანი, როგორც გვარი. თამაზ ბუაჩიძის თანახმად, ზემოაღნიშნული არგუმენტი ვერ აუქმებს სუბიექტივიზმს, აქაც „საზომი სუბიექტია და სუბიექტურია“. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ეს სუბიექტი „ფართო მოცულობისაა“ ყოველი თეორია, რომელიც ღირებულებას არსობრივად აკავშირებს სუბიექტთან, მის ფსიქიკურ ყოფიერებასთან არის

ფსიქოლოგიზმი. ამ მანკიერმა „იზმმა“ მოიცვა მეცნიერებათა დიდი ნაწილი, მისგან განსაკუთრებით ლოგიკა შეილახა. თამაზ ბუაჩიძის კრიტიკული აქცენტი მიმართულია აქსიოლოგიაში ფსიქოლოგიზმის მიმართ, რომელიც ნიშნავს ღირებულებით სფეროში ფსიქოლოგიის უკანონო შეჭრას, რაც საბოლოოდ უარყოფს აქსიოლოგიის დამოუკიდებლობას. თამაზ ბუაჩიძე ასე მსჯელობს: სინამდვილის საგნებისა და მოვლენების შესახებ შეიძლება გვექონდეს ორგვარი მიმართება. ერთი ეს გახლავთ ფაქტობრივი „ყოფიერებითი“ ასპექტი, როცა ყურადღება მთლიანად მიუყრდნობილია კითხვაზე – „როგორია საქმის ვითარება“? ისე რომ, აქ არ ჩანს ჩვენი პოზიცია მის მიმართ („შეგელი არის „გონის ფენომენოლოგიის ავტორი“, „ილია ჭავჭავაძე დაიბადა ყვარელში“). მეორე მიდგომა გამოხატავს სუბიექტის პოზიციას, „საქმის ვითარების“ შეფასებას („ალბერტ შვეიცერი უკეთილშობილესი პიროვნებაა“). ზემოაღნიშნული ორივე მიდგომა ჩვეულებრივია და აქ არაფერია დასაწინი და უარსაყოფი. ამის საჭიროება მაშინ ჩნდება, როცა დადებით ღირებულებად მიჩნეულია ჩემთვის (რომელიმე პირისთვის) სასიამოვნო, სასურველი, როცა ღირებულების წყაროდ გამოცხადებულია სუბიექტი, ფსიქიკური აქტი, სინამდვილეში სასიამოვნო და ღირებული, სრულიად არაა იგივეობრივი; სასიამოვნო (ჩემთვის) ვერ მისცემს ძალას ღირებულს. განა სამართლიანობა, მამაცობა და მისთ. მათდამი ჩემი სიმპათიის გამოა ღირებული? მე შეიძლება მომწონდეს ისინი სწორედ იმიტომ, რომ ჩემი ამგვარი პოზიცია განსაზღვრულია ობიექტური ღირებულებებით. ამის კონკრეტული გამოხატულებანი (ვთქვათ, სამართლიანობა) ფსი-

ქიკურ სფეროს კი არ ეკუთვნის, არამედ მისგან განსხვავებულს, იდეალურს. ის ობიექტურია, თავისი ძალის მქონეა, აბსოლუტურია. ღირებულებას აქვს გარკვეული მოთხოვნა, რათა განხორციელდეს, რასაც ასრულებს ის, ვისაც ესმის ჯერარსის ხმა. მოთხოვნა, ამ შემთხვევაში, არის მხოლოდ მონოდება და არა იძულება; ის გვიტოვებს თავისუფლებას, არჩევანის შესაძლებლობას. ადამიანის დანიშნულებაც სწორედ აქაა საძიებელი. მან უნდა მისდიოს ღირებულებებით განსაზღვრულ ჯერარსის ხმას. ამალდეის ვიტალობაზე, იარსებოს ინტენსიური გონითი ცხოვრებით, იღვწოდეს სამყაროში ლოგოსის, გონიერების დამკვიდრებისათვის.

გონითი ადამიანის მიმართება სინამდვილისადმი არის ობიექტური, განსაზღვრულია თავად ობიექტებით და არა პირადი დაინტერესებით. გონითი აქტიებიდან ყველაზე „მარტივი სახეა“ შემეცნება. საგნის არსებაზე მხოლოდ ადამიანი სვამს კითხვას და შემდეგ ებმება შემეცნების რთულ პროცესში. ჭეშმარიტების მიღწევის გზაზე შემეცნებელი უნდა „დადუმდეს“ და მოისმინოს შესამეცნებლის ხმა. გონითი შემეცნება უანგაროა, ობიექტურია, საგნობრივია, მაგრამ ამის შედეგი – ცოდნა, შეიძლება ვინმემ ანგარებითი მიზნებით გამოიყენოს. ეს „ანთროპოლოგიური ფაქტორი“ სრულიად არ აკნინებს საერთოდ შემეცნებისათვის აუცილებელ ნიშანს – უანგარობას. ანალოგიურია ესთეტიკური პოზიცია – მშვენიერებისადმი ინტერესი, ყველა სხვა ინტერესების გამოორიცხვით. ესთეტიკური განცდა გულისხმობს ჩვენი გონის ჩასახლებას მხატვრული ნაწარმოების სიღრმეში, მისი ღირებულების წვდომას. ასეთი ემოციები უტილიტარული, ვი-

ეპოქის შესახებ

ტალური კი არ არის, არამედ საგნობრივია, ინტენციონალური (უანგაროა გონითი სიყვარულის გრძნობა – თავდავინყების, მეორე მე-ში ჩაძირვის გამოვლენა). სრული უანგარობის ნიმუშია რელიგიური აქტი. ყველა ის მორწმუნე, რომლის მიმართება ღმერთისადმი პრაგმატულ-მომხმარებლურია, არაქმმარიტი მორწმუნეა. ცხადია, გონი ბატონობს ადამიანური ყოფიერების ყველაზე მნიშვნელოვან სფეროში – ეთიკურში. მისი უმნიშვნელოვანესობა იმით საბუთდება, რომ ადამიანის ყოველი ქმედება, საბოლოო ანგარიშით, ეთიკურად უნდა გამართლდეს, ეთიკურ სფეროში გონი ვლინდება სინდისის სახით.

ჩვენს ანთროპოლოგებს შორის თამაზ ბუაჩიძე პირველია, ვინც სინდისი განიხილა ფილოსოფიური თვალთახედვით. არსობრივად და სიღრმისეულად. ის გულისტკივილით აღნიშნავს, რომ კარგა ხნის მანძილზე, კომუნისტური რეჟიმის ზეობისას, ამ ცნებამ დაკარგა თავისი აღმატებული მნიშვნელობა და „დოყლაპობის“, „უხერხულობის“ სინონიმად გადაიქცა. ახლა (ეს ვახლავთ XX საუკუნის 80-90-იანი წლები) „ნარსულის გადმონაშთი“ სიტყვა მკვდრეთით აღდგა და თანდათან იპოვებს თავის უფლებებს. როგორც ჩანს, ადამიანებში გაჩნდა მოთხოვნილება, რომ საკუთარი არსებობა შეუთანხმონ თავის შინაგან ძახილს – სინდისს.

ფილოსოფოსნი სინდისს სხვადასხვაგვარად განმარტავენ, რომელთაც აერთიანებს ერთი არსებითი ნიშანი – შინაგნობა („ღვთის ხმა ჩემში“, „შინაგანი მსაჯული“, „ჩემი უმაღლესი განმსჯელი“, „ჩემში არსებული ღვთიური ნების ორგანო“). სინდისი ჩემია და ჩემშია, მაგრამ გარკვეულ მომენტებში კი არ მეფერება, არამედ მსჯის მე-

გმობს ჩემს საქციელს რსკუნძულს ნარსულს, ანმყოსა და მომავალს. ეს უმაღლესი განზომილების ფენომენი ჩემი ვიტალობისათვის სასიამოვნოს და სასარგებლოს დიდი ნუხილის წყაროდ გადააქცევს. სინდისი ჩემი ვიტალობის მიღმა, ღირებულებითი კატეგორიაა, სწორედ ამის შუქზე ვაფასებთ და ვსჯით ჩვენსავე თავს. სინდისი ღრმად ინტიმური ფენომენია, მისი მოსმენა განმარტობას მოითხოვს, მისი შესმის მე და არა სხვას, მას ვწვდები მთელი არსებით, გულით. მისმიერი შეფასება არც ვიტალურია და არც ესთეტიკური, არამედ, უნიანრესად, ზნეობრივი განსჯაა სიკეთისა და ბოროტების თვალთახედვით. სინდისის ხმა გაისმის როგორც რჩევა და გაფრთხილება ჩვენი ქმედების წინ, ზნეობის შემთხვევაში ხსნა გამკიცხავია, შედეგი – სინდისის ქენჯნა. ეს უკანასკნელი მძიმე ტვირთია და ამიტომ მის მოსაცილებლად ან შესამსუბუქებლად ადამიანი აგებს „იდეოლოგიას“, თავის თავს უმტკიცებს, რომ მას არ უღალატია სინდისისათვის ან ხდება სხვაზე გადაბრალება, მაგრამ არაფერი გამოდის, სინდისი ძლიერია და დაუნდობელი, ის ყოველგვარ „იდეოლოგიას“ ანგრევს. სინდისის, როგორც თვითრეფლექსიის უნარის აღსანიშნავად თამაზ ბუაჩიძე იყენებს ძველ ქართულ, „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ სიტყვას „გათავისწინება“ (თავის თავის განმარტობა; თვითგანკითხვის უნარი, რაც როგორც ილია ჭავჭავაძე იტყვის: გონებისა და გულის დიდ დაძაბვას მოითხოვს). ადამიანი ითავისწინებს თავის არსებას, განსჯის მას პირუთვნელად. განმსჯელი მე-სგან განისჯება ემპირიული მე, ზნეობრივი თვალსაზრისით, ზნეობრივი ღირებულებების სიმალლიდან. სინდისი ჩემი არსების

სიღრმეში მოქმედი ზნეობრივი, ჯერარსული მე-ა, რომელსაც ათვისებული აქვს ღირებულებები. სინდისის (და სინდისიერთა) განსჯა არის საგნობრივი, ობიექტური. როცა ჩემში სინდისი ლაპარაკობს, მე ვარ უანგარო, ე. ი. მე ვარ გონი (გონითი), რამდენადაც გონი სწორედ უანგარობა და საგნობრიობაა. სინდისი გონითი ფენომენია, მწვერვალია გონითი ცხოვრებისა.

თამაზ ბუაჩიძე სპეციალურად არ განიხილავს გონის გენეზისის საკითხს. ეს არაა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ძირითადი პრობლემა; მას ინტერესებს არა „საიდან“, არამედ „რა“ – რა არის გონი და რა ადგილი უჭირავს მას სამყაროს და ადამიანის მთლიანობაში. ავტორი იცავს გონის ავტონომიის პრინციპს, უპირისპირდება გონის, სინდისის ბიოლოგიზირებისა და სოციოლოგიზირების თეორიებს. გონი და სინდისი არც ვიტალობის ნაკლოვანების შედეგია და არც სოციუმის ხმა, რამდენადაც ისინი ადამიანს ართმევენ ზნეობრივ „მე“-ს, მონადურობას. სინდისი, ხშირად, საზოგადოების ინტერესების სანიანა-ალმდეგოდაა მიმართული, ის ვერ ეგუება გადაგვარებულ საზოგადოებას, ადამიანის გამაუცხოებელ გარემოს. ზნეობრივი ცხოვრების შინაარსი პოზიტირია, მისი აკრძალვები თვითაკ-

რძალეებია. დიქტატორული სისტემის ნიფო ყოველთვის ცდილობს სინდისიერთა დამორჩილებას, თუ ეს ვერ მოახერხა, არც მათი განადგურებისაგან დაიხვეს უკან. ცნობილია, რომ ეს საშინელება თავის თავზე ინენია თამაზ ბუაჩიძემ, მისი ჭეშმარიტად ინტელიგენტური, სინდის-ნამუსიანი ოჯახის მიმართ უმკაცრესი რეპრესიების განხორციელებით.

და ბოლოს: გონის გენეზისის საკითხების გარკვევა ლოგიკურად მოგვიყვანს ანთროპოგენეზთან. თ. ბუაჩიძე, ყოველგვარი რედუქციონიზმის უარყოფელი მოაზროვნე, არავითარ შემთხვევაში არ გაიზიარებს ევოლუციონიზმის (დარვინიზმის) იდეებს, ცხოველისგან ადამიანის წარმოშობის პიპოთეზას. სხვა გზა ადამიანის ღვთისშვილობას ასაბუთებს. გონი, ადამიანში წარმოდგენილ ფენათა შორის უმაღლესი განზომილების ფენომენია, მისი დახასიათების კვალად, არ შეიძლება „მიწიდან ამოზრდილად“ იგულისხმოდეს. გონი, როგორც „დიდი სინმინდე“ და პიროვნებადმყოფობის გარანტი, თამაზ ბუაჩიძისეულ ანთროპოლოგიურ კონცეფციაში „ფილოსოფიური ლმერთის“ სახეს იღებს. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი გონითი ანთროპოლოგია რელიგიური ანთროპოლოგიის კენ მიემართება.



6160 ჩიჩუა

## კოგნიტიური სქემათა ინვლანსურანოვანი უბლიცისტურ დისკურსში („ფაქტური“ და „რეინტერპრეტაციული“)

ინვლანსურენოვანი პუბლიცისტური დისკურსის კვლევისას მისი კოგნიტიული სქემების და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, რელევანტური კოგნიტიური სქემების გამოვლენის მიზნით ძირითადად ყურადღება შევაჩერეთ სტატიებსა და ესეებზე, რომლებიც ქვეყნდება ისეთ პერიოდულ გამოცემებში, როგორცაა Time, Foreign Affairs, the Economist, Newsweek და უპირატესად მიეკუთვნება სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და საერთაშორისო პუბლიცისტიკის სფეროს (აღნიშნულ პერიოდულ გამოცემათა თემატური სექტორი ფაქტობრივ უფრო ფართოა).

გაანალიზებული ტექსტების ვრცელი კორპუსიდან მიეუთითებთ რამდენიმე ესეს და სტატიას, როგორც ამგვარი პუბლიცისტური დისკურსის ერთგვარ ტიპურ ნიმუშებს:

1. ქრისტოფერ ოგდენის ესე „Goodbye to All That?“ („ყველაფერ ამას უნდა დავემშვიდობოთ?“), Time. ესეს თემაა მარგარეტ ტეტჩერი, როგორც პიროვნება და პოლიტიკოსის ტიპი, მარგარეტ ტეტჩერის მიერ გატარებული ეკონომიკური რეფორმა და მისი ფილოსოფია, დიდ ბრიტანეთში კონსერ-

ვატორების შემდეგ ხელისუფლებაში ლეიბორისტთა მოსვლის მნიშვნელობა (ესეს ავტორი – ქ. ოგდენი ავტორია, აგრეთვე, მ. ტეტჩერის ბიოგრაფიისა „Maggie“).

2. სემუელ პანტინგტონის ესე „The West: Unique, Not Universal“ („დასავლეთი: უნიკალური, მაგრამ არა უნივერსალური“, Foreign Affairs. ესეს ძირითად თემათაგან დისკურსში მათი „კოგნიტიური დამუშავების“, მეტაფორული და კოგნიტიური მეტონიმის სქემების კვლევის თვალსაზრისით ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: თანამედროვე მსოფლიოში კულტურათა მოდერნულობის („თანამედროვეობის“) მიმართება დასავლეთის ძირითად ღირებულებებთან (core western values vs. consumer goods), კულტურათა „მოდერნულად და დასავლურად“ მიჩნევის პანტინგტონისეული კრიტიციზმები).

3. ფრენსის ფუკუიამას „Social Capital and the Global Economy“ („სოციალური კაპიტალი და მსოფლიო ეკონომიკა“, Foreign Affairs, ესეში ავტორს შემოაქვს ახალი კრიტიციზმი: ერთგვარი „სოციალური კაპიტალი“: „ნდობის ფაქტორი საზოგადოებაში“ trust

საქართველოს  
საგარეო ურთიერთ  
კავშირების  
მინისტრის  
სამსახური

და მის საფუძველზე კულტურათა და მსოფლიო ეკონომიკის სრულიად ახალი კლასიფიკაცია).

4. „L.A.'s Open Wounds“ („ლოს-ანჯელესის მოუშუშებელი იარა“, ჯონ გრინვალდი, Time, სტატიის თემაა სამოქალაქო დაპირისპირება ლოს-ანჯელესში, მისი ეთნიკური და სოციალური მიზეზები).

5. „The prince of San Mateo“ („სან მატეოს პრინცი“, ჯოშუა კუპერ რამო, დევიდ ჯექსონი, Time, სტატიის თემაა კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის ბიზნესის სამყაროში ბილ გეიტსის შემდეგ მეორე მილიარდერის - ლარი ელისონის პიროვნება და მისი „ბიზნესის ფილოსოფია“).

6. „Face value: Sir Martin Sorrell, advertising's insecure supremo“ („ნომინალური ღირებულება: სერ მარტინ სორელი - სარეკლამო ბიზნესის დესპოტი, რომელიც თვითონ დაუცველია“, the Economist, სტატია ეძღვნება სერ მარტინ სორელს როგორც პიროვნებას და ბიზნესმენს).

აღნიშნული ტიპის ტექსტთა ვრცელი კორპუსის კვლევის შედეგებს დისკურსის კოპერენტულობის და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით რელევანტური კოგნიტიური სქემების გამოვლენის თვალსაზრისით (1) შევაჯამებთ შემდეგი ძირითადი დასკვნების სახით.

გამოვავლინეთ აღნიშნული ტიპის დისკურსის კოპერენტულობის და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით რელევანტური ცხრა კოგნიტიური სქემა - როგორც ფაქტობრივ, „დაქვემდებარებული სქემები“ (sub-schemata), რომლებიც საბოლოოდ ჩართულია დისკურსის ძირითად ინტეგრირებულ სქემაში, რომელიც ტექსტის „კოგნიტიურ-სქემატურ ლერძს“ წარმოად-

გენს: უზრუნველყოფს მის კოპერენტულობას და კოგნიტიურ-პრაგმატულ ეფექტურობას მაკრო დონეზე, რაც თვით დისკურსის მოცემული ტიპის სპეციფიკაზე მიუთითებს კოგნიტიური და პრაგმატული თვალსაზრისით.

გამოვლენილი (პუბლიცისტური დისკურსის კოპერენტულობის და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით რელევანტური) ცხრა კოგნიტიური სქემა ორ ძირითად ჯგუფად დავყავით: „ფაქტურ“ სქემებად და (რე-)ინტერპრეტაციულ/ექსპოზიტორულ სქემებად.

„ფაქტური“ სქემებია „თხრობა“ და „აღწერა“ (2).

გამოვავლინეთ (რე-)ინტერპრეტაციულ/ექსპოზიტორულ სქემათა შვიდი ტიპი, რომელიც რელევანტურია პუბლიცისტური დისკურსის კოპერენტულობის და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით. ეს სქემებია:

1) „(რე-)კონცეპტუალიზაცია/კატეგორიზაცია“

(პუბლიცისტური დისკურსის ძირითადი თემების: პრობლემის, პიროვნების, მოვლენის - ხელახალი თუ ახლებური გააზრება ახალი ცნებაკონცეპტის თუ კატეგორიის საშუალებით),

2) მათი „შეფასება“ ,

3) (რე-)ინტერპრეტაციული სისტემური მეტაფორული მოდული,

4) „თვალსაზრისი-კონცეფცია“ (ფაქტობრივ, პუბლიცისტური დისკურსის ძირითადი თემების: პრობლემის, პიროვნების, მოვლენის - გავრცობილი „(რე-)კონცეპტუალიზაცია/კატეგორიზაცია“ და შესაძლოა, გავრცობილი შეფასებაც),

5) „მონოლოგი/დიალოგი/პოლილოგი“ (უპირატესად არა მარტო და

არა იმდენად პიროვნებათა, რამდენადაც თვალსაზრისთა, შეფასებათა, ხშირად კონცეფციათა),

ბ) - 7): „არგუმენტაცია“ - „დარწმუნება“, „დამაჯერებლობა“.

ზემოაღნიშნული შვიდი ექსპოზიტორული კოგნიტიური სქემის ერთობლიობას განვსაზღვრავთ როგორც „რეინტერპრეტაციულს“, ანუ ერთგვარი „მეორადი ინტერპრეტაციის“ განმახორციელებელს (პუბლიცისტური დისკურსის ძირითადი თემების: პრობლემების, პიროვნების, მოვლენის - „მეორადი, სიღრმისეული კონცეპტუალიზაცია-კატეგორიზაციის, შეფასების, ამგვარი კონცეპტუალიზაციის არგუმენტაციის და ა. შ. განმახორციელებელს); რადგან პირველადი, ელემენტარული და „ზედაპირული“ კონცეპტუალიზაცია-კატეგორიზაცია (ინფორმაციის კოგნიტიური დამუშავება შესაბამისი კოგნიტიური აპარატით) იმთავითვე ნაგულისხმევა „თხრობით“ და „აღწერით“ კოგნიტიურ სქემებში (რომლებიც ერთად პირობითად განვსაზღვრეთ როგორც „ფაქტური სქემები“), შეუძლებელია რაიმეს („ფაქტების“) შესახებ თხრობა ან აღწერა ინფორმაციის თუნდაც ელემენტარული კატეგორიზაციის გარეშე შესაბამისი „ელემენტარული კოგნიტიური ინსტრუმენტების თუ ინვეტარის“ გამოყენებით (როგორცაა სემანტიკურ-სინტაქსური პრედიკატული პროპოზიციული სტრუქტურები და ლექსიკის კორპუსი პოპოზიციის ცვლადი არგუმენტების კატეგორიზაციისა და ნომინაციისათვის).

რეინტერპრეტაციულ/ექსპოზიტორულ სქემათაგან პირველი „(რე-) კონცეპტუალიზაცია/კატეგორიზაცია“ - როდესაც იგი არ არის გავრცობილი - გულისხმობს პუბლიცისტური

დისკურსის ძირითადი თემების: პრობლემის, პიროვნების, მოვლენის (ან რომელიმე დაქვემდებარებული თემატური ელემენტის) „შეკუმშულ, მოკლე“ (გაუვრცობელ), მაგრამ კოგნიტიური თვალსაზრისით მნიშვნელოვან, „სიღრმისეულ“ და ტევად რეინტერპრეტაციას (კონცეპტუალიზაცია-კატეგორიზაციას) ენობრივი და ტექსტობრივი თვალსაზრისით მცირე მოცულობის ერთეულის ფარგლებში (სიტყვა, ფრაზა, მცირე აბზაცი. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება პუბლიცისტური დისკუსიის სათაურები და ქვესათაურები, აგრეთვე, თხრობა-აღწერაში ჩართული მრავალფეროვანი რეინტერპრეტაციული ელემენტები).

იგივე უნდა ითქვას პუბლიცისტური დისკუსიის თემების (პრობლემის, პიროვნების, მოვლენის, ან რომელიმე დაქვემდებარებული თემატური ელემენტის) შეფასების კოგნიტიურ სქემაზე, როდესაც შეფასება, როგორც დისკურსის ელემენტი, საგანგებოდ არაა გავრცობილი და, რაც მთავარია, ექსპლიციურებული; რადგან შეფასება პუბლიცისტურ დისკურსში ხშირად სწორედ არაპირდაპირი და არაექსპლიციტურია, უმეტესად იმპლიციურებულია „(რე-)კონცეპტუალიზაცია/კატეგორიზაციაში“ და, ამდენად, კოგნიტიური თვალსაზრისით ბევრად უფრო ტევადია და ექსპრესიული, ვიდრე „პირდაპირი, ექსპლიციტური, დადებითი ან უარყოფითი“ შეფასება.

ერთ დისკურსში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ერთი და იმავე თემის თუ თემატური ელემენტის რამდენიმე განსხვავებული გაუვრცობელი „(რე-)კონცეპტუალიზაცია/კატეგორიზაცია“ და შესაბამისი რამდენი-



მე განსხვავებული იმპლიცირებული შეფასებაც.

პუბლიცისტური დისკურსის თემების (პრობლემის, პიროვნების, მოვლენის ან რომელიმე დაქვემდებარებული თემატური ელემენტის) გაუვრცობელი, „შეკუმშული“ რეინტერპრეტაციის (კონცეპტუალიზაცია-კატეგორიზაციის) და იმპლიცირებული გაუვრცობელი შეფასების განმარტაციული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოგნიტიური სქემაა ცალკეული მეტაფორა ან მეტონიმი და მეტაფორული შედარებაც.

მაგრამ როდესაც პუბლიცისტურ ტექსტში ფუნქციურად კორელირებულ მეტაფორათა დიდი რაოდენობა უკავშირდება დისკურსის ძირითად კოგნიტიურ ლერქს, საქმე გვაქვს „რეინტერპრეტაციის სისტემურ მეტაფორულ მოდულთან“, როგორც ძირითადი თემების (და მათი შემადგენლების) სისტემური ტექსტობრივი კონცეპტუალიზაცია/კატეგორიზაციის მძლავრ კოგნიტიურ სქემასთან – მეტაფორული რეინტერპრეტაციის და იმპლიცირებული შეფასების ფუნქციურად რეინტერპრეტირებულ ერთიან „ბლოკთან“. ამდენად, პუბლიცისტურ დისკურსში იგი ხშირ შემთხვევაში გამსჭვალავს სხვა უმნიშვნელოვანეს კოგნიტიურ სქემებს – „თხრობა-აღწერას“, „(რე)-კონცეპტუალიზაცია/კატეგორიზაციას“ და „შეფასებას“ გავრცობილი თვალსაზრისის („კონცეფციის“) კოგნიტიურ სქემაში, აგრეთვე, „არგუმენტაცია-დარწმუნების კატეგორიულ სქემას“ (შდრ. კ. ოგდენის ესე, ს. ჰანტინგტონის ესე, ჯ. რამოსა და დ. ჯეკსონის სტატია).

შემდეგი რეინტერპრეტაციული კოგნიტიური სქემაა „თვალსაზრისი-კონცეფცია“ – როგორც პუბლიცის-

ტური დისკურსის ძირითადი თემების პრობლემის, პიროვნების, მოვლენის – გავრცობილი „(რე)-კონცეპტუალიზაცია/კატეგორიზაცია“ და, შესაძლოა, გავრცობილი შეფასებაც.

დისკურსის ძირითადი თემების: პრობლემის, პიროვნების, მოვლენის – „(რე)-კონცეპტუალიზაცია/კატეგორიზაციის“ და შეფასების ტექსტობრივი გავრცობა კარგად ფორმულირებული, მეტ-ნაკლებად მწყობრი „თვალსაზრისი-კონცეფციის“ სახით შეიძლება განმსაზღვრელი აღმოჩნდეს დისკურსის ძირითადი ინტეგრირებული კოგნიტიური სქემისათვის (მისი კოგნიტიური ლერქისათვის) და ასეთ შემთხვევაში გავრცობილი „თვალსაზრისი-კონცეფციის“ კოგნიტიური სქემა იქვემდებარებს, ერთგვარად „იმორჩილებს“ „ფაქტურ“ სქემებს („თხრობა-აღწერას“).

ინგლისურენოვანი პუბლიცისტური დისკურსის რეინტერპრეტაციის, მიკრო და მაკრო დონის კოპერენციის თვალსაზრისით რელევანტური შემდეგი კოგნიტიური სქემაა „მონოლოგი/დილოგი/პოლილოგი“ (უპირატესად არა მარტო და არა იმდენად პიროვნებათა, რამდენადაც თვალსაზრისთა, შეფასებათა ხშირად, კონცეფციათა).

ინგლისურენოვანი პუბლიცისტური დისკურსი გაშუქებული თემის (პრობლემა, პიროვნება, მოვლენა) რეინტერპრეტაციის – მათი კონცეპტუალიზაცია-კატეგორიზაციის და შეფასების თვალსაზრისით შეიძლება წარმოადგენდეს „მონოლოგის“ ტიპის ტექსტს (მაგალითად, კ. ოგდენის ესე მ. ტეტჩერის შესახებ).

მაგრამ ხშირ შემთხვევაში დისკურსში გაშუქებული თემის (პრობლემა, პიროვნება, მოვლენა) შესახებ, ამ-



ნიმუში

კარად თუ იმპლიციტურად, ესეც თუ სტატიის ავტორი წარმოადგენს ერთ-ზე მეტ ინტერპრეტაციას (კონცეპტუალურიზაცია-კატეგორიზაციას და შეფასებას) – კონკრეტული ადამიანების მიერ „გახმოვანებულს“ (შდრ. ერთი და იმავე პრობლემის, მოვლენის, პიროვნების შესახებ სხვადასხვა ადამიანის განსხვავებულ გამონათქვამთა ციტირება ტექსტში), პიროვნულ, თუ ერთგვარად განზოგადებულ, იმპერსონალურ შეხედულებებს, „კონცეფციებს“ (შდრ. ჯ. გრინვალდის სტატია ლოს-ანჯელესის შესახებ); ზოგჯერ ტექსტის „დიალოგურობა“ უფრო იმპლიციტურ ხასიათს ატარებს და ქვეტექსტში „იკითხება“ თუ „ისმის“ (მაგალითად, ირონიული ინტერტექსტული „ექოს“ სახით).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ერთ პუბლიცისტურ დისკურსში (განსხვავებული სისრულით) შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი ან რამდენიმე „თვალსაზრისი-კონცეფცია“, შესაბამისად, მოვლენათა განსხვავებული იმპლიციტური თუ ექსპლიციტური შეფასებებით, განსაკუთრებით, თუკი დისკურსი პოლემიკური ხასიათისაა (შდრ. ს. ჰანტინგტონის და ფ. ფუკუიამას ესეები).

პუბლიცისტური დისკურსის ინტერპრეტაციის, მიკრო და მაკრო დონის კომპლექსური თვალსაზრისით რელევანტური შემდეგი კოგნიტიური სქემა „არგუმენტაცია“. „არგუმენტაციის“ კოგნიტიური სქემა პუბლიცისტურ დისკურსში მეტ-ნაკლებად ლოგიკურად მკაცრი და სრულია (ამდენად, შესაძლოა განვასხვაოთ „არგუმენტაციის“ სქემის ფრაგმენტული და შედარებით გავრცობილი გამოვლენა); ზოგადად კი „არგუმენტაციის“ კოგნიტიური სქემა პუბლიცისტურ

დისკურსში, რა თქმაუნდა მეტნაკლებად მკაცრია ლოგიკურად, ვიდრე მეცნიერულ დისკურსში (და, მაგალითად, სპეციალურ სამეცნიერო პერიოდიკასა და მასში დაბეჭდილ სტატიებში).

პუბლიცისტურ დისკურსში არგუმენტაციის სქემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თუკი ესე ან სტატია პოლემიკურია და მნიშვნელოვან სიახლეს შეიცავს, ავტორი რომელიმე ცნობილ და საყოველთაოდ მიღებულ (ან, თუნდაც, ნაკლებად ცნობილ და გაზიარებულ) თვალსაზრისს („კონცეფციას“) უპირისპირებს საკუთარ თვალსაზრისს („კონცეფციას“) და მის დასაბუთებას ცდილობს.

„არგუმენტაციის“ კოგნიტიურ სქემას პუბლიცისტურ დისკურსში უკავშირდება „დარწმუნების“ კოგნიტიურ-პრაგმატული სქემა. „დარწმუნება“ (სხვაგვარად, ტექსტის „დამაჯერებლობა“) დისკურსის არგუმენტაციული სქემის „საკუთრივ“ ლოგიკურ ასპექტებთან ერთად ბევრად და მოკიდებული ტექსტის ექსპრესიულობაზე და მის ზოგად კოგნიტიურ-პრაგმატულ ეფექტურობაზე.

პუბლიცისტური დისკურსისათვის კოგნიტიური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ძირითადი თემების (პრობლემა, პიროვნება, მოვლენა) საკუთარი აუდიტორიისათვის „მისაწვდომ ენაზე“ ინტერპრეტაცია („კონცეპტუალურიზაცია/კატეგორიზაცია“). ამგვარი ინტერპრეტაციის (თვალსაზრისის) მეტ-ნაკლებად სრულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ არგუმენტაციასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექსტის ექსპრესიულობა და „დამაჯერებლობა“ („დარწმუნება“).

პუბლიცისტური დისკურსის კოგ-

ნიტიურ-პრაგმატული ეფექტურობის, მისი ექსპრესიულობის და დამაჯერებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს „(რე-)ინტერპრეტაციული სისტემური მეტაფორული მოდული“ (იხ. ზემოთ).

ამგვარად, გამოვლენილია ცხრა კოგნიტიური სქემა (ორი ფაქტური სქემა: „თხრობა“ და „აღწერა“, დანარჩენი შვიდი – რეინტერპრეტაციულ/ექსპოზიტორული სქემა), რომლებიც რელევანტურია ინგლისურენოვანი პუბლიცისტური დისკურსის მიკრო და მაკრო დონის კოპერენციის თვალსაზრისით.

აღნიშნული ცხრა კოგნიტიური სქემა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ინგლისურენოვანი პუბლიცისტური დისკურსის ინტერპრეტაციისათვის რელევანტური მეტ-ნაკლებად სრული კოგნიტიურ-სქემატური „რეპერტუარი“; მაგრამ ყველა მათგანი ერთნაირად აუცილებელი არ არის იმისთვის, რომ ტექსტი მივაკუთვნოთ პუბლიცისტიკის სფეროს; მაგალითად, „ფაქტობრივი“ გავრცობილი „(რე)-კონცეპტუალიზაცია/კატეგორიზაცია“, ანუ გავრცობილი თვალსაზრისის („კონცეფციის“) და გავრცობილი არგუმენტაციის სქემები, თუმცა გაუვრცობელი „(რე)-კონცეპტუალიზაცია/კატეგორიზაცია“ და გაუვრცობელი არგუმენტაციის ელემენტები ფაქტობრივ ყოველთვის მოქმედებს, თუნდაც იმპლიციტურად.

ამავე დროს არსებითია შემდეგი. აღნიშნული ტიპის ტექსტებისათვის გადამწვევტია ორი ძირითადი კოგნიტიურ-სქემატური „ლერძი“: „ფაქტური“ და „რეინტერპრეტაციულ/ექსპოზიტორული“. კონკრეტულ პუბლიცისტურ დისკურსში თითოეული კა-

ტეგორიული სქემის „გავრცობილობის“ და დისკურსში მათი ურთიერთქმედების (ტექსტური ურთიერთშელწევის, ურთიერთგამსჭვალვის) ხარისხი, კონკრეტულ დისკურსში მისი „რეინტერპრეტაციულ/ექსპოზიტორული“ კოგნიტიური ლერძის რეალური „ხვედრითი წონა“ და ექსპლიციტურობის ხარისხი (პოტენციურად და აბსტრაქტულად პუბლიცისტური დისკურსის „რეინტერპრეტაციულ/ექსპოზიტორული“ კოგნიტიურ ლერძში ზემოაღნიშნული შვიდი ტიპის დაქვემდებარებული „რეინტერპრეტაციულ/ექსპოზიტორული“ სქემა შეიძლება იყოს ინტეგრირებული).

მიკრო და მაკრო დონის კოპერენციის თვალსაზრისით რელევანტური ცხრა კოგნიტიური დაქვემდებარებული სქემიდან არც ერთს არ გააჩნია სრული ტექსტური ავტონომია პუბლიცისტურ დისკურსში. მეტიც, ტექსტთა აღნიშნული ტიპისათვის დამახასიათებელია დაქვემდებარებულ კოგნიტიურ სქემათა რთული ურთიერთქმედება და დისკურსიული ურთიერთშელწევადობა, ერთგვარი კონკურენციაც დისკურსში „წინა პლანის დასაკავებლად“; იმდენად, რომ შეიძლება კიდევც გავმიჯნოთ, ერთი მხრივ, „ფაქტურ-ინტერპრეტაციული (ექსპოზიტორული)“, ხოლო, მეორე მხრივ, „ინტერპრეტაციულ-ფაქტური“ პუბლიცისტური ტექსტები (მდრ. პერიოდული გამოცემის ტიპი, რომელსაც უწოდებენ opinion journals, ანუ, „თვალსაზრისის, საზოგადოებრივი აზრის ჟურნალი“ – როგორც უპირატესად ინტერპრეტაციულ/ექსპოზიტორული, მაგრამ, ამავე დროს, ფაქტურიც. ასეთია, მაგალითად Foreign Affairs).

## შენიშვნები

1. ზოგადად ტექსტის ინტერპრეტაციისა, კოპერენციის და კოგნიტიურ სქემათა შესახებ შდრ. (1-4).
2. ზოგადად თხრობისა და აღწერის როგორც კოგნიტიურ სქემათა, აგრეთვე კოპერენციის, შესახებ შდრ. (1; 4).
3. შეფასების შესახებ ზოგადად შდრ. (5).
4. მეტაფორის შესახებ ზოგადად შდრ. (6-8). აგრეთვე, მოდულის ცნების შესახებ ზოგადად და ენობრივი მოდულის შესახებ შდრ. (9; 10). კოგნიტიურ მოდელთა შესახებ შდრ. (11).
5. ტექსტის „დიალოგურობის“ შესახებ მხატვრულ პროზაში (კერძოდ ფ. დოსტოვესკის რომანებში) შდრ. (12).
6. არგუმენტაციისა და დარწმუნების, დამაჯერებლობის შესახებ ზოგადად შდრ. (1).
7. შდრ. (8; 13-17) მასობრივი კომუნიკაციის კვლევის განსხვავებული ასპექტების შესახებ (პრაგმატიკა, კომუნიკაციური მოდელი, აუდიტორიის, მკითხველის, როგორც ტექსტის სავარაუდო ინტერპრეტატორის ფაქტორის სავანგებო მნიშვნელობა).

## ლიტერატურა

1. Diik T.A. van (ed.), *Discourse as Structure and Process*, London, Thousand Oaks, New Delhi, 1997.
2. Schiffrin D., *Approaches to Discourse*, Cambridge (Mass.), 1994.
3. Gumperz J. J., *Discourse Strategies*, Cambridge, 1982.
4. ჩიჩუა, ნ., ნარატული ტექსტის სემანტიკის ასპექტები, თბილისი, 1997.
5. Vendler Z., *The Grammar of Goodness*. Vendler Z., *Linguistics in Philosophy*, New York, 1997.
6. Lakoff G., Jonson M., *Metaphors We Live by*, Chicago, 1980.
7. Lakoff G., *Women, Fire and Dangerous Things; What Categories Reveal about the Mind*, Chicago, 1987.
8. Mey J. L., *Pragmatics*, Cambridge (Mass.), 1993.
9. Fodor J. A., *The Modularity of Mind*, Cambridge Mass., 1983.
10. Farmer A. K., *Modularity in Syntax: A Study of Japanese and English*, Cambridge (Mass.), 1984.
11. Lakoff G., *Categories and Cognitive Models/ Berkeley Cognitive Science Report, N2*, Berkeley, 1982.
12. Todorov Tz., *Mikhail Bakhtin: the Dialogical Principle*, Minneapolis, 1984.
13. McQuail D., Windhal S., *Communication Models for the Study of Mass Communication* (2nd ed.), New York, 1993.
14. Moores S., *Interpreting Audiences: The Ethnography of Media Consumption*, London, 1994.
15. Jacobs N. (ed.), *Mass Media in Modern Society*, New Brunswick, NJ, 1992.
16. Eco U. *The Role of the Reader, Explorations in the Semiotics of Texts*, Bloomington, 1984.

## ქათამან შინგალია

## სოსხალი ილუსტრაციები

„ნიგნები მთელი ჩემი სიცოცხლის განუწყრელი თანამგზავრები არიან“-ო, წერდა მონტესკიე. თუ დიდი მოაზროვნის ეს გამონათქვამი ნიგნის მხატვრებზეც შეიძლება გავავრცელოთ, სხვა ჩვენს შესანიშნავ გრაფიკოსებთან ერთად, უპირველესად, კარლო ფაჩულია გაგვახსენდება. მხატვარ-გრაფიკოსს 200-ზე მეტი ნიგნი აქვს გაფორმებული. მისი ილუსტრაციები და დაზგური გრაფიკის სერიები მსოფლიო და ქართული პროზის, პოეზიის შედეგებისა და თანამედროვე მწერალთა უკვდავი ქმნილებების პუბლიკაციებს ამშვენებს.

მხატვარს დასურათებული აქვს შექსპირის, გოეთეს, იაკობ ცურტაველის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბართაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის... ნაწარმოებები; მხატვრის საქმიანობა სიღრმისეულად უკავშირდება ნიგნს - ჩვენს ტკბილ-მოუბარ მოძღვარს, მრჩეველს, სულიერი საგანძურის, ფიქრისა და ოცნების საუფლოს, ამიტომაც მისი მრავალს-პექტრიანი შემოქმედება სავესა სინათლით, თავისუფლებით და სიცოცხლით. ეს „სამება“ ხშირ შემთხვევაში სწორედ ნიგნის ფურცლებიდან იღებს სათავეს.

ნიგნის მხატვრობა გამორჩეულ სიფაქიზესა და დაფიქრებას მოითხოვს,

აქ მხოლოდ პროფესიონალიზმი არ კმარა; ამ შემთხვევაში ნიჭი და ცოდნა ერთად უნდა ენიონ დასახულ მიზანს. თუ მწერლის სული არ გახდა მხატვრისათვის საცნობი და საჩინო, სიხარულმა და ტკივილმა ღამე არ გაათენებინა, ფასუელი არაფერი შეიქმნება, ეს კარგად იცის მხატვარმა, ამიტომაც თითოეული ილუსტრაციის საბოლოო ვარიანტის არჩევამდე უამრავი ესკიზი და ჩანახატი აქვს შესრულებული.

ილუსტრატორის შემოქმედებას ნარსულის ხელახალი გაცოცხლება და თანამედროვეობის მხარდაჭერა ერთდროულად დაუსაბავს მიზნად, რასაც საფუძვლად უდევს მწერლისა და მხატვრის ფიქრთა და შეგრძნებათა დამთხვევა. მისი მხატვრობა განწყობილებათა ცვალებადობის შესაძლებლობების აღიარებაზეც გვესაუბრება.

კარლო ფაჩულიას სამუშაოც, ნაწილობრივ, სხვადასხვა გამომცემლობებთან: „მერანთან“, „საქართველოსთან“, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსთან“, „ჩვენს მწერლობასთან“ არის დაკავშირებული. მის მიერ მოწყობილი არაერთი მნიშვნელოვანი, პერსონალური და ჯგუფური გამოფენიდან ჩვენს გვინდა აღვნიშნოთ ფაქტები, რომელნიც სწორედ ნიგნის მხატვრობას ეძღვნება. ეს არის 1977 წელს ილუსტრაციის პირველი საკავშირო

გამოფენა მოსკოვში; 1986 წელს ილუსტრაციის მეორე საკავშირო გამოფენა მოსკოვში 1997 წელს „საბჭოთა საბავშვო ილუსტრაცია“ ბოლონიაში; 1988 წელს „საბჭოთა საბავშვო ილუსტრაცია“ გერმანიაში; 1993 წელს „საბავშვო ნიგნის ბიენალე“ თეირანში. მიღებული აქვს გამომცემლობა „ლომისის“ პრემია 1996 წელს, ნიგნის საუკეთესო გაფორმებისათვის.

მნივნობართა ასოციაციის მიერ გამოცემულ ნიგნს – „ხელოვანთა ყავახანა“-ს სწორედ მისი ნამუშევრები ერთვის. ჩვენი ყურადღებაც ამ ნიგნისათვის შექმნილმა ილუსტრაციებმა მიიქცია.

ტუშით და კალმით შესრულებულ ამ სიცოცხლით საესე ნახატებში ჩანს მწერლისეული ბუნება, პერსონაჟთა ხასიათი, გრაციოზულობა, გამომეტყველებათა მრავალფეროვნება, ტრაგიზმი და ეპოქალური სტილი; საგრძნობია სივრცე, კომპოზიციური სრულყოფილება და ზომიერება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნოველებისათვის: „მოხუცი იმ ქვეყნიდან“, „საქართველო იყიდება“, „ლილი“, „ხმა სამარიდან“, „ბრმა თერძი“, „სოფლის ამიკი“, „ლიტერატურული საღამო“, „მოხეტიალე ბელეტრისტი“, „ეპისკოპოზი ნადირობაზე“ შექმნილი ნახატები.

მხატვრისათვის ნამდვილად ახლობელია ნიკო ლორთქიფანიძის საოცარი სამყარო, მისი სული და მსოფლმხედველობა. ერთხელ იხუმრეს კიდევც, კარლო ფაჩულია ნინა ცხოვრებაში ალბათ ნიკო ლორთქიფანიძე იყოო. ამაზე დიდი შეფასება ნიგნის მხატვრისათვის ძნელი წარმოსადგენია.

ცნობილია, რომ „ნიგნისათვის“ პარმონიას და სილამაზეს ადვილად შეუძლია გადმოსცეს პერსონაჟთა მოძრაობისა თუ უძრაობის, სიმშვიდისა და აღელვების, ტკივილისა და სიხარულის მანიშნებელი ეფექტი, მაგრამ კარლო ფაჩულია ხაზთა სხვაგვარ კომბინაციას გვთავაზობს. იგი უარს ამბობს მწყობრ შტრიხებზე, მათ ზედმინუნებით დაკონკრეტებაზე, მინიატურებს თავისუფალი ხაზებით ქმნის და ამგვარად ხულს უდგამს ნანარმოების პერსონაჟებს. ამ, ერთი შეხედვით „მოუნესრიგებელი“ შტრიხების გამოყენებით ის ახერხებს მისთვის სასურველი გამოხედვა და განცდათა მიმანიშნებელი გამომეტყველება ერთი ან ორი ზუსტად მოძებნილი დეტალით გადმოგვცეს. „ქაოსურ“ შტრიხებში ასეთი ნიუანსური სიზუსტე მისი შემოქმედების ერთ მთავარ მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს; რადგან სწორედ ამაზეა დამოკიდებული, რომ მხატვრის მიერ შექმნილი პერსონაჟები გვხიბლავენ სიცოცხლით, მეტყველი სახეებით... და, ეს, ნამდვილად მნიშვნელოვანია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ის გახლავთ კაცთმოყვარე, გულლია, თავისი სიტყვის ერთგული პიროვნება. კარლო ფაჩულიას შემოქმედებითი იმპულსი საკუთარი ხასიათიდან, ბუნებიდან იკვებება და სტილის სილამაზისა და ემოციათა ერთობლიობა ქმნის იმ მშვენიერებას, რომელსაც ჩვენ ხშირად გვთავაზობს. თუ „ხელოვნება დუმილით მჭევრმეტყველი მშვენიერებაა“ (ჯორჯო ვაზარი) ეს სიტყვები ყველაზე მეტად მხატვრობას ეკუთვნის.

## ფართოდ გახსნილი მზერა

### მათიე გალე ესაუბრება მარგერიტ იურსენარს

ის ყველასაგან განრიდებული ადამიანივით უშფოთველია, თუმცა ამავე დროს უზომოდ კეთილიცაა. როცა თავის ძალს ეფერება ანდა სანაპიროზე ქვას უსვამს ხელს, გეჩვენება, რომ ეს ქალი სხვა სამეფოს მკვიდრია. ეს ის სამეფოა, სადაც ადამიანები თავიანთ არსებობას გამართლებას უძებნიან. აქ სიბრძნეს თავისი ადგილი უჭირავს. მარგერიტ იურსენარი სამყაროს უშელავათოდ უსწორებს თვალს. მას ადამიანების მიმართ აბსტრაქტული სიყვარული ამოძრავებს. ასეთმა სიყვარულმა წმინდანების სუფთა დამოკიდებულების მსგავსად შეიძლება შეაშინოს ადამიანი. ამ ძალის არსებაში ცეცხლია ჩამალული. მას მინერვას თავშეკავებული ღიმილი აქვს და ამავე დროს ცისფერი თვალების გამო მზერა ვიზიონერის გამჭოლ სხივს ისვრის. ამ თვალელებში მძიმე ქუთუთოებქვეშ იმ ბავშვის ცივი უმანკობაა, რომლის ირგვლივაც სამყარო ინგრევა.

წიგნში თავმოყრილი საუბრები ერთ მიზანს ისახავს – რაც შეიძლება ზუსტი პორტრეტი მოგვაწოდოს მწერალი ქალისა, ჩემს აღფრთოვანებას რომ იწვევდა და ახლა სხვების, მკითხველთა ფართო წრის აღფრთოვანებასაც იწვევს. მე ვეცადე წარმემართა საუბრები, ამეწყო დიალოგი და მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, მარგერიტ იურსენარის ხმა მოესმინა.

მათიე გალე

### ბავშვობა

მარგერიტ იურსენარი: ექვსი თვის ვიყავი, როცა მონ-ნუარში მომიყვანეს. მე მოვეყვი იმის შესახებ, თუ მამაჩემმა დედაჩემის სიკვდილის შემდეგ როგორ გაყიდა სახლი, რომელიც იყიდა ბრიუსელში, რათა შეესრულებინა ცოლის სურვილი: მას სურდა მშობიარობისას მისივე დები ყოფილიყვნენ იქვე, ბავშვი კი ექიმს მიეღო. ექიმი არაკომპეტენტური და უყურადღებო გამოდგა, ვინაიდან დედა მრავალ მშობიარეთა მსგავსად ციებ-ციხელებით დაიღუპა. მონ-ნუარი საზაფ-

ხულო საცხოვრებელი იყო მუდამ, თუმცა იქ შემოდგომის მინურულამდე ცხოვრობდით. პირველმა ორმა ზამთარმა ჩემს ცხოვრებაში ღილის დიდ სახლში ჩაიარა, მაგრამ ჩემი მოგონებები ამ სახლზე უფრო მოგვიანო პერიოდს ეხება.

– თქვენ ხომ XIX საუკუნის პრივილეგირებული კლასიდან გამოსული „სანიმუშო გოგონას“ ცხოვრებით ცხოვრობდით?

– არა, ვინაიდან ჩემთვის არ არსებობს კლასის გაგება. ასევე არ ვყოფილვარ „სანიმუშო გოგონა“. აზრა-

ერქენსული

დაც არ მომსელთა, ვინმეს ყოფაქცევითვის მიმებადა ან მე თვითონ ვყოფილიყავი მისაბაძი. უნდა ვთქვა, რომ ვერასოდეს ვიტანდი გრაფინია დე სევიურის რომანებს. დღესაც კი გული მერევა „ვარდისფერი ბიბლიოთეკის“ ნიგნების დანახვაზე: ბავშვები ამ ნიგნებში ნერვებს მიშლიდნენ, ისინი იმ პირობითობებით დალდასმულნი მეგონენ, რომლებიც არასოდეს გამოშპარვია.

**- ბავშვობაში რელიგიური იყავით თუ, უბრალოდ, ემოციას აყოლილი?**

- მე არ მჯერა რელიგიურობისა, ყოველ შემთხვევაში, იმ მნიშვნელობით არ ვიყენებ ამ სიტყვას, რა მნიშვნელობითაც ისინი იყენებენ, ახლანდელი მორწმუნენი. მათ ერთგვარი აგრესიულობა ახასიათებთ. უნდათ თქვან, რომ რაღაც ძნელად დასაჯერებელი სჯერათ და ესაა მათი დამსახურება. აშკარად ხედავ - მათ რწმენას ნებისყოფის დაძაბვა ახლავს და განსაკუთრებულობისკენ სწრაფვა, თითქოს წარმოთქვამენ: „ჩვენ გვაქვს რწმენა, არსებობენ ურწმუნონიც, ისინი საბრალონი და საძაგელნი არიან, საჭიროა ჩვენკენ მოვაქციოთ“. ასეთი გრძნობები ჩემთვის უცხოა.

## სიყვარულის შესახებ

მათიე ბაღე: „ალექსისში“ თქვენ ისეთ თემას ეხებით, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს თემა თქვენსავე სხვა ნაწარმოებებში იჩენს თავს. მე მხედველობაში მაქვს ის, თუ თქვენი გმირი როგორ ასხვავებს ერთმანეთისაგან სიყვარულს და სიამოვნებას.

მარგერიტ იურსენარი: დიახ, მართლაც, ასეა. ის თავს იჩენს „ადრიანის მოგონებებში“, თუმცა ადრიანში საყვარლის ბედი იმარჯვებს. ის სხეულებრივი ტკბობის თვალსაზრისით უზარმაზარი გამოცდილების მქონე კაცია. სიჭარბაგეში მას ძლიერი სიყვარული ეწვია.

**- სიყვარული-სიმპათია რაღა არის?**

- ეს არის ღრმა და ნაზი გრძნობა, იმ ადამიანისადმი აღძრული, რომელიც ჩვენთან ერთად განიცდის ბედის შემთხვევითობებს და ცვალებადობებს. მე ეს გრძნობა ვიცი რაც არის, ეს არ არის ის, რასაც რომანებში და სპექტაკლებში სიყვარულს უწოდებენ. მე ვლაპარაკობ არა იმის შესახებ, რასაც არცთუ ზუსტად „პლატონურ სიყვარულს“ უწოდებენ, არამედ გრძნობად სიყვარულზე ესაუბრობ, რომელშიც სიმპათია ჭარბობს ვნებას.

**- ჩვენ ეპოქაში დაიკარგა ქრისტიანული რწმენა და ამიტომაც ბრუნდება ტკბობის კულტი. განა ასე არაა?**

- კი, ტკბობის კულტი ბრუნდება, მაგრამ არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც შემეცნების ან სიმპათიის საშუალება. თვითმიზნურად კი მიზანს ვერ მიაღწევ. კარგი იქნებოდა აღგვედგინა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სიყვარული შემეცნებისკენ გვიხსნის გზას ან ღმერთისკენ სვლას გვიადვილებს. დარწმუნებული ვარ, ეს შესაძლებელია, თუმცა ევროპულ პოეტებს და რომანისტებს არათუ შეუსხიათ ზორცი ამგვარი სიყვარულისთვის, არც კი განუცდიათ. შესაძლებელია მსგავს წარმოდგენას სიყვარულზე ნაწილობრივ რუსები მიუახლოვდნენ. მე, ჩემი მხრივ, დარწმუნე-



ბული ვარ – ასეთი სიყვარული არსებობს და სრულიად უბრალო ადამიანებსაც განუცდიათ. ამგვარი გრძობა ამოძრავებს მეტ-ნაკლებად შარლ ბოვარის – ფლობერის თავისებურად მიმზიდველ, თუმცა არაერთგზის აუგად მოხსენიებულ პერსონაჟს.

ეს სიყვარული შორს არის, განსხვავებულია ფრანგულ რომანებში აღწერილი სიყვარულებისაგან. უკეთეს შემთხვევაში, ეს არის სიყვარული ღმერთისადმი, სიყვარული, რომელსაც მისამართი შეეშალა და რომელიც რომანტიკული სარკეების წინ დადის, ამ სარკეებში ირეკლება.

### ლიტერატურიდან ვნებამდე

მათივე გალე: „ფინანსური თავისუფლების“ პერიოდი თქვენთვის შემოქმედებითი თვალსაზრისით ძალზე პროდუქტიული იყო.

მარგერიტ იურსენარი: ეს ქაოტური შემოქმედებითი პერიოდი გახლდათ. ამ დროს ჩემში სამყაროს პოეტური მსოფლშეგრძნება ჭარბობდა და გმირები, რომელთაც ვხატავდი, ძალიან ახლოს არიან მითთან. ეს თვალსაჩინოდ გამოსჭვივის „დინარიას ოცნებების“ პირველ ვარიანტში და მეორეშიც. ეს თვალსაჩინოა „ჩირალდნებში“ და „სიზმრებში და ბედ-ილბალში“. ამ ნაწარმოებებს მინდა უახლოეს დღეებში მივუბრუნდე. ეს არის სიზმრების მითოლოგიურ კომპოზიციანზე დანერილი ესეები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ეპოქაში ჩემი მეთაფიზიკა მითის სფეროში ძიებას უკავშირდებოდა. „უკანასკნელი წყალობა“ – განსხვავებული რამაა; აქ რეალობაა, სავსე, დამუხტული რეალობა, რომე-

ლიც მითს აღმატებულია და აქაც მანინც არიან პერსონაჟები რალაცა ნიშნით მითოლოგიური გაქანების მქონე გმირების მსგავსნი: რაინდი შუბოსნები და გმირი სოფი. მითი ჩემთვის აბსოლუტთან მიახლოება იყო. მითის მეშვეობით იხსნებოდა ჩემთვის ის, რაც ადამიანში ხანგრძლივადაა, ან უფრო ხმამალალი სიტყვა რომ ვიხმაროთ, რაც მარადიულია.

**– რას უნოდებთ თქვენ ვნებას? და რაში ხედავთ ვნების სიყვარულისგან განსხვავებას?**

– ადამიანთა უმრავლესობა არ განასხვავებს ვნებას სიყვარულისაგან. მათთვის ვნება სიყვარულის უმძაფრესი გამოხატულებაა. უფრო ზუსტი ენით რომ გველაპარაკა, შესაძლებელი იქნებოდა გვეთქვა, ეს ორი გრძობა ურთიერთსაპირისპიროც არისო. ვნება თვითდაკმაყოფილების სურვილია, ძლომა, ზოგჯერ ბატონობაცაა, სხვისი დამორჩილების ცდაა. სიყვარული კი ამის საპირისპიროდ თვითუარყოფაა. „ჩირალდნებს“ რომ ვწერდი, ორივე გრძობა ავურთიერთმანეთში. მე აღწერდი ხან სიყვარულ-თვითუარყოფას, ხან კიდევ სიყვარულ-ვენებას. მაგრამ საბოლოო ჯამში ვნება აგრესიულობის გამომხატველია და არა თვითუარყოფისა. ეს სიტყვა-ცნებები ეტიმოლოგიურადაც ურთიერთსაპირისპიროა.

**– აქ დროც თამაშობს როლს. ვნებები ჩვეულებრივ მსწრაფლწარმავალნი არიან.**

– კი, ასეა. თუმცა ისტორიაში და ცხოვრებაში გვხვდება დიდი და ხანგრძლივი სიყვარული, ჩემთვის პირადად ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან დიდი სიყვარული და დიდი ვნება. იყვნენ ქალები, რომელთაც ქ-ნ კარ-



ლეილის მსგავსად შეეძლოთ ორმოცი წელი ჰყვარებოდით სავსებით აუტანელი ქმარი.

– იყო კი ეს სიყვარული ორმხრივი?

– შეიძლება ამას არც ჰქონდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ლაურას მაინცდამაინც არ აინტერესებდა პეტრარკა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მონივნებით აღსავსე სიყვარულთან, ლაურა ხომ გარკვეული აზრით ღვთის ხატია. იგივე შეიძლება ითქვას ბეატრიჩეზე. საზიარო სიყვარული რამდენად არის გაზიარებული, აი, ესაა საინტერესო. ვთქვათ, განა ჰიუგოს ისევე უყვარდა ფულიეტა, როგორც ფულიეტას ჰიუგო? რასაკვირველია, არა. შეიძლება ორი-სამი წლის განმავლობაში, მართლაც, იყო საზიარო სიყვარული, შემდეგ კი ფულიეტა დიდი ადამიანის მორჩილ მსახურად იქცა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფულიეტას სულ მცირე ხანს ეკავა უმაღლესი მწვერვალი. ამგვარი ხვედრი მრავალმა ქალმა გაიზიარა. მამაკაცებთან უფრო იშვიათად ვხვდებით თვითუარყოფით აღსავსე სიყვარულს, ვინაიდან მათ იციან, რომ დიდი სიყვარულის გარდა ცხოვრებაში სხვა რამეც არის.

– რას იტყოდით იმ ადამიანებზე, რომლებიც ნარკოტიკებს იღებენ „მოგზაურობის“ მიზნით?

– მე წინააღმდეგი ვარ ყოველივე ხელოვნურისა. მე მიმაჩნია, რომ სული თავის კანონებს უნდა ემორჩილებოდეს, საბრჯენები და, მით უმეტეს, ოჩოფენები მას არ უნდა სჭირდებოდეს.

მათიე გალე: სიზმრები, ხილვები, აღმოსავლეთი – ყოველივე ეს ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან და სწორედ ამ პერიოდში გამოაქვეყნეთ თქვენ „აღმოსავლური ნოველები“. არის, აქ რაღაც, ნათესაობა, რაიმე კავშირი?

– „აღმოსავლური ნოველები“ არის „ნახავი“ შორეული აღმოსავლეთის მოთხრობებისა ინდურ და ბერძნულ მოთხრობებთან. ასე რომ, ნიგნში შეერთებულია აზია და შორეული აღმოსავლეთი.

– ამავე ეპოქაში, სახალხო ფრონტის შექმნის შემდეგ, როცა მრავალი წერილი, მათ შორის, ჟიდი, მალრო, ბერნანოსი და მორიაკი კი, უეცრად „ანგაჟირებულები“ აღმოჩნდნენ, როგორი იყო თქვენი პოზიცია?

– არანაირი. მე ძალზე ცოტა ხანს ვრჩებოდი საფრანგეთში. საფრანგეთი ჩემგან შორს იყო როგორც ესპანეთი, უფრო შორს, ვიდრე საბერძნეთი. იმ ხანებში მალრო აფრქვევდა თავის მჭევრმეტყველებას, რომელშიც მე რიტორიკას ვამჩნევდი. მე მგონი, დეგოლთან შეხვედრამდე მალრო არ იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში. იგრძნობოდა, რომ ეს იყო „დამპყრობთა“ ტონი, ყოველივე ეს მეტყველებდა მალროს პოეტურ ანარქიზმზე. ხშირად აღფრთოვანებულვარ მალროთი, მაგრამ მას არასოდეს მოუხდენია ჩემზე თავის თავში დაჯერებული ადამიანის შთაბეჭდილება. ის იყო უდიდესი მსახიობი. საბოლოოდ მისი სიტყვები ფუჭ მიეთმოეთადა გახშიანდა. ეს იგრძნობა „ანტიმემუარებშიც“. იქ ძნელია გაარჩიო ერთმანეთისაგან



ტყუილი და სიმართლე, თუმცა ავტორს არც აინტერესებს ამის გარჩევა. მალრო უკვე აღარ დაგიდევდათ ტყუილ-მართალს. დე გოლთან საუბარში (წიგნი „ნაქტეული მუხა“) მკითხველს გაუჭირდება გაარჩიოს შემკითხველი მოპასუხისაგან. აქ ყოველთვის მალროა, ზოგჯერ – შესანიშნავად მოსაუბრე. მისი მემარცხენეებისადმი მხარდაჭერა, შემდეგ მისივე გენერალთან სიახლოვე სიტყვების გროვად იქცა, რომელიც ღრუბლებივით მზის ჩასვლისას სხვადასხვანაირ ფორმას იღებს.

### რასიზმის შესახებ

მათივე გალე: ამერიკაში ცხოვრებაში თქვენ დაგაკავშირათ პრობლემათა გარკვეულ წრესთან. ამ წრეში იყო ბუნებრივად ჩანერილი რასიზმის პრობლემა, შავკანიანთა და ინდიელთა პრობლემა.

მარგერიტ იურსენარი: სამსუხაროდ, ეს ასეა. მრავალი წლით ადრე, ვიდრე ამერიკაში წავიდოდი, ერთმა ჩემმა მეგობარმა მაჩვენა ამერიკული ხუთცენტრიანი მონეტა (ჩემი აზრით, ეს მონეტები უკვე ამოღებულია მიმოქცევიდან, დიდი ხანია აღარ მინახავს), ამ მონეტის ერთ მხარეს ამოკვეთილი იყო ინდიელის ფერწერული პროფილი, მეორეზე – კამეჩის, ბუფალოს პროფილი. „ნახე, – მითხრა ჩემმა მეგობარმა – ისინი გამოსახავენ თავიანთ მონეტებზე მათ მიერვე ამოწყვეტილი ორგვარი ჯიშის სახეებს“.

დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რამდენადმე განსხვავდება იმ დროისაგან, როცა მდიდარი მონადირეები ტრანსკონტინენტალური მატარებლებიდან ესროდნენ კამეჩებს – ახ-

ლა ნაციონალურ პარკებში მათი მტერი რერიცხოვან ჯოგებს უვლიან და უფროთხილდებიან. ინდიელები დღეს უკვე აღარ განიცდიან იმ ტანჯვას და სისასტიკეს, რაც XIX საუკუნეში იწვნის.

**- რასიზმის სხვა სახე – ზანგებისადმი დამოკიდებულება როგორია აქ?**

- ამგვარი რასიზმის სახე არსებობს, მაგრამ აქ ზანგები ნაკლებად არიან, უფრო ნაკლებნი, ვიდრე ადრეულ ხანაში იყვნენ. დრო და დრო გამოჩნდებიან ხოლმე მოკრძალებული შავკანიანი ტურისტები, რომლებიც თეთრ გოგონებთან ერთად სეირნობენ, თუმცა ეს არავეს არ აშფოთებს. მაგრამ ჩამოსული ზანგისთვის კუნძულზე ბინის შოვნა საკმაოდ ძნელია.

- თქვენ ყოველგვარი კომპლექსის გარეშე წარმოთქვამთ სიტყვას „ზანგი“, ოღონდ ამ ქვეყანაში უფრო ხშირად სიტყვა „ფერადკანიანი“ იხმარება.

- ეს იმაზე მეტყველებს, რომ პრობლემები ჯერ კიდევ არის. უკეთესი იქნება ზანგს ჩვეულებრივად ზანგი ვუწოდოთ.

**- ბევრი შავკანიანია თქვენს მეგობრებს შორის?**

- სამსუხაროდ, ცოტა. აქ, უბრალოდ, ისინი არ არიან. მე ვხვდები მათ, როცა სამსრეთისკენ მივდივარ. წერილის მიწერა ან მასპინძლობა რომ მიხდება, თეთრებს და შავებს ერთმანეთისგან არ ვარჩევ. ხშირად მომეტებული სიმპათია მაქვს ხოლმე სწორედ შავკანიანების მიმართ. მაგრამ ესეც თავისებური რასიზმია. ადამიანები გიყვარდეს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი შავკანიანები არიან, რასობრი-

ვი პრობლემის არსებობას ადასტურებს.

## ფაინიზის შესახებ

**მარგერიტ იურსენარი:** მე საერთოდ ყოველგვარი განკერძოებულობის წინააღმდეგი ვარ, რასაც არ უნდა ეხებოდეს ეს: ქვეყანას, რელიგიას თუ რასას. არც სქესობრივ განკერძოებულობას ეხები. ჩემთვის გულკეთილი ქალი გულკეთილი მამაკაცის ტოლფარდია, ჭკვიანი ქალი - ჭკვიანი კაცი და ა. შ. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა. თუ სიტყვა ეხება ქალების უფლებების დაცვას ჩასახვის სანინაალმდებო საშუალებების გამოყენებაში, მე მათ მხარს ვუჭერ. ის კი არა, აბორტსაც ვემხრობი იმ შემთხვევაში, თუ ქალმა და მამაკაცმა დროულად ვერ მიიღეს დამცავი საშუალებები ან არ იცოდნენ მათი არსებობის შესახებ, თუმცა კარგად შესმის, რომ ვინც აბორტს იკეთებს, ის უაღრესად სერიოზულ ნაბიჯს დგამს. ჩვენ გადატვირთულ საზოგადოებრივ დასახლებებში, სადაც ადამიანთა უმრავლესობა უმეცრების და სიღატაკის სფეროში ცხოვრობს, ჯობს, სიცოცხლე დასაწყისშივე შეაჩერო, ვიდრე არასასურველ პირობებში მისცე გზა. როცა სიტყვა ეხება აღზრდა-განათლებას, მე სქესთა თანასწორობას ვემხრობი. ეს ბუნებრივია. თუ საქმე პოლიტიკურ უფლებებს ეხება, მე აქ აქტიურად ვუჭერ მხარს ქალებს, თუმცა ნაკლებად მჯერა იმისა, რომ ქალები ან მამაკაცები შეძლებენ პოლიტიკური ვითარების შეცვლას.

მე მაკვირვებს მოდა, რომელსაც ქალები ბრმად ეძლევიან. მოდა და ელევანტურობა ხომ სხვადასხვა რა-

მაა. ცხოველებზე სცადიან კოსმეტიკურ საშუალებებს, მათ აწაშებენ, ყოველივე ამას კი მილიონობით ქალი უდრტვინველად იტანს. ჩემი აზრით, შეერთებულ შტატებში ქალებმა უნდა მიალნიონ იმას, რომ აიკრძალოს ილუსტრირებული ჟურნალების ფურცლებზე მწვეელი გოგონების პორტრეტები, მათი გამომწვევი მზერა სიგარეტის რეკლამებში ითავსებს ქვეშ მინერილ მკრთალ წარწერას მავნებლობის შესახებ.

- არასდროს იტანჯებოდით იმის გამო, რომ ქალი ხართ?

- არა, არასდროს. მამაკაცად ყოფნა არასდროს მსურვებია, ისევე, როგორც მამაკაცად რომ დავბადებულყავი, ქალობა არ მენდომებოდა. არადა, მართლაც, რას მოვიგებდი, მამაკაცი რომ ვყოფილიყავი, იმ პრივილეგიის გარდა, რამდენიმე ომში რომ მიმელო მონაწილეობა.

- ძალადობის შესახებ რას ფიქრობთ?

- ეს ბოროტმოქმედებაა და ერთერთი ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი. მე რომ სიკვდილით დასჯა დამემევა, ამ ბოროტმოქმედების გამო სიკვდილით დავსჯიდი. ძალადობამ შეიძლება სამუდამოდ დაანგრეოს და გაანადგუროს ქალის ფსიქიკა. უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ ფსიქიატრიის ძალუძს მოძალადეთათვის მდგომარეობის შემსუბუქება, თუმცა, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მოძალადეს ქალის გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი გამოწვევა უნევეს პროვოცირებას.

- თუ ქალის სამყარო საკმაოდ შეზღუდულია, რითი აიხსნება იმ რომანისტი ქალების არსებობა,

რომლებიც მხოლოდ ქალებზე წერენ?

– ალბათ, იმით, რომ ისინი ქალები არიან და მხოლოდ თავიანთი თავი აინტერესებთ. კაცებსაც რომ მხოლოდ თავიანთი თავი აინტერესებდეთ, არც ვერგილიუსის დიდონი, არც ქალბატონი ბოვარი გვეყოლებოდა, არც ქალბატონი დე ლანჟე და არც ანა კარენინა. საუკუნის სრულად გამო-

ხატვისათვის ტოლსტოიც და ფლობერიც იძულებული არიან შექმნან მამაკაცი პერსონაჟები, ვთქვათ, ანდრეი ანდა პიერ ბეზუხოვი ნაპოლეონის ეპოქისათვის, საფრანგეთის XIX საუკუნის წარმოსაჩენად კი (სოციალური და პოლიტიკური ასპექტები) ისეთი სხივმიმკრთალი სარკე, როგორიც ფრედერიკ მოროა ან ისეთი ბნელი სარკე, როგორიც ვოტრენია.

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ



## ალექსანდრ მენი

### ყოფიარება და რწმენა

რელიგია ჩვენს თანამედროვეობაში უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვან სულიერ რხევებს ეხმიანება და ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ კულტურას ფესვები სწორედ რწმენის ნიჟარებში აქვს გადგმული. კულტურის ნებისმიერი ფორმა უპირველესად იმით განისაზღვრება თუ როგორ აღიქვამს ადამიანი გარემო სამყაროს, რაც ფიქრობს თავის თავზე, ცხოვრებაზე, უზენაესზე, რა ეთიკური პრინციპები უდევს საფუძვლად მის მოქმედებას ან რა იდეალები შთააგონებს მის შემოქმედებას. ერთი სიტყვით, კულტურა, საბოლოო ჯამში, სწორედ იმ ნიჟარებიდან იშვება, რომელსაც რელიგია შეიძლება დავარქვათ, ამ სიტყვის ფართო გაგებით.

ისტორიამ უამრავი მაგალითი შემოგვინახა, თუ როგორ ამოძრავებდა რწმენა მსოფლიოს, თუ როგორ უცვლიდნენ კულტურას სახეს მითები, კონცეფციები, თუ მრწამსი. ხელოვნების სფეროში ეს აღიარებული ფაქტია, მაგრამ ეს მეცნიერების ევოლუციის სფეროშიც შეინიშნება.

ოცდახუთი საუკუნის წინანდელი ადამიანის გონება, თანამედროვე ადამიანისას ალბათ, დიდად არ ჩამორჩებოდა. ამის დასამტკიცებლად თუნდაც არისტოტელეს მრავლისმომცველი გამოკვლევები, ევკლიდეს მათემატიკური თეორია ან არქიმედეს საინ-

ჟინრო გენია გვეყოფოდა. მაშ როგორ მოხდა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი ასე შენედა? ანტიკურმა სამყარომ ხომ ამისთვის ყველა წინაპირობა შექმნა, შუა გზაზე კი შეჩერდა. როგორც ჩანს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა ბუნების წარმართულმა გაღმერთებამ შექმნა, რაც მხოლოდ ბიბლიურმა რწმენამ გადალახა. სწორედ მასში იყო ჩადებული ის თესლი, რომელიც ახალ დროებაში გაღვივდა. ბიბლიის თანახმად ადამიანი უფლის ხატი, სამყაროს მბრძანებელი და შემომქმედა, თავად სამყაროს კი აღიქვამს როგორც პროცესს, რომელმაც მატერიალური შენობა უზენაეს სულს უნდა დაუმორჩილოს. ეს იდეები მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ბუნებისმცოდნეობის საფუძველი გახდა და თანამედროვე მეცნიერება სწორედ მასზე აიგო. ამას რუსი მეცნიერი ვ. ი. ვერდინსკი ჯერ კიდევ ოციან წლებში აღნიშნავდა: „ადამიანის პიროვნულობის სხვა სულიერი გამოვლინებების მსგავსად, მეცნიერებაც რელიგიისაგან იშვა“.

იმ მკვლევარებმაც კი, რწმენისაგან ძალიან შორს რომ დგანან, კარგა ხანია გააცნობიერეს, რომ ეთიკა და მეტაფიზიკა, ხელოვნება და ბუნებისმცოდნეობა სწორედ რელიგიის წყალობით გაჩნდა. მეცნიერება და ფილოსოფია სამყაროს რელიგიური ხედ-

ვის გააზრების მცდელობა; მორალი, სამართალი, ოჯახი რწმენის თესლზეა აღმოცენებული და ეს წარსულის საკუთრება როდია. რწმენა, როგორც სამყაროს უზენაესი აზრი, დღესაც ის მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ნებისმიერ კულტურას შინაგან მთლიანობას ანიჭებს.

რა არის რელიგია? რა არის რელიგიური რწმენა ან რა წარმოშობს? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას ხშირად ცდილობენ და ეს პასუხები უმეტეს შემთხვევაში წინააღმდეგობრივია. ასე მაგალითად, კანტმა რელიგია ზნეობრივი მოვალეობის გრძნობასთან გააიგივა, გერმანელმა ღვთისმეტყველმა შლეიერმახერმა იგი დამოკიდებულების შეგრძნებებით ახსნა, ფრანგმა ისტორიკოსმა რეინაკმა „სინდისისმიერი გრძნობების ჯამი“, ინგლისელმა მოაზროვნე რასელმა კი, შეუცნობლის შიში დაარქვეს, გერმანელმა ფილოსოფოსმა პაულსენმა შინაგან განწყობად მიიჩნია, რაც თვინიერებითა და სასოებით ვლინდება. დღესდღეობით ლიტერატურაში რელიგიის რაობის სამოცდაათამდე განმარტება და მისი წარმოშობის უამრავი თეორია გვხვდება.

რა თქმა უნდა ყურადღების მიღმა დავტოვებთ „განმანათლებლების“ პოზიციას, თითქოს რელიგია გამიზნული სიცრუის პროდუქტი იყოს. ეს შეხედულება კარგა ხანია თავად ათეისტებმაც კი უარყვეს. სამაგიეროდ, ჯიუტად ებლაუჭებიან მეთვრამეტე საუკუნის კიდევ ერთ კონცეფციას, რომელიც რელიგიას პირველყოფილი, ბუნების კანონებში გაუთვითცნობიერებელი ადამიანის უგუნურ გამოხატვა

რებელი ადამიანის უგუნურ გამოხატვა მოაჩენს. ასეთი აზრი ანტირელიგიურ ლიტერატურაში დღესაც დომინირებს. მაგრამ, ის ფაქტი, რომ რელიგია არ გაქრა, როცა ადამიანმა ბუნება უფრო სრულად შეიცნო, რომ მას განათლების ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგარი ადამიანებიც კი ეზიარებიან, ამ თეორიას მთლიანად უარყოფს და ათეისტური არსენალიდანაც ის თანდათან ქრება.

დღესდღეობით მატერიალიზმი ჩვეულებრივ იმითლა შემოიფარგლება, რომ აცხადებს რელიგია ადამიანთა გონებაში მისი არსებობის მატერიალური პირობების მცდარი, მაგრამ რეალური საზოგადოებრივი ფაქტორებით განპირობებული ანარეკლიაო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ბაზისი“, ანუ სოციალ-ეკონომიკური, გეოგრაფიული, ეთნიკური და სხვა გარეგანი მიზეზები პირველადი ყოფილა, რელიგია კი ყოველივე ამის პროდუქტი.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა იმის უარყოფა, რომ მატერიალურ ფაქტორებს ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენა აქვს, მაგრამ უკუზეგავლენაც ხომ ასევე ძლიერია? ეს კი „პირველადობის“ იდეას უდავოდ ეჭვქვეშ აყენებს. ასე მაგალითად, ქანდაკებისათვის ქვა თავისებურად პირველადია, მაგრამ მოქანდაკის ჩანაფიქრი და ოსტატობაც ხომ არანაკლებად პირველადი გახლავთ? უფრო მეტიც, ჩანაფიქრში ქანდაკება უკვე არსებობს, მაშინ როცა ქვა მის გარეშე მხოლოდ ქვა იქნებოდა და მეტი არაფერი. მსგავსი „უკუკავშირი“ ადამიანის შემოქმედებას, აზრსა თუ რწმენასა და მისი ცხოვრების მატერიალურ პირობებს შორის ყოველთვის იგრძნობა. ასეთ კავშირს თვით მარქსიზმიც კი აღიარებს.

სოციალური, ეკონომიკური და პო-

## ეკონომიკური

ლიტიკური იდეები მსოფლმხედველობის პრინციპთა მთლიანობაშია ჩაქსოვილი. ეს პრინციპები კი, ხშირად ანგარიშს არ უწევენ ყოფით რეალობას და მის საწინააღმდეგოდ ვითარდებიან. „არც ერთი იდეალი, – წერს რუსი ფილოსოფოსი ე. ტრუბეცკოი, – არ შეესატყვისება იმ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, რის დასაკმაყოფილებლადაც იქმნება... იდეალი რაღაც ისეთს ატარებს თავის თავში, ამ უკანესესკნელთ რომ არ გააჩნიათ“.

გარდა ამისა, რელიგიის მატერიალისტური ახსნა ადამიანის სულიერი სამყაროს შემოქმედებით პოტენციულსაც ვერ ითვალისწინებს. მას არ სურს პიროვნული სანყისის როლს გაუწიოს ანგარიში და ამ უკანასკნელს საზოგადოებრივი ურთიერთობებით ცვლის. არადა, რა სამართლიანად აღნიშნავდა ს. ბულგაკოვი: „თუკი არსებობს ისეთი არეალი, სადაც შემოქმედებითი ინდივიდუალობის განსაკუთრებული როლი ყველაზე მეტად უდავოა და გამოკვეთილი, ეს შთაგონების სფეროა; შთაგონების, რომელიც ადამიანს უხილავი და ქვეშაირიტად მაგიური ძალით გააცისკროვნებს. რელიგია და ხელოვნება სწორედ ამ არეალს განეკუთვნება.“

ცნობილმა სოციოლოგმა, მაქს ვებერმა საფუძვლიანად დაასაბუთა, რომ რელიგია ყოველთვის რჩეული უმცირესობის, „ქარიზმატული ბელადების“ წიაღში ყალიბდებოდა, შემდეგ კი მათი იდეები საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ წესრიგზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. ახალი რელიგიური სწავლების ქადაგება ისე იჭრება ისტორიულ პროცესში, ვითარცა სულის სიღრმეებში შობილი „რაღაც“, და თუმცა მისი წარმატება დიდადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ პირობებზე, იგი იმ პირობების შექმნილი

არაა. უაზრობა იქნებოდა მუდამსტერი ნირვანის საიდუმლოება ჩვენს ნელთალრიცხვამდე მეექვსე საუკუნის ინდოეთის კლასობრივი ურთიერთობებიდან ამოგვეგლიჯა ან იაკობ ბიომეს თეოსოფია მერვე საუკუნის გერმანიაში კაპიტალიზმის შეჭრით აგვეხსნა. ეს იგივე იქნებოდა, კელაე ბულგაკოვს რომ დავესესხოთ: „მუსიკალურმა კრიტიკოსმა გვაცნობოს, რომ ბეთჰოვენი წერილი ბურჟუა იყო და მეცხრე სიმფონიის მთელი საიდუმლო ამით აიხსნებაო“.

საზოგადოებრივი სტრუქტურისა და რელიგიის შესაბამისობა გაცილებით თვალშისაცემი იქნებოდა ბაზისისა და ზედნაშენის კონცეფცია ისტორიულ რეალობას რომ ირეკლავდეს. სინამდვილეში კი ასეთი შესაბამისობა უკიდურესად საეჭვოა. ის ფაქტი, რომ რელიგია ერიდან ერს და ეპოქიდან ეპოქას გადაეცემოდა, სწორედ საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ქრისტიანობა მონათმფლობელურ სამყაროში იშვა, მაგრამ შემდგომ ფორმაციებშიც ცოცხლობდა. ისლამი, რომელიც საგვარეულო წყობის დაშლის პირობებში აღმოცენდა, მრავალი განსხვავებული შეურნეობისა და სოციალური წყობის ქვეყნის რელიგიად გადაიქცა. კაპიტალისტურ იაპონიაში წარმართული სინტოიზმი დღემდე მეფობს, ინდოსტანის ხალხებში კი ვედების რელიგიას უკვე ოთხი ათასი წელია ეთაყვანებიან.

რაღაც მსგავსი ხელოვნებაშიც ხდება. ვთქვათ, ეგვიპტური პორტრეტები და „ილიადა“ სულ სხვაგვარი ბაზისის პირობებში შეიქმნა, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის მისი მარადიული სილამაზე აღვიქვათ და აღტაცებულნიც დავრჩეთ.

ზუსტად ასე უკვდავების, სიცოცხლის აზრის, ადამიანის ღმერთთან

ურთიერთობის პრობლემები ადამიანებს ათასწლეულების წინ რომ აწუხებდათ, დღესაც მწვავეა და აქტუალური. ინტერესი იოვის წიგნის, ინდური ბჰაგავატ-მიტას ან პალტონის ფილოსოფიის მიმართ მეოცე საუკუნეშიც არ ნელდება.

მატერიალიზმს არ ძალუძს ამ ფაქტებს ანგარიში არ გაუწიოს და იძულებულია ზედნაშენსა და ეკონომიკას შორის არსებულ რთულ ურთიერთობას ხაზი გაუსვას, თემცა უპირატესობას მუდამ ამ უკანასკნელს ანიჭებს. „ერთხელ აღმოცენებულ რელიგიას, – ამტკიცებს ენგელსი, – მუდამ შემონახული აქვს წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული წარმოდგენების გარკვეული მარაგი, რადგან იდეოლოგიის ყველა სფეროსათვის ტრადიცია დიდი კონსერვატორული ძალაა. ცვლილებებს კი წარმოდგენათა ამ მარაგში კლასობრივი, შესაბამისად ეკონომიკური ურთიერთობები განაპირობებს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რწმენა „ბაზისის“ ნიადაგზე იშვება, ტრადიციები ინახავს და ასევე „ბაზისის“ გავლენით იცვლება. მაგრამ რელიგიის კონკრეტული ისტორია ხომ ამ სქემას არღვევს. სულიერების ყველაზე აშკარა, ქარიზმატულ მოვლენებს ეკონომიკას ასე იოლად ვერ დაუკავშირებ, ტრადიციებს კი, ის აშკარად უპირისპირდება. ბუდიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის შემთხვევებში ეს აშკარად მოჩანს. ბუდას მოძღვრება, სახარება და ყურანი საყოველთაოდ აღიარებულ რწმენას ბევრად დაშორდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი სიახლე სამეურნეო ურთიერთობების ცვლილებამ განაპირობა.

●

მართალია რელიგია გარკვეულ ისტორიულ, გეოგრაფიულ და ეთნიკურ გარემოს უკავშირდება, მაგრამ რალაციით მათზე მაღლა დგას. ამით აიხსნება ის განსაცვიფრებელი სულიერი ერთობა, რაც ხშირად ფსიქოლოგიური, რასობრივი და ისტორიული ბარიერებით გაყოფილ ერებს ახასიათებთ. (ვთქვათ, იუდეურ და კალივინისტურ თემთა მსგავსება) და პირიქით, რასობრივად, ეკონომიკურად, ისტორიულად და გეოგრაფიულად ორი ერი შეიძლება ერთიანი იყოს, მაგრამ რელიგიური ცნობიერებით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებოდეს.

„უამრავი ერი, – წერს ინგლისელი ისტორიის ფილოსოფოსი კრისტოფერ დაუსონი, – ერთი კულტურიდან მეორეზე ცხოვრების პირობების განსაკუთრებული ცვლილებების გარეშე გადადიოდა. ისლამის მაგალითი გვიჩვენებს, როგორ განაახლა ცხოვრება ძალამ, რომელიც არაბეთის უწყალო ნიადაგზე იშვა და რომელმაც ბოსნიის მთელ სლავებს, ოსტ-ინდოეთის მაღალე პირატებს, სპარსეთისა და ჩრდილოეთ ინდოეთის მაღალცივილიზებულ ხალხებს თუ აფრიკის ზანგთა ტომებს ცხოვრების წესი და სოციალური წყობა შეუცვალა. მთავარი ერებს შორის რასობრივი, ენობრივი და გეოგრაფიული განსხვავება კი არა, განსხვავებული სულია: ელინელებისა და ბარბაროსების, იუდეველებისა და არაიუდეველების, მაჰმადიანებისა და ინდოელების, ქრისტიანობისა და წარმართების! ყველა ამ შემთხვევაში სინამდვილის განსხვავებული კონცეფცია, განსხვავებული მორალი და ესთეტიკური ნორმები, მოკლედ განსხვავებული შინაგანი სამყარო არსებობს. ნებისმიერი ცივილიზაციის სა-



საქართველოში

ფუძველში ორი ფაქტორი დევს: აზრისა და მოქმედების ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთიანობა და მოციქულის ან მოაზროვნის უცაბედი შთაგონება. მუჰამედის გამოცდილებამ, როცა გირას მთის გამოქვაბულში უცებ შეიგრძნო, რომ ადამიანის ცხოვრება ღვთაებრივი ერთიანობის ძლიერებასა და სიღიადესთან შედარებით კოლოს ფრთის ფარფატივით ხანმოკლე და არარა იყო, კაცობრიობის უშველებელ ნაწილს ცხოვრების წესი შეუცვალა. რადგან ერი, რომელსაც მუუქინი დღეში სამჯერ ამცნობს ღმერთი ერთადერთიაო, ვერასოდეს შეხედავს სამყაროს იგივე თვალთ, როგორც ინდუისტი, ვინც ბუნების უთვალავ ფორმას აღმერთებს და სამყაროს კოსმიური ძალების სექსუალური თამაშების გამოვლინებად აღიქვამს. მაგრამ თუ ინტელექტუალურ და სულიერ ცვლილებებს ერების მატერიალურ ცხოვრებაში შორსმიმავალი შედეგები მოაქვს, გარეგან მატერიალურ ცვლილებას უმცირესი დადებითი ეფექტი მოყვება, თუკი მისი ფესვები ერთა კულტურული და ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან არ ამოიზრდება. ისიც ცნობილია, რომ პრიმიტიულ ერებზე თანამედროვე მატერიალური ცივილიზაციის გავლენა, როგორც წესი, კულტურულ პროგრესს არ წარმოშობს. პირიქით, თუ მას თანდათანობითი ასიმილაციის პროცესი არ დაერთვის, იგი დაპყრობილ კულტურას ანადგურებს".

კულტურის მონყვეტა მისი რელიგიური საფუძველიდან საბედისწერო შედეგის გარეშე ვერ ჩაივლის. ჭეშმარიტი კულტურული აღორძინება წარმოუდგენელია ინტენსიური სულიერი ცხოვრების გარეშე. აბა რა იქნებოდა ისრაელის ისტორია ან ევროპული ცივილიზაცია ბიბლიის გარეშე, დასავ-

ლეთის კულტურა კათოლიციზმისა და დური - მისი რელიგიის, რუსული - მართლმადიდებლობის, არაბული - ისლამის გარეშე? კრიზისებს, დაცემით მოვლენებს კულტურაში, როგორც წესი, რელიგიური იმპულსების შესუსტება იწვევს და მას კულტურა დეგრადაციასა და კვდომისკენ მიჰყავს.

როგორც აღვნიშნეთ, რელიგიის შემოქმედება საზოგადოების სულიერი ცხოვრების გარდა, ეკონომიკურზე იგრძნობა. ასე მაგალითად, მაქს ვებერმა დაადგინა, რომ წინაპირობა კაპიტალიზმის აღმოცენებისათვის ჯერ კიდევ ანტიკურ ხანასა და შუასაუკუნეებში არსებობდა, მაგრამ მისი სწრაფი და ბოზოქარი განვითარება მხოლოდ პროტესტანტიზმის ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყო. ადრეული პროტესტანტული ლიტერატურის შესწავლისას, ვებერმა შეამჩნია, რომ ის იდეოლოგიური იმპულსი („პროფესიული მოვალეობის“ იდეა), რომელმაც წარმოების კაპიტალისტური საშუალებების პროგრესს შეუნყო ხელი, თავად ლუთერანელთა მსოფლმხედველობაში იდო. სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით, ვებერმა დაასაბუთა, რომ კაპიტალიზმი ყველაზე უკეთ სწორედ პროტესტანტულ ქვეყნებში აყვავდა (ინგლისი, გერმანია, ამერიკა) და პირიქით, არაპროტესტანტულ ქვეყნებში იგი გაცილებით დინჯად განვითარდა.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რა დიდი როლი ითამაშა რელიგიამ განსხვავებული საზოგადოებების სტაბილური სოციალური წყობის ფორმირების საქმეში. ამასთანავე, ის საზოგადოებრივი ძალებიც, ძველი ნესრიგის რღვევასა და ახლის შექმნას რომ ცდილობდნენ, ასევე რელიგიური ხედვიდან ამოდიოდნენ. საკმარისია



ეროვნული  
ქრონიკა

გავიხსენოთ პუსიტები, ანაბაპტისტები, კამპანელა, მორი, რუსო, რომელითა დეიზმსაც რობესპიერი ეთაყვანებოდა.

რელიგიის ამ როლზე ყურადღება მარქსმაც გაამახვილა და მას „დათრგუნული პირუტყვის ხენეშა, უგულო სამყაროს გული“ უწოდა. მართლაც, მორწმუნე ადამიანს, განურჩევლად იმისა, თვინიერებას აირჩევს თუ აჯანყებას, გაცნობიერებული აქვს, რომ ეს ცხოვრება მისი სულის წინაშე გადაშლილი იდეალისაგან ძალიან შორს დგას. და ისიც ზემამაღლებულს, გარშემოხვეული სინამდვილის საზღვრების გარღვევას ესწრაფვის.

ამრიგად, ვხედავთ, რომ რწმენა, რელიგია ადამიანის არსებობის უდავოდ მოქმედი და თვითმყოფადი ფაქტორია. მათთვის, ვინც რელიგიას მხოლოდ „ზედნაშენად“ აღიქვამს, ბაზისის შეცვლასთან ერთად რომ ქრება, ჯოჯოხეთის ამდენ წრეგავლილი რელიგიის თანამედროვე მდგომარეობა გაუგონარი მოვლენაა. შემოფოთებით შესცქერიან, მისი ძალის გაცნობიერებას ცდილობენ, ყოველგვარი იდუმალი ხომ შიშს წარმოშობს. ფესვებგადახერხილი ხე, რომელსაც ამდენხანს აქანაუებდნენ, აქამდე ხომ უნდა წაქცეულიყო და დამპალიყო. არადა, ისევ დგას და ნორჩი, მწვანე ფოთლებიც გამოისხა. და რახან თავის დასაწყნარებლად ახალი ტერმინი გამოიგონეს „სამღვდელოების აქტივიზაცია“, როგორც ჩანს, სხვა განმარტება აღარ ხელენიფებათ.

საერთო შეცდომას უშვებენ მსოფლიოსთვის საუბრობენ რწმენის იმ ფსიქოლოგიურ წინამძღვრებზე, ადამიანის სულის იმ თვისებებზე, რომელიც მისტიკურ შეგრძნებებს აყალიბებს. საქმე მხოლოდ რელიგიის ფსიქოლოგიას რომ ეხებოდეს, ეს გამართლებული იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ხომ რწმენის თავად არსი გვაინტერესებს, ამიტომ ასეთი განმარტება ყოველთვის უკმარისია.

ნებისმიერ პროცესს ვერასოდეს გაიგებ, თუ მასში მინიმუმ ორი კომპონენტის ურთიერთზემოქმედება არ შეამჩნიე. როგორ შევძლებთ მივცეთ დამაკმაყოფილებელი დახასიათება, ვთქვათ, შემეცნებას, თუკი მხოლოდ შემეცნობი ადამიანის სუბიექტური თვისებები გავითვალისწინეთ? თუკი შემეცნებით პროცესში თავად შესაცნობ საგანს არ ჩაერთავთ, ჩვენი მცდელობა უნაყოფო დარჩება.

გარდა კანტისა, ვინც „ნივთი თავის თავში“ ბრძანა, თვით უკიდურესი სუბიექტივიზმიც კი აღიარებს, რომ მაინც არსებობს რაღაც პირველსაწყისი, რეალობა, რომელიც ბერკლის თქმისა არ იყოს, „მოვლენათა ცდომილ სამყაროს“ წარმოშობს.

ამიტომ, როცა რელიგიის განმარტებას ცვდილობთ, მის გაგებაში უთუოდ უნდა ჩაერთოთ ადამიანის მიღმისეული სანყისი, რადგან რელიგია სწორედ ამ სანყისთან კონტაქტის შედეგად აღმოცენდება. მარქსისტულ დამოკიდებულებას რელიგიასთან ერთადერთი ცნობილი უპირატესობა აქვს. კერძოდ ის, რომ ამ რეალობას აღიარებს. თუმცა უპირატესობა ამითვე ამოიწურება. მისი მეტაფიზიკისაგან გამომდინარე, მატერიალიზმი რეალობას არასულიერ, სტიქიურ, წმინდა ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს.

როცა რელიგიის განმარტებას ცდილობენ, უმეტეს შემთხვევაში ერთ

ერქენულნი

უფრო ფრთხილ და შესაბამისად უფრო ტევად განმარტებას არნოლდ ტობთან ვხვდებით. იგი აცხადებს, რელიგია ყოფიერებას ერთ მთლიანობად აღიქვამს, განსხვავებით მეცნიერებისაგან, ვინც მხოლოდ მის კერძო ასპექტებს სწავლობსო. ამ განმარტებაშიც ისევ ორ საწყისს ვხვდავთ: ყოფიერებასა და ადამიანს, მაგრამ ყოფიერებას აქ მატერიალისტურზე უფრო ფართო გაგება ენიჭება.

დიახ, რელიგია სწორედ ყოფიერების გარდატეხაა ადამიანთა ცნობიერებაში. მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, ამ ყოფიერებას როგორ ვაიგებ. მატერიალიზმი მას უგუნურ ბუნებას-

თან აიგივებს, რელიგია კი მის მსხვერპელში საკრალურ ღვთიურ არსს ხედავს და თავის თავს ამ არსის გამოვლინებად აღიქვამს.

და თუ ბუნების ყოფიერება ყველა ადამიანისთვის ნათელია, გრძნობის რომელი ორგანოთი უნდა აღიქვას მან ღვთიური ყოფიერება? სხვაგვარად რომ ვთქვათ: „იმქვეყნისეულს ვერაფერს ვხვდავთ და არც არაფერი გვესმის, მაშ საიდან ვიცით, რომ არსებობს?“

სანამ ამ საკითხს განვიხილავდეთ, აუცილებელია გავაცნობიეროთ საერთოდ როგორად აღიქვამს ადამიანი გარემო სამყაროს.

თარგმნა მანანა მიქელაძემ



## ახალი წიგნები

### წიგნად ქცეული გამოცდილება\*

თავისი წიგნის „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“ წინათქმაზე მინანქრში ირაკლი აბაშიძე წერს: „ერთ მშვენიერ ღამეს სიზმრად სრულიად არა რუსთველური („ქმენ გულისა“) ფრაზა ენახე: თუ გულმა ერთი გითხრას, გონებამ მეორე, ხოლო გამოცდილებამ მესამე – მესამეს დაუჯერო. იმ ზანად მე გატაცებით ეკითხულობდი ეკერმანს და იქნებ გოეთეს რომელიმე აზრი ჩემს სიზმარში ასე გადაკეთდა, მე ეს ფრაზა მთელი ჩემი ცხოვრების მრავალათეული წლის მანძილზე თან გახვევა ჩვენს ურთულეს, ჩვენს უმძიმეს ეპოქაში“.

ირაკლი აბაშიძის მოგონებების წიგნი მართლაც უმძიმეს და ურთულეს ეპოქას ეხება. ეს ეპოქა XX საუკუნის პირველ ნახევარს მოიცავს. ქართველი მწერალი ახალგაზრდობიდანვე მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა და ამიტომ მან ადრეული ასაკიდანვე შეიძინა ის უმნიშვნელოვანესი გამოცდილება, რომელსაც მთელი ცხოვრება უზიარებდა სხვებს. ირაკლი აბაშიძე შესანიშნავი მთხრობელი იყო. ნიჭი, ცოდნა, წარმოსახვა, ნატიფი იუმორი და უშუალობა განუმეორებელ ელფერს სძენდა მის მონათხრობს.

„ზარები ოცდაათიანი წლებიდან“ თითქოს თხელი წიგნია, მაგრამ უაღრესად ტევადია, მთელ ეპოქას იტევს. როგორც ავტორი თავიდანვე გვატყობინებს, მას შხოლოდ პაოლო იაშვილის პორტრეტის დახატვა პქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ჩანაფიქრმა სახე იცვალა და მთელი ეპოქა მოიცვა. საინტერესოადაა მოთხრობილი ოცდაჩვიდმეტი წლის წინა პერიოდის ამბები, დახასიათებულია ის ატმოსფერო, რომელშიც შეამზადა საბედისწერო რეპრესიები. დღევანდელი გადასახედიდან თითქოს ყველაფერი ცხადია და არა-ორაზროვანი, მაგრამ მაშინ ყველაფერი ბუ-

რუსით იყო მოცული და ამ გაურკვეველობაში თანდათან იკვეთებოდა სინამდვილის მხინჯი სახე.

ირაკლი აბაშიძე ეპოქის კვლადაკვად მწერლების პორტრეტებსაც ხატავს. მათი შემოქმედების შეფასება ამ პორტრეტების განუყოფელი ნაწილია. აქ ისეთი შტრიხებია, რომელიც სრულიად ახალ სინათლეს მატებს, ვთქვათ, გალაკტიონის შემოქმედებას: „ისევე როგორც ბლოკმა, ბრიუსოვმა, მაიაკოვსკიმ, ესენინმა, პასტერნაკმა რუსეთში, – გადასცვივტირობდა შეასრულა თავისი „ჯონ რიდი“, „გემი დელანდი“, „მოგონებებით იმ დღეებისა“ და ლექსით – „ჩვენ, პოეტებით საქართველოსი“.

სადღეისოდ არცთუ ისე ბევრ უშუალო მომხსნის მთაბუჭდილება და პორტრეტი შემოგვრჩა გრიგოლ რომაქიძისა. თავისთავად ცხადია, ირაკლი აბაშიძის, მწერლის, პიროვნების, საზოგადო მოღვაწის აზრი გრიგოლ რომაქიძეზე უაღრესად საინტერესოა. საბჭოთა პერიოდში ირაკლი აბაშიძემ არაერთხელ სცადა გრიგოლ რომაქიძის სახელის აღდგენა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. რომაქიძის ირგვლივ არაერთი ურთიერთგამომორცხავი აზრი არსებობდა და არსებობს. ამიტომ ძნელია მღელვარე ინტერესის გარეშე ნაიკითხო სტრიქონები ემიგრანტი ქართველი მწერლის უნიკალურ პიროვნულ და შემოქმედებით თვისებებზე. ირაკლი აბაშიძეს მოაქვს ფრაგმენტი იმ წერილისა, რომელიც 1962 წელს მას მოსწერა გრიგოლ რომაქიძემ: „გვიგე, მანდ ჰკონიათ თურმე: თითქო მე პიტ-

\* ირაკლი აბაშიძე. „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“. თბ. „ინტელექტი“, 2003.

ლერიანი ვყოფილიყავი, ეს ქორი და ზღაპარია. მრავალ ფაქტთან აქ მხოლოდ ერთი: 1941 წლის იენისის შუა რიცხვებიდან ომის ბოლომდე გესტაპოს ზევრვის ქვეშ ვიყავი მოქცეული. პიტლერიანი რომ ვყოფილიყავი, განა ასე მომექცეოდნენ?! მანდ გავრცელებული აზრი ქორი და ზღაპარია – სხვა არაფერი!”

კიდევ მრავალი აზრის, დოკუმენტის, ცხოვრებისეული ფაქტის გაცნობა შეიძლება ამ ნიგნის მეშვეობით. ყველაფერს რომ თავი დაევანებოთ, მარტო პაოლო იაშვილის თვითმკვლელობისწინა ბარათი რად ღირს.

უმთავრესი კი ერთი რამაა: ეს ნიგნე მატანეა, იმ კაცის დაწერილი, რომელიც არა მარტო აკვირდებოდა, არამედ თვითონვე ნარმართავდა ქვეყანაში გარკვეულ პროცესებს. მან სიცოცხლის ბოლოს მიუკერძოებლად გადმოსცა XX საუკუნის პირველი ნახევრის უმნიშვნელოვანესი მოვლენები. ამ მოვლენების ფონზე დაბატა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები. ლაიტმოტივად კი ნიგნე ერთი აზრი დაუდო: ურთულეს ეპოქაზე მსჯელობა მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება, ფაქტები კი იმას მონიშნავს, რომ ეს ეპოქა, მართლაც, ურთულესი იყო და მასზე ზერელედ და იოლად ლაპარაკი არ შეიძლება.

## ნიღვები და რეალობა\*

ვფიქრობ, რომ საბჭოთა პერიოდში ლიტერატურულ აზროვნებას გამუდმებით ახლდა სტერეოტიპი, რომელიც ანეხებდა გადაულახავ მიჯნებს და საზღვრებს. ამ საზღვრების გადასლახავს მკითხველისკენ გზა საზომდამოდ ეკეტებოდა. სრულიად თავისუფლად მოაზროვნე პოეტის ან პროზაიკოსის ნაწარმოებები დღის სინათლეს ვერ იხილავდა. მაგრამ არსებობს კი არასრული თავისუფლება? თავისუფლების დოზირება უშუალოდ ცენზურას ეხებოდა. აქ იცოდნენ ყველაზე კარგად რა უნდა დაეტოვებინათ და რა „ამოეჭრათ“.

ზაზა თვარაძის ლექსებს რომ კითხულობ, პირველად სწორედ იმას ფიქრობ, თუ რამხელა თავისუფლება შემოიჭრა გაუხშობულ სივრცეში. რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისაგან, თითქოს თავისუფლება შემოქმე-

დების ერთადერთი პირობა იყოს; მაგრამ ერთ-ერთი და აუცილებელი ნამდვილად არის. ჩემი აზრით, ცენზურის მუშაკები ზაზა თვარაძის ლექსებს ვერაფერს მოუხერხებდნენ, ამ ლექსების ნაწილობრივი „შუკუცა“ სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა, საჭირო იქნებოდა მათი მთლიანად აკრძალვა.

ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს ლექსები უცნაური სიმბოლიზი გროტესკის და ვიზიონის, პირობითობის და ნარმოსახვის, ლიმისის და მწუხარების, რეალობის და ფანტასმაგორიის, ძნელა ერთმანეთისგან გამოაცალკეო ყოველივე და ცალკეულ ელემენტებად დაანაწევრო თავისებური ნაერთი. „ჩემი ბავშვობის სანახებში, ძმა, / მე შემომესმა საიდანღაც ხმა, / არ ჰგავდა მწარე მასწავლებლის ფლერას / და ბაღის ნეტარ დაღრუნებში / მიმოიძროდა უცნაური, უფრო მზე-რა...“

ეს სანახები ურბანისტული გარემოს მკვიდრი ნაწილია. ზაზა თვარაძის ვიზიონურ-ნარმოსახვითი ხილვები ამ გარემოს შიგნით იბადება, აქვე იბადება ის ნარმოდგენები, რომლებიც უშუალოდ ემპირიულ სინამდვილეს ალბეჭდავენ. ურბანიზმი საინტერესოა, ამ შემთხვევაში, არა როგორც უბრალოდ ქალაქის პეიზაჟი ან სურათი, არამედ როგორც მსოფლმხედველობრივი მომენტი, როგორც განწყობილება, რომელიც გარკვეულ დროში და სივრცეში შეიძლება განდგეს. ეს XXI საუკუნის დასაწყისის თბილისია (ან XX საუკუნის მიწურულის) ყველა თავის ნიშნით, სოციალურ-პოლიტიკური ატმოსფეროთა, გაურკვევლობით და ქაოსით, ნიპილიზმით და პიროვნების ნიველირებით, ცინიზმით და სიცოცხით, და ა. შ. ყოველივე ეს შეიძლება უშუალოდ, მსხვილი პლანით არ არის ნარმორჩენილი ზაზა თვარაძის ლირიკაში, მაგრამ უკუფენილია და მკაფიო მოხაზულობის განწყობილებისმიერი ნიშნებითაა ალბეჭდილი. ასეთია პოეზიის ენა.

ზაზა თვარაძის ლექსების ლირიკული სუბიექტი ანტიპოდიან იმ ტიპობრივი პერსონაჟისა, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმის ლირიკაში არსებობდა. ეს იყო ზომიერად იმედიანი, ზომიერად სევდიანი, საერთოდ, ზომიერების ნიშნით დაღდასმული, მკაფიო კონტურებს მოკლებული „მოქალაქე“. მთავარი იყო არა ამ პერსონაჟის რეალური სახის წვენება, არამედ მისთვის იმ ყალიბების შორგება, რომელსაც სახელმწიფო იდეოლოგია

\* ზაზა თვარაძე. ტან-ცხი სიცოცხეში. ლექსები. კავკასიური სახლი. 2003.

სთავაზობდა პოეტს. აქ სიტყვა „მოქალაქე“ შემოთავაზებდა არ მიხსენდება. ლირიკული პერსონაჟის სახე ე. წ. მოქალაქეობრივი პათოსით იზომებოდა, რაც სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა უკვე არსებული და მრავალგზის გამოყენებული სტერეოტიპის ტყვეობაში ყოფნას. ზაზა თვარაძემ არა მხოლოდ ანტი-პოდი შექმნა ამ პერსონაჟისა, არამედ მისი არსებობით გამოიწვევლი ეპატაჟური და ირონიულ-პაროდიული მოტივებიც აღბეჭდა თავის ლირიკაში. მუ პირადად ასე მესმის ზაზა თვარაძის პოეტური შემოქმედების ყველაზე თვალსაჩინო თვისებრივი ნიშანი – ირონიულობა, ზოგჯერ იუმორისტული ელფერი, სკაბრუნულობა შერწყმული მედიტაციურობასთან, ზოგჯერ სიტყვის სასიონარქვეთილებამდე მისულ ლირიკულ ვიბრირებასთან. ეს ქამელეონური გადასვლა ირონიისა მიმედია ციანში, სკაბრუნული მტრისებრისა ლირიკული განცდის გამომწვევ ტონალობაში, პოეტის ლექსებს თავისებურ სახეს სძენს და მოულოდნელობის ეფექტსაც ანიჭებს.

და ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ნატურის ხატვა. მნიშვნელოვანია, რადგან საგნობრივ სინამდვილეს, „რეალიზმს“, ცხოველყოფელი ნაკადი შემოაქვს ამ ვიზიონებით სავესე სამყაროში. ვიზიონების საყრდენი ზაზა თვარაძის მხატვრულ სივრცეში სწორედ ეს საგნობრივი სამყაროს ნიშანსვეტია, მის ირგვლივ იყრის თავს პოეტის უჩვეულო წარმოსახვა, რომელიც ხშირად მხოლოდ უწყინარ ჩვენებებს არ სჯერდება და ფანტასტიკურ სურათებს ქმნის: „მოფრინდნენ ბუზები, ჩაუშვეს ლუზები, განნიორთ ყვიროდნენ: „რაცია! რაცია!“ ქარი უბერუდა – სისინით, ზუზუნით, ქარმა ყველაფერი მირაგად აქცია“ და ა. შ.

როცა მე ვსაუბრობ საგნობრივ სამყაროზე, ემპირიულ სინამდვილესთან შეხების ნერტილს ვგულისხმობ. ეს შეხების ნერტილი ყველაზე ხშირად პოეტის იმნამიერი ფიზიკური ადგილსამყოფელია – ან ოთახია, ან ზოგადად ქალაქია, ან ოთახიდან დანახული ქუჩის ხეღია. გარემო წარმოსახვაში აღძრული სურათების ათვლის ნერტილია. ვიზიონების ამორფულობას სწორედ ეს გარემო შემოწერს მკაფიო კონტურით.

აქ არ შეიძლება არ ითქვას ერთი რამ: როცა პოეტური აზროვნებისთვის ქამელეონური ცვალებადობაა დამახასიათებელი, ყოველი სტრიქონი ზუსტი, ნათელი და მიზანმი-

მართული უნდა იყოს. აი, ვთქვათ „პილიგრიმი“, რომელიც ეძღვნება სვეტიცხოველს (ლევეკოს) არის ფრაგმენტები, სადაც ეს სიზუსტე ადეკვატურ განცდას აღძრავს მკითხველში: „სინათლეებზე, ზნელი ღამის სინათლეებზე, ორნი ერთმანეთს ვუამბობდით უცნაურ არაკს, ჩამოვსხდებოდით ნათრევი და ქანცვანყვეტილი, უზარმაზარი ბავიერების ხვეულ ნრეებზე და ღამის სურნელს ვაყოლებდით ქარნაკრავ არაკს“. და აქვე, ამავე ლექსში არის ისეთი ფრაზები, ისეთი მეტაფორები, რომლებიც უფრო ზოგად წარმოადგენას ქმნიან, თითქოს მხოლოდ ცარიელ სივრცეს ავსებენ და კონკრეტული დატვირთვა არა აქვთ. ასეთია, ვთქვათ, მონაკვეთი: „ღამე როკავდა ხისხლძარღვების ნათელ შრეებში და თვალებიდან განციფრება მიქაწრდათ ქარებს“.

ეს მაგალითები საილუსტრაციოდ იმეტომ მოვიტანე, რომ მეთქვა: პოეტმა, ცნობიერად თუ არაცნობიერად, საკმაოდ რთული მხატვრული მიზანი დიასახა. და მან ყველაფერი გააკეთა ამ მიზნის მიხედვით. არსებობდა მან ამ მიზნის მიაღწია. აქ ვგულისხმობ ხანგრძლივ მუშაობას ლირიკული სუბიექტის წარმოსაჩენად, პროფესიულ დამოკიდებულებას ფრაზისადმი, სისადავისკენ სწრაფებას, ძიების უწყვეტ პროცესს, რომლის კვალიც ამ ნივს ეტყობა. კარგად ჩანს, რომ ეს ნივნი გარკვეული ნაწილია უფრო დიდი ჩანაფიქრისა, აქ იკითხება სურვილი უფრო ლირიკული სივრცის შემოწერისა, თითქოს ზაზა თვარაძემ ამ ნივნივე ჩააგდო მარცვალი, რომლიდანაც უკვე არსებულის მსგავსი, მაგრამ მაინც განსხვავებული ქვეყნიერება ამოიზრდება.

## სევდა წარსულის გამო\*

ამ ნივნიში მრავლადაა ბავშვობის შთაბეჭდილებები, თუმცა აქაც გარკვეულ თავისებურებას აწყდები: ეს შთაბეჭდილებები ნლობით იყო შენახული მეხსიერების კუნჭულეში და სამზეოზე მხოლოდ მაშინ გამოიტანა ავტორმა, როცა ფერი იცვალა. გიგი სულაკაური თითქოს ბოლომდე ენდობა „მეხსიერების თვითდინებას“ და იმაზე წერს მოთხრობას, რაც მისი მზედველობის ზედაპირზე ამოტივტივდება. ამიტომ „ბავშვობის თემა“

\* გიგი სულაკაური. მე და ჩემი ღიზა. მოთხრობები. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. 2004.

აქ მხოლოდ პირობითად შეიძლება არსებობდეს. ანდა რა არის ბავშვობისეული იმპი, რომ ნახვიდე იქ, სადაც გელოდებიან. აქ ერთი მოთხრობის გმირი ეკითხება თავის ამბანაც, სად მიდიხარო და ის პასუხობს - „მივდივარ იქ, სადაც მელოდებიან“. მოთხრობასაც ასე უქვია, „იქ, სადაც გელოდებიან“. ამ მოთხრობაში რეალობაც არის და წარმოსახვაც, ნამდვილი ამბავიც და შეთხზულიც, გამონაგონიც, მაგრამ მთავარი სხვა რამაა, მოთხრობას ახლავს სევდა იმის გამო, რაც ერთხელ მოხდა ადამიანის ცხოვრებაში და სხვა დროს აღარ მოხდება. აქ არის რაღაც გამოუთქმელი სინანული, რომელსაც ყველა პერსონაჟი ასხივებს - ეოვა ბერიძე, „რიფა“ (ტარიელ ფირხაძე), დამსახურებული პედაგოგი თინათინი, თამარი თუ დარეჯანი, დანიელა - ებრაელი კაცი, რომელიც ტოვებს საქართველოს, თბილისს, თავის უბანს და სამუდამო ნალექელი უგროვდება გულში.

„ტრისტანას დუქნის მცირე ისტორია“ ოსტატურად არის დანერვილი. არ გაგიჭირდება იმის შემჩნევა, რომ გიგი სულაკაური კარგად ფლობს „ტრადიციული პროზის კანონიკას“. თავისებურია დიალოგები, პერსონაჟების მეტყველება, შესტი და მიმიკა, შტრიხების და ცალკეული დეტალების გამოყენება. შესანიშნავად არის დახატული შედეუქნე ტრისტანა. ის თითქოს მკითხველის წინაშე გარდაისახება, იქცევა იმად, რაც არ არის, რასაც თავის თავისგანაც არ მოელის. მისი გაოცება იმ სტერეოტიპის რღვევამ გამოიწვია, რომელიც გარკვეული ტიპის ადამიანებზე უკონდა შემუშავებული.

ანდა სხვა მოთხრობიდან მამია გავიხსენ-

ნით. ამ კაცში ერთ მშვენიერ დეტალს [შაყდა პოეტი და აღმოცენდა მიზანთრობი], ანუ როგორც აეტორი წერს, „მამია გადაშენდა“. ჯარის მოგონებებიც საკმაოდ ორიგინალურად არის გაცოცხლებული. ამ მოგონებებს ჯარისკაცების დიალოგი სძენს სიმძაფრეს. და შენ ხედეტი, რომ გიგი სულაკაურისთვის არ არსებობს განსხვავებული თემები, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის თემატური ნიშნით წინასწარვე არ უყოფს მასალას, რომელიც მოთხრობად უნდა აქციოს. მისთვის მთავარი ხატეაა, საგნობრივი სამყაროს კონფიგურაცია, ნატურა და მისი თავისებური აღქმა, დეფორმირება. ადამიანის ხატვის დროსაც ის გამახვილებულად აღიქვამს გარეგნულ ნიშნებს, რომლის შემეგობითაც შინაგანს გამოხატავს.

თანაბარი მხატვრული სიმძაფრით არის შესრულებული სხვა მოთხრობებიც - „ბელადების მარში“, „ქიმიკელთა დროშა“, „ბოლანდიური აზარაკა“, „ფოთოლი სახეზე“, „მე და ჩემი ღიზა“.

ნიგნს ორგანულად ერწყმის ციკლი „მოგონებების მოღვეულები“. აქ ყველაფერია ერთად თავმოყრილი - ბავშვობა, უცნაური ადამიანები („ძმები“), პოეტური ნიაღვრეები, რეალობა, სინამდვილესა და წარმოსახვას შორის გაბმული ძაფები. კითხულობ და ფიქრობ, ეს არის პროზა იმ კაცისა, რომელმაც ბევრი რამ „ნახა და განიცადა“.

დაბოლოს, აეტორის ბოლოთქმა, რომელიც სულაც არ აღიქმება ჩვეულებრივ ბოლოთქმად, ვინაიდან ესეც პროზაა. ეს უკანასკნელი მოთხრობა კრავს და აგვირგვინებს ამ უაღრესად საინტერესო პროზაულ კრებულს.

ზურაბ კალანდაძე

573/26



ქართული  
ლიბრარიონი

ფასი ორი ლარი

ISSN 0132-599 X  
060206 76125